Georgian Academy of Sciences
Arn. Chikobava Institute of Linguistics

Varlam Topuria, Maksime Kaldani

SVAN DICTIONARY

„KARTULI ENA“
Tbilisi
2000

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ვარლამ თოფურია, მაქსიმე ქალდანი

სვანური ლექსიკონი

„ქართული ენა“
თბილისი
2000

წინამდებარე დოკუმენტირებული ლექსიკონი მოიცავს სვანური ენის ოთხივე დიალექტის (ბალსზემოურის, ბალსქვემოურის, ლაშხურისა და ლენტეხურის) ძირითად ლექსიკურ ფონდს — 16000-მდე სიტყვას. წმინდა ლექსიკოლოგიურ კვალიფიკაციასთან ერთად, მასში მკითხველი ბევრ საინტერესო ცნობას იპოვის სვანთა ეთნოგრაფიული სინამდვილის შესახებაც.

ლექსიკონი გათვალისწინებულია ქართველოლოგთა ფართო წრისათვის.

სარედაქციო კოლეგია: **ლამარა ბაბლუანი, რუსუდან ბაბლუანი-ონიანი, კლარა გაგუა-მარგიანი, ელისაბედ გაზდელიანი, ქეთევან ლომთათიძე, ქეთევან მარგიანი, მაქსიმე ქალდანი** (მთავარი რედაქტორი), **თინათინ შარაძენიძე, იზა ჩანტლაძე, როენა ჭკადუა**

რეცენზენტები: **ზურაბ ჭუმბურიძე, ივანე ქავთარაძე**

© არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, 2000

ISBN 99928-825-0-6

წინასიტყვაობა

ქართული ენის სტრუქტურისა თუ ისტორიის კვლევისათვის თხუთმეტსაუკუნოვან წერილობით ძეგლებთან და დიალექტებთან ერთად უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება უმწერლობო ქართველურ ენათა მონაცემებს. „სვანური ენა, ისევე, როგორც მეგრულ-ჭანური, მართალია, პერგამენტზე არაა წარმოდგენილი, მაგრამ ეს არც მას და არც მეგრულ-ჭანურს არ უშლის ხელს, შეინარჩუნოს უძველესი თვისებები, რომლებიც, შესაძლოა, ოდესღაც საერთო იყო ქართველურ ენათა ჯგუფის ყველა წარმომადგენლისათვის, მაგრამ სრულიადაც არ ასახულა წერილობითს ძეგლებში" (კარპეზ დონდუა).

დიდია არქაიზმებით გამორჩეული სვანური ენის მონაცემთა როლი ქართველური ენების ისტორიულ-შედარებითი კვლევისა და არქეტიპთა რეკონსტრუქციისათვის, რადგანაც, როგორც ცნობილია, სტრუქტურულად სვანური საკმაოდ ახლოს დგას საერთო-ქართველურ ფუძეენასთან. მისი რთული ფონეტიკური სისტემა, გრამატიკული თავისებურებანი და დიალექტური ნაირგვარობა განსაკუთრებით ფასეულია ზოგადლინგვისტური თვალსაზრისით.

სრულიად ბუნებრივია, რომ უმდიდრესი ლექსიკის მქონე ენით დაინტერესდნენ კარგა ხნის წინ არა მხოლოდ ჩვენში, არამედ საზღვარგარეთაც. სვანური მასალა ამა თუ იმ სახით წარმოდგენილია ი. გიულდენშტედტის (1787-1791 წ.), პ. პალასის (1786-1789 წ.), ჯ. ედვარსის (1788 წ.), ი. კლაპროთის (1807-1808 წ.), გ. როზენის (1845-1847 წ.), ფ. ბოპის (1846-1847 წ.), ი. ბართოლომეს (1855-1876 წ.), პ. უსლარის (1863-1887 წ.), ფრ. მიულერის (1864 წ.), ალ. ცაგარლის (1872-1880 წ.), დ. პიკოკის (1887 წ.), ჰ. შუხარდტის (1895 წ.), რ. ერკერტის (1895 წ.), მ. ჯანაშვილის (1895-1925 წ.), ა. სტოიანოვის, მ. ზავადსკის, ა. გრენის (1890-1902 წ.), ო. უორდროპის (1911 წ.), ბ. ნიჟარაძის (1913 წ.), ა. დირის (1928 წ.) და სხვათა ნაშრომებში.

ფასდაუდებელია აკადემიკოს ნიკო მარის მოღვაწეობა სვანური ენის ფონეტიკურ-მორფოლოგიური თუ ლექსიკოლოგიურ-ეტიმოლოგიური თვალსაზრისით შესწავლის საქმეში. მან პეტერბურგში საგანგებოდ დააარსა სერია „Материалы по яфетическому языкознанию", რომლის VIII, IX და X ტომებში გამოაქვეყნა სვანეთში ოთხი სამეცნიერო მივლინების შედეგები, გამოკვლევები, ტექსტები, ლაშხეთის მკვიდრის — არსენ ონიანის ხეთა და ბალახთა სახელწოდებების კრებული და სვანურ-რუსული ლექსიკონის საცდელი მონაკვეთი ("Извлечение из сванско-русского словаря"). სამწუხაროდ, ნ. მარს არ დასცალდა ბოლომდე მიეყვანა სვანური ლექსიკონის შედგენისა და პუბლიკაციის საქმე, რაც ღირსეულად განაგრძო მისმა მოწაფემ — პროფესორმა კარპეზ დონდუამ. 1917 წელს პეტროგრადში გამოცემული ლაშხური ტექსტების მიხედვით მან შეადგინა სვანურ-ქართულ-რუსული ლექსიკონი ("Материалы для сванского словаря"), მაგრამ ვერც სვანური ენის ეს შესანიშნავი მკვლევარი მოესწრო თავისი ნაღვაწის გამოცემას.

1910 წელს უშგულელმა ივანე ნიჟარაძემ თბილისში გამოაქვეყნა რუსულ-სვანური ლექსიკონი (520 გვ. მოცულობისა). მას შემდეგ არაერთ ენათმეცნიერსა

თუ არაენათმეცნიერს (ო. უორდროპი, ჩ. გუჯეჯიანი, ლ. პალმაიტისი, ა. ლიპარტელიანი, ა. ავალიანი...) უცდია სვანური ლექსიკონის გამოცემა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დაარსების შემდეგ დაიწყო სრულიად ახალი ეტაპი სვანური ენის შესწავლის საქმეში — აკადემიკოსების აკაკი შანიძის, გიორგი ახვლედიანის, სიმონ ჯანაშიას, არნოლდ ჩიქობავას და ვარლამ თოფურიას მოღვაწეობამ, ერთი მხრივ, და პროფესორ გერჰარდტ დეეტერსის ფუნდამენტურმა შრომებმა, მეორე მხრივ, საფუძველი ჩაუყარეს ქართველურ ენათა კვლევა-ძიების მაღალმეცნიერულ დონეს. დაარსდა სპეციალური სერია — „მასალები ქართველურ ენათა შესწავლისათვის“, რომელშიც 1939-1979 წლებში გამოქვეყნდა სვანური ხალხური პოეზიის ერთი და პროზაული ტექსტების ხუთი წიგნი (მათ შორის ერთ-ერთი ქრესტომათიაა) ბალსზემოურ, ბალსქვემოურ, ლენტეხურ და ლაშხურ დიალექტებზე, აგრეთვე, ანდაზები, ოღონდ სამწუხარო ისაა, რომ ბევრ მათგანს (გარდა ხალხური სიმღერების ტექსტებისა და ანდაზებისა) არ ახლავს არც ლექსიკონი და არც სიტყვასიტყვითი, ე. წ. პწკარედული თარგმანი, რაც მათ გამოყენებას აძნელებს.

ვარლამ თოფურია „სვანურ ზმნაში“ (ქართველოლოგთა სამაგიდო წიგნში) ჯერ კიდევ 1931 წელს აღნიშნავდა: „სვანურ-ქართულ ლექსიკონში შევეცდებით ვრცლად წარმოვადგინოთ ყველა თავისებური ზმნა ყველა დიალექტის მიხედვით“ (გვ. 260); ეს თვალსაზრისი დაედო საფუძვლად შემდგომ ლექსიკონის შედგენას. რაც შეეხება „სვანურ პოეზიას“ (1939 წ.), მისი წინასიტყვაობის ავტორები აკაკი შანიძე და ვარლამ თოფურია საგანგებოდ უსვამდნენ ხაზს იმ გარემოებს, რომ „პირველი ტომი, მასალების სიმრავლის გამო, გაიყო ორ წიგნად... II ტომში მოთავსდება აქ დაბეჭდილი სიმღერების ვარიანტები, დამატებითი მასალა, სიმღერათა მოკლე შინაარსი, იშვიათ სიტყვათა და ეთნოგრაფიულ ტერმინთა ახსნა-განმარტება და, ალბათ, ანდაზა-გამოცანები, შელოცვები, ენის გასატეხი, ასოთსამღერალი და სხვა“ (გვ. XV). ავტორებს ნავარაუდევი ჰქონდათ სვანური პროზაული ტექსტების პირველი ნაწილის (ბალსზემოური კილო) მიხედვით ზნე-ჩვეულებათა და ზოგიერთი საინტერესო გადმოცემის ქართული თარგმანებისა თუ ზღაპრების მოკლე შინაარსის პუბლიკაცია ცალკე ტომად. სამწუხაროდ, არათუ ზემოაღნიშნულ ნაღვაწს ეღირსა გამოცემა, არამედ დღემდე არ დაბეჭდილა ჯერ კიდევ 1965 წელს ვარლამ თოფურიას მიერ სასტამბოდ გამზადებული სახელმძღვანელო სვანური ენისა, რომელსაც არა მხოლოდ ქართველურ და კავკასიურ ენათა სპეციალობების სტუდენტთათვის ექნება დიდი მნიშვნელობა, ხრამედ ეს წიგნი დააინტერესებდა ყველას — ქართველსა თუ უცხოელს, ვინც საქართველოს ამ ულამაზესი კუთხის ენას, ეთნოგრაფიას, ფოლკლორსა და ისტორიას სწავლობს. დასანანია, რომ ქართველოლოგები დღემდე ვერ გაეცნენ სვანური ენის გრამატიკულ მიმოხილვას, სასაუბროთა ტიპებს, ტექსტებსა და ლექსიკონს, რაც აღნიშნულ სახელმძღვანელოშია წარმოდგენილი.

ვარლამ თოფურიამ შეიმუშავა სვანური სალექსიკონო მასალის მოპოვებისა და სამტომეული თარგმნითი ლექსიკონის შედგენის ძირითადი პრინციპები, ამასთანავე, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის აკად. ნიკო მარის სახ. ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტში სვანურ ლექსიკონზე სამუშაოდ იმთავითვე (1936 წ.) მოიწვია შესაბამისი დიალექტების წარმომადგენლები — არსენ ონია-

ნი (ლაშხურისთვის), მერი გუჯეჯიანი (ბალსზემოურისთვის), ალი დავითიანი, მოგვიანებით მაქსიმე ქალდანი (ბალსქვემოურისთვის). იმავდროულად ლენტეხური მასალის მოპოვებაზე ხელშეკრულების წესით მუშაობდნენ ალექსანდრე ქურასბედიანი და სპირიდონ ტვილდიანი.

ვარლამ თოფურიას ხელმძღვანელობით მეტად მძიმე პირობებში (მეორე მსოფლიო ომის წინა წლებში, ომის დროს და მომდევნო პერიოდში) შეგროვდა და სათანადო მეცნიერული კვალიფიკაცია მიეცა დიდძალ მასალას — 67000-ზე მეტ სალექსიკონო ერთეულს.

1967 წლიდან, ვარლამ თოფურიას გარდაცვალების შემდეგ, სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე მასწავლებლის მიერ წამოწყებული უაღრესად რთული, ძალზე შრომატევადი, მაგრამ დიდი საქმე საოცარი კეთილსინდისიერებითა და რუდუნებით გააგრძელა პროფესორმა მაქსიმე ქალდანმა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სვანურ ლექსიკონზე მომუშავე ჯგუფს კარგა ხანს მხოლოდ ეს ერთადერთი ადამიანი წარმოადგენდა. მან შეადგინა სამტომეულის სიტყვანი, რომელიც მოიცავდა 50000 ლექსემას. როცა ყველა დიალექტის მასალა გაიწყო ანბანთრიგზე, გაირკვა, რომ ბევრი რამ აკლდა ლენტეხურ სიტყვანს და ამიტომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მაშინდელი ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით ამ დიალექტის მასალის შესავსებად და შესაბამისი გრამატიკული კვალიფიკაციების გასაკეთებლად უმცროსი მეცნიერ თანამშრომლის თანამდებობაზე მოიწვიეს ელისაბედ გაზდელიანი. საქმე წინ წავიდა, მაგრამ არასაკმარისად, რადგანაც ინტერპრეტატორთა ჯანმრთელობის გაუარესების, შემდეგ კი გარდაცვალების გამო, სვანურ ლექსიკონზე მომუშავე ჯგუფი ფაქტობრივ იშლებოდა. ისევ ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექციის ძალისხმევით მაქსიმე ქალდანსა და ელისაბედ გაზდელიანს შეუერთდნენ სვანური ენის სპეციალისტები: იზა ჩანტლაძე (1967 წ.), კლარა გაგუა (1973 წ.), როენა ჭკადუა (1976 წ.) და რუსუდან ბაბლუანი (1980 წ.), თუმცა გარკვეული პრობლემები მაინც დარჩა — მერი გუჯეჯიანის გარდაცვალების შემდეგ (თითქმის ორი ათეული წლის მანძილზე) სვანურ ლექსიკონზე მომუშავე ჯგუფს არ ჰყავდა იმ დიალექტის (ბალსზემოურის) წარმომადგენელი, რომელზედაც გაწყობილი იყო მეთაური სიტყვა-სტატიები.

ძალზე მნიშვნელოვანი სამუშაო შეასრულა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, პროფესორმა თინათინ შარაძენიძემ, რომელიც მოგვიანებით (1978 წ.) დაუკავშირდა სვანურ ლექსიკონს ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით. მანვე ჩამოაყალიბა სახელთა სალექსიკონო ერთეულების წარმოდგენის წესები ვარლამ თოფურიას მიერ შემუშავებული პრინციპების მიხედვით და პირველადი რედაქცია გაუკეთა ლექსიკონის ა—კ მონაკვეთის სახელად ნაწილს. რაც შეეხება ზმნას, იმავე საბჭოს 1968 წლის გადაწყვეტილებით, შესაბამისი პროსპექტის წარმოდგენა დაევალა მაქსიმე ქალდანს, ოღონდ ქართული ენის რვატომეული განმარტებითი ლექსიკონის (მთავარი რედაქტორი არნოლდ ჩიქობავა) შედგენის პრინციპების გათვალისწინებით. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მასდარზე გაწყობილი ლექსიკონი (მიუხედავად იმისა, რომ ფრჩხილებში იყო მითითებული ყოველი ზმნის აწმყოს, აორისტისა და მყოფადსრულის მხოლობითი რიცხვის მესამე პირის ფორმები) ძირეულად უნდა გარდაქმნილიყო, რაც დიდ დროს მოითხოვდა. ამიტომაც გავითვალისწინეთ ცნობილ უცხოელ ქართველოლოგთა (პროფესორები:

ჰანს ფოგტი, რენე ლაფონი, კარლ შმიდტი, იან ბრაუნი, ჰაინც ფენრიხი, ვინფრიდ ბოედერი, იოსტ გიპერტი, კევინ ტუიტი,...) გაცხოველებული ინტერესიც სვანური ენის შესწავლისადმი და გადავწყვიტეთ შეგვექმნა არა სამტომეული, არამედ ერთტომეული ლექსიკონი, ოღონდ მაღალმეცნიერულ დონეზე გამოცემული ყველა მაშინდელი ტექსტის დოკუმენტაციის ილუსტრირებით. რასაკვირველია, არც ეს საქმე იყო იოლი და კვლავ განვაგრძეთ მუშაობა, მართალია, უფრო რთული სისტემის მიხედვით, მაგრამ, სამაგიეროდ, ზმნათა პირიანი ფორმების შემცველი დოკუმენტირებული კონტექსტები უფრო რეალურად ასახავდნენ პოლიპერსონალიზმის ბუნებას და სვანური ზმნის ურთულეს მორფოლოგიურ-სინტაქსურ თავისებურებებს.

აკადემიურ სვანურ ლექსიკონს და მასზე მომუშავე ჯგუფს არ სწყალობდა ბედი... — უკურნებელმა სენმა ხელიდან გამოგვაცალა მაქსიმე ქალდანი, თინათინ შარაძენიძე, კლარა გაგუა. ყველაფერი ძალზე გართულდა, მაგრამ აკადემიკოს ქეთევან ლომთათიძის დიდი გულმოდგინების წყალობით კვლავ მივუბრუნდით სვანურ ლექსიკონს, რომლის საბოლოო რედაქტირება მისმა ავტორებმა ვეღარ მოასწრეს. ქალბატონი ქეთევანის მეტად მნიშვნელოვანმა შენიშვნებმა და რჩევებმა დიდად შეუწყო ხელი ლექსიკონის გაუმჯობესებას.

საკმაოდ გაართულა საქმე სტატიკურობა-დინამიკურობის პრობლემამაც, რომლის შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში დღემდე აზრთა დიდი სხვადსხვაობა არსებობს. ქართული ენის რვატომეულ ლექსიკონში გამოყენებულმა პრინციპმა (სტატიკური ზმნების დრო-კილოთა მეორე და მესამე ჯგუფის ნაკლული პარადიგმატული ერთეულების იმავე ძირის დინამიკური სახეობით შევსებამ შემოკლებით იყენ.) სვანურ მასალაზე ხშირ შემთხვევაში არ გაამართლა. ამ სირთულეს, უწინარეს ყოვლისა, განაპირობებს ის ფაქტი, რომ, ჯერ ერთი, აქამდე სვანური სტატიკური ზმნების (და დეპონენსების) სტრუქტურის შესახებ მხოლოდ ზოგადი მონახაზი არსებობდა (მათი სპეციფიკის კვლევის შედეგები საკვალიფიკაციო ნაშრომის სახით მხოლოდ ახლახან წარმოგვიდგინა წინამდებარე ლექსიკონის სარედაქციო კოლეგიის წევრმა, ენათმეცნიერების ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერ თანამშრომელმა როენა ჭკადუამ) და, მეორეც, ვარლამ თოფურიას აზრით, სტატიკურია მხოლოდ მდგომარეობის აღმნიშვნელი ზმნა, ხოლო დინამიკური — მოქმედებისა (იხ. „სვანური ენა, I, ზმნა", გვ. 264). ამის მიხედვით, აყჱრე („წევს") და ლგჷ („დგას") სტატიკური ფორმებია, ხოლო ტეხნი („ბრუნდება"), ანღრი („მოდის"), ტჷლი („ყვირის, იძახის") — დინამიკური. ამ ფუნდამენტური ნაშრომის პირველივე გვერდზე ხაზგასმულია: „ვინც ზმნა იცის, მან ენაში თითქმის ყველაფერი იცის" (ჰ. შუხარდტი) — თუკი ეს საერთოდ ენის შესახებ ითქმის, მით უმეტეს უნდა ითქვას ქართველურ ენათა შესახებ, რომელთა „მორფოლოგიის ყველაზე ძნელი ნაწილი ზმნა არის" (ნ. მარი). ქართულ-ზანურთან შედარებით სვანური ზმნა კიდევ უფრო რთულია. ამიტომაც არაერთი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად წინამდებარე ლექსიკონში ზმნათა კლასიფიკაციის შედარებით მარტივი პრინციპი ავირჩიეთ და გადამწყვეტი მნიშვნელობა მივანიჭეთ გარდამავლობა-გარდაუვლობის მიხედვით დაპირისპირებას, ოღონდ ამ ოპოზიციაში გვაქვს ქვესისტემაც, კერძოდ: უღლების მიხედვით სრული პარადიგმატული სისტემის მქონე ზმნებთან ძირითად ფორმებად მითითებულია აორისტის I-III პირი (ე.წ. ორთა და ხუთთა ფორმების საილუსტრაციოდ) და მყო-

ფადსრულის III პირი (სულ ერთია ზმნა გარდამავალია თუ გარდაუვალი), ხოლო ნაკლულოვანი პარადიგმატული სისტემის შემთხვევაში (რაც მხოლოდ გარდაუვალ ზმნებთან დასტურდება) წარმოდგენილია დრო-კილოთა პირველი ჯგუფის ნამყო უსრულის I-III პირი და I კონიუნქტივის (ვარლამ თოფურიას ტერმინოლოგიით) III პირი. ამით თავიდან ავიცილეთ იყენ. შემოკლებით კვალიფიცირებულ ფორმათა განმეორება (რამაც, თავის დროზე, ძალიან გაზარდა ლექსიკონის მოცულობა) და აღნიშნული აბრევიატურა მხოლოდ ძირმონაცვლე ზმნებთან გამოვიყენეთ.

სვანურ ლექსიკონში იმთავითვე ივარაუდებოდა ზმნაში, მასდარსა და მიმღეობაში მრავალგზისობის კატეგორიისა და ობიექტის სიმრავლის აღნიშვნა, რაც -ა̈ლ, -ა̈ლ||-იე̄ლი (-იე̄ლა̈ლი), -გრ (-გრა̈ლი) მორფემებით გამოიხატება (თუმცა ხლმ. შემოკლების გამოყენება ობიექტის სიმრავლის აღსანიშნავად რამდენადმე გვეხამუშებოდა). იგივე აფიქსები, ვარლამ თოფურიას მიხედვით, მოქმედების ჩვეულებრივობასაც (აქტიურ ზმნათაგან საშუალ-ვნებითთა წარმოების დროს) გადმოგვცემს (იხ. „სვანური ენა, I, ზმნა“, გვ. 231-232), ამიტომაც ზოგჯერ გაგვიჭირდა ზღვრის გავლება და შესაბამისი შემოკლებისათვის (ხლმ.) ზუსტი ფუნქციის მინიჭება.

პრაქტიკულმა საქმიანობამ ისეთი საკითხებისთვისაც მიგვაქცევინა ყურადღება, რაც თეორიული მუშაობის დროს შესაძლოა არ წამოწეულიყო წინა პლანზე — ზოგი მათგანის შესახებ არც სპეციალურ ლიტერატურაშია მსჯელობა. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ მხოლოდ ერთ მაგალითს: ცნობილია, რომ ფუძედრეკად ზმნებს სვანურში ახასიათებთ ძირისეული ხმოვნის აბლაუტი, რითაც გარჩეულია მოქმედებითი და ვნებითი გვარის ფორმები. სალექსიკონო მასალაზე (განსაკუთრებით მასდარისეულ მონაცემებზე) დაკვირვებამ ცხადყო, რომ თანდათანობით ისპობა ეს დაპირისპირება თანამედროვე ცოცხალ მეტყველებაში (მეტწილად ქვემოსვანურში — ალბათ ქართულ ენასთან მჭიდრო კონტაქტის გამო):

ბზ. ლახჳა̈რთე მუს გჳიან გარ იბნე ლიჩჳეფს||ლიჩჳფეს — „მთებისკენ თოვლი გვიანლა იწყებს დნობას“;

ბქ. მუსდ ლიჩჳეფ||ლიჩჳფე ა̈დბინე — „თოვლმა დნობა დაიწყო“;

ლშხ. ხოშე̄ლს დაბარისა მუსი ლიჩჳეფ||ლიჩჳფე ხაკგლდალა̈ხ — „⌈ასაკით⌉ უფროსებს ყანებში თოვლის ⌈და⌉დნობა ეჩქარებათ“;

ლნტ. მუსი ლიჩჳფეს||ლიჩჳეფეს ხოღელდახ – „თოვლის ⌈და⌉დნობას ელოდებოდნენ“;

ბზ. დიაკჳენდ ლა̈ჲბინე ლიჭჳმე (სვ. პროზ. ტ. I, გვ. 431) — „დიაკონმა დაიწყო სირბილი“, შდრ. ლნტ. გელა ჟი ლაპარ ი ლიჭჳემ ა̈ნბინე (სვ. პროზ. ტ., III, გვ. 72) — „გელა წამოხტა და სირბილი დაიწყო“;

ბქ. ლოხბინახ ეჯჲა̈რს ხამრე ლიჭეფ (სვ. პროზ. ტ., II, გვ. 221) — „იმათ დაუწყიათ ღორების კბენა“ (მოსალოდნელი იყო ლიჭფე);

ბზ. ჭარყი ლიშთხეს მი მაბრა̈ლიხ — „არაყის გათავებას მე მაბრალებენ“, შდრ. ლშხ. არყი ლიშთხეს ხოღლიხ — „არაყის გამოლევას ელოდებიან“ (ერთი მხრივ) და ალ თოჲა ლიშდეხს ხოღლიხ ზურალე̄ლ — „ამ თვის დამთავრებას ელოდებიან ქალები“ (მეორე მხრივ).

დასანანია, რომ ამჯერად ვერ მოვახერხეთ ყველა ზმნის შესაძლო პრევერბიანი ფორმების აღნიშვნა ისე, როგორც ვარლამ თოფურიას ჰქონდა ჩაფიქრებული (იხ. დანართი, გვ. 904) — ეს შრომატევადი სამუშაო აუცილებლად უნდა შესრულდეს

სამტომეულ ლექსიკონში მაინც.

ურედაქტორობამ არაერთი სიძნელის წინაშე დააყენა სვანური ენის ლექსიკონზე მომუშავე, უკვე საკმაოდ შემცირებული, ჯგუფი, ამიტომაც, ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექციის გადაწყვეტილებით, 1996 წლიდან ჯგუფს შემოუერთდა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ლამარა ბაბლუანი, რომელმაც საბოლოო რედაქცია გაუკეთა ა, ე, ი, ო მონაკვეთს (ფაქტობრივ ყველა გარდამავალ და ვნებითი გვარის ზმნებს), თავიდან ბოლომდე წაიკითხა ლექსიკონის II-III-IV კორექტურა და მნიშვნელოვანი შენიშვნები მოგვაწოდა.

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა, უფროსმა მეცნიერ თანამშრომელმა ელისაბედ გაზდელიანმა ჩაასწორა მთელი ლექსიკონის ლენტეხური დიალექტის მასალა, საბოლოო რედაქცია გაუკეთა ე, ლუ, ს, ქ, შ, ც, ჰ მონაკვეთს და წაიკითხა ყველა კორექტურა.

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა, უფროსმა მეცნიერ თანამშრომელმა როენა ჭკადუამ შეადგინა უღლების ნაკლულოვან ერთეულთა მქონე ზმნების ნამყოუსრულისა (I-III პ.) და I კონიუნქტივის (III პ.) ფორმები (სვან ინფორმატორებთან ერთად), საბოლოო რედაქცია გაუკეთა დ, ლა, მა, მე, მო, ნ, ჲ, ჟ, უ, ჳ, ყ მონაკვეთს და წაიკითხა II-III-IV კორექტურა.

უმცროსმა მეცნიერ თანამშრომელმა რუსუდან ბაბლუანმა-ონიანმა საბოლოო რედაქცია გაუკეთა ჩ, ძ, წ, ჭ, ჯ, ჰ მონაკვეთს და წაიკითხა II-III-IV კორექტურა.

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, მთავარმა მეცნიერ თანამშრომელმა, პროფესორმა იზა ჩანტლაძემ საბოლოო რედაქცია გაუკეთა ბ, კ, ლგ, ლი (მასდარი მთლიანად), რ, ტ, ფ, ღ მონაკვეთს, წაიკითხა ყველა კორექტურა და პროფესორ მაქსიმე ქალდანის გარდაცვალების შემდეგ უხელმძღვანელა სვანურ ლექსიკონზე მომუშავე ჯგუფს.

ბალსზემოური მასალა თავიდან ბოლომდე გადაამოწმეს და ახალი მონაცემებით შეავსეს ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატებმა ქეთევან მარგიანმა (წარმოშობით მულახელი, მდ. კოდორის ხეობიდან) და ლია გულედანმა (ლენჯერელი), აგრეთვე ნინო იოსელიანმა (მესტიელი).

დეტალური ცნობები ინგლისურ-სვანური და სვანურ-ინგლისური ლექსიკონების შესახებ მოგვაწოდა უმცროსმა მეცნიერ თანამშრომელმა ქეთევან გენებაშვილმა, რომელმაც უმცროს მეცნიერ თანამშრომელ ლელა მარგიანთან ერთად შეამოწმა და ჩაასწორა ძირითად სალექსიკონო ერთეულთა ფონეტიკური ვარიანტები. მთელი ლექსიკონის დოკუმენტური ილუსტრაცია წყაროებს შეუდარა ლელა მარგიანმა.

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის, უფროსი მეცნიერ თანამშრომლის კლარა გაგუა-მარგიანის მიერ სარედაქციოდ გამზადებული მასალა (გ, ზ, თ, ლე, მუ, მგ, პ, ჟ, ხ მონაკვეთი) მისი გარდაცვალების შემდეგ გადაიკითხეს ლამარა ბაბლუანმა და ელისაბედ გაზდელიანმა.

ლექსიკონის შესახებ რეცენზიები თავის დროზე წარმოადგინეს პროფესორებმა ივანე ქავთარაძემ და ზურაბ ჭუმბურიძემ, რომელთა მეტად ფასეული შენიშვნები მაშინვე იქნა გათვალისწინებული.

ტექნიკური სამუშაოების შესრულებაში გვეხმარებოდნენ ენათმეცნიერების ინ-

სტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილების (აგრეთვე სხვა განყოფილებათა) თანამშრომლები, რისთვისაც მათ მადლობას მოვახსენებთ.

ლექსიკონის საილუსტრაციო ფონდის შევსებაზე, მასალების ამოწერაზე, ტექსტებისა და თარგმანების შემოწმებაზე სხვადასხვა დროს მუშაობდნენ ინფორმატორები და ხელშეკრულებით მოწვეული პირები:

სები გულედანი (ლენჯერი); დაჯილ ჩართოლანი (მესტია); პადუ, გვედო, ჯემალ მარგიანები (მულახი); დავით ხვისტანი, არსენ კორძაია (იფარი); დავით ფარჯიანი (ლატალი); შერმადინ ქალდანი (პადიში); სეით მილდიანი (ცხუმარი); ეთერ ვიბლიანი, ქეთევან მარგიანი (ჭუბერი); ავრორა ქალდანი, უჩა ცინდელიანი (ნაკრა); ამბაკო ჭკადუა (ლახამულა); თამარ, შერმადინ, ოთარ, თალიკო, მანანა, ნაილი ონიანები (სასაში); დარეჯან, სპირიდონ, ჯუნის ონიანები (ჟახუნდერი); ელენე ონიანი (ჩიხარეში); თამარ ჯინჭარაძე (ჩუკული); სერაპიონ, ჯოკია, ნორა გუგავები (ლასკადურა); მარიამ, სპირიდონ ტვილდიანები (რცხმელური); ლია ლიპარტელიანი (კახურა); სეფო ლიპარტელიანი (ყვედრეში); დავით პირველი (ლექსურა); ბაჯა, გულნაზ, ჟინვერ, მაყვალა გაზდელიანები (ლესემა); მარადი გაზდელიანი, ლიუდმილა ბაბლუანი (ლენტეხი); ალექსანდრე, ნათელა ქურასბედიანები (გულიდი).

მადლობას იმსახურებენ ისინიც, ვინც წარმატებით გაართვა თავი ამ წიგნის პოლიგრაფიული ხორცშესხმის ბევრ სირთულეს, განსაკუთრებით, აღნიშნული სამუშოს ფაქტობრივი ხელმძღვანელი ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი ლევან ჩხაიძე, რომელსაც მხარში ამოუდგნენ და საკმაოდ შრომატევადი შემოქმედებითი სამუშაო შეასრულეს: ზურაბ ბოლქვაძემ, ოთარ რუხაძემ, ზაზა კალანდარიშვილმა, ჯემალ აბუაშვილმა, ნინო ტყეშელაშვილმა, ევგენი ოხრიცმა, ვლადიმერ კიკნაძემ, ქეთევან ჭეხანმა, ალექსანდრე და ირინე ჩხაიძეებმა, რუსუდან პაპიაშვილმა. განსაკუთრებული მადლობის ღირსია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 41-ე კათედრა, სადაც არსებითად მომზადდა ლექსიკონის კომპიუტერული ვარიანტი.

მეცნიერული, ლექსიკოგრაფიული თუ ტექნიკური თვალსაზრისით ეს ურთულესი წიგნი, ცხადია, ხარვეზებს ვერ ასცდებოდა, მაგრამ, როგორც დიდი საბა ბრძანებდა, „ერთისა და ორის კლებისათვის ნუ დაიწუნებთ, სრული გვიან საპოვნელია“...

პროფ. იზა ჩანტლაძე

სიტყვა-სტატიის აგებულება და ლექსიკონით სარგებლობის წესები

სვანური ლექსიკონის ერთტომეულში შევიდა თანამედროვე ცოცხალი მეტყველების ძირითადი ლექსიკური ერთეულები (16000-მდე სიტყვა). ესაა ყველა მეტყველების ნაწილი ბალსზემოურ, ბალსქვემოურ, ლაშხურსა და ლენტეხურ დიალექტებზე (ჩოლურული ცალკე არაა გამოყოფილი), აგრეთვე აფიქსთა მეტი წილი. ენობრივი მასალა უმრავლეს შემთხვევაში დოკუმენტირებულია.

სალექსიკონო სტატია, ძირითადად, შემდეგი სახისაა: სვანური სიტყვა + მისი მთავარი გრამატიკული ფორმები + დიალექტებში (ზოგჯერ კილოკავებში) გავრცელებულობის აღნიშვნა + გრამატიკული ან კონტექსტურ-სტილური დახასიათება + ქართული თარგმანი + სათანადო ილუსტრაციები (დამოწმებულ წყაროზე მითითებით) ქართული თარგმანითურთ + ზმნისართები (სახელებთან) და ფრაზეოლოგიზმები (საკუთარი ილუსტრაციებითა და თარგმანითურთ) + კნინობითის ფორმები (ზოგჯერ ილუსტრაციებითა და მათი თარგმანითურთ).

1. არსებითი სახელი ლექსიკონში შეტანილია სახელობითი ბრუნვის ფორმით, რომელსაც ფრჩხილებში მიწერილი აქვს ნათესაობითი ბრუნვისა და მრავლობითი რიცხვის მაწარმოებლები.

2. ზედსართავ სახელთან, ჩვეულებრივ, წარმოდგენილია ხარისხის შესაძლო ფორმები.

3. რიცხვით სახელთან, ბუნებრივია, არ არის მითითება მრავლობითის წარმოებაზე.

4. ნაცვალსახელებთან, რაკილა, ძირითადად, სუპლეტივიზმთან გვაქვს საქმე, აღნიშნულია ორივე ფუძე — ერთი მხრივ, სახელობითისა, ხოლო, მეორე მხრივ, ყველა დანარჩენ პარადიგმატულ ერთეულში გამოყენებული მონაცემი. იგივე ვითარებაა ორფუძიანი ბრუნების მქონე არსებით, ზედსართავ და რიცხვით სახელებთანაც.

5. ზმნა სვანურ ლექსიკონში შეტანილია როგორც პირიანი, ისე უპირო (მასდარი, მიმღეობა) ფორმით. ძირითად სალექსიკონო ერთეულად აღებულია აწმყოს მწკრივის მხ. რ. მესამე პირის ფორმა, რომელსაც ფრჩხილებში მითითებული აქვს სამ-სამი ერთეული: უღლების მიხედვით სრული პარადიგმატული სისტემის მქონე (როგორც გარდამავალ, ისე გარდაუვალ) ზმნებთან — აორისტის I, III პირისა და მყოფადსრულის III პირის ფორმები (I პირი აღნიშნული არ იქნება მაშინ, როცა ე. წ. „ორთა" და „ხუთთა" ფორმები არ უპირისპირდება ერთმანეთს), ხოლო ნაკლულოვანი პარადიგმატული სისტემის შემთხვევაში (რაც მხოლოდ გარდაუვალ ზმნებთან დასტურდება) — უწყვეტლისა და აწმყოს კავშირებითის შესაბამისი ფორმები. პირველი პირის ფორმა ლექსიკონში, თავისთავად ცხადია, მაშინაც იქნება გამოტოვებული, როდესაც ცოცხალ მეტყველებაში ზმნის სემანტიკა მოსაუბრე პირის რეალიზაციის საშუალებას არ იძლევა (**კჳარჩხა̄ლი** — ქაფქაფებს, **კჳე̄თხე** — წვეთავს...). რაც შეეხება დეფექტურ ზმნებს, ლექსიკონში შეტანილია ყველა ის ფუძე, რომელიც საუღლებელ პარადიგმატულ ერთეულადაა გამოყენებული, რასაკვირველია, სხვადასხვა ფონეტიკურ თუ მორფოლოგიურ ვარიანტთა ერთმანეთზე მითითებით.

სამწუხაროდ, ყველა პრევერბიანი ფორმა ერთტომეულში ვერ აისახა., თავდაპირველად კი, აკადემიკოს ვარლამ თოფურიას წინადადებით, მასდარებთან გათვალისწინებული იყო ყველა შესაძლო ზმნისწინის მიწერა. ამ ნაკლის რამდენადმე შესავსებად, სადაც კი მოხერხდა, განსამარტავ სალექსიკონო ერთეულთან ითარგმნა მხოლოდ ფუძის (ან ძირის) მნიშვნელობა, ხოლო სხვადასხვა კონტექსტში საგულვებელი პრევერბები ჩაისვა ფრჩხილებში (მაგ. ლგბრი̄ნგუ̂ე — ⌜და⌝ფშენილი, მაგრამ ილუსტრაციაში შეიძლება იყოს ქა ლგბრი̄ნგუ̂ე — გამოფშენილი). სხვაგვარად არაერთი პირიანი ფორმა, მასდარი თუ მიმღეობა ანბანთრიგში ცალკე იქნებოდა წარმოდგენილი ყველა შესაძლო წინდებულ-თანდებულის ანლაუტურ თანხმოვანზე (ჟ<ჟი „ა⌜ღ⌝-, ზე-“, ჩ<ჩუ „ქ⌜უ̂⌝ე, ჩა-, და-“, ქ<ქა „გა⌜ნ⌝-, წა⌜რ⌝“, ს<სგა „შე-, შთა-/ჩა-“), რაც ძალზე გაზრდიდა ისედაც ვრცელი მოცულობის წიგნს. ამიტომაც მარტივი თუ რთული პრევერბების მრავალი შესაძლო ვარიანტიდან ლექსიკონში, ზმნის საუღლებელ ერთეულთა საჩვენებლად, ძირითადად, გამოყენებულია ან-, ად-, ეს- და აგრეთვე ლა- (შედარებით იშვიათად) წინდებულები.

6. მასდარებთან არ არის მითითებული გრამატიკული ფორმები, რადგანაც ისინი, როგორც წესი, მრავლობითს არ აწარმოებენ, ხოლო ნათესაობითი ბრუნვის ფორმა, ძირითადად, ერთ სტრუქტურას გვიჩვენებს (-ი⌜შ⌝ ყველა დიალექტში ან ლნტ. -ჲ⌜შ⌝, ბზ., ლშხ. -ე⌜შ⌝||-ე̄მი⌜შ⌝, ბქ. -ემ). მასდარი განმარტებულია ამოსავალი — ბალსზემოური — კილოს პირიანი ფორმის (აწმყოს III პ.) ნეიტრალური ვერსიის ჩვენებით, თუმცა ზოგჯერ სხვა მონაცემიც შეიძლება შეგვხვდეს.

7. მიმღეობებთან მითითებულია ნათესაობითი ბრუნვისა და მრავლობითი რიცხვის მორფემები, მიუხედავად იმისა, რომ ხანდახან ხელოვნურობის შთაბეჭდილებაც იქმნება. ამასთანავე, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ისევე, როგორც სხვა სახელთა შემთხვევაში, ბრუნვის მაწარმოებლის თანხმოვნითი ელემენტი -შ (← -იშ, -ა̈შ, -ეშ, -ე̄მიშ) პრეპოზიციურ მსაზღვრელად გამოყენებისას თანამედროვე ცოცხალ მეტყველებაში (ბალსქვემოური დიალექტის გამოკლებით), ჩვეულებრივ, არ არის წარმოდგენილი.

8. თუ ზმნისართი წარმოქმნილია სახელის რომელიმე ბრუნვის ფორმისაგან, მაშინ ის მოთავსებულია ამ სახელის განმარტების ბოლოს, თუმცა ზოგჯერ შესაძლოა შეგვხვდეს დამოუკიდებელ სალექსიკონო ერთეულადაც. იგივე ვითარებაა კნინობითის ფორმებთანაც, რომლებიც დანარჩენ ქართველურ ენათაგან განსხვავებით (თუ მხედველობაში არ მივიღებთ ქართული ენის რაჭულ დიალექტს), ძალზე გავრცელებულია სვანურში.

9. არასრულმნიშვნელოვანი (დამხმარე) სიტყვები და აფიქსები ლექსიკონში შეტანილია სათანადო გრამატიკული კვალიფიკაციისა და ფუნქციების აღნიშვნით.

ომონიმები ცალ-ცალკე სიტყვა-სტატიებად არის წარმოდგენილი შესაბამისი ლიტერებით (1, 2, 3 და ა. შ.) ლექსემათა თავზე, პოლისემიურ ფორმებს იგივე ლიტერები გვერდით მიეთითება ერთი კონკრეტული სტატიის შიგნით, ხოლო იდიომატური გამოთქმები და, საერთოდ, ფრაზეოლოგიზმები შეგვხვდება მათი ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტის განსამარტავ სიტყვა-სტატიებში ან იშვიათად — დამოუკიდებლადაც. აქვე ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ბოლომდე ვერ მოხერხდა მთელ სვანურში გავრცელებულ აქტიურ მიმღეობებთან ომონიმური თვალსაზრისით დაპირისპირებულ აწმყოსეულ მონაცემთა ჩვენება ლენტეხურ დიალექტში: მგთრე[1] — მსმელი, ერთი მხრივ, მგთრე[2] ლნტ. — ვსვამ, მეორე მხრივ. რაკილა აღნიშნული

სემანტიკური ოპოზიციის მეორე კომპონენტთა ხმარება გარკვეულწილად შეზღუდულია — მხოლოდ ერთ დიალექტში გამოიყენება და ისიც მარტოოდენ გ- ხმოვნით დაწყებულ ზმნებთან, ამიტომ ანალოგიური მონაცემები ლექსიკონში აქა-იქ აღინიშნება.

ლექსიკონში არსებული მასალა ნათელ წარმოდგენას გვაძლევს თანამედროვე სვანური ენის მორფონოლოგიური კანონების, მორფოლოგიური სტრუქტურისა თუ სინტაქსური თავისებურებების შესახებ [უმლაუტი, ხმოვანთა სიგრძე, რედუქცია, აბლაუტი, ორფუძიანი ბრუნება, მყოფადისა და თურმეობითთა ორგვარი წარმოება, ორთა და ხუთთა ფორმები აორისტში მხ. რ. I-II პირისა, ერთი მხრივ, და მხ. რ. III პირის, აგრეთვე მრ. რ. ოთხივე ფორმის (ინკლუზივი, ექსკლუზივი, II-III პირები) დაპირისპირებიდან ამოსვლით, მეორე მხრივ, სხვათა სიტყვის ესერ და როქ'ჵ'/ლოქ'ჵ' ნაწილაკების შემცველი მესამე პირისეული კონსტრუქცია და ა. შ.]; ამიტომ, ბუნებრივია, საკმაოდ დაგროვდა ძირითად განსამარტავ ერთეულთა ვარიანტები, რომლებიც წარმოდგენილია მითითებით **იგივეა, რაც;** შემოკლებები **იხ.** და **შდრ.** მიუთითებენ ერთი და იმავე მნიშვნელობის მქონე, მაგრამ სხვადასხვაგვარად გაფორმებულ ლექსემებზე. შემოკლება **ხლმ.** მიანიშნებს პირიან ზმნათა, მასდართა თუ მიმღეობათა მრავალგზის ფორმებს ან პირდაპირი ობიექტის სიმრავლეს.

ყოველ სალექსიკონო ერთეულს, გარდა არსებითი სახელისა და ზმნისა, უწერია, თუ რომელ მეტყველების ნაწილს განეკუთვნება იგი.

იმ სიტყვასა თუ აფიქსს, რომელიც დასტურდება მთელ სვანურში, წარმომავლობის აღნიშვნა არ უკეთდება, სხვა შემთხვევაში კი დიალექტური ფორმები დასახელებულია ასეთი თანამიმდევრობით: ბალსზემოური, ბალსქვემოური, ლაშხური, ლენტეხური. თუ აუცილებლობა მოითხოვს, მაშინ მითითებები შეიძლება გადაადგილდეს ან გამოყენებულ იქნეს შემოკლებები **ზს.** (ზემოსვანური = ბზ.+ბქ.), **ქს.** (ქვემოსვანური = ლშხ.+ლნტ.). შესაძლებლობის ფარგლებში ნაჩვენებია კილოკაური სახესხვაობანიც.

როცა სიტყვას განსხვავებული მნიშვნელობა აქვს სხვადასხვა დიალექტში, მისი გრამატიკული ფორმები მოყვანილია მხოლოდ ერთხელ — ერთ მნიშვნელობასთან: **ბალ**^{1} (-ა̈შ, -ა̈რ ზს., ლნტ., -იშ უშგ., ქს., -არ ლშხ.) — ბალი. **ბალ**^{2} ზს., ლნტ. — ბეღელი, პურეულის შესანახი დიდი კიდობანი.

სიტყვათა, იდიომატურ გამოთქმათა და ილუსტრაციათა ქართულად თარგმნისას, თუ სალიტერატურო ენაში არ მოგვეპოვება შესატყვისი, მაშინ მივმართავთ დიალექტურ (ჩვეულებრივ, დასავლური ქართულის) ლექსიკასაც. როცა ქართული ფრაზების ლექსიკური შედგენილობა ან გრამატიკული ფორმები ძალზე განსხვავდება შესაბამისი სვანურისაგან, ფრჩხილებსა და ზოგჯერ ბრჭყალებშიც მოცემულია სიტყვასიტყვითი თარგმანი. განსაკუთრებით ეს ეხება სხვათა სიტყვის ნაწილაკის შემცველ კონსტრუქციებსა და კნინობითის ფორმებს.

წინამდებარე ლექსიკონში გასწორდა ნაბეჭდ ტექსტებში გაპარული კორექტურული შეცდომები, შემოტანილ იქნა, აგრეთვე, ჵ გრაფემა, რომლის ნაცვლად ადრე იხმარებოდა ალსანიშნი ბგერის არაადეკვატური ვ ასო.

მესამე ობიექტური პირის ნიშანი **-ხ-** სიტყვა-სტატიაში განსხვავებულადაა წარმოდგენილი, რადგანაც იგი ანბანთრიგში არ არის გათვალისწინებული.

სარედაქციო კოლეგია

შემოკლებათა განმარტება

ანატ. — ანატომიური
ანდ. — ანდაზა
აღმატ. — აღმატებითი ხარისხი
ბეჩ. — ბეჩოური
ბზ. — ბალსზემოური დიალექტი
ბოტ. — ბოტანიკური
ბრ. — ბრუნვა
ბქ. — ბალსქვემოური დიალექტი
გადატ. — გადატანითი, გადატანით
განუსაზღვრ. — განუსაზღვრელობითი
გრდმ. — გარდამავალი
გრდუვ. — გარდაუვალი
დამცირ. — დამცირებითი
დაცინ. — დაცინვითი
ეთნ. — ეთნოგრაფიული
ეც. — ეცერული
ვულგ. — ვულგარული
ზედმიწ. — ზედმიწევნითი
ზმნს. — ზმნისართი
ზოოლ. — ზოოლოგიური
ზს. — ზემოსვანური
თანდ. — თანდებული
იყენ. — იყენებს
იხ. — იხილე
კავშ. — კავშირი
კავშირ. — კავშირებითი
კითხ. ზმნს. — კითხვითი ზმნისართი
კნინ. — კნინობითი
ლატ. — ლატალური
ლნტ. — ლენტეხური დიალექტი
ლნჯ. — ლენჯერული
ლშხ. — ლაშხური დიალექტი

ლშხ., ხორ. — ა. ონიანი, მეგმარეშ ი ბალხარე ჟახჵლე ხორაჾ.

ლხმ. — ლახამულური

მიმღ. — მიმღეობა

მიც. — მიცემითი ბრუნვა

მოთხ. — მოთხრობითი ბრუნვა

მრ. — მრავლობითი რიცხვი

მხ. — მხოლობითი რიცხვი

ნათ. — ნათესაობითი ბრუნვა

ნასესხ. — ნასესხები

ნაცვალსახ. — ნაცვალსახელი

ნ. უწყვეტ. — ნამყო უწყვეტელი

ოდნაობ. — ოდნაობითი

პოეზ. — პოეზია

რელიგ. — რელიგიური

სახ. — სახელობითი ბრუნვა

სიტყვასიტყ. — სიტყვასიტყვით

ტოპ. — ტოპონიმი

უარყ. — უარყოფითი

უშგ. — უშგულური

ქს. — ქვემოსვანური

შდრ. — შეადარე

შემოკ. — შემოკლებით, შემოკლებული

შორისდ. — შორისდებული

ჩართ. — ჩართული სიტყვა

ჩბხ. — ჩუბეხეური

ჩვენებ. — ჩვენებითი (ნაცვალსახელი)

წინს. — წინსართი

წყევ. — წყევლა

შენიშვნა. თუ დიალექტურ აღნიშვნებთან მიწერილია რიცხობრივი მაჩვენებელი, ეს იმას ნიშნავს, რომ მასალა ამოღებულია სვანური პროზაული ტექსტებიდან ან ანდაზებისა თუ პოეზიის შესაბამისი გამოცემებიდან (**1978 წლამდე**).

დამოწმებული ტექსტები

დავითიანი ალექსი, სვანური ანდაზები, ა. შანიძისა და მ. ქალდანის რედაქციით, თბილისი, 1973.

ონიანი არსენა (არსენა ჲონჲა̄ნ), მეგმარეშ ი ბალ̣ხარე ჟახჷლე ხორაჳ, МЯЯ, VIII, Петроград, 1917.

ონიანი არსენა, ლუშნუ ამბჳარ ლგლა̄შხუ შუმი ნინშჳ, МЯЯ, IX, Петроград, 1917.

სვანური პოეზია, I, სიმღერები შეკრიბეს და ქართულად თარგმნეს ა. შანიძემ, ვ. თოფურიამ, მ. გუჯეჯიანმა, თბილისი, 1939.

სვანური პროზაულ ტექსტები, I, ბალსზემოური კილო, ტექსტები შეკრიბეს ა. შანიძემ და ვ. თოფურიამ, თბილისი, 1939.

სვანური პროზაული ტექსტები, II, ბალსქვემოური კილო, ტექსტები შეკრიბეს ა. დავითიანმა, მ. ქალდანმა და ვ. თოფურიამ, თბილისი, 1959.

სვანური პროზაულ ტექსტები, III, ლენტეხური კილო, ტექსტები შეკრიბეს ვ. თოფურიამ და მ. ქალდანმა, თბილისი, 1967.

ანბანთრიგი

ა	ნ	ფ
ა̈	ჲ	ქ
ა̄	ო	ღ
ა̈̄	ო̈	ყ
ბ	ო̄	შ
გ	ო̈̄	ჩ
დ	პ	ც
ე	ჟ	ძ
ე̄	რ	წ
ზ	ს	ჭ
თ	ტ	ხ
ი	უ	ჴ
ი̄	უ̈	ჯ
კ	უ̄	ჰ
ლ	უ̈̄	ჷ
მ	უ̂	ჷ̄

ა

ა[1] — გამარტივებული ჩვენებითი ნაცვალსახელი **ალა, ალი, ალე** — ეს. ა მაროლ ჩუ ლემბა̈ნი ხადხ (ბქ. 294) — ეს კაცები უნდა დაეფიცებინათ. ა(||ალ) მჷლეგჳერი ხენწიფს ხეჴვრა̈ლ (ლნტ. 163) — ეს მეწისქვილე ხელმწიფეს ეხვეწება.

-ა[2] — მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელი სუფიქსი **მჷ-, მე-, მო-, ნა-** თავსართიან მიმღეობებში. მჷლცას (ბზ. 402) — წყლის მომტანებს. მჷჴვლმახად (ბქ. 33) — მეთევზეებმა. მეთხჳჲარა (ლშხ. 28) — მონადირეები. ნათხჳიარას (ლშხ. 28) — არჩევებს. მოსაფლაჳა (ლნტ. 55) — მესაფლავეები.

ა[3] იგივეა, რაც **ად-**.

-ა[4] — განყენებულ სახელთა მაწარმოებელი სუფიქსი (უმთავრესად ფუძედრეკად ზმნათა საშუალ-ვნებითის ფორმებთან). ხჳა̈ტა (ბზ. 29), ხჳეტა (ბქ. 81) — წყვეტა, ჭრეტა. კჳა̈შა (ბზ.), კჳეშა (ბქ. 292) — ტყდომა. ბა̈რა (ბზ.), ბერა (ლნტ.) — კლება. გა̈რგლა (ბზ.), გარგლა (ლშხ.), გარგალა (ლნტ.) — ლაპარაკი.

ა-[5], **ა̈-** — სავრცობო ქცევის აღმნიშვნელი პრეფიქსი. ადგა̈რი (ბზ.) — კლავს. ა̈სყი (ზს.) — აკეთებს. ა̈ბემ (ზს.) — აბამს. აბდაჳი (ლშხ.) — ბედავს. ა̈ჭემე (ლნტ.) — თიბავს.

ა-[6], **ა̈-** — ზედაობის აღმნიშვნელი პრეფიქსი. ხ-ადგა̈რი (ზს.) — აკლავს. ხ-აჲრა (ლშხ.) — აწერია. ხ-ა̈გემ (ლნტ.) — ადგამს.

ა[7] იგივეა, რაც **ჰა**[1].

ა[8] იგივეა, რაც **ა̄**.

ა-ხ-ად იგივეა, რაც **ათ-ხ-ა̄დ**[1].

აანწა̈ლი იგივეა, რაც **აჰგნწა̈ლი**.

აანწე იგივეა, რაც **აჰგნწე**.

აარაკი იგივეა, რაც **აჰრა̈კი**.

აარა̈ყი იგივეა, რაც **აჰრა̈ყი**.

აარე იგივეა, რაც **აჰრე**.

აასჳრე იგივეა, რაც **ა̈ჲსჳრე**.

ა-ხ-აყა იგივეა, რაც **ა-ხ-ყა**.

ააწოლი (ათჳააწოლ, ადააწოლე; ადააწოლი) ლნტ., გ რ დ მ. — მეინს ადგამს ხემეჩალს ჩუ ხჳაქაჩად ი ხჳააწოლდად (ლნტ. 25) — ჩალას მოვჭრიდით და მეინად ედგამდით ხემე.

⌜ა⌝-ხ-აჭიმ იგივეა, რაც **ა-ხ-ჭიმ**.

ა-ხ-ა̈ზი იგივეა, რაც **ა-ხ-ა̄ზი**.

აა̈ყრე იგივეა, რაც **ა̄ჲყრე**.

ა-ხ-ა̄დ⌜და⌝ იგივეა, რაც **ათ-ხ-ა̄დ**[1].

ა-ხ-ა̄ზი (ამა̄ზდა, ახა̄ზდა; ახა̄ზდეს ბზ., ლშხ.), **ა-ხ-ა̈ზი** (ამა̈ზიჳ, ახა̈ზიჳ; ახა̈ზიდეს ბქ., ამაზდა, ახაზდა; ახაზდეს ლნტ.) გ რ დ უ ვ. — ⌜მო⌝სდის, მოუდის. ალჲა̈რს ახა̄ზიხ ლგჯე̄მი სარაგ (ბზ. 264) — ამათ რძის წყარო მოუდით. მეზჳბელა̈რს ლიც ახა̈ზინახ ქორისგა (ბქ. 199) — მეზობლებს თურმე სახლში წყალი მოსდიოდათ. ბაბაშე̄რალს ჩილადელ მახე-მახე მუშგჳრალ ახა̄ზიხ (ლშხ.) — დედულებს ყოველდღე ახალ-ახალი სტუმრები მოსდით.

აბაბა̈ჲ ბზ., **აბაბაჲა** ბქ., **აბაბაჲ** ლშხ., **აბაბა̈ჲ, აპაპა̈ჲ** ლნტ., შ ო რ ი ს დ. — ვაი, ვაიმე, ავაიმე. აბაბა̈ჲ, მაჲ ხოლა გჳეშ ალჩჳემნე̄ლი! (ბზ.), აბაბა̈ჲ||აპაპა̈ჲ, მაკა̈ლი ხოლა გჳეშ ალჩჳემნელი! (ლნტ.) — ვაი, რა ცუდი საქმე მომხდარა! აბაბაჲა, მა ხოლა ხი! (ბქ.) — ვაი, რა ცუდი ხარ! აბაბაჲ, გეგის მაჲ თეურ კუმატ ათლაკჷნა! (ლშხ.) — ვაი, გეგის რა ბრმა შემთხვევა შეხვედრია!

აბაბე იგივეა, რაც **აბა̄ბე**.

ხ-აბადაჳა იგივეა, რაც **ხ-ა̈ბდაჳა**.

აბანგუ̂ე იგივეა, რაც **აბჷნგაუ̂ი.**

აბანდა̈ლი იგივეა, რაც **აბა̈ნდა̈ლი.**

აბანდე იგივეა, რაც **აბა̈ნდე.**

აბანო (-ნო̄შ, -ა̈ლ ბზ., -ნოშ, -ნოლ||-ა̈რ ბქ., -ნო̄შ, -ე̄ლ ლშხ., -ღშ, -ა̈რ ლნტ.) — აბანო. ჯ̈ესერ ადი̄ნე აბანოთე (ბზ. 368) — მე წავიყვან აბანოშიო. ჯუ̂ინელ აბანო ქ̈ახხუ̂ირხ (ბქ.) — ძველი აბანო დაანგრიეს. ლენტეხას აბანოდ ხოჩა შენობა ლჷგ (ლნტ. 10) — ლენტეხში აბანოს კარგი შენობა დგას.

ხ-აბაჟა იგივეა, რაც **ხ-აბჟა.**

აბაჟნა̈ლი იგივეა, რაც **ა̈ბჟინა̈ლი.**

ხ-აბაჟნე იგივეა, რაც **ხ-აბჟინე.**

აბარა̈ლი იგივეა, რაც **აბრა̈ლი.**

აბარგე იგივეა, რაც **აბა̈რგე.**

აბარჯე იგივეა, რაც **აბჷრჯე.**

აბაქე იგივეა, რაც **აბა̈ქე.**

აბაყა იგივეა, რაც **ჰაყბა.**

აბაჩა̈უ̂ი (ათუ̂აბაჩა̈უ̂, ადაბაჩაუ̂ე; ადაბაჩა̈უ̂ი) ლნტ., გრდმ. — აქვავებს. [დადა] ჩუ ლოქ ადაბაჩა̈უ̂ი წეუ̂ა̈რ-მა̈ძებარა̈ლს (ლნტ. 235) — დედაბერი მწევარ-მეძებრებს გააქვავებსო.

აბა̈ზ (-იშ||აბზიშ, აბზა̈რ ზს., -იშ, აბაზა̈რ ლნტ.), **აბაზ** (-არ) ლშხ. — აბაზი. მიჩა აბა̈ზ მიჩნე̄მუ ადღე (ბზ.) — შენი აბაზი შენ წაიღეო. ცხინკ ესერ აბა̈ზდ ხაჯონა ი აბა̈ზიშ სა̈რგებს ჩილა̈დეელ ლჷმჩემ (ანდ.) — კალათა აბაზი ღირდაო და აბაზის საღირალს ყოველდღე აკეთებდაო. აბაზდ ღუ̂ოდიხ... ლჷჯმარას (ლშხ. 8) — აბაზად ყიდიან სულგუნს. ყაფლანს აბა̈ზ ახა̈ხუ̂ია შუკუ̂ისკა (ლნტ.) — ყაფლანს აბაზი უპოვია გზაში.

აბა̈ჟი̄ნე, ა̈ბჟი̄ნე (ოთბა̈ჟი̄ნ, ადბა̈ჟინე; ადბა̈ჟი̄ნი) ბზ., **აბა̈ჟინე, ა̈ბჟინე** (ოთბა̈ჟინ, ადბა̈ჟინე; ადბა̈ჟინისგ) ბქ., **აბჟი̄ნე** (ოთბაჟი̄ნ, ადბაჟი̄ნე; ადბაჟი̄ნნე) ლშხ., **აბა̈ჟნე** (ათუ̂აბა̈ჟინ, ადაბა̈ჟნე; ადაბა̈ჟნი) ლნტ., გრდმ. — ატყობინებს. სოფელს ქ̈ათბა̈ჟინეხ ამბაუ̂ (ბქ.) — სოფელს შეატყობინეს ამბავი.

ხ-აბა̈რიესˊკˊ იგივეა, რაც **ხ-აბრა̈ი.**

აბა̈რჯე იგივეა, რაც **აბჷრჯე.**

აბა̈ბე (ოთბა̈ბ, ადბა̈ბე; ადბა̈ბნე ბზ., ოთბა̈ბ. ადბა̈ბე; ადბა̈ბნე ლშხ.), **აბაბე** (ოთუ̂ბა̈ბ, ადბაბე; ადბა̈ბისგ ბქ., ათუ̂აბა̈ბ, ადაბაბე; ადაბა̈ბი ლნტ.), გრდმ. — ანიავებს. ჩუ სˊათბა̈ბ ი ითქს ი უ̂ეჴს მˊრ̄ოთხუ̂ი̄ნე (ბზ. 432) — შენ გაანიავე და მარცვალსა და ბზეს მე წავიღებ. მა̈გ როქუ̂ აბა̈ბი, მინდი ქოლ ადბაბეხ (ბქ. 91) — ყველა ანიავებს, ჩვენც გავანიავეთო. კალისკა ზურელა̈ლ აბაბახ (ლნტ. 25) — კალოში ქალები ანიავებდნენ. შდრ. **ბჷბე.**

აბა̈ნდა̈ლი (ოხუ̂ბა̈ნდა̈ლ, ანბა̈ნდა̈ლე; ანბა̈ნდა̈ლნე) ბზ., **აბანდა̈ლი** (ოხუ̂ბანდა̈ლ, ანბანდალე; ანბანდა̈ლისგ) ბქ., **აბა̈ნდა̈ლი** (ოხბა̈ნდა̈ლ, ანბა̈ნდა̈ლე; ანბა̈ნდა̈ლნე) ლშხ., **აბანდალი** (ახუ̂აბანდა̈ლ, ანაბანდალე; ანაბანდა̈ლი) ლნტ., ხლმ., გრდმ. — კერავს, ბლანდავს (ძველმანებს). ბებე აბა̈ნდა̈ლი (ლშხ.) — ბებია კერავს. დუ̂ეშტილა̈დეელ დემ აბანდალიხ (ლნტ. 44) — ორშაბათობით არ კერავენ.

აბა̈ნდე (ოხუ̂ბა̈ნდ, ანბა̈ნდე; ანბა̈ნდნე ბზ., ოხბა̈ნდ, ანბა̈ნდე; ანბა̈ნდნე ლშხ.), **აბანდე** (ოხუ̂ბა̈ნდ, ანბანდე; ანბა̈ნდისგ ბქ., ახუ̂აბა̈ნდ, ანაბანდე; ანაბანდი ლნტ.), გრდმ. — კერავს, ბლანდავს (ძველმანებს), აკერებს. დადა ლერქუ̂ა̈რს აბანდე (ბქ.) — დედაბერი ტანსაცმელს ბლანდავს.

აბა̈რგე (ოთუ̂ბა̈რგ, ადბა̈რგე; ადბა̈რგნე ბზ., ოთბა̈რგ, ადბა̈რგე; ადბა̈რგნე ლშხ.), **აბარგე** (ოთბა̈რგ, ადბარგე; ადბა̈რგისგ) ბქ., გრდმ. — ˊგაˊისტუმრებს (აბარგებს). როსტომდ და̈უ̂ ქა̈დბა̈რგე (ბზ. 241) — როსტომმა დევი გაისტუმრა.

აბა̈ქე (ოთბა̈ქ, ადბა̈ქე; ადბა̈ქნე ბზ., ოთბა̈ქ, ადბა̈ქე; ადბა̈ქნე ლშხ.), **აბაქე** (ოთუ̂ბა̈ქ, ადბაქე; ადბა̈ქისგ ბქ., ათუ̂აბა̈ქ, ადაბაქე; ადაბაქი ლნტ.), გრდმ. 1. ფანტავს, აბნევს, ანიავებს. ჯიჯუ̂ა̈რ ნო̄სა ათბა̈ქა (ბზ. 327) — ძვლები არ დაფანტოთ. გელად მიჩა მუეშ ქონება ჩუ̂ადბაქე (ბქ.) — გელამ მამამისის ქონება გაანიავა. 2. ˊგაˊაქარწყლებს, ˊგაˊაბათილებს. ამნემ მიშგუ̂ი ნაქუ̂ მა̈გ ჩუ̂ˊადბაქე (ბქ.) — ამან ჩემი ნათქვამი სულ გააბათილა.

ხ-აბჷხჷნე, ხ-აბჷფხჷნე (ესუ̂ბჷფხინ, ესბჷფხნე; ესბჷფხნი ბზ., ესბჷფხნისგ ბქ., ასუ̂ა-

ბგბხინ, ასაბგბხნე; ასაბგბხნი ლნტ.), **ხ-აბფხორე** (ოსბიფხორ, ესბიფხორე; ესბიფხორნე) ლშხ., გ რ დ მ. — აპკურებს, ასხურებს. [ზისხ] ჟიჷ ესბგფხნე მიჩა მუხჷბა (ბზ. 400) — შენს ძმას სისხლი დააპკურეთ. დინასი ჷკჷდაჷებიშ ლიც ესბგფხნეხ (ბქ.) — ქალიშვილსაც უკედავების წყალი დააპკურეს.

აბგა (-გა̈შ, -გა̈ლ, ბზ., -გა̈შ, -გოლ ბქ., -გა̄შ, -გე̄ლ ლშხ., -გა̈ჲშ, -გა̈ლ ლნტ.) — აბგა, ხურჯინი. [ნალჷჟურდ] აბგოლ ჟ'ოსრეკ ჰინგირს (ბქ.) — ვაქმა ხურჯინები გადაჰკიდა უნაგირს. კ ნ ი ნ. **აბგი̄ლ.** ზურა̄ლს ხუღჷა კოტო̄ლ აბგი̄ლ (ლშხ.) — ქალს პაგარა აბგა აქვს.

აბგე (ოხჷბგგ, ანბგგე; ანბგგნე ბზ., ოთბგგ, ადბგგე; ადბგგნე ლშხ., ანბგგისგ ბქ.), **ამბგგე** (ათჷამბგგ, ადამბგგე; ადამბგგი) ლნტ., კ რ დ მ. — 1. ამაგრებს. ქორა̈ ჰჷადს აბგეხ (ბზ.) — სახლის კედელს ამაგრებენ. 2. ამხნევებს. [ბაბად] გჷი ჩჷადბგგე (ბზ. 421) — პაპამ გული გაიმაგრა (გაამაგრა). გაჰირებაისგა ჰირისუფალს მა̈გ აბგე (ბქ.) — გაჭირვებისას ჭირისუფალს ყველა ამხნევებს.

აბგი̄ლ იგივეა, რაც **აბგა.**

აბგუნე (ოთჷბუგჷინ, ადბუგჷნე; ადბუგჷნი ბზ., ოთბუგუნ ლშხ., ადბუგჷნისგ ბქ., ათჷაბუგჷინ, ადაბუგჷნე; ადაბუგჷნი ლნტ.), გ რ დ მ. — ბეჯვავს, ცეხვავს. ლებიას აბგუნეხ კალჷისგა (ბქ. 231) — ლობიოს კალოზე ბეჯვავენ. [ალეს] ჩჷაბგუნეხ ბგგიდ (ლშხ., ხორ. 1) — ამას მაგრად დაბეჯვავენ.

ხ-აბდაჷა იგივეა, რაც **ხ-ა̈ბდაჷა.**

აბდა̈ჷი (ოთბადა̈ჷ, ადბა̈დჷე; ადბა̈დჷი) ბზ., **ა̈ბდა̈ჷი** (ოთბედა̈ჷ, ადბედაჷე; ადბედა̈ჷისგ ბქ.), **აბდაჷი** (ოთბედაჷ, ადბედჷე; ადბედჷი) ლშხ., **ა̈ბედა̈ჷი** (ათჷა̈ბედა̈ჷ, ადა̈ბედა̈ჷე; ადა̈ბედა̈ჷი ლნტ.), გ რ დ მ. — ბედავს. მგლხირს დეშ ოთბა̈დჷა თათრა̈ლცახა̈ნ [ლიშია̈ლ] (ბზ. 1) — ლახირელს ვერ გაუბედავს თათრებთან შებრძოლება. ჺიმჟ'ესერ ოთბედაჷახ მინე ჰა̈ზჷთეჲსგა ლიჯედ? (ბქ. 67) — როგორ გაბედეთ ჩვენს ეზოში შემოსვლაო? სგა ლოქ დეშერს ოხბედჷა ლიჯედ (ლშხ. 64) — შემოსვლა ვერავის გაუბედავსო. დემის მოშ ა̈ბედა̈ჷიხ ა̈ლექსიი მაყალშჷ (ლნტ. 179) — ვერაფერს ბედავენ ალექსის შიშით.

ხ-აბდინე იგივეა, რაც **ხ-ა̈ბდინე.**

აბედ იგივეა, რაც **ჰაბედ.**

ხ-აბეკნე იგივეა, რაც **ხ-ა̈ბიკნე.**

ხ-აბემ (ოთაბ, ათბე, ათბემნე) ზს., **ხ-ა̈ბემ/ნ** (ასჷა̈ბ, ასაბე; ასაბემ) ლნტ., **ხ-აბემ/ნ** (ოთაბ, ათბე, ათბემ⌈ნე⌉) ლშხ. გ რ დ მ. — აბამს. [ხელწიფი ხეხჷს] თა̈კჷ ათბეხ (ბზ. 344) — ხელმწიფის ცოლს თოკი შეაბეს. პრატგლდ ოთაბ კინჩხს (ბქ. 204) — კისერზე ღვედი შევაბი. ჩა̈ჟ მიჩემ ჩჷასაბე (ლნტ. 226) — თეითონ ცხენი დააბა.

ხ-აბემ/ნ იგივეა, რაც **ხ-აბემ.**

აბერგე იგივეა, რაც **აბე̄რგე.**

აბერკლე იგივეა, რაც **აბურკლე.**

აბე̄ლე (ოთჷბე̄ლ, ადბე̄ლე; ადბე̄ლი ბზ., ოთბე̄ლ, ადბე̄ლე; ადბე̄ლნე ლშხ.), **ა̈ბელე** (ოთბელ, ადბელე; ადბელისგ ბქ., ათჷაბელ, ადაბელე; ადაბელი ლნტ.), კ რ დ მ. — ბერავს. კოპეშიად მუშგჷრი ქ'ადბელე (ბქ.) — კვახმა სტუმარი გაბერა. სგიმ და̄ს მგრე̄ს აბე̄ლე (ლშხ. 4) — ვეძა, ალბათ, არავის ბერავს.

აბე̄ნგჷე იგივეა, რაც **ა̈ბე̄ნგჷე.**

აბე̄რგე (ოთბე̄რგ, ადბე̄რგე; ადბე̄რგნე) ბზ., ლშხ., **ა̈ბერგი** (ოთბერგ, ადბერგე; ადბერგისგ) ბქ. კ რ დ მ. — თოხნის. ბალისგა მეჩი ბაბა აბე̄რგა (ბზ. 391) — ბაღში მოხუცი კაცი თოხნიდა. შდრ. **აბგრჯე.**

აბზე იგივეა, რაც **ა̈ბზე.**

აბზინდა̈ჲ (-იშ, -დაჲა̈რ) ბზ., **აბზინდაჲ** (-და̄ჲშ, -დე̄ლ) ლშხ., **აფსინდ** (-იშ, -ა̈რ) ბქ., **ა̈ბზინდ** (-იშ, -ა̈რ) ლნტ., ბ ო ტ. — აბზინდა. მგნთი̄ლ აბზინდა̄ჲ მაჯონ ლი (ლშხ. ხორ. 21) — მენთილი აბზინდას მსგავსია. იმე ხითხ ალ ა̈ბზინდ? (ლნტ.) — სად იშოვე ეს აბზინდა?

ხ-აბთქი[1] (ესჷებთქ, ესბეთქა̈ნ; ესბეთქნი) ზს., კ რ დ უ გ. — 'და'ახტება. მა̄ლდ ჷეჯჷონ ესბეთქ (ბზ. 432) — მელა ბზეზე დახტა. ჟინღგლდდ ითქჷი ხა̈ბეთქ (ბქ. 91) — ბაყაყი მარცვალზე დახტა.

ხ-აბთქი[2] (ესჷა̈ბთქ, ესბეთქ; ესბეთქნე ბზ., ოსბეთქ, ესბეთქე; ესბეთქნე ლშხ.), **ხ-ა̈ბ-**

თქჷე (ესჷაბთქჷ, ესბითქჷ; ესბითქჷე) ბქ., ლნტ., გ რ დ მ. — ახეთქებს, ანარცხებს. მა̈ლდ გიმე̄ჲნ ესბეთქ ეჯა (ბზ.) — მელამ ის მიწაზე დაანარცხა. მეშხე და̈ჷს ესერ ჩჷიბ ყი ხა̈ბთქჷე (ბქ.) — შავ დევს ძირს დაეანარცხებო.

აბინტჷლაჷი იგივეა, რაც **ა̈ბგნტჷლა̈ჷი.**

ხ-აბიც (ხჷა̈ბიცდა̈ს, ხა̈ბიცდა; ხა̈ბიცდეს||ხა̈ბიცდე̄ლს ბზ., ხჷებც, ხებაც; ხებაცეს ბქ.), გ რ დ უ ვ. — ეხვეწება, ემუდარება, „შეევედრებულია“. ჯაბიც, ერე ჷეშგდ ლამტგხა (ბზ. 392) — გევედრები, რომ უკან დამიბრუნო.

ხ-აბკა იგივეა, რაც **ხ-ა̈ბკა.**

ხ-აბკინე იგივეა, რაც **ხ-ა̈ბკინე.**

აბლაჷი (ოთბგლაჷ, ადბგლჷე; ადბგლჷი) ლშხ., **აბლა̈ჷი** (ათჷაბგლა̈ჷ, ადაბგლა̈ჷე; ადაბგლა̈ჷი) ლნტ., გ რ დ მ. — ანგრევს. ალე ჩი̄ს ჷცებ აბლაჷი (ლშხ.) — ეს ყველაფერს უცებ ანგრევს. და̈ჷდ ადაბგლა̈ჷე კჷბ (ლნტ. 319) — დევმა კუბო დაანგრია.

ხ-აბოგე იგივეა, რაც **ხ-აბო̈გე.**

აბოდნაჷი (ოხბოდნაჷ, ანბოდნაჷე; ანბოდნაჷნე) ლშხ., **აბოდნა̈ჷი** (ახჷაბოდნა̈ჷ, ანბოდნა̈ჷე; ანაბოდნა̈ჷი) ლნტ., გ რ დ მ. — აგროვებს. [და̈ჷითდ] ყა̈ნბოდნა̈ჷე ეჯმინ (ლნტ. 155) — დაკითმა ისინი შეაგროვა.

ხ-აბოლა იგივეა, რაც **ხ-აბო̈ლა.**

ხ-აბორგა იგივეა, რაც **ხ-აბჷრგა.**

ხ-აბორგნე (ლჷხჷბორგინ, ლახბორგნე; ლახბორგნისგ ბქ., ლახჷაბორგინ, ლახაბორგნე: ლახაბორგნი ლნტ.), გ რ დ მ., კ ა უ ზ ა ტ. — ხელს აკიდებინებს. [ლეგმერდა ლეტჷრეს] ისგა ხაბორგჷნახ. (ბქ. 296) — ავადმყოფს სანთელს ხელს მოაკიდებინებდნენ.

აბორკილე იგივეა, რაც **აბჷრკილე.**

აბორკლე იგივეა, რაც **აბჷრკილე.**

აბოშე იგივეა, რაც **აბო̈შე.**

ხ-აბო̈გე (ოთჷბჷე̄გ, ათბო̈გე; ათბო̈გნე ბზ., ოთბო̈გ, ადბო̈გე; ადბო̈გნე ლშხ.), **ხ-აბოგე** (ოთბეგ, ადბოგე; ათბეგისგ) ბქ., გ რ დ მ. — ბოგირად დებს. [ნაღჷერდ] ყიქაქა ესბოგალე ფონჩხა̈რ (ბქ. 87) — ვაემა ზემოდან ბოგირად დადო ფიჩხები.

ხ-აბო̈ლა (ხჷებო̈ლა̈ნდა̈ს, ხებო̈ლა̈ნდა; ხებო̈ლა̈ნდე̄ლს ბზ., ხჷებო̈ლენ, ხებო̈ლა̈ნ; ხებო̈ლე̄ნს ლშხ.), **ხ-აბოლა** (ხჷებოლენ, ხებოლან, ხებოლენეს ბქ., ხჷაბოლგნდა̈ს, ხაბოლგნდა; ხაბოლგნდეს ლნტ.), გ რ დ უ ვ. 1. მიხოხებულია, აცოცებულია. მგტ ხაბო̈ლა ბალას (ლშხ.) — მატლი აცოცებულია ფოთოლზე. 2. ქს. აცხია. ზისხ ხაბოლა დენას ტჷეტყი (ლნტ.) — ქალიშვილს ხელზე სისხლი აცხია.

აბო̈შე (ოხბო̈შ, ანბო̈შე; ანბო̈შნე) ლშხ., **აბოშე** (ახჷაბოშ, ანაბოშე; ანაბოში) ლნტ. — ამზადებს, 'გამო'აწყობს. ბობშ ანბო̈შე (ლშხ.) — ბაეშვი გამოაწყო. ჲეხჷ ხოჩამდ ანაბოშე (ლნტ. 227) — ცოლი კარგად გამოაწყო.

ხ-აბჷა (მებყა̈ნ'და', ხებყა̈ნ'და'; ხებყა̈ნდეს ბზ., მებყგნ, ხებყგნ; ხებყგნეს ბქ., მებყა̈ნ'და', ხებყა̈ნ'და'; ხებყე̄ნდეს ლშხ.), **ხ-აბაჷა** (მაბაყგნ'და', ხაბაყგნ'და'; ხაბაყგნდეს) ლნტ., ა ო რ. (ლამბაყგნ, ლახბაყგნ ზს., ლამბაყა̈ნ, ლახბაყა̈ნ ლშხ., ლამაბაყგნდა, ლახაბაყგნდა ლნტ.), გ რ დ უ ვ. 1. ეჩვენება, ჰგონია. ხელწი̄ფი დი̄ნას ეზა̈რ ლახბაყგნ გოჭა̈რ (ბზ. 349) — ხელმწიფის ქალიშვილს მოეწონა (კარგად მოეჩვენა) გოჭები. ალ გარდატყუად ზჷრა̈ლ ხაბყახ ალდარს (ლშხ. 77) — ეს გარდატყუა ამათ ქალი ჰგონიათ. მგხა̈რ, მი მაბაყა, ერე გრილ ი̄რა (ლნტ. 18) — ხვალ, მე მგონია, რომ გრილი ამინდი იქნება. 2. ემადლიერება, მადლობელია. გჷნ მაბყა, ერე ამზჷ ჯედიათე ყ'ა̈მკგმა̈რ (ბქ.) — ძალიან მადლობელი ვარ, რომ ასე შორს მყოფი მინახულე.

აბყინა̈ლი იგივეა, რაც **ა̈ბყინა̈ლი.**

ხ-აბყინე (ოთბა̈ყინ, ათბა̈ყნე; ათბა̈ყნი ბზ., ათბა̈ყნისგ ბქ.), **ხ-აბყი̄ნე** (ოთბაყი̄ნ, ადბაყი̄ნე; ადბაყი̄ნნე) ლშხ., **ხ-აბა̈ყნე** (ათჷაბა̈ყინ, ადაბა̈ყნე; ადაბა̈ყნი) ლნტ., გ რ დ მ. — ატყობინებს. შიშდ... ხა̈ბყინეხ როსტომს (ბზ. 237) — მაშინვე შეატყობინეს როსტომს. ქახაბყი̄ნე ზითჷნახაჷდ ბელხანჯარს და̈ჷა ლიჲედ (ლშხ. 70) — შეატყობინა მზეთუნახავმა ბელხანჯარს დევის მოსვლა.

აბრაგ იგივეა, რაც **ა̈ბრეგ.**

ხ-აბრალი იგივეა, რაც **ხ-აბრა̈ლი.**

აბრა̈გ იგივეა, რაც **ა̈ბრეგ.**

ხ-აბრა̈ი/ჲ (ლოხჷბარა̈ჲ, ლახბა̈რჲე; ლახბა̈რჲი) ბზ., **ხ-ა̈ბრეჷი** (ლოხჷბერაჷ, ლახბერჷე; ლახბერჷისგ) ბქ., **ხ-აბრაი** (ლოხბარაჲ, ლახბარჲე; ლახბარჲი) ლშხ., **ხ-აბა̈რიეს'კ'** (ლახჷაბა̈რი, ლახაბა̈რიე, ლახაბა̈რინე) ლნტ., გ რ დ მ. — 'მი'აბარებს; ატანს. ლჷაჰა̈რდ... ლა̈ირ ქა̄თბა̈რჲე მიჩა ხეხჷთე (ბზ. 333) — ეაჭარმა თავის ცოლთან წერილი გაატანა. კოლეფ [ჰყინტდ] სგა̄დ ლახბა̈რჲე ქა̈ჯა̈ დაჩჷირს (ბზ. 277) — ეაქმა კოლოფი კვლავ ქაჯის დას მიაბარა. ჷარჩხილ მიჩა დის ლახბერჷე (ბქ.) — ფული დედამისს მიაბარა. ნებოზს ალ მარე ანგა̈რიშს სკა ხაბა̈რიეს მეზგა̈ჲ ხოშას (ლნტ. 53) — საღამოს ეს კაცი ანგარიშს აბარებს ოჯახის უფროსს. მი ერ ხანჯა̈რ ლაჯაბა̈რი, ხიჴმა̈რი ა დეშ? (ლნტ. 299) — მე რომ ხანჯალი მოგაბარე, ხმარობ თუ ვერა?

ხ-აბრა̈ლი (ლოხჷბგრა̈ლ, ლახბგრლე; ლახბგრლი ბზ., ლახბგრლისგ ბქ. ათჷაბრა̈ლ, ათაბრა̈ლე; ათაბრა̈ლი ლნტ.), **ხ-აბრალი** (ლოხბგრალ, ლახბგრლე; ლახბგრლი) ლშხ., გ რ დ მ. — აბრალებს. ზურა̄ლდ... გეზლი̄რე ლიქდენი ლოხჷბგრლახ (ბზ. 346) — ქალისთვის შვილების ცდუნება დაუბრალებიათ. ხოლა დარა̈რს ყჷიყიშ ნაუჲსენის ხაბრა̈ლიხ (ბქ. 7) — ცუდ ამინდს მვარაკის დაუკვლელობას აბრალებენ. სკარხალს ელიას ხაბრა̈ლდახ (ლნტ. 78) — სეტყვას ელიას აბრალებდნენ.

აბრა̈ლი იგივეა, რაც **აბრა̈̄ლი**.

აბრა̈̄ლი (ოთბარა̈̄ლ, ადბარა̄ლე; ადბარა̈̄ლნე) ბზ., **აბრა̈ლი** (ოთჷბარა̈ლ, ადბარალე; ადბარა̈ლისგ) ბქ., **აბრა̄ლი** (ოთბარა̄ლ, ადბარა̄ლე; ადბარა̄ლნე) ლშხ., **აბარა̈ლი** (ათჷაბარა̈ლ, ადაბარალე, ადაბარალი) ლნტ., გ რ დ მ. — ბანს. ლგჯაჷშ ჩუ ლგმბარა̄ლინ (ლშხ. 55) — რძით ბანდა თურმე. [შაჷჩიტ] ჩჷადაბარალეხ (ლნტ. 203) — შაქრიტი დაბანეს.

ხ-აბრე იგივეა, რაც **ხ-ა̈ბრე**.

აბრეგ იგივეა, რაც **ა̈ბრეგ**.

ხ-აბურგა (ხჷებურგენ, ხებურგან; ხებურგენეს) ბქ., **ხ-აბორგა** (ხჷაბორგგნდა̈ს, ხაბორგგნდა; ხაბორგგნდეს) ლნტ., გ რ დ უ. — ხელი უკიდია. ლეჷან ჰჷილს ხაბურგა (ბქ.) — ლევანს ჯორისთვის უკიდია ხელი.

აბურდე იგივეა, რაც **აბჷრდე**.

აბურკილე (ოხჷბურკილ, ანბურკილე; ანბგრკილი) ბზ., **ა̈ბერკლე, აბურკჷლა̈ნი** (ოხჷბერკილ, ანბერკლე; ანბერკლისგ‖ოხჷბურკლან, ანბურკჷლანე; ანბურკჷლა̈ნისგ) ბქ., **აბორკილე** (ოხბორკილ, ანბორკილე; ანბორკილნე) ლშხ., **აბერკლე, აბორკლე** (ახჷაბერკილ, ანაბერკლე; ანაბერკლი) ლნტ., გ რ დ მ. — ბორკავს, ბორკილს ადებს. წემა̈შშჷ ჟი ჯა̈ბურკილე (ბზ. 361) — ჭაპნით შევბორკავ. მეშხე მარე ჟ'ანბერკლეხ (ბქ. 41) — შავი კაცი შებორკეს. და̈ჷ ჟ'ანბურკჷლანეხ (ბქ.) — დევი შებორკეს.

აბურლჷე იგივეა, რაც **აბჷრლჷე**.

აბულჷირე იგივეა, რაც **აბჷრლჷე**.

აბჷრდე (ოხბი̄რდჷ, ანბჷრდე; ანბი̄რდჷნე ბზ., ოხბჷრდ, ანბჷრდე; ანბჷრდნე ლშხ.) **აბურდე** (ოხბირდჷ, ანბურდე; ანბურდისგ ბქ., ახჷაბურდ, ანაბურდე; ანაბურდი ლნტ.) გ რ დ მ. 1. ბურდავს, 'ა'რევს. ციცჷლ ქიპარს აბჷრდე (ლშხ.) — ფისო ძაფებს ბურდავს. 2. ჭმუხნის. ჩიჟედ ნიქეჰა̈რ ჟ'ანაბურდე (ლნტ. 226) — სიძემ წარბები შეჭმუხნა.

აბჷრლჷე (ოხბი̄რლჷ, ანბჷრლჷე; ანბჷრლჷი) ბზ., **აბლჷი̄რე** (ოხბულჷი̄რ, ანბულჷი̄რე; ანბულჷი̄რნე) ლშხ., **აბურლჷე** (ოხბირლჷ, ანბურლჷე; ანბურლჷისგ) ბქ., **აბულჷირე** (ახჷაბულჷირ, ანაბულჷირე; ანაბულჷირი) ლნტ., გ რ დ მ. — ამტვერებს, აბუქებს. ბოფშა̈რ... ტგტს აბჷრლჷეხ (ბზ., 14) — ბავშვები ნაცარს აბუქებენ (ამტვერებენ).

ხ-აბფხორე იგივეა, რაც **ხ-აბბხგნე**.

ხ-აბფხგნე იგივეა, რაც **ხ-აბბხგნე**.

აბქჷე (ოთბიქჷ, ადბუქჷე; ადბუქჷი ბზ., ადბუქჷისგ ბქ., ოთბუქჷ, ადბუქჷე; ადბუქჷნე ლშხ., ათჷაბუქჷ, ადაბუქჷე, ადაბუქჷი ლნტ.) გ რ დ მ. — ალბობს. ლერექჷ ჩჷადბუქჷე ნიცისა (ლშხ.) — ტანსაცმელი წყალში ჩაალბო. ჩუ ხჷაბქჷედ ლგჯიმ თა̈შს (ლნტ. 35) — მარილიან ყველს 'და'ვალბობთ.

ხ-აბშე იგივეა რაც **ხ-ა̈ბშე**.

აბძლგნე (ოთბგძლგნ, ადბგძლნე; ადბგძლნი ბზ., ლშხ., ადბგძლნისგ ბქ., ათჷაბგძლინ, ადაბგძლნე; ადაბგძლნი ლნტ.) გ რ დ მ. — წე-

წაჲს. ეჩქანღჳე სერ ჩჷაბძღგნეხ ხოჩამდ [მა̈ტყს] (ბქ. 305) — შემდეგ კი კარგად გაწეწაეენ მაგყლს.

აბჭკჳრე (ოთბუჭკჳ̄ირ, ადბუჭკჳრე; ადბუჭკჳ̄ირნე ბზ., ოთბუჭკჳ̄ირ, ადბუჭკჳრე; ადბუჭკჳრნე ლშხ.), **აბჭკურე** (ოთჷბუჭკჳირ, ადბუჭკურე; ადბუჭკურისგ ბქ., ათჷაბუჭკურ, ადაბუჭკურე; ადაბუჭკური ლნტ.) გ რ დ მ. — აპობს, ხეთქს. [ა̈მირა̈ნ] ჰაყრა̈რს... აბჭკჳრე (ბზ.) — ამირანი აყიროებს ხეთქს. [და̈ჳდ] ბიკ ჩჷადბუჭკურე (ბქ. 114) — დეემა ჯირკი დააპო.

ხ-აბჭკჳე (ოსჷაბჭკჳ, ესბიჭკჳ; ესბიჭკჳე ბზ., ოსაბჭკჳ ლშხ., ესჷაბჭკჳ, ესბიჭკჳ; ესბიჭკჳე ბქ.), **ხ-ა̈ბჭკჳე**(ასჷა̈ბჭკჳ, ასაბიჭკჳ; ასაბიჭკჳე) ლნტ. გ რ დ მ. — 'და'ახეთქებს. ჷობურ დადა'ს' ჷედრა ყიდ ესბიჭკჳ (ბქ. 43) — კუდიან დედაბერს ვედრო დაახეთქა კიდეც.

აბპჳრე (ოთჷბუპჳ̄ირ, ადბუპჳრე; ადბუპჳრი ბზ., ოთბუპჳრ, ადბუპჳრე; ადბუპჳრნე ლშხ.), **აბპურე** (ოთჷბუპჳირ, ადბუპურე; ადბუპურისგ ბქ., ათჷაბუპურ, ადაბუპურე; ადაბუპური ლნტ.) გ რ დ მ. — აპობს, ჩეხავს. ნებოზს კუდჷრა̈რ ჩჷ'ოთბუპჳირ (ბქ.) — საღამოს მორები დავაპე. ზექ ხოჩა̄მდ ადბუპჳრე (ლშხ.) — შეშა კარგად დაჩეხა. დემოშ ბიკ ადაბუპურეხ ი დემოშ ნა̈თხჷერე ადატუფურეხ (ლნტ. 155) — ვერც ჯირკი დააპეს და ვერც ნანადირევი გაატყავეს.

აბჯა̈რ იგივეა, რაც **ჰაბჯა̈რ.**

აბგნგა̈ჷი, აბგნგჷე, აბანგჷე (ოთბგნგა̈ჷ, ადბგნგაჷე; ადბგნგა̈ჷნე) ბზ., **აბგნგაჷი** (ოთბანგაჷ, ადბანგაჷე; ადბანგაჷნე) ლშხ., გ რ დ მ. — ბანგავს, ბანგით ათრობს. ჷა̈ზრა̈ლდ... ბა̈ნგ ჩუ ლახა̈̄შხ დი̄ნა̈̄ლს ი ჩჷადბა̈ნგჷეხ (ბზ. 344) — ვეზირებმა ბანგი დაალევინეს ქალიშვილებს და დაათვრეს. ციჷოყ აჯალ ჩჷდ ადბანგჷეხ (ბოეზ. 122) — ციოყი კვლავ დაათვრეს ბანგით.

აბგრდა̈გი (ოთბგრდა̈გ, ადბგრდაგე; ადბგრდა̈გისგ) ბქ., გ რ დ მ. — 'გა'აცილებს. ხოშა მუხჷბემ ქადბგრდაგე ხოხრა ლახჷბა (ბქ. 82) — უფროსმა ძმამ გააცილა უმცროსი ძმები.

აბგრჯე (ოთბირჯ, ადბგრჯე; ადბირჯნე ბზ., ადბგრჯისგ ბქ. ოთბგრჯ, ადბგრჯე; ადბგრჯნე ლშხ.), **აბარჯე** (ოთბა̈რჯ, ადბარჯე; ადბა̈რჯისგ) ბქ., **აბა̈რჯე** (ათჷაბა̈რჯ, ადაბა̈რჯე; ადაბა̈რჯნე) ლნტ. 1. ზს., გ რ დ მ. — თხრის. ეშდჲორი საჯენ ჩუჷ ადბგრჯეხ გიმ (ბზ. 437) — მიწა თურმეტ საქენზე ჩაითხარეთო. ჷისგ ჩუქან ჩჷადბგრჯე... ფათქ (ბქ. 48) — ვაშლის ქვეშ ორმო გაითხარა. 2. ბჯ., ლნტ. თოხნის. ლარტამს ხჷაბა̈რჯედ (ლნტ.) — ბოსტანს ეთოხნით. შ დ რ. **აშთხრი; აბე̄რგე.**

ხ-აგ იგივეა, რაც **ხ-ა̄გ.**

ხ-აგად იგივეა, რაც **ხ-აგა̈დ.**

აგათჷე იგივეა, რაც **აგა̄თჷე.**

აგამ იგივეა, რაც **ჰაგა̈̄მ.**

ხ-აგარჯ იგივეა, რაც **ხ-აგა̈რჯ.**

აგაწყობლე იგივეა, რაც **აგა̈̄წყობლე.**

აგაწყობლი იგივეა, რაც **აგა̈̄წყობლე.**

ხ-აგა̈დ (მაგდგნ'და', ხაგდგნ'და'; ხაგდგნდე̄დს ბზ., მაგდგნ'და', ხაგდგნ'და'; ხაგდგნდეს ბქ., მაგადგნ'და', ხაგადგნ'და'; ხაგადგნდეს ლნტ.), **ხ-აგად** (მაგდგ̄ნ'და', ხაგდგ̄ნ'და'; ხაგდგ̄ნდეს) ლშხ., გ რ დ უ ვ. — მართებს, ვალად ადევს. აშხჷ მა̄რა ჷა̈ლ ხაგდგნდა ხჷა̈დ (ბზ. 288) — ერთ კაცს ბევრი ვალი ემართა. ჯჷინალგნდრინ ნა̈გდენა ეშხუ ნამპა̈რ ყა̈ჰიშ ნაშხა (ბქ. 196) — ძველთაგანვე გვემართა თურმე ბვაეის სახელზე ერთი ლამპარი. მი ეჯმინე ზისხ მაგადგნდა (ლნტ.) — მე მათი სისხლი მემართა.

აგა̈ზდილე, აგა̈ზდილი იგივეა, რაც **აგა̈̄ზდილე.**

ხ-აგა̈რჯ (ლამგარჯგნ, ლახგარჯგნ; ლა̈ხგა̈რჯი ზს., ლამაგარჯგნ, ლახაგარჯგნ; ლახეგა̈რჯი ლნტ.), **ხ-აგგრჯ** (ლამგარჯგ̄ნ, ლახგარჯგ̄ნ; ლეხგგრჯი) ლშხ., გ რ დ უ ვ. — ეძნელება, უძნელდება, უჭირს. ფა̈რშმა̈გს ლახგა̈რჯლგ̄ნგნ. მარე ჷარ დეშ ხა̈̄ქჷ (ბზ. 247) — ფარშევანგს ემძიმა, მაგრამ უარი ვერ უთხრა. ალე მა ჯაგა̈რჯ! (ლნტ. 302) — ეს რა გეძნელება!

აგა̄ზდილე იგივეა, რაც **აგა̈̄ზდილე.**

აგა̄თჷე (ოთგა̄თა̈ჷ, ადგა̄თჷე; ადგა̈̄თჷი ბზ., ოთგა̄თჷ, ადგა̄თჷე; ადგა̄თჷნე ლშხ.),

დე̄მ'ე'გუაშ'უ' ბზ., **დემგუაშუ** ბქ., ლნტ., **დე̄მგუეშ, დე̄სამ** ლშხ., უარყ. ნაცვალსახ. — არაფერს. გიმ-მეგა̈მს უფი̄თქუად დე̄მგუაშუ ცუირე (ბზ. 320) — მიწასა და ხეს. გაუხეთქავად არაფერს ტოვებს. მო̄რუალ ქა უცხრად დე̄სამ ცურეხ (ლშხ. 43) — მეღიაგორები გაურკვევლად არაფერს ტოვებენ. დემგუაშუ ხა̈ძმედა ეჩქა ლიჰედ (ლნტ. 157) — არაფერს შეუძლია იქ გამოსვლა.

დე̄მთე, დო̄მთე ბზ. ლშხ., **დემთე** ბქ., **დემოხ** ლნტ., უარყ. ზმნს. — არსაით, არსად. ათხე შუკუ დე̄მთე გუა̈რ (ბზ. 117) — ახლა გზა არსაით გვაქვს. დო̄მთე ლეჩი̄ჯად მაყა (ბზ. 316) — არსად გასასხლებლად არ ვვარგვარ.

ლაჩად დემთე ლა̈სჷ (ბქ. 17) — გასაქცევი არსაით იყო. ამზა̈ჷ დემოხ ღური (ლნტ.) — წელს არსად წავალ.

დე̄მის ბზ., **დემის** ბქ., ლნტ., **დე̄სამამ** ლშხ., უარყ. ნაწილაკი. 1. არ. ჩუ ლახე ამთერნე ხოჩა̄მდ, ამჟი̄ნ დე̄მის ლა̈ქჷნინე (ბზ. 170) — კარგად რომ გამიცნობ, ასე არ იტყვი. ამ ტაბგილჟი ლეღჷ დემის ლგმშდეხოლნელი ჩუ (ბქ. 193) — ამ ტაბაკზე ხორცი არ ილეოდა თურმე. მი ისკჷაცახენ დემის ხჷიგენი (ლნტ.) — მე შენთან არ დაედგები. 2. არა. ყი̄ჷ ესერ ანჴა̈დ! — ჟ̈ესერ დე̄მის! (ბზ. 137) — ამოდით! — შევით არაო! 3. არაფერს. გჷელდა̈რშაპა̈რ დე̄მის გჷა̈ჩოხ (ბზ. 118) — ვეელეშაპები არაფერს ვეიზამენ. მი სი დემის ჯექნე (ლნტ.) — მე შენ არაფერს გეტყეი.

დე̄მნა̈რ ბზ., **დემნა̈რ˹დ˺** ბქ., ლნტ., **დე̄მნარ** ლშხ., უარყ. ზმნზ. — არაფრად, არარად. მიჩა სა̈ხგლწიფჷ მი დე̄მნა̈რ მაწგხ (ბზ. 284) — მისი სახელმწიფო მე არაფრად მჭირდება. კჷარემ ჩჷადჷა̈ში ი დემნა̈რ ხაყა ეჩქანლჷე (ბქ. 231) — ყინული გააფუჭებს და არაფრად ეარგა შემდეგ.

დე̄მჟი˹ნ˺ ბზ., ლშხ., **დემჟი** ბქ., ლნტ., უარყ. ზმნზ. — არასგზით, არაფრითაც. სჷრა̄სა̈ხი ლიტხე დე̄მჟი მა̈მჲედა (ბზ. 129) — სურასახის დაბრუნება არაფრით არ შემიძლია. ალას დე̄მჟი̄ნ ხეკჷა̈დ ამი̄ ქა ლიტხე (ბზ. 281) — ამას არასგზით არ უნდოდა ამის დაბრუნება.

დე̄მლა ბზ., ლშხ., **დემლა** ბქ., **დემალა** ლნტ., უარყ. ზმნზ. — არაფრის გულისათვის, არასგზით. იშგანლა მგხმჷ̄რიდ დე̄მლა ლახჷე̄მ გჷეჰ (ბზ. 387) — მეღორემ სხვა რამისთვის არასგზით არ მისცა გოჭი. ეჯი მიჩა თოფს დე̄მლა ხელი̄ (ლშხ.) — ის თავის თოფს არასგზით არ ელევა.

დე̄მშა ბზ., ლშხ., **დემშა** ბქ., ლნტ., უარყ. ნაცვალსახ. — არაფრის. დი̄ნას დე̄მშა ქჷინ ხაჴან (ბზ. 268) — გოგოს არაფრის სუნი არ სცემს. ზომხა ლადეღ ჷარ დე̄მშა შიდ (ლშხ. 17) — ახალ წელს უარის თქმა არაფრის არ შეიძლება. ალე დემშა მგჴდე ლოქ ლგმა̈რელი (ლნტ. 233) — ეს არაფრის მომტანი არ ყოფილაო.

დე̄მხენ იგივეა, რაც **დო̄მხა̈ნ.**

დე̄რა (-რა̈შ, -რა̄ლ ბზ., -რა̄შ, -რა̄ლ ლშხ.), **დერე** (-რემ, -როლ) ბქ., **დერა** (-რა̈ჲშ, -რა̈ლ) ლნტ. — (ხევში ჩაწოლილი) გაყინული თოელი. ლა̈ჲჩიჩხიე̄ლე რა̈შდ ი დე̄რა ათდე (ბზ. 105) — რაშმა დაიფრუტუნა და (ზღვაზე) ყინული გადო. ჰერსკნ ჩუ ედკჷრანკან დერათეჩჷ (ბქ. 85) — არჩვი ჩაგორდა გაყინულ თოელამდე.

დე̄რჷა, დე̄რაჷ ბზ., ლშხ., **დერჷა** ბქ. — უარი. ზჷრა̄ლ დე̄რჷას ტჷ̄ლი (ბზ. 326) — ქალი უარს ამბობს.

დე̄სა ბზ., ლშხ., **დესა** ლნტ., უარყ. ნაწილ. 1. არ. ალჲარე დი დე̄ს'ა̈რი ამჩჷ (ბზ. 261) — ამათი დედა არ არის აქ. ეჯჲარს დე̄სა ხაყჷ̄ნახ გეზალ (ლშხ. 68) — მათ არ ჰყოლიათ შვილი. ნაფთს ეჩქა დესა იჴმა̈რდახ (ლნტ. 5) — მაშინ ნავთს არ ხმარობდნენ. 2. არა. მიშგჷ დაჴა̈რ ჯიწჷ'ე̄სა? — დე̄სა (ბზ. 156) — ჩემი თხები თუ გინახავს? — არა. ალ ბალახს თხუმისა გარ ხა̄რ ბალო̄ლა̈რ ი იშგნა̄გ დე̄სა (ლშხ. 30) — ამ ბალახს თავშილა აქვს ფოთლები, სხვაგან — არა. შდრ. **დო̄სა.**

დე̄სამ იგივეა, რაც **დე̄მ˹ე˺გჷა̈შ˹ჷ˺.**

დე̄სამა, დე̄სმა ბზ., ლშხ., **დესამა, დესამამა** ლნტ., უარყ. ნაცვალსახ. — არაფერი, არარა. ალჲა̈რს ლჷყჷჩჷრა ჯა̈რ-ძჷჰე̄რა̈ნქა დე̄სამა ხჷლჷა̈ნხ (ბზ. 368) — ამათ დამტვრეული ვარცლ-საცრის გარდა არაფერი ჰქონდათ. ალჲარგნქა დე̄სამა ხეყე̄და მინე დის (ლშხ. 54) — ამათ გარდა არაფერი ჰყავდა მათ დედას. იჷალა̈დეღ დესამა მათჷეფა მი (ლნტ.) — არასოდეს („თავის დღეში") არაფერი დამკარგვია.

დე̄სამაგჷეშ ბზ., **დე̄სმაგჷეშ** ლშხ., **დესამამაგჷეშ** ლნტ., უარყ. ნაცვალსახ. — არაფერი (არაფერი საქმე). დე̄სამაგჷეშ ესერ ახჴედახ (ბზ. 297) — არაფერი მოგვსვლიათო.

დე̄სამამ იგივეა, რაც **დე̄მის.**

დე̄სამამ იგივეა, რაც **დე̄მის.**

დე̄ფა̈ნ (-ფნიშ, -ფნა̈რ) ბზ., **ტელა̈ფ** (-ლფა̈შ, -ლფა̈რ) ბქ., **დე̄ფან** (-იშ, -არ) ლშხ., **დელფა̈ნ** (-ანა̈რ) ლნტ. — აივანი. ა̈მირან ჟ'აჩა̈დ დე̄ფა̈ნთეჟი (ბზ. 89) — ამირანი ავიდა აივანზე. ითქს ტელაფქა მგჷ ხოდისგხ (ბქ.) —

მარცვალს აიეანჩე მზეს დაუდებენ. მუ̂ნარი ჩუ̂ანშყად დე̄ფანხენჩუ (ლშხ. 69) — მოყურადე ჩამოეარდა აიენიდან. ყ'ა̈მჩედელი დელფა̈ნხოყი დენა (ლნტ. 272) — ასულა აიეანზე ქალიშვილი.

დე̄შა, დეჲშა, დეშა იხ. **და̈̄რ.**

დი (-ე̄შ. დილა̄რუ‖ლა̈დია ბზ., -ეშ, ლა̈დია ბქ., ლადია‖დილა̄რუ ლშხ., ლადია ლნტ.), **დია** (დია̈შ ბზ., დია̈შ ბქ.) — დედა. მიშგუ̂ა დი მიშგუ̂აყი ლანაუ̂ ლა̈სუ̂ (ბზ. 23) — დედაჩემი ჩემზე ორსულად იყო. მიშგუ̂ა დის ლუშნუ გუ̂ეშ მა̈გ ხოხალ ლეზუ̂რა̈ლ (ბქ. 7) — დედაჩემმა სვანური საქალო საქმე ყველაფერი იცის. მე̄რმა ლადეღ დედფალი დიე ლაჴდათე აზზიხ მა̄რას მგწი̄ს (ლშხ. 33) — მეორე დღეს პატარძლის დედის მოსაყვანად აგზავნიან დამპატიჟებელ კაცს. ალ დენაგეზალს ჩუ̂ათადაგარა დი (ლნტ. 300) — ამ ქალიშვილს მოჰკლდომია დედა. ისგუ დია, ისგუ ბუა ბოგს ხოწიბხ (ჰოეზ. 260) — შენი დედა, შენი მამა ხიდზე ჰკიდიან. **დი-მუთუ̂ენი** (ბზ., ლშხ.) — დედა-მშობელი. **დი-მეზგე** — დედა-ოჯახი. იხ. **დედე.**

დიაკუ̂ენ, დიაკენ იგივეა, რაც **დი̄კუ̂ენ.**

დიარობ იგივეა, რაც **დი̄რობ.**

დიარობ იგივეა, რაც **დი̄რობ.**

დიასახლ იგივეა, რაც **დიხსა̈ჲ.**

დია̈რ (დი̄რიშ, დი̄რა̈ლ ბზ., დირიშ, დირა̈რ ბქ., -იშ, -ა̈ლ ლნტ.), **დიარ** (-იშ, -ალ) ლშხ. — პური. დია̈რუ ესერ ხა̄მნეხ (ბზ. 289) — პური მაჭამეთო. მერმა ლადეღ ოხნაყეხ თუ̂ით დია̈რ (ბქ. 39) — მეორე დღეს გამოუცხვეს თითო პური. ზურალდ ლუ̂აყმარეს ქა ლახუ̂ემ დია̈რ (ლნტ. 201) — ქალმა მისცა პური კაცს. კნინ. **დი̄რილ** ბზ., **დირილდ** ბქ., **დიარე̄ლ** ლშხ., **დია̈რილ** ლნტ.

დიგე (ოდჷგ, ადიგ, ა̈დგე ზს., ადუგ, ადიგ; ადგე ლნტ.), **დჷგე** (ოდჷგ, ადიგ, ადგე) ლშხ., გრდმ. — აქრობს. ლეტუ̂რე ესერ ჩუუ̂ ადიგ (ბზ. 262) — სანთელი ჩააქრეთ. ლემესგ როჴ ნომეგ ადჷგეს (ბქ. 66) — ცეცხლი არ ჩააქროსო. კუ̂ეჭოლ ლემესკილ ჩუ̂ათოდიგა ზისხს (ლნტ. 128) — პატარა ცეცხლი ჩაუქრია სისხლს.

დი-გეზალ (-ზლა̈შ, -ზლი̄რ ბზ., -ზლირ ბქ., -ზლაშ, -ზლი̄რ ლშხ., -ა̈შ, -ზელილ ლნტ.) — დედა-შვილი. დი-გეზალ ქა̄თა̄გა̈̄ნხ შუკუ̂ს (ბზ.) — დედა-შვილი გზას გაუდგა. ლჷმა̄რდე̄ლიხ ეშხუ̂ დი-გეზალ (ლშხ. 55) — ყოფილა ერთი დედა-შვილი.

დიდა̈ბ (-იშ, —) ზს., **დიდებ** ლშხ., **დიდაბ** ლნტ. — დიდება. დიდა̈ბ ხუ̂ე̄ქა ხოშა̄მ ღე̄რბათუ̂ (ბზ. 40) — დიდება ვუთხარი დიდ ღმერთს. დიდებ-დიდებ თარიგძელარს (ლშხ. 22) — დიდებ-დიდება მთავარანგელოზებს. დიდაბ ა̈ჯჲად ზა̈ჲ მა̈ხე ბედნიერს! (ლნტ. 57) — დიდება შენ, ბედნიერო ახალო წელო (დიდება მოვსელოდეს ბედნიერ ახალ წელს)!.

დიდა̈რ (-დრიშ, -დრა̈ლ ბზ., -დრა̈რ ბქ., -იშ, -დარა̈ლ ლნტ.). **დიდარ** (-დრიშ, -დრალ) ლშხ. 1. მდიდარი. აშხუ̂ ლადეღ ანჴა̈დ ხელწიფთე დიდა̈რ მა̄რე (ბზ. 300) — ერთ დღეს მდიდარი კაცი მოვიდა ხელმწიფესთან. სი დიდა̈რ ოჯახი გეზალ ხი (ლნტ. 239) — შენ მდიდარი ოჯახის შვილი ხარ. 2. ბქ. ამპარტავანი. **დიდა̈რდ** ზმნზ. — მედიდურად, ამაყად. იმჟი დიდა̈რდ ხიზელა̈ლ (ბქ.) — რა მედიდურად დადიხარ.

დიდებ იგივეა, რაც **დიდა̈ბ.**

დიეუთუ̂რა იგივეა, რაც **დიუთუ̂რა.**

დიე̄ნაცა̈̄დ (-იშ, -ცა̄და̈რ) ბზ., **დიენაცა̄დ** (-არ) ლშხ., **დიენაცა̈დ, დინაცა̈დ** (-ცადა̈რ) ლნტ. — დედინაცვალი. დიენაცა̈დ გეზალუთრას ხოლამ ხა̈ხელნა (ლნტ. 174) — დედინაცვალი გერს ცუდად ექცეოდა. ა̈გის ფირუ̂ დინაცა̈დდ ჩუ̂ადაჭებდე (ლნტ. 128) — დედინაცვალმა ძროხა შინ დაამწყვდია. იხ. **დიუთუ̂რა.**

დიმეთილ იგივეა, რაც **დიმთილ.**

დიმთილ (-ა̈შ, -ა̈რ‖ლა̈დჷმეთლა ბზ., -იშ, -არ ლშხ.), **დიმეთილ** (ლა̈დმეთლა) ლნტ. — დედამთილი. ა̈რიხ ეშხუ დიმთილ ი თელლჷრა (ბზ. 332) — არიან ერთი დედამთილი და რძალი. თელელრა̈ჲშუ̂დ ჭა̈ში დი ი მუ დიმეთილ ი მუმეთილ ლიხ (ლნტ. 19) — რძლისათვის ქმრის დედა და მამა დედამთილი და მამამთილი არიან.

დინა იგივეა, რაც **დი̄ნა.**

დინაგეზალ იგივეა, რაც **დი̄ნაგეზალ.**

დინაცად იგივეა, რაც **დიჷნაცა̈̄დ.**

-დირ[3] ბქ., თანდ. -გან. ლახუნდირ ქორთეჩუ ჰგშხშჳ ონჯჳადდ — მთიდან სახლამდე ფეხით ჩამოვედით.

დირ იგივეა, რაც **დი̄რ**[1].

დიჳთჳრა, დიჳითრა (-რა̈̄შ, -რა̈̄ლ) ბზ., **დიეჳთჳრა** (-რა̄შ, -რე̄ლ) ლშხ. — დედინაცვალი. დი̄ნას დიჳთჳრა ათდაგან (ბზ.) — ქალიშვილს დედინაცვალი მოუკვდა. ჳოჯრი̄ლ ლაშგყ ჩჳქჳა̈̄ნთესგ' ა̈̄დჭებდე მიჩა დიჳითრად (ბზ. 325) — ობოლი გოდორქვეშ დაამწყვდია მისმა დედინაცვალმა. იხ. **დიჷნაცა̈̄დ.**

დიჳითრა იგივეა, რაც **დიჳთჳრა.**

დიჳო იგივეა, რაც **დი̄ნა.**

დიხსა̈ჲ (-იშ, -ა̈რ) ბზ., **დიხსა̈ლ** (-სალა̈რ) ბქ., **დიასახლ** (-არ) ლშხ. — დიასახლისი. დიხსა̈ლ ქშხუ ლემზგრს ანყე (ბქ. 71) — დიასახლისი ქრით სეფისკვერს აცხობს. ეჩხა̈̄ჳ ელმა̄ზინ ლაჰზგრდ მგლა̄შხ დიასახლ (ლშხ. 50) — იქით მიდიოდა სალოცავად ლაშხელი დიასახლისი.

დი̄კონ იგივეა, რაც **დი̄კჳენ.**

დი̄კჳენ (-კჳნიშ, -ა̈რ) ბზ., **დიაკენ** (-იშ, -არ) ბქ., **დი̄კონ** (-კჳნიშ, -ალ) ლშხ., **დიაკჳენ** (-იშ, -ა̈რ) ლნტ. — დიაკვანი. მა̈̄რე ქა̈̄დზგზე დი̄კჳენდ (ბზ. 352) — კაცი გაგზავნა დიაკვანმა. დი̄კონს ბობშ აგითე ოთჲა (ლშხ. 58) — დიაკვანს ბავშვი სახლში წაუყვანია.

დი̄ნა (-ნა̈̄შ, -ნა̈̄ლ ბზ., -ნა̄შ, -ნე̄ლ ლშხ.), **დიჳო** (-ჳე̄შ, -ჳო̄ლა̈̄რ) ბზ., **დინა** (-ნაშ, -ნოლ) ბქ., **დენა** (-ნა̈ჲშ, -ნა̈ლ‖ნა̈დ'ჲ'ენა̈რ) ლნტ. — ქალიშვილი, გოგო. ხელწიფს ხორდა სემი დი̄ნა (ბზ. 252) — ხელმწიფეს ჰყავდა სამი ქალიშვილი. ალი ხოჩა დიჳო ლი (ბზ.) — ეს კარგი გოგოა. დინა ი ნალჳყურ ქჷრდ'ესერ გეზალ ლიხ (ანდ.) — ქალიშვილი და ვაჟიშვილი ორივე შვილიაო. ალ დი̄ნა ხოჩა მეზგემიშ ლოქ ლი (ლშხ. 29) — ეს ქალიშვილი კარგი ოჯახიდანააო. ალ დენა ხოჩა თჳალა̈შ ლას (ლნტ. 247) — ეს ქალიშვილი ლამაზი იყო. კნინ. **დი̄ნოლ,** ბზ., **დინილ** ბქ., **დი̄ნო̄ლ** ლშხ., **დენოლ** ლნტ.

დი̄ნაგეზალ (-ზლა̈შ, -ზლი̄რ ბზ., -აშ, -ზლი̄რ ლშხ.), **დინაგეზალ** (-ზლა̈შ, -ზლირ) ბქ., **დენაგეზალ** (-ზლა̈შ, -ზელილ) ლნტ. — ქალიშვილი, ასული. ხელწიფს ეშხუ დი̄ნაგეზალ ხორი (ბზ. 280) — ხელმწიფეს ერთი ქალიშვილი ჰყავს. დინაგეზალს დიხენქა ყი ლეთჳრი ხარ ლეზჳრა̈ლ გეშ (ბქ. 23) — ქალიშვილმა დედისაგან უნდა ისწავლოს საქალებო საქმე.

დი̄რ[1] (-იშ, -ა̈ლ ბზ., -ალ ლშხ.), **დირ** (-იშ -ა̈ლ) ბქ., ლნტ., **დგრ** ბქ. — დირე. ბაბა დი̄რს ხებლა̈̄ნჭუნა̈̄ლ (ბზ. 422) — ბაბუა დირეს ებღაუჭება. ქორა დი̄რ ლოქ ხაკუჩ შამფურდ (ლშხ. 81) — სახლის დირე მინდა შამფურადო.

დი̄რ[2] (-იშ, -ა̈ლ ბზ., -ალ ლშხ.), **დირ** ბქ. — კუჭი. დი̄რ მეზგი (ბზ., ლშხ.) — კუჭი მტკივა.

დი̄რობ (-ა̈შ, —, ბზ., -აშ, —, ლშხ.), **დიროб** (-ა̈შ, —) ბქ., **დიარობ** (-ა̈შ, —) ლნტ. — ჭამის დრო, პურის ჭამა, პურობის დრო. მეუსგჳა ლადეღ დირობჟი ბინტჳიდ ა̈ხუნჯჳა̈ნ (ბქ. 219) — მეექვსე დღეს ჭამის დროს ისევ ბურუსი ჩამოწვა. დირობჟი ყორქა ჟაღჳ ესერი და̈რ აკჳანე (ანდ.) — ჭამისას კარში ძაღლსაც არავინ აგდებსო. აჯალ ჩუ უდ ისგჳრიხ დი̄რობდ (ლშხ. 37) — კვლავ სხდებიან პურის საჭმელად.

დო 1. უარყოფ. ნაწილაკი — არ. მა̈̄ნკუ ოხთჳე̄ნ, ეჩქას სგა იმღა დო აღე? (ბზ. 442) — პირველად (რომ) გამოეგზავნე, მაშინ რატომ არ შემოხედედი? 2. ბზ., ლშხ. — არც. ლა̈კირთესგა სგაჳ ადკჳა̈რხ, ეჯყი̄ნ ერე დო იშჳ ა̈ნმეჯრე̄ნს, დო ჯიჯჳ! (ბზ. 151) — საკირეში ჩააგდეთ ისე, რომ არც რბილი მოიძებნოს (იქნეს გაგებული), არც ძვალი. ეჯკალიბ ქორა ლიგემ ჯა̄ჲმედა ლოქ მოშ, ერე დო გიმს ხეთილეს ი დო დეცს (ლშხ. 59) — ისეთი სახლის აგება თუ შეგიძლია, რომ არც მიწას ეხებოდეს და არც ცასო. 3. ნაწილაკი, რომელიც მეტწილად არ ითარგმნება, ზოგჯერ გამოხატავს წაქეზებას, თხოვნა-რჩევას — დაე, მოდი, ხომ არ. ეშხუ ამბა̈ჳ ქორს მი ა̈მსა̈დ, ჳეშგდ ტჳეხნი, ყი დო მიღე̄ლჳე! (ბზ. 203) — ერთი ამბავი მე შინ დამრჩა, უკან დავბრუნდები, მოდი, დამიცადე (ხომ არ დამიცდი)! ბათგრ ათჯგრენა, ჩუ ესერ დო ხაგჳა̈ჳიხ, მა̈დილ ესერ ხერიხ (ბქ.) —

ბათირი შეხეჲწნია: ღამის გასათევად ხომ არ დამაყენებთ, ჲადლი შეჲეყაროთ (გექნებათო). დო ლოქ ა̈ჲესკ მიჩა ლგპრისტე გიორგის ქალა̈ქხო ი ხეყენი ლოქ მიჩაცა̈ხენ (ლნტ.) — ხომ არ წაიყვან შენს ნათლულ გიორგის ქალაქში და (ხომ არ) გეყოლება შენთანო.

დოლებ (დოლბიშ, დოლბა̈რ) ზს., **დოლობ** (-იშ, -არ) ლშხ., **დოლა̈ბ** (-იშ, -ლაბა̈რ) ლნტ. — დოლაბი. ჟიქან ხოშა დოლებ ათლაფრე (ბქ. 52) — ზემოდან დიდი დოლაბი დააფარა. ა̈მირა̈ნდ დოლა̈ბ ქადაკჷა̈რ ეჩეხენხო (ლნტ. 248) — ამირანმა დოლაბი გადააგდო იქით. იხ. **ში̄რა.**

დოლებში̄რა (-რა̈შ, -რა̈ლ) ბზ., **დოლებშირა** (-რა̈შ, -როლ) ბქ., **დოლობში̄რა** (-რა̄შ, -რე̄ლ) ლშხ., **დოლა̈ბშირა** (-რა̈ჲშ, -რა̈ლ) ლნტ. — წისქვილის ქვა. გჷიშგჷეჲ მურყჷამ სგჷებინ დოლებში̄რა ა̈რი (ბზ. 93) — ჩვენი კოშკის წინ წისქვილის ქვა არის. და̄ჷს დეშმა ხოყი̄რა ჟიქა̄ნჩუ დოლობში̄რა (ლშხ. 65) — დევს ეღარ დაურტყამს ზემოდან წისქვილის ქვა.

დოლობ იგივეა, რაც **დოლებ.**

დოლობში̄რა იგივეა, რაც **დოლებში̄რა.**

დოლფაჸნა̈ჲ (-იშ, -ა̈რ) ბზ., **დოლფანა** (-იშ, -ნა̈უ) ბქ. — ბერიკა, ყეენი. ამ მარად დოლფანა̈ ხოჟხახ (ბქ. 233) — ამ კაცს ყეენს (ბერიკების მეთაურს) უწოდებენ.

დომა̈ჲ ლნტ. — არადა. ე ლოქ იქჷცე ალეს (მეგამს), დომა̈ჲ ჯე ლოქ ღგრი ამეხენქა (ლნტ. 267) — თუ მოიჭრი ამას (ხეს), არადა მე წაველო აქედან.

დომბა̈ჲ (-იშ, -ა̈რ) ბზ., **დომბა̈** (-ბა̈ჲშ, -ბაუ) ბქ., **დომბაჲ** (-ჲშ, -ბე̄ლ) ლშხ. — დომბა. ხოშა ლახჷა̈რს დომბა̈ჲ ლგმა̈რდ (ბქ. 226) — დიდ მთებში დომბა ყოფილა. აშხჷ ლადეღ ყათლან ხეწაჲ დომბა̈ს (ბქ. 118) — ერთ დღეს ყათლანმა ნახა დომბა. გადატ. **დომბა̈ჲ ჴა̈ნ** ბზ. — დიდტანა ხარი.

დომეყ (-იშ, -ა̈რ) ბზ., **დუმეყ** ბქ., **ნადმოყ** ქს. — ბერწი. უშგჷლა̈რს დომეყ ამე ხორიხ (ჰოჲზ. 232) — უმზეულებს ბერწი (საქონელი) აქ ჰყავთ.

დორ ბქ., უარყ. ნაწილაკი. მეტწილად არ ითარგმნება. დემეგ მიხალ იმთე დორ აჩა̈დ (ბქ.) — არ ვიცი, თუ საით წავიდა. მა̈ დორ ფოყს ლი, მა̈ თერა ი ეშხუ ლგფკელ როქჷ ხაშთხჷა ოქრეშ კჷბშ (ბქ. 195) — ვინ იცის, რა მხარეს არის და ერთი ქალბატონი მარხია თურმე ოქროს კუბოთი.

დორა̈ჲ (-იშ, -რა̈ლ ბზ., -რაუ ბქ.), **დორაჲ** (-რა̄შ, -რე̄ლ) ლშხ., **დორა̈** (-ჲშ, -რა̈ლ) ლნტ. — დორა. დედბერდ ეშხუ დორა̈ჲ რა̈ნჷ ანჴიდ (ბზ. 17) — დედაბერმა ერთი დორა თაფლუჭი მოიტანა. ნაწჷარდ ოხლჷახ დორაჲ არაყ (ლშხ. 37) — შესაწევრად მოაქეთ დორა არაყი. ზურალს ლიცშჷ გჷეში დორა̈ ასაღჷენა (ლნტ. 185) — ქალს თურმე წყლით სავსე დორა მიჰქონდა.

დორიჲ იგივეა, რაც **დო̄რი.**

დოსა იგივეა, რაც **დო̄სა.**

დოსდ იგივეა, რაც **დო̄სგ[დ].**

დოსკ იგივეა, რაც **დო̄სგდ.**

დოჷ იგივეა, რაც **დო̄ჷ[ე].**

დოჷ̂ იგივეა, რაც **დო̄ჷ̂.**

დოშ ბზ., ლშხ., **დეშ** ბქ., ქს., უარყ. ნაწილ. — ვერ, ვერა. იმღა ესერ დოშ ოთხჷია? (ბზ. 298) — რატომ ვერ წაიღეო? როსტომ გეზალს დეშ ლა̈ხშად (ბქ.) — როსტომმა შვილს ვერ უშველა.

დოშდიშ იგივეა, რაც **დო̈შდიშ.**

დოშდუღ (-დჷღა̈შ ზს., -დჷღაშ ლშხ.), **დოშტუღ** (-ტჷღა̈შ) ლნტ. — მთვარე. მი მაკუჩ დოშდჷღა̈ ლიწედ (ბზ. 368) — მე მინდა მთვარის ნახვა. მიჟ ი დოშდუღ ჯიმილდაჩჷირ ლგმა̈რხ (ბქ. 309) — მზე და მთვარე და-ძმა ყოფილან. ბოლოკს ჯჷინელ დოშდუღჟი ლოქ ალა̄შიხ (ლშხ. ხორ. 6) — ბოლოკს ძველ მთვარეზე თესავენო.

დოხდო, დოხდოჲ იგივეა, რაც **დახდჷე̄ჲ.**

დოხოჲ იგივეა, რაც **დახჷდე̄ჲ.**

დოხჷდე იგივეა, რაც **დახ?დე̄ჲ.**

დო̈შდიშ, დჷეშდიშ (-დშიშ) ბზ., **დეშდიშ** (-დშიშ) ბქ., **დოშდიშ** (-იშ) ლშხ., **დჷეშტიშ** ლნტ. — ორშაბათი. დჷეშდიშ

ცაგა̈რს იქჩე მა̈გ (ბზ. 18) — ორშაბაის ეკლებს 'ი'ჭრის ყველა. მი დე̄შდიშ ოდჸი ქალა̈ქთე (ბქ.) — მე ორშაბაის წაველი ქალაქში. ალაბგნლო დოშდი ძინარს ხა̈ჲშხა თჸეთჸნე დოშდიშ (ლშხ. 20) — ალების მომდევნო ორშაბათის დილას თეთრი ორშაბათი ეწოდება.

დო̄მ'ა' იგივეა, რაც **დე̄მ.**

დო̄მთე იგივეა, რაც **დე̄მთე.**

დო̄მნოჸშ ბზ., ლშხ., **დემნოშ** ბქ., **დემნოჸშ** ლნტ., უ ა რ ყ. ზ მ ნ ზ. — არაფრით. ალის საშჸელ დო̄მნოჸშ ხოჴდენი (ლშხ. 10) — ამას არაფერი შველის (საშველი არაფრით არ მოსდის).

დო̄მხა̈ნ ბზ., **დემხენ** ბქ., **დო̄მხენ დე̄მხენ** ლშხ., **დემეხ'ენ'** ლნტ., უ ა რ ყ. ზ მ ნ ზ. — არსაიდან. ამსჸა̄ლდა̈ ლაჴა̈დ დო̄მხა̈ნ ლესჸ (ბზ. 281) — ადამიანის მოსასვლელი არსაიდან იყოს.

დო̄რ ბზ., ლშხ., უ ა რ ყ. ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ. — არავინ. მიჩ დედე̄ მე̄ქჸე̄სგ დო̄რ ხაყა (ბზ. 407) — მე დედის მთქმელი (დედა რომ მითხრას) არავინ მყავსო. ქა ლოქ დო̄რ ხეწეს ნა̄შგეჲს სეგდა̄ჲსა (ლშხ. 7) — არავინ ნახოს კასრში ნაწველიო. იხ. **და̈̄რ.**

დო̄რი̄ ლშხ., **დორიჲ** ლნტ. — თუ არა, არადა. დო̄რი̄ ქა̄ჸ ეთყაჩხ (ლშხ. 59) — თუ არადა მოემეთო. მახჸში ლი ბაბა, ალჸე ეჯი ჩჸა̈რი ლჸჸა̈რ, დორიჲ-მამა (ლნტ. 19) — უფროსი არის ბაბუა, თუ ის ცოცხალია, თუ არა და მამა.

დო̄სა ბზ., ლშხ., **დოსა** ლნტ., უ ა რ ყ. ნ ა წ ი ლ. — არა. არ. იმღა დო̄სა მირი ლეღჸნე ჯგმილ? (ბზ. 378) — რატომ არა მყავს საფიცარი ძმა? ლა̄შჴჸრ ლოქ დო̄სა იშჸში ჩჸ იჸალადეღ (ლშხ. 5) — ცხენისწყალი („ლაშხურა“) არ შრება არასოდესო. შდრ. **დე̄სა.**

დო̄სამა ბზ., ლშხ., უ ა რ ყ. ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ. — არაფერი. ხა̄ჸყიდხ... ერ დო̄სამა ლგმთხო̄ლ ჲადჸრდ (ლშხ. 30) — ახსოვთ, სულ რომ არაფერი იმოვებოდა.

დო̄სგ'დ', **დო̄სდ** ბზ., ლშხ., **დოსდ** ბქ., **დოსკ** ლნტ., ზ მ ნ ზ. — ადრე. თანფა̈ ცა̈̄შ ეშხჸ ზჸრა̄ლ დო̄სგ იგნა̈̄ლ (ბზ. 19) — აღდგომის ხუთშაბათს ერთი ქალი ადრე დგება. ჰამს დო̄სდ ანჴა̈დ ხელწიფხ (ბზ. 445) — დილას ადრე მოვიდა ხელმწიფე. ლიჴნი დოსდ ა̈ხჸბინედ (ბქ.) — ხვნა ადრე დავიწყეთ. მე̄ჸარ დო̄სგ იგნა̄ლხ ზჸრა̄ლე̄ლ (ლშხ. 5) — ქალები ძალიან ადრე დგებიან. ა̈მეჴედ ძინა̈რს დოსკ ალ ჰყინტ (ლნტ. 246) — ეს ვაჟი დილას ადრე მოსულა.

დო̄სდ იგივეა, რაც **დო̄სგდ.**

დო̄ჸ'ე' ბზ., **დო̄ჸ** ლშხ., **დო'ღ'ჸე** ბქ., **დოჸ** ლნტ. — ვაითუ, იქნებ. საბლჸ ბჸზჸლა̈რ, დო̄ჸე ჯა̈იდგნდახ (ბზ. 181) — საბრალო ფუტკრებო, იქნებ გშიათ. დოღჸე მოლეგეშ ოლჩემნელასჸნ სოფელისგა (ბქ.) — ვაითუ რაღაცა მოხდა სოფელშიო. დო̄ჸ ლოქ ლგდგარ ე̄სა ლესეს ი ამშა ღედ ხა̄და (ლშხ. 69) — ვაითუ მკვდარი იყოსო და ამისი დარდი ჰქონდა. დოჸ ლოქ ეს მიჩა ჰა̈შდ ა̈ნგა̈ილებე ი ეჩქას ჩჸ ლოქ ადგა̈რი (ლნტ.) — ვაითუ ჩემმა ქმარმა გაიგოს და მაშინ მომკლავსო.

დრამ ბზ., **დრამდ** ბქ., ზ მ ნ ზ. 1. ბზ. ერთიანად. როსტომ შიშდ ჩჸესფიშჸდ დრამ ზჸრაბდ (ბზ. 233) — როსტომი მალე ერთიანად წააქცია ზურაბმა. 2. ბქ. მუდა̈მ, განუწყვეტლივ. დრამდ იწრა̈ლ (ბქ.) — განუწყვეტლივ ივინება.

დრეჸ იგივეა, რაც **დჸრეჸ.**

დროჲ იგივეა, რაც **დჸრეჸ.**

დრო̈ჸ იგივეა, რაც **დჸრეჸ.**

დუმა̈ჲ (-იშ, -ა̈რ) ბზ., **დუმა̈** (-იშ, -მაუ ბქ., -ჲშ, -ჲა̈რ ლნტ.), **დუმაჲ** (-მა̄ჲშ, -არ) ლშხ. — დუმა. თჸეთნე ლოლჲაქს ხოშა დუმა̈ჲ ხა̄დ (ბზ. 57) — თეთრ ცხვარს დიდი დუმა ჰქონდა. ალის თხერად ქა ლოხკჸარა დუმა̈ (ბქ. 66) — ამას მგლისათვის დუმა მიუგდია.

დუმეყ იგივეა, რაც **დომეყ.**

დუსა̈რ იგივეა, რაც **დჸისჸ.**

დუხჸ (-იშ, -ა̈რ) ზს., **დუხ** (-არ ლშხ., -ა̈რ ლნტ.) — ყოჩი, ერკემალი. ლოლჲა̄ქა̈რს დუხურ მა̄მ ხაყახ, ადო ჰა̈რიდ სედნიხ (ბზ.) — ცხერები უყოჩოდ არ ვარგა, თორემ ბერწად (ცარიელად) დარჩებიან.

დჸ̈ს იგივეა, რაც **დჸისჸ.**

დჸერი (-ჲშ, —) ლნტ. — მდორე. დჸე-

რიდ ა̈სღრი ლიც (ლნტ.) — მდორედ მიდის წყალი.

დჳეშდიშ იგივეა, რაც **დო̈შდიშ.**

დჳეშტიშ იგივეა, რაც **დო̈შდიშ.**

დჳისჳ, დჳ̈ს, დუსა̈რ (-იშ, —) ზს, **დუსჳრ** ლშ., ლნტ. — თირთეილი, ჭირხლი. დაბს დჳისჳ ხასდ (ბქ.) — ყანას თირთეილი ედო. დუსორ ესდე ჩჲა̄გ (ლშხ.) — ჭირხლი დადო ყველგან.

დჳრეჳ, დრო̈ჳ, დრეჳ (-იშ, —) ზს., **დროჲ** (-იშ, —) ლშხ., **დროჸ, დჳრე, დრო̈** ლნტ. — დრო. ამ დჳრეჳს მა̈ნკჳი̄ ხეხჳმი ჯგმილდ მიშგჷა მუ ჩჳადგა̈რ (ბზ. 23) — ამ დროს პირველი ცოლის ძმამ მამაჩემი მოკლა. ამ დრო̈ჳყი ჩჳაქჳა̈ც ლიშია̈ლ (ბზ. 119) — ამ დროს შეწყდა ომი. ამ დრეჳყი̄ნ ანჴა̈დ ლჳაჭრი გეზალ (ბზ. 444) — ამ დროს მოვიდა ვაჭრის შვილი. ბეჩჳია̈შ ფუსდ ლგმა̈რლი აშხჳ დრო̈ჳყი სორთმან (ბქ. 13) — ბეჩოს ბატონი ერთ დროს სორთმანი ყოფილა. ჯჳინელ დროჲყი ხოჭვშირა ხახლჷნა ნადირ (ლშხ. 8) — ძველ დროის უფრო მეტი ნადირი სცოდნია. ა̈მეჩედ დრო̈ (ლნტ. 278) — გასულა დრო. ზა̈ ყჳელენი ჳოშთხჳ დჳრედ (ლნტ. 40) — წელიწადი იყოფა ოთხ დროდ.

დღჳლ (-იშ, —) ბზ., ლშხ., **დღულ** (-იშ, —) ბქ., ლნტ. — შხუილი (რძისა...). ლა̄შგეჲყი̄ნ ესერ დღჳლ ნო̄სა̄ჳ ლახსიმნე (ბზ. 250) — მოწველისას შხუილი არ მომასმენინოო. დღჳლ-დღჳლ ნო̄სა ახკიდჳნა (ბზ. 140) — შხუილ-შხუილი არ გააღებინო.

დგბჷი იგივეა, რაც **დგბჷგ.**

დგბჷგ (-ი̄შ, -ა̈რ) ბზ., (-ა̈შ, -ა̈რ) ბქ., **დგბჷი** (-ა̈შ, -ა̈რ) ლხმ. 1. მდარე. დგბჷგ ჰარა̈ყ (ბზ.) — მდარე არაყი. 2. გამოლენჩებული, უსიცოცხლო, მოუქნელი ადამიანი. დგბჷი ამსოლდ ჳეთხმა̈ლშალ ლეზხა̈ლი ესერ ლი (ანდ.) — მოუქნელი ადამიანი პირუტყვივით გასადენიაო.

დჷგე იგივეა, რაც **დიგე.**

დგთხელ (ხოდთხელა, მა̈დთხელე ბზ., ხოდგთხელა ლნტ.) — თხელი. დადად დგთხელ გაგ ანჩჳმინ (ბქ.) — დედაბერმა თხელი ფაფა გააკეთა. მეჩხფა ქჳინლგმგენა დგთხელ ესერ ზისხ ხოგ (ბქ.) — გამხდარ საქონელს თხელი სისხლი აქვსო (უდგასო). ალას დგთხელ ბალარ ხა̄რ (ლშხ. ხორ. 23) — ამას თხელი ფოთლები აქვს. ლაჳა̈შ დგთხელ დია̈რ ლი (ლნტ. 33) — ლავაში თხელი პურია. მიშგუ მუდ ხოდთხელა ფიცა̈რ ა̈ნყიდ (ბზ.) — მამაჩემმა უფრო თხელი ფიცარი იყიდა.

დგრ[1] (-იშ, -ა̈რ) ბქ., ლნტ., **დგ̆რ** (-ალ) ლშხ. — დერიტა, კვეთი (ლორის ან ხბოს დამარილებული და გამხმარი მაჭიკი, რომელსაც იყენებენ კვეთის დასამზადებლად). დგრ ლაფრას მისდ (ბქ.) — მაჭიკი გასახმობად მქონდა. ეჯის ხოჩა დგ̆რ ხაწგხ (ლშხ.) — იმას კარგი დერიტა სჭირდება. შდრ. **ბალე**[3]

დგრ[2] იგივეა, რაც **დი̄რ**[1].

დგტ იგივეა, რაც **ტგტ.**

დგ̆რ იგივეა, რაც **დგრ**[1]

ე

ე[1] იგივეა, რაც ჱე[1].

ე[2] ბქ., ლნტ., გამარტივებული **ერ(ე)** — რომ. კალუ მიჩეუშუ ჩუ ე იკლაუიდეს, ეჩქას მა გუიჰინდა (ბქ.) — კალო თავისით რომ ილეწებოდეს, მაშინ რა გვიჭირდა. მა ლოქ ხოცხა ე(ერ) ჰსეუჰდენს? (ლნტ. 264) — რა ურჩევნიაო, რომ დაებედოს? იხ. **ერე**

-ე-[3] ორპირიანი ზმნების ვნებითი გვარის პრეფიქსი, დაისმის ზმნის ფუძის წინ, პირის ნიშნის შემდეგ. ხელჟირიჲლ ი ხეფრებჲლ... (ბზ. 311) — ეცოდება და ეფერება. მჲდილუ ხერიხ (ბქ. 8) — მადლიმც გექნებათ. ლახ ჱს ხეზგუნი მჲლე... (ლშხ. 15) — თუ ვინმეს რამე ეტკინება. ეჯმინს ხელჲტიხ უშხუჲრე თხუიმ (ლნტ. 48) — იმათ უყვარდებათ ერთმანეთი.

-ე[4] ზმნის თემის ნიშანი აწმყოში (ჩვეულებრივ, გარდამავალ ზმნებთან). გიერგი კჲდას აშერე (ბზ. 25) — გიორგი ნაჯახს ლესავს. შიყს ხჲხლინე [ლემასგუ]... (ბქ. 14) — ცეცხლს მურგს უშვერს. ზურჲლ აჭთუნე ამხუარს (ლშხ.) — ქალი მგრებს წყველის. დედე ლაყურას აფთხგნე (ლნტ.) — დედა ლოგინს (საწოლს) ფერთხავს.

-ე[5] ნამყო ძირითადის სუფიქსი ერთი ტიპის ზმნებში. ალექსანდრედ ქჲნთირნე რჲშ (ბზ. 9) — ალექსანდრემ რაში გამოათრია. სეგზდ უცხჲრ... ანფგთხნე (ბზ. 11) — სევმა მსხლები დაბერტყა. დჲნად ნეპჲლ ედგრმე (ლშხ.) — გოგომ ჩიტი დაიჭირა. კუაპად ადარიკჲლე დაჰჲრ (ლნტ. 129) — კეაპამ თხები გარეკა.

ე[6] ბქ., ლნტ. გამარტივებული **ეჯი** ნაცვალსახ., — ის. ე მუწური მიჩა თხუმ ეჲნური ქჲთნა (ბქ. 288) — ის შურისმაძიებელი თავის თავს უიმისოდაც გამოაჩენდა. ე ლამოქშალად ათოჰიდხ რჲშუი გეზალ ხენწიფს (ლნტ. 295) — იმ ქეისლებმა ხელმწიფეს მიუყვანეს რაშის შვილი.

ე იგივეა, რაც ჱე[2]

ხ-ეაუდარ იგივეა, რაც **ხ-ეჱჲუდჲრ.**

ხ-ეაფხჲნიკ იგივეა, რაც **ხ-ემფხჲნგი**

ხ-ეჲლ იგივეა, რაც **ხ-ეჱოლი.**

ებ იგივეა, რაც **ჱებ.**

ხ-ებჲთქი იგივეა, რაც **ხ-აბთქი.**

ხ-ებგუენი, ხ-ეგუბენი (ჲმბჲგუ||ჲმგუჲბ, ჲხბჲგუ||ჲხგუჲბ; ჲხბეგუნი||ჲხგუებნი) ბზ., გრდუვ. — წა'აწყდება („ეპოვება"). ჰყინტს ჲხბჲგუ კჲლ (ბზ. 392) — ბიჭი გასაღებს წააწყდა („ბიჭს გასაღები ეპოვა"). ლემესგ ესერ დჱსა ახგუება (ბზ. 348) — ცეცხლს ეერ წაეაწყდიო.

ხ-ებდინი (ჲმბიდდა, ჲხბგდ; ჲხბიდნი ბზ., ემბიდდა, ეხბიდდა; ეხბიდნი ლშხ., ჲმებიდდა, ჲხებიდდა, ჲხებიდნი ლნტ.) გრდუვ. — ცეცხლი ეკიდება. ზექი ხორეუს ყჲხბგდდა (ბზ. 321) — შეშის გროვას ცეცხლი წაეკიდა. ყჲხებიდნან აწოლს (ლნტ. 316) — მეინც ცეცხლი წაეკიდა.

ხ-ებენდი იგვეა, რაც **ხ-ებონდი.**

ხ-ებერგი (ლოხბურგენ, ლჲხბურგან., ლჲხბურგი) ბქ., **ხ-ებორგი** (ლოხბორგენ, ლეხბორგჲნ; ლეხბორგი ლშხ., ლჲხუებორგენ, ლჲხებორგან; ლჲხებორგი ლნტ.), გრდუვ. — ხელს ჰკიდებს, ხელს აელებს. ლჲხბგრგან [ალი] უოქრჲშ ლუსდგუჲრს (ბქ. 46) — ამან ჩაავლო ხელი ოქროს ნაწნავებს. მჲგ სკა ხებორგიხ ლჲრტყისა (ლნტ. 44) — ყველანი ქამარში ჩაავლებენ ხელს.

ხ-ებერენი იგივეა, რაც **ხ-ებრენი**

ხ-ებზი (ესუბიზჲნ, ესბიზჲნ; ესბიზი ბზ., ესუბიზენ, ესბიზან; ბქ., ოსბიზენ, ესბიზჲნ; ესბიზი ლშხ., ჲსუებიზენ, ჲსებიზან; ჲსე-

ბიზი ლნტ.) გ რ დ უ ვ. — 'და'აძლება, 'მი'აძლება. ალღა̈რ ყიღ ესბიზა̈̄ნხ [ფა̈ტჷს] (ბზ. 285) — ესენი დააძლნენ კიდეც ფეტვს. საბრალ, შომ'ესერ ხაკვრქა, ეჩქას ესბიზენა (ანდ.) — საბრალო, როცა ეშოვა, მაშინ მისძლომიაო. მაულ თა̈'შს ყ'ა̈სებიზან (ლნტ. 192) — მელა ყველს დააძლა.

ხ-ებიდ (მებიდდა, ხებგდდა; ხები̄დ-დე̄დს ბზ., ხებიდდა, ხებიდდეს ქს., მებგდ, ხებგდ; ხებგდეს ბქ.) გ რ დ უ ვ. — ცეცხლი უკიდია. ხებიდ ქჷეყანას (ბქ. 98) — ქვეყანას ცეცხლი უკიდია.

ხ-ებირგიელ იგივეა, რაც **ხებგრგღე̄ლ.**

ხ-ებიშდი[1] იგივეა, რაც **ხ-ები̄ში**[1].

ხ-ებიშდი[2] იგივეა, რაც **ხ-ებში.**

ხ-ები̄შდი იგივეა, რაც **ხ-ებში**[1].

ხ-ები̄ში (ა̈მბიშა̈̄ნ, ა̈ხბიშა̈̄ნ, ა̈ხბი̄ში) ბზ., **ხ-ებიშდი**[1] (ა̈მბიშდან, ა̈ხბიშდან; ა̈ხბიშდი) ბქ., გ რ დ უ ვ. — 'წა'ერთმევა. მახე კალონშჷ კულაკა̈რს გგმა̈̄რს ჩჷა̈ხბიშა̈̄ნხ (ბზ.) — ახალი კანონით კულაკებს მიწა ჩამოერთმევათ (წაერთმევათ).

ხ-ებლაჯი იგივეა, რაც **ხ-ებლა̄ნჯი**

ხ-ებლა̄ჯი (ოთბლა̄ჯა̈ნ, ა̈თბლა̄ჯა̈̄ნ; ა̈თბლა̈̄ჯი ბზ., ოთბლა̄ჯენ, ეთბლა̄ჯა̈ნ; ეთბლა̄ჯი ლშხ.), **ხ-ებლაჯი** (ა̈თჷებლაჯენ, ა̈თებლაჯან; ა̈თებლაჯი) ლნტ., გ რ დ უ ვ. — 'ჩა'აციელდება. დენა სკა̈თებლაჯან, ერე მოჯამა̈გირდ ასოგენანხ (ლნტ. 243) — ქალიშვილი ჩააციედა, რომ მოჯამაგირედ დაეყენებინათ.

ხ-ებონდი იგივეა, რაც **ხ-ებო̄ნდი.**

ხ-ებორგი იგივეა, რაც **ხ-ებერგი.**

ხ-ებორგიელ იგივეა, რაც **ხ-ებგრგღე̄ლ.**

ხ-ებო̄ნდი (ა̈მბო̄ნდა̈̄ნ, ა̈ხბონდა̈̄ნ; ა̈ხბო̈̄ნდი ბზ., ლემბო̄ნდა̄ნ, ლეხბო̄ნდა̄ნ; ლეხბო̄ნდი ლშხ.), **ხ-ებენდი, ხ-ებონდი** (ლა̈მბონდან, ლა̈ხბონდან; ლა̈ხბენდი ბქ., ა̈მებონდან, ა̈ხებონდან; ა̈ხებონდი ლნტ.), გ რ დ უ ვ. — ეწვება, ეკვრება. [ალი] ყი ხებო̄ნდი მა̄რას ლერქჷალყი (ლშხ. ხორ. 6) — ეს კაცი მიეკვრება განსაცმელზე. ხოლამდ ლა̈მებონდან ჰიშხარყი (ლნტ.) — ცუდად მომეწება ფეხებზე.

ებრა იგივეა, რაც **ჰებრა.**

ხ-ებრენი (ა̈მბა̈რ, ა̈ხბა̈რ; ა̈ხბერნი ბზ., ა̈ხბარ ბქ., ემბარ, ეხბარ; ეხბერნი ლშხ.), **ხ-ებერენი** (ა̈მებარ, ა̈ხებარ; ა̈ხებერენი) ლნტ., გ რ დ უ ვ. — აკლდება. ეშხუ კაკლი̄დი̄ დო̄სა ა̈თბერს (ბზ. 338) — ერთი მარცვალიც არ დააკლდეს. ჩილა̈დლიშ ნამშაჷს ჩილა̈დლიშ დია̈რ ესერ ხებრენი (ანდ.) — ყოველი დღის ნაშრომს ყოველი დღის პური აკლდებაო.

ხ-ებჷრლჷი (ა̈მბჷრლჷან, ა̈ხბჷრლჷან: ა̈ხბჷრლჷი) ბქ., გ რ დ უ ვ. — 'გა'მოსდის. 'გა'მოედინება. სი ეჩექა ჯებჷრლჷი ზისხ (ბქ. 101) — შენ იქიდან სისხლი 'გა'მოგდის.

ხ-ებჷრჯიე̄ლ (—, ლახბჷრჯიელე; ლახბჷრჯიელნე) ლშხ. **ხ-ებჷრჯიელ** (—, ლახაბჷრჯიელე; ლახაბჷრჯიელი) ლნტ. — რქენს. ჯანარ ჷშხჷა̄რ ხებჷრჯიე̄ლხ (ლშხ.) — ხარები ერთმანეთს რქენენ. გჷშკჷე ჯა̈ნ დემ ხებჷრჯიელ ჯანა̈რს (ლნტ.) — ჩვენი ხარი არ რქენს ხარებს. იხ. **ხ-ეჩი̄შდღე̄ლ.**

ხ-ებჷ̄რი (ა̈მბჷრა̈̄ნ, ა̈თბჷრა̈̄ნ., ა̈თბჷრი ბზ., ამბჷრან, ათბჷრან; ა̈თბჷრი ბქ., ემბჷრა̄ნ, ეთბჷრა̄ნ; ეთბჷრი ლშხ.), **ხ-ებრელი** (ა̈მებრელან, ა̈სებრელან; ა̈სებრელი) ლნტ., გ რ დ უ ვ. — უღამდება, უბნელდება. შჷკჷყი ჩჷა̈თბჷრა̈̄ნხ (ბზ. 370) — გზაზე შემოაღამდათ. იხ. **ხ-ელე̄თი.**

ხ-ებლა̄ნჭჷნა̈̄ლ (ლახჷბლანჭჷნა̈̄ლ. ლახბლა̄ნჭჷნა̈̄ლე; ლახბლანჭჷნა̈̄ლი) ბზ., **ხ-ებლა̄ნჭჷნა̄ლ** (ლოხბლა̄ნჭჷნა̄ლ, ლახბლა̄ნჭჷნა̄ლე; ლახბლა̄ნჭჷნა̄ლნე) ლშხ., **ხ-ებლანჭჷნა̈ლ** (ლახჷაბლანჭჷნა̈ლ, ლახაბლანჭჷნალე; ლახაბლანჭჷნალი) ბქ., ლნტ., გ რ დ უ ვ. — ებღაუჭება. ბაბა დი̄რს ხებლა̄ნჭჷნა̈̄ლ (ბზ. 422) — პაპა დირეს ებღაუჭება.

ხ-ებში[1] (ა̈ხჷბიშდ, ა̈ხბი̄შდდა; ა̈ხბიში) ბზ., **ხ-ებიშდი**[2] (ა̈ხჷბიშდ, ა̈ხბიშდიჷ, ა̈ხბიშდი) ბქ., **ხ-ები̄შდი** (ოხბი̄შდ, ეხბი̄შდდა. ეხბი̄შდი) ლშხ., გ რ დ უ ვ. — ართმევს. ეჯა ბეფშს ა̈ხბი̄შდდა ჷისგჷს (ბზ.) — მან ბავშვს ვამლი გამოართვა. თხერე დინილს ყინღგლდს ქა ლა̈ხბიშდიჷ (ბქ. 230) — მგელი გოგონას კრავს ართმევდა.

ხ-ებში[2] (ლა̈მბიშა̈̄ნ, ლა̈ხბიშა̈̄ნ; ლა̈ხბიში ბზ., ემბიშა̄ნ, ეხბიშა̄ნ; ეხბიში ლშხ.). გ რ დ უ ვ. — 'მი'ეწოდება, ეძლევა (ხელებში).

გჳიზ ლა̈მბიშა̈ნ შია̈რთექა (ბზ.) — ჩიჩილაკი მოპაწოდეს (მომეწოდა) ხელებში.

ხ-ებგრგჲე̄ლ (ლა̈ხჳბგრგჲე̄ლ, ლა̈ჲ-ბგრგჲე̄ლე; ლა̈ჲბგრგიე̄ლნე) ბზ., **ხ-ებურ-გელ** (ა̈ხჳბურგალ, ახბურგალ; ა̈ხბურგა̈ლი) ბქ., **ხ-ებგრგიელ** (ლოხბგრგიელ, ლახბგრ-გიელე; ლახბგრგიელნე) ლშხ., **ხ-ებორგიელ** (ლახჳაბორგიელ, ლახაბორგიელე; ლახა-ბორგიელი) ლნტ., გ რ დ უ ვ. — ეჭიდავება. ჲალ-ჳე ქოლჳ ა̈ხბურგალ! (ბქ. 254) — აბა, დაეჭი-დეო! ჭყინტა̈რ უშხჳა̈რ ხებორგიელხ (ლნტ.) — ბიჭები ერთიმანეთს ეჭიდავებიან.

ხ-ეგანგა̈ჩიელ იგივეა, რაც **ხ-ეგგნგა̈̄ჩჲე̄ლ.**

ხ-ეგბენი (ა̈მგა̈ბ, ოთგა̈ბ‖ა̈თგა̈ბ; ა̈თგებ-ნი ბზ., ემგაბ, ეთგაბ; ეთგებნი ლშხ.), **ხ-ეგე-ბენი** (ა̈მეგაბ, ა̈თეგაბ; ა̈თეგებენი) ლნტ., გ რ დ უ ვ. — ელრძობა. ფოყ ქა̈თგა̈ბ [მგლგნ-ტეხს] (ბზ. 5) — ლენტეხელს თვეში ელრძო. კო-ლონს... გაგადა ქა̈თეგაბ (ლნტ. 120) — კოლოს ყბა ელრძო.

ხ-ეგდანი იგივეა, რაც **ხ-ეგდა̈̄ნი.**

ხ-ეგდა̈̄ნი (ლა̈მგადა̈ნა̈ნ, ლა̈ხგადა̈ნა̈ნ; ლა̈ხგადა̈̄ნი) ბზ., **ხ-ეგდანი** (ლა̈მგადნან, ლახგადნან; ლა̈ხგადნი) ბქ., გ რ დ უ ვ. — ეალში ვარდება, ეალი ედება. ხჳა̈ჲ გადან ლახგადა̄-ნენა [მა̄რა] (ბზ. 439) — კაცს ბევრი ეალი და-სდებია.

ხ-ეგებენი იგივეა, რაც **ხ-ეგბენი.**

ეგებს იგივეა, რაც **ა̈ნიგებას.**

ხ-ეგენი იგივეა, რაც **ხ-ჷგნი.**

ხ-ეგერშლი იგივეა, რაც **ხ-ეგჳშილი.**

ხ-ეგნი იგივეა, რაც **ხ-ჷგნი.**

ხ-ეგოშლი იგივეა, რაც **ხ-ეგჳშილი.**

ხ-ეგჳა̈̄ნე (ესჳგჳა̈̄ნ, ესგჳა̈̄ნე; ესგჳა̈̄ნ-ნე) ბზ., **ხ-ეგჳანე** (ესჳგჳა̈ნ, ესგჳანე; ეს-გჳანნე) ბქ., **ხ-ეგჳა̄ნე** (ოსგჳა̄ნ, ესგჳა̄ნე; ესგჳა̄ნნე) ლშხ., გ რ დ მ. — დასტირის. ალ ბაჩ-ჳეი ჩი ლადელ ხელწიფხეშ... ხეხჳ ხეგჳანე (ბქ. 60) — ამ ქვას (ქვაზე) ყოველდღე ხელმწი-ფის ცოლი დასტირის.

ხ-ეგჳბენი იგივეა, რაც **ხ-ებგჳენი.**

ხ-ეგჳერშლი იგივეა, რაც **ხ-ეგჳშილი.**

ხ-ეგჳეწენი იგივეა, რაც **ხ-ეგჳწენი.**

ხ-ეგჳიანი (ა̈მგჳიანა̈ნ, ა̈თგჳიანა̈ნ; ა̈თ-გჳია̈ნი ბზ., ა̈მგჳიანან, ა̈თგჳიანან; ათგჳია̈-ნი ბქ., ემგჳიანა̄ნ, ეთგჳიანა̄ნ; ეთგჳიანი ლშხ.), **ხ-ეგჳია̈ნი** (ა̈მეგჳიანან, ა̈თეგჳიანან; ა̈თეგჳია̈ნი) ლნტ., გ რ დ უ ვ. — უგვიანდება. ლა-ხორ'ს' ლოქ ხეგჳია̈ნიხ (ლნტ. 59) — საკრე-ბულოში აგვიანდებაო (უგვიანდებათო).

ხ-ეგჳშილი (ა̈მგო̈შლა̈̄ნ, ა̈ხგო̈შლა̈̄ნ; ა̈ხგო̈შლი ბზ., ემგოშლა̄ნ, ეხგოშლა̄ნ; ეხგოშ-ლი ლშხ.), **ხ-ეგჳერშლი, ხ-ეგორშლი, ხ-ეგერშლი** (ამგჳერშლან, ა̈ხგჳერშლან‖ახგორშლან; ახგჳერშლი) ბქ., **ხ-ეგოშლი** (ა̈მეგოშლან, ა̈ხეგოშლან; ა̈ხეგოშლი) ლნტ., გ რ დ უ ვ. — ევსება. ლა̈შდჳს ჳიშკჳ ყ'ა̈ხგორ-შლან (ბქ.) — დათვს პირი გაევსო.

ხ-ეგჳწენი (ოთეგჳწ, ა̈თგჳა̈წ; ა̈თ-გჳეწნი ბზ., ოთჳეგჳწ, ა̈თგჳაწ; ათგეწნი ბქ., ოთეგჳწ, ეთგჳაწ; ეთგჳეწნი ლშხ.), **ხ-ეგჳეწენი** (ა̈თჳეგჳწ, ა̈თეგჳაწ; ა̈თეგჳე-წენი) ლნტ., გ რ დ უ ვ. — 'უ'ძვრება. მარე სკა-თაგჳეწა შტიმხენ რა̈შჳს (ლნტ. 280) — კაცი შესძრომია რაშს ყურიდან.

ხ-ეგცხადი იგივეა, რაც **ხ-ეგცხა̈დი.**

ხ-ეგცხა̈დი (ა̈მგაცხდა̈̄ნ, ა̈ხგაცხდა̈̄ნ; ა̈ხ-გაცხდი ბზ., ამგაცხდან, ახგაცხდან; ახგაცხდი ბქ.), **ხ-ეგცხადი** (ემგაცხდა̄ნ, ეხგაცხდა̄ნ; ეხ-გაცხდი) ლშხ., **ხ-ეცხა̈დი** (ა̈მეცხადან, ა̈ხეცხა-დან; ა̈ხეცხადი) ლნტ., გ რ დ უ ვ. — ეცხადება (გამოეცხადება). ხელწიფს ქა̈ხგაცხდა̈̄ნ ა̈ნ-გლო̈ზ (ბზ. 299) — ხელმწიფეს ანგელოზი გამოეცხადა.

ხ-ეგგნგა̄ჩჲელ იგივეა, რაც **ხ-ეგგნგა̈̄-ჩჲელ.**

ხ-ეგგნგა̈̄ჩჲე̄ლ (ლახჳგგნგა̈̄ჩჲელ, ლახ-გგნგა̈̄ჩჲე̄ლე; ლახგგნგა̈̄ჩჲე̄ლი) ბზ., **ხ-ეგგნგა-ჩელ** (ლა̈ხჳგგნგაჩელ, ლახგგნგაჩელე; ლახ-გგნგაჩელისგ) ბქ., **ხ-ეგგნგა̄ჩჲელ** (ლოხგგნ-გა̄ჩჲელ, ლახგგნგა̄ჩჲელე; ლახგგნგა̄ჩჲელნე) ლშხ., **ხ-ეგანგა̈ჩიელ** (ლახჳაგანგა̈ჩიელ, ლა-ხაგანგა̈ჩიელე; ლახაგანგა̈ჩიელი) ლნტ., გ რ დ უ ვ. — ეჩიჩინება. მა̄რა̈̄ლ ხეგგნგა̈̄ჩჲე̄ლხ [ალ ზურა̄ლს] (ბზ. 313) — კაცები ეჩიჩინებიან ამ ქალს. ხჳა̄ჲხან ლახგგნგა̄ჩჲელე დედელ

ბოგშარს (ლშ.) — დიდხანს ეჩიჩინა დედა ბავშვებს.

ხ-ეგჷნცელ იგივეა, რაც **ხ-ეგჷნცა̈ლ.**

ხ-ეგჷნძა̄ლ იხ. **ხ-ოძგნძა̈ლი.**

ხ-ეგჷრხა̈ნი იგივეა, რაც **ხ-ეძგრხა̈ნი.**

ხ-ეგჷნცა̈ლ (ლოხუგჷნცა̄ლ, ლახგჷნცა̄ლე; ლახგჷნცა̈ლი) ბზ., **ხ-ეგჷნცა̈ლ, ხ-ეგჷნცელ** (ლოხუგგჷნცა̈ლ, ლახგჷნცალე; ლა̈ხგჷნცა̈ლი) ბქ., **ხ-ეგჷნძა̄ლ** (ლოხგჷნძა̄ლ, ლახგჷნძა̄ლე; ლახგჷნძა̄ლნე) ლშ., **ხ-ეგჷნძა̈ლ** (ლახუაგგჷნძა̈ლ, ლახაგგჷნძალე; ლახაგგჷნძალი) ლნტ., გრდუვ. — ექაჩება, ეწევა, ემიდება; ეჯაჯგურება. და̈უ ხეგჷნცა̈ლ ცხემა̈ლს (ბზ. 249) — დევი მშვილდს ემიდება. ხეგჷნძა̈ლ ჟეღ მაულს (ლნტ.) — ექაჩება ძაღლი მელას.

ხ-ეგჷნძა̄ლ იგივეა, რაც **ხ-ეგჷნცა̄ლ.**

ედ იგივეა, რაც **ჰედ.**

ხ-ედარა̈ლ იგივეა, რაც **ხ-ედრა̈ლ.**

ხ-ედა̄უში იგივეა, რაც **ხ-ედა̈უში.**

ხ-ედა̈უში (ა̈მდა̄უშა̈ნ, ა̈თდა̄უშა̈ნ; ა̈თდა̈უში) ბზ., **ხ-ედა̄უში** (ემდა̄უშა̄ნ, ეთდა̄უშა̄ნ; ეთდა̄უში) ლშ., **ხ-ედუა̈ში** (ა̈მდაუშან, ა̈თდაუშან; ა̈თდაუში) ბქ., **ხ-ედაუში** (ა̈მედაუშან, ა̈თედაუშან; ა̈თედაუში) ლნტ., გრდუვ. — უფუჩდება, უშავდება. ჭანარს [ესერ] კი̄ნჩხარ ხედა̄უშიხ (ლშ. ხორ. 7) — ხარებს კისრები უფუჩდებათო. [ბუზულს] ჩუათადაუშა კინჩხ (ლნტ. 309) — ბუმს კისერი გაფუჩებია. იხ. **ხ-ეცუდი.**

ხ-ედგარი იგივეა, რაც **ხ-ედგა̈რი.**

ხ-ედგა̈რი[1] (ამდაგან, ათდაგან; ა̈თდაგრი ბზ., ამდაგან, ათდაგან; ა̈თდაგრი ზს., ამადაგან, ათადაგან; ა̈თედაგა̈რი ლნტ.), **ხ-ედგარი** (ამდაგა̄ნ, ათდაგა̄ნ; ეთდაგრი) ლშ., გრდუვ. — უკვდება. დი ლეგდ ოთგრდახ ი ჩუათდაგანხ (ბზ. 302) — დედა აეად გაუხდათ და მოუკვდათ. ეშხუ ზა̄ჲსა ეშხუ... ეთდაგრი... (ლშ. 11) — ერთ წელიწადში ერთი მოუკვდება. ალ დენაგეზალს ჩუათადაგარა დი (ლნტ. 300) — ამ ქალიშვილს დედა მოჰკვდომია.

ხ-ედგა̈რი[2] (ლამდაგა̈ნ, ლახდაგა̈ნ; ლა̈ხდაგრი ბზ., ლამდაგან, ლახდაგა̈ნ; ლა̈ხდაგრი ბქ., ლამადაგან, ლახადაგან; ლა̈ხედაგა̈რი ლნტ.), **ხ-ედგარი** (ლამდაგა̄ნ, ლახდაგა̄ნ; ლეხდაგრი) ლშ. — 'შემო'აკვდება. გეზალ ესერ ლახდაგრა (ბზ. 237) — შვილი შემოჰკვდომიაო (შემომაკვდაო). ეჯჲარ ლოქ ლახდაგრახ უშხუა̈რ (ლშ. 57) — ისინი ერთმანეთს შეჰკვდომიანო. ხელმწიფობა̈ ლა̈ღეშკალჟი უშხუა̈რ ლახადაგანხ (ლნტ. 227) — ხელმწიფობისათვის ცილაობაში ერთმანეთს შეაკვდნენ.

ხ-ედგენი (ლა̈მდა̈გ, ლა̈ხდა̈გ; ლა̈ხდეგნი ზს., ლემდაგ, ლეხდაგ; ლეხდეგნი ლშ.), **ხ-ედეგენი** (ლა̈მედაგ, ლა̈ხედაგ; ლა̈ხედეგენი) ლნტ., გრდუვ. — 'ა'ქრება. ამტყუა̈სგ ეჯ კოჯს ესერ ლახდეგა ისგა (ბქ. 311) — ვარსკვლავი იმ კლდეს მიაქრაო.

ედე ბქ., კავშ. — თუ არ, თუ არა. ამსოლდგდ ესერ ედე ა̈დმა̈დლი, მიჩ ესერ მაშედ მა̈ ხობცა (ბქ. 312) — ისე ადამიანმა თუ [არ] გაილო მადლი, თორემ მე რა შემიძლიაო.

ხ-ედეგენი იგივეა, რაც **ხ-ედგენი.**

ედთგრი იხ. **თირ, ხ-ათირ.**

ედთგ̄რან იხ. **თირ, ხ-ათირ.**

ედო, ადო ზს., **ოდო** ბქ., **ჲედო, ოდო** ლშ., **ედო** ლნტ., კავშ. — თორემ. ქაუ ხა̈ქუე. ედო ქა როქუ ხა̈შხი ლუსუა̈რს (ბზ. 436) — მიიხარი, თორემ ძუძუებს გამოგწევაო. ნოშ ამხირნა, ოდო ღური (ბქ.) — არ გამაბრაზო, თორემ წავალ. ქა ლოქუ ანჴიდხ, ედო შკურა̈ლ ლოქ ლი (ლნტ. 164) — გამოიყვანეთ, თორემ მორცხვიაო.

ედომ იგივეა, რაც **ჰედო̄მ.**

ედორი იგივეა, რაც **ჰედო̄რი.**

ედო̄მ იგივეა, რაც **ჰედო̄მ.**

ედო̄მა̄ჲ იგივეა, რაც **ჰედო̄რი.**

ედო̄რლუა̄ჲ იგივეა, რაც **ჰედო̄რი.**

ხ-ედრა̈ლ (ესუდარა̈ლ, ესდარა̄ლე; ესდარა̈ლ'ნე') ბზ., **ხ-ედრა̈ლ** (ოსდარალ, ესდარალე; ესდარა̈ლისგ) ბქ., **ხ-ედარა̈ლ** (ა̈სუედარალენ, ა̈სედარალან; ა̈სედარალი) ლნტ., გრდუვ. — უთვალთვალებს, უდარაჯებს. ლუაჰა̈რ ხედრა̈ლ ლედგა̈რიდ კამნი̄ლს (ბზ.

335) — ვაჟკაცი კამბილს მოსაკლავად უდარაჯებს.

ედჷრ იგივეა, რაც **ჰა̈დჷრ.**

ხ-ედჷწი (ა̈მდჷწა̈ნ, ა̈ხდჷწა̈ნ; ა̈ხდჷწი ბზ., ემდჷწა̈ნ, ეხდჷწა̈ნ; ეხდჷწი ლშ.), **ხ-ედუწი** (ა̈მდუწან, ა̈ხდუწან; ახდუწი ბქ., ა̈მედუწან, ა̈ხედუწან; ა̈ხედუწი ლნტ.), გრდუვ. — ეწელება, „'შე'ეძურწება". ათჷი ლეცჷმარ ტაბა̈გლეჟა ხოჩამდ ხედუწი (ბქ.) — ცხელი ელარჯი მაგიდაზე კარგად იწელება (ეწელება). ჯგლჸგთეჲსგა მოლე თეთნე ლახდუწან (ბქ. 30) — რემაში რაღაც შემოიძურწა („შემოეწელა").

ხ-ედჷა̈ში იგივეა, რაც **ხ-ედა̈̄ჷში.**

ედჳიდ იხ. **იჳდე.**

ხ-ეზა̈ზ (ლო̄ხჷეზზ||ლოხჷზაზა̈ნ, ლა̈ხზაზ||ლა̈ხზაზა̈̆ნ; ლა̈ხზა̈ზი) ბზ., **ხ-ეზზჷენი** (ლა̈ხჷეზზ, ლა̈ხზაზ; ლახზეზნი) ბქ., **ხ-ეზაზ'ი'** (ლოხზაზენ, ლეხზაზა̄ნ; ლეხზაზი) ლშ., **ხ-ეზა̈ზი** (ლა̈ხჷეზა̈ზენ, ლა̈ხეზაზან; ლა̈ხეზა̈ზი) ლნტ., გრდუვ. — ევებება. ხალო̄დ... ქა ლა̈ხზაზ დაჳა̈რს (ბზ. 307) — ხალოდი მიევება თხებს. ჟელ ბეჟანს ქა ლა̈ხზაზ (ბქ. 164) — ძაღლი ბეჟანს მიევება. [ჰჸინტს] ქა ლეხზაზა̄ნ მიჩა ჩა̄ჟ (ლშ. 75) — ბიჭს თავისი ცხენი მიევება.

ხ-ეზა̈ზი იგივეა, რაც **ხ-ეზა̈ზ.**

ეზა̈რქა, ეზა̈რხა̈ნს ზს., **ეზარხანს** ლშ., **ეზერხოქა** ლნტ., ზმნზ. 1. კარგა ხანს; დიდხანს. ეზა̈რქა იშდრა̈̄ლხ ბოფშა̈რ (ბზ.) — ბავშვები დიდხანს თამაშობდნენ. ეზერხოქა ხოღელდად ბაბას (ლნტ.) — პაპას კარგა ხანს ველოდით. 2. საკმაოდ კარგად; საკმაოდ შორს. ბარჭალშერს ეზა̈რქა ხადხ ეჩქას (ბქ.) — ბარჭალაანთ საკმაოდ კარგი მდგომარეობა ჰქონდათ მაშინ. ეზერხოქა ა̈მეჩედხ (ლნტ.) — საკმაოდ შორს წასულან. — 3. დროზე, კარგ დროს. ეზარქა ანჳადხ მექორწილ (ლშ.) — მექორწილენი დროზე მოვიდნენ.

ხ-ეზგე (ლოხჷზიგა̈ნ, ლა̈ხზიგა̈̆ნ; ლა̈ხზიგი ბზ., ლოხჷზიგენ, ლა̈ხზიგან; ლახზიგი ბქ., ოსზიგენ, ესზიგა̄ნ; ესზიგი ლშ., ა̈სჷეზიგენ, ა̈სეზიგან; ა̈სეზიგი ლნტ.), გრდუვ. — სახლობს (ასახლია), ცხოვრობს. ალ მარე გიოშერს ხეზგე გა̈ნხენ (ბქ.) — ეს კაცი გიოაანთ გვერდზე სახლობს (გვერდზე ასახლია). პატაშა მიხე ხეზგე ალ ა̈დგილს (ლნტ. 5) — პატაანთ მიხეილი ამ ადგილზე სახლობს. მეშხა ძჷღჷას ბერა̈ლ ხეზგეხ (პოეზ. 10) — შავ ზღვაზე ბერები სახლობენ („შავ ზღვას ბერები ასახლია").

ხ-ეზგი (მეზგიდა, ხეზგიდა; ხეზგიდე̄დს ბზ., მეზგიჷ, ხეზგიჷ; ხეზგიდეს ბქ., მეზგო̄ლ, ხეზგო̄ლ; ხეზგო̄ლდეს ლშ., მეზგოლ'და', ხეზგოლ'და'; ხეზგოლდეს ლნტ.) გრდუვ. — სტკივა. ჟაღჷშა̄ლჷ ესერ ხეზგი ჩიგარ გჷი (ბზ. 416) — გული მუდამ ძალიერ სტკიოდესო. ბაბას თხჷიმ ხეზგიჷ ლეთიშ ლეთ (ბქ.) — პაპას მთელი ღამე თავი სტკიოდა. დეჷთაჲს ხო̄ქჷა, ერე ჳადარ ლოქ ხეზგი (ლშ. 57) — დევთაც უთქვამს, მუცელი მტკივაო.

ეზერ, ეზა̈რ (-იშ||ეზრიშ, -ალ||ეზრა̈ლ ბზ., -რჷ; -ა̈ლ, ეზარა̈ლ ლნტ.), **ეზერ, ეზარ** (-იშ, -ალ) ლშ. — კარგი. ა̈მირანს ეზერ მახელჷა̈ჟ ა̈ხფას (ბზ. 333) — ამირანი კარგი ვაჟკაცი დადგა. დი̄ნა ეზა̈რ ლესგდი ლა̈̄სჷ (ბზ. 368) — ქალიშვილი კარგი შესახედავი იყო. ჷშხჷანა̈რ ეზარ ჳედნი კჷეცენ (ბქ. 1) — უშხვანარში კარგი ხორბალი მოდის. ჩჷ ლისყა̈ლ ეზარ გჷეშ ლი (ლშ. 75) — შერიგება კარგი საქმეა. შჷანა̈რს იარა̈ლი ლიზნა̈ნი ეზერ ხოხალდახ (ლნტ. 7) სვანებმა იარაღის კარგი მოვლა იცოდნენ. **ეზა̈რდ, ეზერდ** ბზ., ლნტ., **ეზარდ** ბქ., ლშ., ზმნზ. — კარგად. შჷკჷს ეზერდ ოთხჷიდ (ბზ. 39) — გზას კარგად გავაგენი. გარდატჸუაჲდ სგა ხაფხიჭე ეზარდ (ლშ. 77) — გარდატყუამ ხელი კარგად სტაცა. ალ გეზალ ლა̈ჲდი ეზარდ ითჷერი (ლნტ. 176) — ეს შვილიც კარგად სწავლობს.

ეზერმა̄რე (-რე̄მიშ, -რა̈̄ლ ბზ., -რე̄შ, -რე̄ლ ლშ., -ემიშ, -როლ ბქ., -ჲშ, -რა̈ლ ლნტ.) — 1. მოყვარე, მოკეთე. ბეჷას ეზერმარე მასა̈რდ ხორდა (ბქ.) — ბევრს მოკეთე ბევრი ჰყავდა. ეზერმარე მაგ ოხჳიდახ (პოეზ. 89) — მოკეთე ყველა მოუყვანიათ. — 2. კარგი კაცი. ადამოშა სასო ეზერმარე ლას (ლნტ.) — ადამაანთ სასო კარგი კაცი იყო.

ეზრისგ ბზ., ლშ., **ეზრისკ** ლნტ., ზმნზ. — კარგაძალი, საკმაოდ. ქართო̈ბილს ეზრისგს ხა̈ნჩგდიხ თა̈შს (ბზ.) — კარტოფილს

ყველს საკმაოდ ურევენ. ბეფშდ ეზრისკ ა̈ნცხე (ლნტ.) — ბავშვი საკმაოდ გაიზარდა (ბავშვმა საკმაოდ მოიმატა).

ეზრი̄სგა̄ლა (-ლა̈̄შ ბზ., -ლა̄შ ლშხ.), **ეზრისკალა** (-ლა̈ჲშ) ლნტ. — (საკმაოდ) მოზრდილი, მოდიდო. ნოდარ ეზრი̄სგა̄ლა ჰყინტ ლი (ბზ.) — ნოდარი საკმაოდ მოზრდილი ბიჭია. ეჩქა ეზრისკალა დენა ხუ̂ას (ლნტ.) — მაშინ მოზრდილი გოგო ვიყავი.

ხ-ეზუ̂რიელ (ლოხზურიე̄ლ, ლახზურია̄ლე; ლა̈ხზურია̈̄ლი) ბზ., **ხ-ეზუ̂რელ** (ლოხზურელ, ლა̈ხზურიალ; ლა̈ხზურიელი) ბქ., **ხ-ეზუ̂რიელ** (ლოხზურიელ, ლახზურიელე; ლახზურიელნე ლშხ., ლახუ̂აზურიელ, ლახაზურიელე; ლახაზურიელი ლნტ.), გრდუკ. — მიიწევს, იწევს საჩხუბრად. კე̄სა̈რ ხეზურიელ ეჯია̈რს (ბზ.) — კეისარი იმათკენ საჩხუბრად მიიწევს. მეცუალა უშხუ̂ა̈რ ხეზუ̂რიელხ (ლნტ.) — მოჩხუბრები ერთმანეთისაკენ (საჩხუბრად) მიიწევენ.

ხ-ეზუ̂რიელ იგივეა, რაც **ხ-ეზურიელ.**

ხ-ეთა̈უ̂ი (ა̈მთაუ̂ა̈̄ნ, ა̈ხთაუ̂ა̈̄ნ; ა̈ხთა̈უ̂ი ბზ., ა̈მთაუ̂ან, ა̈ხთაუ̂ან; ა̈ხთა̈უ̂ი ბქ.), **ხ-ეთაუ̂ი** (ემთაუ̂ა̄ნ, ეხთაუ̂ა̄ნ; ეხთაუ̂ი) ლშხ., **ხ-ეთენი** (ა̈მეთენან, ა̈ხეთენან; ა̈ხეთენი) ლნტ., გრდუკ. — ებადება. როსტომი ხეხუ̂ს ჰყინტ ა̈ხთა̈უ̂ი (ბზ.) — როსტომის ცოლს ვაჟი დაებადება. მაჰრენე უ̂იდილს ა̈ხთაუ̂ან ჲორი ნაღუ̂ჟურგეზალ (ბქ. 40) — უმცროს დას ორი ვაჟიშვილი დაებადა. ეჯ ზაუ̂ ბეფშ ა̈მეთენან (ლნტ.) — იმ წელს ბავშვი გამიჩნდა.

ხ-ეთელლენი იგივეა, რაც **ხ-ეთლენი.**

ხ-ეთენი იგივეა, რაც **ხ-ეთა̈უ̂ი.**

ხ-ეთერე/ა იგივეა, რაც **ხ-ეთრა.**

ხ-ეთეუ̂რა̈ლ იგივეა, რაც **ხ-ეთე̄უ̂რა̈̄ლ.**

ხ-ეთეფ იგივეა, რაც **ხ-ეთო̈ფ.**

ხ-ეთე̄უ̂რა̄ლ იგივეა, რაც **ხ-ეთე̄უ̂რა̈̄ლ.**

ხ-ეთე̄უ̂რა̈̄ლ (ლოხთე̄უ̂რა̄ლ, ლახთე̄უ̂რა̄ლე; ლახთე̄უ̂რა̈̄ლი) ბზ., **ხ-ეთეუ̂რა̄ლ** (ლოხთეუ̂რა̄ლ, ლახთეუ̂რა̄ლე; ლახთეუ̂რა̄ლნე) ლშხ., **ხ-ეთეუ̂რა̈ლ** (ლახუ̂ათეუ̂რა̈ლ, ლახათეუ̂რალე; ლახათეუ̂რალი) ლნტ., გრდუკ. — თვალყურს ადევნებს, ათვალიერებს. ჯაბა̄ დედე̂ ლეთრელღ̄რის ხეთეუ̂რა̄ლ (ლშხ.) — ჯაბას დედა სარძლოს დაეძებს (ათვალიერებს). ოჯა̈ხ ჩიგარ ხეთეუ̂რალდა... დენას (ლნტ. 46) — ოჯახი ქალიშვილს ყოველთვის თვალყურს ადევნებდა.

ხ-ეთირი იგივეა, რაც **ხ-ეთღ̄რი.**

ხ-ეთი̄რი იგივეა, რაც **ხ-ეთღ̄რი.**

ხ-ეთლენი (ლო̄ხუ̂ეთლ, ლა̈ხთა̈ლ; ლა̈ხთელნი ბზ., ლოხუ̂ეთლ, ლახთალ ბქ., ლოხუ̂ეთლ, ლეხთალ; ლეხთელნი ლშხ.) **ხ-ეთელლენი** (ლა̈ხუ̂ეთლ, ლა̈ხეთალ; ლა̈ხეთელენი) ლნტ., გრდუკ. — ეკარება, ეხება. ჯ'ე̄სერ ზურა̄ლს დე̄სა ხა̈თლა იუ̂ალადა̈ლ (ბზ. 236) — მე ქალს არასდროს გავეკარებიარო. დო ლოქ გიმს ხეთილეს ი დო დეცს ხება̄ჯგე̄ნს (ლშხ. 56) — არც მიწას ეკარებოდეს (იყოს მიკარებული) და არც ცას იყოს მიბჯენილიო.

ეთლო̄ნი იხ. **ხ-ალა.**

ხ-ეთნი (ემთენა̈ნ, ესთენა̈ნ; ესთენი ბზ., ემთენა̈ნ, ესთენა̈ნ; ესთენი ბქ., ემთენა̄ნ, ესთენა̄ნ; ესთენი ლშხ.), **ხ-ეთენი** (ა̈მსეთენან, ა̈სეთენან; ა̈სეთენი) ლნტ., გრდუკ. — 'და'ეტყობა, ემჩნევა. ისგუ̂ი ქორხენქა̈შ ლიზი ქორს ჟ'ესთენა̈ნ (ბქ.) — შენი სახლიდან წასვლა სახლს დაეტყო. ტოტი ნაყირ ჟ'ესთენა̄ნ აყბაყი (ლშხ.) — ხელის 'მო'ნარტყამი დაეტყო ლოყაზე. ჟ'ა̈სეთენან ჰა̈დ ზურალს (ლნტ. 293) — ქალს მუცელი დაეტყო.

ხ-ეთოფ იგივეა, რაც **ხ-ეთო̈ფ.**

ხ-ეთო̈ფ (ოხუ̂თუ̂ეფ, ახთოფე||ახთუ̂ეფ; ახთუ̂ეფნე) ბზ., **ხ-ეთეფ** (ოხთეფ, ახთოფე; ახთეფისგ) ბქ., **ხ-ეთოფ** (ოხთოფ, ახთოფე; ახთოფნე) ლშხ., **ხ-ეთუ̂ეფ** (ახუ̂ათუ̂ეფ, ახათუ̂ეფ; ახათუ̂ეფნე) ლნტ. გრდუკ. — თოფს ესვრის. ლაჩა̈ლჟი ახთოფეხ მასა̈რდ (ბზ. 23) — გაქცევისას თოფი ბევრჯერ ესროლეს. ოხთოფედ ი ქ'აშყა̈დ დერათეჩუ (ბქ. 206) — თოფი ვესროლეთ და გაყინულ თოვლზე გადმოვარდა. ოხთოფახ უშხუ̂ა̄რდ (ლშხ. 57) — ერთმანეთისათვის თოფი უსვრიათ. ქა ხა̈წედა ჲერსკნს ი ახოთოფა (ლნტ. 286) — დაუნახავს არჩვი და თოფი უსვრია. თუ̂ეფ ქა ესკიდ ი ხეთოფდა (ჰოეზ. 72) —

თოფი აილოძა ესროლდა ცთ ... ნნი

... ხ-ეთრა (მეთრო̄ნდა? ხეთრო̄ნდა; ხეთ-რო̄ნდე̄ს ბზ., მეთნე̄ნ, ხეთნე̄ნ; ხეთნე̄ნდეს ბქ., მეთრო̄ნ. ხეთრო̄ნ; ხეთრო̄ნდა ლშ.), **ხ-ეთერე** (მეთერგნდა; ხეთერგნდა; ხეთე-რგნდეს) ლნტ., გ რ დ უ კ. — ატყვია, ჰჩნია, აჩნე-ვია. მიჩა ნახუ̄ჩი მიჩა ქორს ხეთრა (ბზ.) — მისი სიკარგე მის სახლს ეტყობა. ამ ღოლა̈ქს პაშთქე ხეთრა (ბქ.) — ეს ცხვარი მაკე უნდა იყოს (ამ ცხვარს მაკეობა ეტყობა). კოტროლუ̄ლ ნიშანჷლ ლოქ ეი ხეთრა მიჩ (ლშ.) — მე პა-ტარა ნიშანი მეტყობაო.

ხ-ეთრინა̈ლ იგივეა, რაც **ხ-ეთრინა̈ლ.**

ხ-ეთრინა̄ლ იგივეა, რაც **ხ-ეთრინა̈ლ.**

ხ-ეთრინა̈ლ (ლოხუ̄თირნა̈ლ, ლახთირ-ნა̈ლე; ლახთირნა̈ლი) ბზ., **ხ-ეთრინალ** (ლოხუ̄თირნალ, ლახთირნალე; ლახთირნა̈-ლისგ||ლახთირნა̈ლი ბქ., ლახუ̄ა̈თირნა̈ლ, ლა-ხა̈თირნალე; ლახათირნა̈ლი ლნტ.), **ხ-ეთრი-ნა̄ლ** (ლოხთირნა̄ლ, ლახთირნა̄ლე; ლახ-თირნა̄ლნე) ლშ., გ რ დ მ. — 'და'ათრევს. ლუსდგუ̄ა̈რს... გიმჟი ხეთრინა̈ლ (ბზ. 272) — ნაწნავებს მიწაზე დაათრევს. ჩია̈ჯ ეჯის ხეთ-რინა̈ლ (ბქ.) — ყველგან იმას დაათრევს. ამჟი ხეთრინა̈ლ მიჩა კაბს (ლნტ.) — ასე დაათრევს თავის კაბას.

ხ-ეთუ̄ეფ იგივეა, რაც **ხ-ეთო̄ფ.**

ხ-ეთუ̄ფენი (ლოხუ̄ეთუ̄ფ, ლა̈ხთუ̄ა̈ფ; ლა̈ხთუ̄ეფნი ზს., ლეხთუ̄აფ; ლეხთუ̄ეფნი ლშ.), **ხ-ეთუ̄ეფენი** (ლა̈ხუ̄ეთუ̄ფ, ლა̈ხეთ-უ̄აფ; ლა̈ხეთუ̄ეფენი) ლნტ., გ რ დ უ კ. — 'მი'ეფარება, ('მი'ეკარგება რაღაცას). შიშდ ლა̈ხთუ̄ა̈ფს თანუ̄ (ბზ.) — თვალს უცებ მიე-ფარნენ. ალა̈რ ლა̈წუ̄ეს სგა̈ჲ ლა̈ხთუ̄აფს... (ბქ. 97) — ესენი თვალს როგორც კი მოეფარ-ნენ... ჲერსკნა̈ლ კოჯა̈რს ლა̈ხეთუ̄აფს (ლნტ.) — არჩვები კლდეებს მოეფარნენ (მიეკარგნენ). იხ. ხ-ექრა̈უ̄ი.

ხ-ეთხა̈ნი იგივეა, რაც **ხ-ეთხნი.**

ხ-ეთხეკენი იგივეა, რაც **ხ-ეთხკენი.**

ხ-ეთხელი იგივეა, რაც **ხ-ეთხე̄ლი.**

ხ-ეთხეფენი იგივეა, რაც **ხ-ეთხფენი.**

ხ-ეთხე̄ლი ('ლ'ა̈ხუ̄თხალ, 'ლ'ა̈ხთხა̈ლ; ლა̈ხთხელნი ბზ., ოხთხე̄ლ, 'ენთხე̄ლე; ენ-თხე̄ლნე ლშ.), **ხ-ეთხელი** (ოხუ̄თხელ, ახ-თხელიუ̄; ახთხელნი ბქ., ა̈ხუ̄ეთხელ, ა̈ხე-თხელდა; ა̈ხეთხელნი, ლნტ.) გ რ დ მ. — ეძებს. უ̄ა̈ზრა̈რ თუ̄ეთნა გიცრა̈რს ხეთხე̄ლიხ (ბზ. 411) — ეშმირები თეთრ ვერძებს ეძებენ. ჰას-უ̄იშ ლამუ̄არს ხეზგეჯგდ ი სამგრთა̈ლს ხე-თხელიუ̄ (ბქ. 293) — ასული მამის ოჯახს ემ-დუროდა და სამართალს ეძებდა. ჲერუ̄ალე ლგგრემ გულისგა ფა̈თუ̄ს ესერ ხათხელინა (ანდ.) — ვიღაც კვერცხის გულში ბეწვს ეძებ-დაო. ეჩქა [ეჯჲარ] რანგს ხეთხე̄ლიხ (ლშ. 19) — მაშინ ისინი თაფლუჭს ეძებენ. თელ სოფელ ხა̈თხელნა ბიტუ̄ს (ლნტ. 74) — თურმე მთელი სოფელი ბიჭუს ეძებდა.

ხ-ეთხე̄ლუ̄ა̈ლ (ლა̈ხუ̄თხე̄ლუ̄ა̈ლ, ლახ-თხე̄ლუ̄ა̈ლე; ლა̈ხთხე̄ლუ̄ა̈ლი) ბზ., გ რ დ უ კ. — დაეძებს. თამბილ მარას ხეთხელუ̄ალე (ჰოუზ. 148) — თამბილი კაცს 'და'ეძებს.

ხ-ეთხი (მეთხა̈ნ, ხეთხა̈ნ; ხეთხი ბზ., ა̈მ-თხან, ა̈ხთხან; ახთხი ბქ., მეთხა̈ნ, ხეთხა̈ნ; ხე-თხი ლშ., მეთხან, ხეთხან; ხეთხი ლნტ.), გ რ დ უ კ. — ეშოვება, 'მო'ეპოვება, ეძლევა, შე-ძინება. ლეზუ̄ებჷ ჩუ ხეთხი [ჰყინტს] (ბზ. 283) — ბიჭს საჭმელიც ეშოვება. ქა̈ლზელალად ი... ლეზუ̄ებ გუ̄ეთხი (ლნტ. 161) — გავიაროთ და საჭმელს ვიშოვეით (საჭმელი გვეშოვება). კუ̄ა-ჩხა̈ჲ ქათლა̈დგნქა მამგუ̄ეშ ჯეთხა̈ნ (ჰოუზ. 24) — კოჭლი ქათმის გარდა არაფერი იშოვე (გა-შოვა).

ხ-ეთხკენი (ესუ̄ეთხკ, ესთხა̈კ; ესთხეკნი ბზ., ოსეთხკ, ესთხაკ; ესთხეკნი ბქ., ლშ.), **ხ-ეთხეკენი** (ა̈სუ̄ეთხკ, ა̈სეთხაკ, ა̈სეთხეკე-ნი) ლნტ., გ რ დ უ კ. — ელევენთება, ესხმება, ეწვე-თება. ეჩქა ყორა̈ ლაგა̈გიჟინ ესუ̄ეთხეკნი (ბზ. 366) — მაშინ კარის ზღურბლზე დაველევენთები. ათუ̄ი ქაქ ესთხაკ ტოტლექუ̄ა (ლშ.) — ხელ-ზე ცხელი ფაფა დაესხა.

ხ-ეთხნი (ლოხუ̄ეთხნ||ლოხუ̄თხანა̈ნ, ლა̈ხთხანა̈ნ; ლა̈ხთხა̈ნი ბზ., ლოხთხანენ, ლეხ-თხანა̈ნ; ლეხთხანი ლშ.), **ხ-ეთხა̈ნი** (ოთთხა̈-ნენ, ა̈თთხანან; ა̈თთხა̈ნი ბქ., ა̈თუ̄ეთხა̈ნენ, ა̈თეთხანან; ა̈თეთხა̈ნი ლნტ.), გ რ დ უ კ. — ხვდება, 'შე'ეყრება, აწყდება. ამჷ დის და̈უ̄ ლა̈ხთხანა̈ნ (ბზ. 243) — ამის დედას დევი შე-

ყარა. ბეჳა... ღჳაშა̈შ ჯეგს ათხანენა (ბქ. 312) — ბევა ჯიხვის ჯოგს შეჰყრია (წასწყდომია). ჩიქე მა̄ ხათხნე̄ნახ ეჯკალიბ მეცარს (ლშხ. 12) — იმისთანა მკითხაეს ჯერ არ შეხვედრიან.

ხ-ეთხფენი (ლო̄ხჳეთხფ, ლა̈ხთხა̈ფ; ლა̈ხთხეფნი ბზ., ლოხჳეთხფ, ლახთხაფ; ლახთხეფნი ბქ., ლოხჳეთხფ, ლეხთხაფ; ლეხთხეფნი ლშხ.), **ხ-ეთხეფენი** (ლა̈ხჳეთხფ, ლა̈ხეთხაფ; ლა̈ხეთხეფენი) ლნტ., გრდუვ. 1. 'გადა'ეკიდება. ჰალა̈გს ოსეთხფ (ბქ.) — ღობეს გადაევეკიდე. ლეგმერდე ჳედნიშ ლა̈ხეთხაფ ლაყჳრაყი (ლნტ.) — ავადმყოფი ძლივს 'გა'დაწვა (გადაეკიდა) საწოლზე. 2. ბზ., ქს. — იხმარება გამოთქმაში. **მათხა̈ფ ლა̈ხთხა̈ფ** (ბზ.) — **მათხეფ ლეხთხაფ** (ლშხ.) — **მათხაფ ლა̈ხეთხაფ** (ლნტ.) — მონადები, აყოლილი (მიწიდან...) მოედეა (აჰყვა). ბიკგნჩხალ'ი'... ფაუ ლახ ჯელჳე̄ნი, მათხეფ ლოქ დეშ ხეთხფენი (ლშხ., ხორ. 5) — ნეკერჩხლის ჯოხი თუ 'გ'ექნება, მონადები (აყოლილი) არ მო'გ'ედებაო. 3. ბქ. — გადაედება (ავადმყოფობა). ლეგლირდე ხეთხფენი ნაღქურს (ბქ.) — ბავშვს ავადმყოფობა 'გადა'ედება.

ხ-ეთჵ̄რი (ლა̈მთჵ̄რა̈ნ, ლა̈ხთჵ̄რა̈ნ; ლა̈ხთჵ̄რი) ბზ., **ხ-ეთირი** (ლა̈მთირან, ლა̈ხთირან; ლა̈ხთირი ბქ., ლა̈მეთირან, ლა̈ხეთირან; ლა̈ხეთირი ლნტ.), **ხ-ეთი̄რი** (ლემთი̄რა̄ნ, ლეხთი̄რა̄ნ; ლეხთი̄რი) ლშხ., გრდუვ. — ეტყობა. ძერ ილროჳა̈ლ, ყი ლა̈ხთჵ̄რა̈ნ (ბზ.) — რომ იტყუებოდა, შეეტყო. მისა̈ს ხოჩა მოსაჳა̈ლ ხეთირი (ბქ.) — წელს ეტყობა კარგი მოსავალი იქნება. ეჯის ყილეხთი̄რა̄ნ, ერე მა̄ ხაკფჵ̄ნ ალ საქმე (ლშხ.) — იმას შეეტყო, რომ არ სურდა ეს საქმე.

ხ-ეია̈ლ იგივეა, რაც **ხ-ეჰო̄ლი.**

ხ-ეისნა̈ჳი იგივეა, რაც **ხ-ე̄სნა̈ჳ.**

ხ-ეი̄დჳნი (ამი̄დჵ̄ნ, ახი̄დჵ̄ნ; ა̈ხი̄დუნი‖ა̈ხძი̄დი ბზ., ეხი̄დუნი ლშხ.), **ხ-ეიდგნი** (ამა̈ძდგნ, ახა̈ძდგნ; ა̈ხეძდგნი) ბქ., **ხ-ეძდუნი** (ამა̈ძდგნდა, ახა̈ძდგნდა; ა̈ხეძდჳნი) ლნტ., გრდუვ. — 'მო'შივდება. წინწლა̈რს მჳჳა̈რ ახი̄დჵ̄ნხ (ბზ. 24) — წიწილებს ძალიან მოშივდათ. თამის სუროუ ახა̈ძდგნ (ბქ.) — თამის ძალიან მოშივდა.

ხ-ეი̄სნაჳი იგივეა, რაც **ხ-ე̄სნა̈ჳ.**

ხ-ეკაბალ იგივეა რაც **ხ-ეკბა̈̄ლ.**

ხ-ეკაბა̄ლ იგივეა, რაც **ხ-ეკბა̈̄ლ.**

ხ-ეკარქი, ხ-ეკჵრქი (მეკარქიჳ, ხეკარქიჳ; ხეკჵრქი ბქ.) გრდუვ. — ეშოვება (ჰყავს). ილყაფალ, მელყაფა̈ლ ეშაჳ ხეკჵრქიჳ (ბქ. 288) — ხუმრობდა, თუ სახუმარო ვინმე ჰყავდა (ეშოვებოდა). ნალკჳიჰ ღჳაშა ჩუ ხაკჵრქა (ჰოეზ. 138) — საუკეთესო ჯიხვი ჰშოვებია. იხ. **ხ-ეთხი.**

ეკა̈ლი იგივეა, რაც **ეჯკა̈ლი'ბ'.**

ხ-ეკა̄რჩხი იგივეა, რაც **ხ-ეკა̈̄რჩხი.**

ხ-ეკა̈̄რჩხი (ა̈თჳკა̄რჩხა̈ნ, ა̈თკა̄რჩხა̈̄ნ; ა̈თკა̈̄რჩხი) ბზ., **ხ-ეკა̈რჩხი** (ოთკარჩხენ, ა̈თკარჩხან‖ეთკარჩხან; ა̈თკა̈რჩხი‖ეთკა̈რჩხი) ბქ., **ხ-ეკა̄რჩხი** (ოთკა̄რჩხენ, ეთკა̄რჩხა̄ნ; ეთკა̄რჩხი) ლშხ., **ხ-ეკორჩხი** (ა̈თჳეკორჩხენ, ა̈თეკორჩხან; ა̈თეკორჩხი) ლნტ., გრდუვ. — 'ა'ცოცდება (ხეზე, კლდეზე...). ცეროდინა მეგამ ეთკარჩხან (ბქ. 93) — ცეროდენა ხეზე აცოცდა (ხეს ააცოცდა).

ხ-ეკბა̈ლ იგივეა, რაც **ხ-ეკბა̈̄ლ.**

ხ-ეკბა̈̄ლ (ლოხკაბა̈̄ლ, ლახკაბა̈̄ლე; ლახკაბა̈̄ლნე) ბზ., **ხ-ეკბა̈ლ** (ლოხკაბა̈ლ, ლახკაბალე; ლახკაბა̈ლისგ) ბქ., **ხ-ეკაბა̄ლ** (ლოხკაბა̄ლ, ლახკაბა̄ლე; ლახკაბა̄ლნე) ლშხ., **ხ-ეკაბა̈ლ** (ლა̈ხჳეკაბალენ, ლახეკაბალან; ლა̈ხეკაბალი) ლნტ., გრდუვ. — ეფერება. ბეგი ყ'ახაკაბალა ლახჳბას (ლნტ. 94) — ბეგი ძმებს მოჰფერებია.

ხ-ეკდენი-ხ (ლა̈ხჳკა̈დდ, ლა̈ხკა̈დხ; ლა̈ხკედნიხ ბზ., ლა̈ხჳკადდ, ლა̈ხკადხ; ლა̈ხკედნიხ ბქ., ლოხკადდ, ლეხკადხ; ლეხკედნიხ ლშხ.), **ხ-ეკედენი-ხ** (ლა̈ხჳეკადდ, ლა̈ხეკადხ, ლა̈ხეკედენიხ) ლნტ., გრდუვ. — ერთმანეთს აწყდებიან. უშხჳა̄რ ხეკდენიხ ლაყა̈̄რია̄ლს (ბზ.) — ჩხუბით ერთმანეთს აწყდებიან. ალე მა̈გ სა̈ხენწიფ სკა ლა̈ხჳეკადდ (ლნტ. 223) — მთელი ეს სახელმწიფო ერთმანეთს მივაწყდით.

ხ-ეკედენი-ხ იგივეა, რაც **ხ-ეკდენიხ.**

ეკენობ იგივეა, რაც **ძენკანობ.**

ხ-ეკი̄დი (ა̈მკი̄და̈̄ნ, ა̈ხკი̄და̈̄ნ; ა̈ხკი̄დი) ბზ., **ხ-ეკიდი** (ა̈მკიდან, ა̈ხკიდან; ა̈ხკიდი) ბქ.

გ რ დ უ ვ. 1. 'მი'ილება (მხედველობაში); 'ჩა'ეთიშება. ამშელდ მიზეზა̈რხა̈ნქა ეშხუ მა̄მ ა̈მკი̄და̈ნ (ბზ.) — ამდენი მიზეზიდან ერთიც არ მიიღეს ჩემგან. 2. 'გა'დახდება. მუქჷთერს ნა̈ქჷთერიშ თხჷიმ ა̈ხკიდჷი (ბქ. 293) — ქურდს მოპარულის თავი უნდა გადაეხადა (გადახდებოდა).

ხ-ეკლი (ა̈მკჷლა̈ნ, ა̈თკჷლა̈ნ; ა̈თკჷლი ბზ., ა̈მკჷლა̈ნ||-ან, ა̈ხკჷლა̈ნ||-ან; ა̈ხკჷლი ბქ., ემკჷლა̄ნ, ეთკჷლა̄ნ; ეთკჷლი ლშხ., ა̈მეკჷლან, ა̈თეკჷლან; ა̈თეკჷლი ლნტ.), გ რ დ უ ვ. — ეკეტება, ეჭედება. ცენტრა ქა̈მკჷლა̈ნ (ბქ. 204) — შამხანა გამეჭედა.

ხ-ეკჷთჷნი (მეკუთჷნო̄ლ'და', ხეკუთჷნო̄ლ'და'; ხეკუთჷნო̄ლნი ბზ., მეკუთჷნიჷ, ხეკუთჷნიჷ; ხეკუთჷნოლნი ბქ.), გ რ დ უ ვ. 1. ეკუთვნის. ალ ზურა̄ლა̈ ხჷნსგა მიჩ როქჷ ხეკუთჷნი (ბზ. 441) — ამ ქალის ნახევარი მე მეკუთვნისო. მა̈ ხეკუთნიჷხ ალა̈რს ნამშაჷ, მერმ' ეჯიცა̈ლ სგა ლოხტყუბეხ ადა̈იდ (ბქ. 63) — ამათ ნამუშევარი რაც ეკუთვნოდათ, მეორე იმდენი კიდევ დაუმატეს. 2. 'მი'ეკუთვნება. (ლა̈მკუთჷნა̈ნ; ლა̈ხკუთჷნა̈ნ; ლა̈ხკუთჷნი ბზ., ლამკუთჷნან, ლახკუთჷნა̈ნ; ლა̈ხკუთჷნი ბქ.) ქორ მი ლა̈მკუთჷნა̈ნ (ბზ.) — სახლი მე მომეკუთვნა.

ხ-ეკჷდენი იგივეა, რაც **ხ-ეკჷდუნი.**

ხ-ეკჷდუნი (ა̈მკჷა̈დნა̈ნ, ა̈თკჷა̈დნა̈ნ; ა̈თკჷა̈დნი) ბზ., **ხ-ეკჷდნი** (ემკჷედჷნა̈ნ, ესკჷედნა̄ნ: ესკჷედნი) ლშხ., **ხ-ეკჷედენი** (ა̈მსეკჷედნან, ა̈სეკჷედნან; ა̈სეკჷედნი) ლნტ., გ რ დ უ ვ. — აკლდება. მგლა̄შხ ძჷირდ, ე̄რ ესკჷედნი ლიმჷრყჷამა̄ლს (ლშხ. 20) — ლაშქარი ძვირად, რომ დააკლდეს კოშკაობას. მი მერბე თანრიგმოყ ა̈მსეკჷედნან ჲერბი მჭჷერჷა̈ლ (ლნტ. 99) — მეორე თანრიგამდე ორი მწვერვალი დამაკლდა.

ხ-ეკჷედენი იგივეა, რაც **ხ-ეკჷდუნი.**

ხ-ეკჷეჷენი[1] (ა̈მკჷაჷ, ა̈თეკჷაჷ; ა̈თეკჷეჷენი) ლნტ., გ რ დ უ ვ. — გამოჩნდება (გამოიცდება). აჷე ა̈ჲკჷეჷენეხ (||აჰკჷეჷენეხ), მაგჷა̈რდ ახოზნიდ მიშკჷა ჲეხჷს ი გეზელილს (ლნტ. 239) — აბა თქვენ იცით (აბა გამოჩნდება), თუ როგორ მოუვლით ჩემს ცოლსა და შვილებს.

ხ-ეკჷეჷენი[2] იგივეა, რაც **ხ-ეკჷჰენი.**

ხ-ეკჷეშენი იგივეა, რაც **ხ-ეკჷშენი**[1].

ხ-ეკჷია̈ლ იგივეა, რაც **ხ-ეკჷჰირიე̄ლ.**

ხ-ეკჷიშა̈ლ იხ. **იკჷიშა̈ლ.**

ხ-ეკჷიში იგივეა, რაც **ხ-ეკჷი̄ში** (1. მნიშვ).

ხ-ეკჷი̄ში (ა̈თჷკჷი̄შა̈ნ, ა̈თკჷი̄შა̈ნ; ა̈თკჷი̄ში ბზ., ოთკჷი̄შენ, ეთკჷი̄შა̄ნ; ეთკჷი̄ში ლშხ.), **ხ-ეკჷიში** (ა̈თჷეკჷიშენ, ა̈თეკჷიშან; ა̈თეკჷიში) ლნტ., გ რ დ უ ვ. 1. 'ჩა'აცივდება, არ ეშვება, არ ეხსნება. დი̄კონს ხეხჷ... სგა̄თკჷი̄შენა (ლშხ. 58) — დიაკვანს ცოლი ჩასციებია. სკათაკჷიშა და̈ჷ მიჩა დის (ლნტ. 272) — დევი თავის დედას ჩასციებია. 2. (ა̈მკჷი̄შა̈ნ, ა̈თკჷი̄შა̈ნ; ა̈თკჷი̄ში) — 'გა'ემქლავნება. 3. ბზ. (იხმარება მხოლოდ III პირში. —, ა̈ხკჷა̈შ; ა̈ხკჷეშნი) — 'მო'ემტვრევა, 'მო'სტყდება. კჷა̈ში ეჯჷი ფჷრილი, მა̄მ ხეკჷი̄ში (ბზ.) — მჭადი ისე ხმელია, რომ ვერ მოტეხ (არ 'მო'ეტეხება).

ხ-ეკჷჲ/იენი იგივეა, რაც **ხ-ეკჷჰენი.**

ხ-ეკჷრი იხ. **იკჷა̈რი**[2].

ხ-ეკჷფხენი (ლო̄ხჷეკჷფხჷ, ლა̈ხკჷა̈ფხ; ლა̈ხკჷეფხნი ბზ., ლოხჷეკჷფხ, ლა̈ხკჷაფხ; ლა̈ხკჷეფხნი ბქ., ლო̄ხჷეკჷფხ, ლეხკჷაფხ; ლეხკჷეფხნი ლშხ.), **ხ-ეკჷეფხენი** (ლა̈ხჷეკჷფხ, ლა̈ხეკჷაფხ; ლა̈ხეკჷეფხენი) ლნტ., გ რ დ უ ვ. — 'მი'ახტება. და̈შდჷ შიშდ ჟი ლა̈ხკჷა̈ფხ ლალთაშას (ბზ. 360) — დათვი ხელად მიახტა ყელის ჭურჭელს („საყელეს"). ლახაკჷეფხა ლა̈ჩჷ (ლნტ. 188) — მიხტომია ირემი.

ხ-ეკჷშენი[1] (ლო̄ხჷეკჷშ, ლა̈ხკჷა̈შ||-აშ; ლა̈ხკჷეშნი ბზ., ლო̄ხჷეკჷშ, ლეხკჷაშ; ლეხკჷეშნი ლშხ.), **ხ-ოკჷეშენი** (ლა̈ხჷუკჷშ, ლა̈ხოკჷაშ; ლა̈ხოკჷეშენი) ლნტ., გ რ დ უ ვ. — 'გამო'უტყდება, 'გა'უმხელს. ხოლა კა̈ფიშ ხი ი ქა დეშ ლა̈ჯეკჷშ (ბზ. 359) — ცუდი ხასიათისა ხარ და ვერ გამოგიტყდი. ბეჷა ჰამს ქა ხეკჷშენი... ზურალს ლეჷშდედილს (ბქ. 315) — დილას ბევა საიდუმლოს გაუმხელს ქალს.

ხ-ეკჷშენი[2] (ა̈მკჷაშ, ა̈თკჷაშ; ა̈თკჷეშნი ბქ., ემკჷაშ, ეთკჷაშ; ეთკჷეშნი ლშხ., ამკჷაშ, ათოკჷაშ, ათოკჷეშენი ლნტ.) — 1. უტყდება. მი ლადი კოკაჲ ემკჷაშ (ლშხ.) — მე

დღეს კოკა გამიტყდა. 2. უტყდება გული. ალა̈რს გჷ'ეთკჷაშხ (ბქ. 93) — ამათ გული გაუტყდათ.

ხ-ეკჷჰენი (ლო̄ხჷეკჷჰ, ლა̈ხკჷა̈ჰ; ლა̈ხკჷეჰნი ბზ., ლახჷეკჷჰ ბქ.), **ხ-ეკჷდენი**[2] (ლოხკჷედენ, ლეხკჷედან; ლეხკჷედნი) ლშხ., **ხ-ეკჷეჷენი** (ლა̈ხჷეკჷ, ლა̈ხეკჷაჷ; ლა̈ხეკჷეჷენი) ლნტ., გ რ დ უ ვ. 1. ეცდება. ეჯა ლა̈ხკჷა̈ჰ ქა ლა̈ზხს (ბზ.) — ის გასელას შეეცადა. მახელჷაყა̈რ ჩიხენ ხეკჷჰენიჷხ ისგა ლიზის (ბქ. 232) — ვაჟკაცები ყოველი მხრიდან ეცდებოდნენ შესვლას. 2. ბზ. (ლა̈მკჷა̈ჰ, ლა̈ხკჷა̈ჰ; ლა̈ხკჷეჰნი) — ეცნობება. ეჯას ლა̈ხკჷა̈ჰ გეზლა̈ ლიჰედ (ბზ.) — იმას შვილის მოსვლა ეცნობა.

ხ-ეკჷჰირიე̄ლ (ლა̈ხჷკჰირიე̄ლ, ლა̈ხკჰირი̄ელე; ლა̈ხკჰირი̄ელნე) ბზ., **ხ-ეკჷია̈ლ** (ლა̈ხჷეკჷიალიენ, ლა̈ხეკჷიალან; ლა̈ხეკჷიალი) ლნტ., გ რ დ უ ვ. — ცდილობს, ეცდება. [ეჯდა̈რ] ცხემა̈დს ხეკჷჰირიე̄ლხ ლიბჷცეს (ბზ. 252) — ისინი მშვილდის მომზიდვას ცდილობენ. ჰყინტ ხჷა̈ის ხეკჷია̈ლ ამშა ლისყეის (ლნტ.) — ბიჭი ბევრს 'ცდილობს ამის გაკეთებას.

ხ-ეკგრქი იგივეა, რაც **ხ-ეკარქი.**

ხ-ელაფვა̈რი იგივეა, რაც **ხ-ელფვა̈რი.**

ხ-ელა̈კი იგივეა, რაც **ხ-ელკი.**

ხ-ექჷ̂ე̄ცი (ლა̈ხჷქჷე̄ცა̈ნ, ლა̈ხქჷეცა̈̄ნ; ლა̈ხქჷ̂ე̄ცი) ბზ., **ხ-ექო̄ცი** (ოხქო̄ცენ, ეხქო̄ცა̄ნ; ეხქო̄ცი) ლშხ., **ხ-ექოცი** (ლა̈ხჷექოცენ, ლა̈ხექოცან; ლა̈ხექოცი) ლნტ., გრდუვ. — ეკიდება (ზურგზე). ცხეტაკს... ჟი ლახქო̄ცე̄ნა შიჟყი [დეჷთაკ] (ლშხ. 55) — ცსეტაკს ზურგზე წამოჰკიდებია დევთაკი. ბეფშ მიჩა დის ლახაქოცა (ლნტ.) — ბავშვი დედამისს მოკიდებია ზურგზე.

ხ-ექჩი (ა̈მქაჩა̈̄ნ, ა̈თქაჩა̈̄ნ; ა̈თქა̈ჩი ბზ., ა̈მქაჩან, ა̈თქაჩან; ა̈თქა̈ჩი ბქ., ემქაჩა̄ნ, ეთქაჩა̄ნ; ეთქაჩი ლშხ.), **ხ-ექა̈ჩი** (ა̈მექაჩან, ა̈თექაჩან; ა̈თექა̈ჩი) ლნტ., გრდუვ. — ეჭრება. ჩჷა̈თექაჩან მებატეს ფხული ლა̈შიალყი (ლნტ. 295) — მებატეს ომში თითი გაეჭრა.

ექგრდა იგივეა, რაც **ერქგდა**.

ხ-ელანი იგივეა, რაც **ხ-ელნა̈̄ჷი**.

ხ-ელა̈ფი იგივეა, რაც **ხ-ელფი**.

ხ-ელნა̈̄ჷი (ლა̈მლანჷა̈̄ნ, ლა̈ხლანჷა̈̄ნ; ლა̈ხლა̄ნჷი) ბზ., **ხ-ელნა̈ჷი** (ლა̈მლანჷან, ლა̈ხლანჷან; ლა̈ხლანჷი) ბქ., **ხ-ელნაჷი** (ლემლა̄ნჷა̄ნ, ლეხლა̄ნჷა̄ნ; ლეხლა̄ნჷი) ლშხ., **ხ-ელანი** (ლა̈მელანან, ლა̈ხელანან; ლა̈ხელანი) ლნტ., გრდუვ. — 'შემო'აორსულდება. [ჰყინტს] სგა ლა̈ხლანჷა̈̄ნ დი̄ნა (ბზ. 287) — ბიჭს გოგო შემოაორსულდა. სკა ლა̈ხელანან დენა უმბილდ (ლნტ.) — გოგო უნებურად შემოაორსულდა.

ელომოშ იგივეა, რაც **ალოჰე̄მოშ**.

ხ-ელორაჷა̈ლ იგივეა, რაც **ხ-ელროჷა̈̄ლ**.

ხ-ელრა̄ლ (ლოხლარა̄ლ, ლახლარა̄ლე; ლახლარა̄ლნე) ლშხ., ბობშარ უშხჷა̄რ ხელრა̄ლხ (ლშხ.) — ბავშვები ერთმანეთს ეთამაშებიან. იხ. **ხ-ეშდრა̈̄ლ**.

ხ-ელროჷალ იგივეა, რაც **ხ-ელროჷა̈̄ლ**.

ხ-ელროჷა̈̄ლ (ოთჷლორჷა̈̄ლ, ა̈დლორჷა̄ლე; ა̈დლორჷა̈̄ლნე) ბზ., **ხ-ელროჷა̈ლ** (ოთლორა̈ჷ, ოთლორჷე; ოთლორჷისგ) ბქ., **ხ-ელროჷა̄ლ** (ოთლორჷა̄ლ, ოთლორჷა̄ლე; ოთლორჷა̄ლნე) ლშხ., **ხ-ელორაჷა̈ლ** (ათოლორა̈ჷ, ათოლორა̈ჷე; ათოლორა̈ჷი) ლნტ., გრდუვ. — ატყუებს. მიჩა დი ესერ ხელჷროჷა̈̄ლ (ბზ.) — დედაშენი გატყუებსო. ამნე̄მ ლჷაჰა̈რს ჩჷოთლორჷე (ბზ. 380) — ამან ვაჭარი (ვაჭარს) მოატყუა. ალა̈რს ესერ მინეშდ ოთლორჷახ (ბქ. 27) — ამათ ჩვენ მოგვატყუესო.

ხ-ელჷაჰარა̈ლ იგივეა, რაც **ხ-ელჷჰარა̈̄ლ**.

ელჷე იგივეა, რაც **ძალო**.

ხ-ელჷერი იგივეა, რაც **ხ-ელჷრენი**.

ხ-ელჷეჰინა̈ლ იგივეა, რაც **ხ-ელჷჰინა̈̄ლ**.

ხ-ელჷრენი (ლა̈ხჷლჷერა̈ნ; ლა̈ხლჷერა̈̄ნ; ლა̈ხლჷერი) ბზ., **ხ-ელჷრი** (ლოხლჷერენ, ლა̈ხლჷერან; ლა̈ხლჷერი ბქ., ლოხლჷერენ, ლეხლჷერა̄ნ; ლეხლჷერი ლშხ.), **ხ-ელჷერი** (ლა̈ხჷელორენ, ლა̈ხელჷერან; ლა̈ხელჷერი) ლნტ., გრდუვ. — ეფიცება. [შჷანე მუთხჷმია̈რ] უშხჷა̄რ ლახლჷერე̄ნახ (ბზ. 4) — სვანეთის მოთავეები ერთმანეთს შეჰფიცვიან. [ალი] გეზალდ ლეხლჷერან [ზურალს] (ბქ. 99) — ამან შეილობა შეჰფიცა ქალს (ეს შვილად შეეფიცა ქალს).

ხ-ელჷრი იგივეა, რაც **ხ-ელჷრენი**.

ხ-ელჷჰარა̄ლ იგივეა, რაც **ხ-ელჷჰარა̈̄ლ**.

ხ-ელჷჭარა̈ლ (ლოხჷლჷაჭრა̈ლ, ლახლჷაჭრალე||ლა̈ხლჷაჭრა̈ნ; ლახლჷაჭრა̈ლი) ბზ., **ხ-ელჷჭარელ** (ლოხლჷაჭრენ, ლა̈ხლჷაჭრან; ლა̈ხლჷაჭრი) ბქ., **ხ-ელჷჭარალ** (ლოხლჷაჭრა̈ლ, ლახლჷაჭრალე; ლახლჷაჭრალნე) ლშხ., **ხ-ელჷაჭარა̈ლ** (ლა̈ხჷელჷაჭარ˹ალ˺ენ, ლა̈ხელჷაჭარ˹ალ˺ან; ლა̈ხელჷაჭარალი) ლნტ., გ რ დ უ ვ. — ეეაჭრება. დīნა... ლა̈ხლჷაჭრა̈ნ მგზმგრის (ბზ. 349) — გოგო შეევაჭრა მელორეს. იმ დორ ლა̈ხლჷაჭრი, ფასჷ ეჯლა̈ჲ დემის ხოკჷდეხ (ბქ.) — რაც უნდა შევაჭრო, ფასს ძაინც არ დაუკლებენ. ხჷა̈ი ლა̈ხჷელჷაჭარალენ (ლნტ.) — ბევრი ვეეაჭრე.

ხ-ელჷჭარელ იგივეა, რაც **ხ-ელჷჭარა̈ლ.**

ხ-ელჷჭინა̈ლ (ლა̈ხლჷეჭნა̈ლ, ლახლჷეჭნალე; ლახლჷეჭნა̈ლი) ბზ., **ხ-ელჷეჭინა̈ლ** (ლოხლჷეჭინალ, ლა̈ხლჷეჭინალე; ლა̈ხლჷეჭინა̈ლი) ბქ., **ხ-ელჷჭინალ** (ლოხლჷეჭნალ, ლახლჷეჭნალე; ლახლჷეჭნალნე) ლშხ., გ რ დ უ ვ. — დასდევს. [ეჯა] ჷა̈ზრა̈ლგნქა ჩī ხელჷჭინა̈ლ (ბზ. 13) — ვეზირების გარდა ის ყველას დასდევს. ჩია̈გ ეჯის ხელჷეჭინა̈ლ (ბქ.) — ყველგან იმას დასდევს.

ხ-ელფი (ა̈მლაფა̈ნ, ა̈თლაფა̈ნ; ა̈თლა̈ფი ბზ., ა̈მლაფან, ა̈თლაფან; ა̈თლა̈ფი ბქ., ემლაფა̈ნ, ეთლაფა̈ნ; ეთლაფი ლშხ.), **ხ-ელა̈ფი** (ა̈მელაფან, ა̈თელაფან; ა̈თელა̈ფი) ლნტ., გ რ დ უ ვ. — ელებება. ჷოდ ოსრი კალთა̈ჲ ჩუ დ'ა̈ჯლაფენს, ეჩქად... ეჯა ნომა ა̈თჯგრჷა (ბზ. 347) — სანამ ჩოხის კალთა არ შეეელებოს, მანამ ის არ დაიჯეროს. ერხის ფა̈თჷ დემ ხელფი (ბქ.) — მოვს თმა არ ელებება. ჩჷამელაფან წგრა̈ნიდ ტოტა̈რ (ლნტ.) — ხელები წითლად შემელება.

ხ-ეყა̈ლ იგივეა, რაც **ხ-ეყჰა̈ლ.**

ხ-ეყალ იგივეა, რაც **ხ-ეყჰა̈ლ.**

ხ-ეყერენი იგივეა, რაც **ხ-ეყრენი.**

ხ-ეყრენი (მეყა̈რ, ხეყა̈რ; ხეყრენი ბზ., მეყარ, ხეყარ: ხეყრენი ბქ., ლშხ.), **ხ-ეყერენი** (ხეყერენი) ლნტ., გ რ დ უ ვ. — ემართება, მოსდის. მა̈ჲ დო ხეყრენი ჰა̈შს, და̈რ იმის იმჯერი (ბზ. 439) — ქმარს რა ემართება, ვერავინ იგებს. ალე ხეყრენიხ ხოშა ნალალდ ჰიშხჷი... (ლშხ. 88) — ეს მეტწილად ყეხზე ემართებათ. მა ხეყარ გელას? (ლნტ. 72) — გელას რა დაემართა?

ხ-ეყჷელენი იგივეა, რაც **ხ-ეყჷლენი.**

ხ-ეყჷეფენი იგივეა, რაც **ხ-ეყჷფენი.**

ხ-ეყჷლენი (ოთეყჷლ, ა̈თყჷა̈ლ; ა̈თყჷელნი ბზ., ა̈თყჷალ ბქ., ოთეყჷლ, ეთყჷალ; ეთყჷელნი ლშხ.), **ხ-ეყჷელენი** ([illegible], ა̈თეყჷალ; ა̈თეყჷელნი) ლნტ., [illegible] — სცილდება, შორდება. ეშხუ ფინია̈ჲ [illegible] დე̄მთე ხეყჷლენი (ბზ. 255) — ერთი ფინია ალექსის არსად შორდება. ლეშგმე [ჰერ] ჩჷა̈ხყჷალ მიჩა დის (ბქ. 312) — უკანა ყორანი ჩამოსცილდა თავის დედას. [მათხეფ] ქა ლოქ ეთყჷელნი ლეგმერდას (ლშხ. 90) — უქმური (აყოლილი) ავადმყოფს მოშორდებათ.

ხ-ეყჷნა̈ლ (ლოხჷყუ, ლოხყურდა: ლა̈ხყჷინი) ბზ., **ხ-ეყჷნა̈ლ** (ლოხჷყურდ, ლოხყურდა; ლა̈ხყჷინი ბქ., ლახოყურდ [ხჷეს], ლახოყურდა; ლა̈ხეყჷინი ლნტ.), **ხ-ეყჷნალ** (ლოხყჷინენ||ლოხყუ, ლოხყჷრდა; ლეხყჷინი) ლშხ., გ რ დ უ ვ. — უწევება. [ზურა̈ლ] სგა ლოხყურდა როსტომს (ბზ. 232) — ქალი როსტომს მიუწეა. დი გეზლირს ლოხყურდა ნენსგალეჟა (ბქ.) — დედა შვილებს შუაში ჩაუწეა. [ალ ზურა̈ლს] სგა ლოხყურდა ჰაშ (ლშხ. 78) — ამ ქალს ქმარი მიუწეა. დი სკა ლახოყურდა მიჩა გეზალს (ლნტ.) — დედა თავის შვილს მიუწვა.

ხ-ეყჷფენი (ა̈მყჷა̈ფ, ა̈ხყჷა̈ფ; ა̈ხყჷეფნი ბზ., ა̈მყჷაფ, ა̈ხყჷაფ ბქ., ემყჷაფ, ეხყჷაფ; ეხყჷეფნი ლშხ.), **ხ-ეყჷეფენი** (ა̈მეყჷაფ, ა̈თეყჷაფ; ა̈თეყჷეფენი) ლნტ., გ რ დ უ ვ. 1. სძვრება (კანი—). [მა̈ლა̈რს] ჲერს ქა̈ხყჷა̈ფხ ჰაკჷდა̈რ (ბზ. 361) — მოვ მელას კუდი მოსძვრა (მელიებს მოსძვრათ კუდები). ჰყინტს ლუკჷრემე ფხულე ქ'ა̈ხყჷაფ (ბქ.) — ბიჭს გაყინული თითი მოსძვრა. ქათალს შიშტ ა̈თეყჷაფ ბინტყილ (ლნტ.) — ქათამს ბურტყლი სწრაფად გასძვრა. 2. (ოხჷეყჷფ ბზ., ლშხ., ახჷეყჷფ ლნტ.) — 'გამო'ძვრება. [ხა̈მა̈რ] ჩჷალხენქა ქა ხეყჷფენიჷხ (ბქ. 202) — ლორები მეწყერიდან გამოძვრებოდნენ.

ხ-ეყჩენი (ოთეყჩ, ა̈თყა̈ჩ; ა̈ლყეჩნი ბზ., ოთეყჩ, ეთყაჩ; ეთყეჩნი ლშხ.), **ხ-ეყეჩენი** (ა̈თჷეყჩ, ა̈თეყაჩ; ა̈თეყეჩენი) ლნტ., გ რ დ უ ვ.

— ემვება, ეხსნება (თავს ანებებს). ეჯᲓა̈რ ქა ხეყჩენიხ ლაბჸნძგჸა̈ლს (ბზ. 14) — ისინი ძიძგილაობას შეეშვებიან. დინა მად ა̈თყა̈ჩ მიჩა ჯიმილს (ბქ. 200) — და არ მოეშვა თავის ძმას. ალე ლიქა̈ჩეს მა̈დ ა̈თეყაჩ (ლნტ. 219) — ამან ჭრას თავი არ დაანება (არ შეეშვა).

ხ-ეყხა̈̈ლ იგივეა, რაც **ხ-ეყჰა̈̈ლ.**

ხ-ეყჰა̈̈ლ, ხ-ეყხა̈̈ლ (ლა̈ჰჸყაჰა̈ნ||ლოხჸყახა̈ნ, ლა̈ჰყაჰა̈̈ნ||ლა̈ხყახა̈̈ნ, ლა̈ჰყა̈ჰი||ლა̈ხყა̈ხი) ბზ., **ხ-ეყჰა̈ლ** (ლოხყაჰენ, ლა̈ხყაჰან; ლა̈ხყა̈ჰი) ბქ., **ხ-ეყა̄ლ** (ლოხყაᲓენ, ლეხყაᲓა̄ნ; ლეხყაი) ლშხ., **ხ-ეყა̈ლ** (ლა̈ხჸეყა̈Ძენ, ლა̈ხეყა̈Ძან; ლა̈ხეყა̈ი) ლნტ., გ რ დ უ კ. — კოცნის. ზჸრა̄ლ... ხეყჰა̈̈ლ დი̄ნას (ბზ. 381) — ქალი გოგოს კოცნის. ვ̄ალჸქურგეზალ ქა̈თყაჰა̈ნ მიჩა დის ი მუს (ბქ. 213) — ვაჟიშვილმა თავისი დედ-მამა გადაკოცნა. [გეზალ] ი მიჩა მუ ქა̈თეტუშანხ უშხჸა̈რ ი ქა ლა̈ხეყა̈Ძანხ (ლნტ. 259) — მამა და შვილი ერთმანეთს გადაეხვივნენ და გადაკოცნეს.

ეშ ზმნზ. — ისე. მარე ეშ სა̈ჭირო ესერ მა̄მა ხა̄რ (ბზ. 251) — მაგრამ ისე არ გესაჭიროებაო. ალას ეშ ხაშდეხ ლგქაჩს (ლშხ. 11) — ამას ისე აყრიან ჭრილობას.

ეშა იგივეა, რაც **იშა.**

ხ-ეშან იგივეა, რაც **ხ-ეშა̈ნ.**

ხ-ეშანა̈̈ლ (ლოხშანა̈ლ, ლახშა̈ნა̈̈ლე; ლახშანა̈̈ლი) ბზ., **ხ-ეშანა̈ლ** (ლოხშანა̈ლ, ლახშანა̈ლე; ლახშანა̈ლისგ ბქ., ლახჸაშანალ, ლახაშანალე; ლახაშანალი ლნტ.), **ხ-ეშე̄ნა̄ლ** (ლოხშე̄ნა̄ლ, ლახშე̄ნა̄ლე; ლახშე̄ნა̄ლნე) ლშხ., გ რ დ უ კ. — ნიშნს უგებს. უშხჸა̄რ ლახშანა̈ლეხ (ბზ.) — ერთმანეთს ნიშნი მოუგეს. ამკაᲫ გჸეში მჸჩომს მა̄გ ხეშე̄ნა̄ლ (ლშხ.) — ასეთი საქმის გამკეთებელს ყველა ნიშნს უგებს. ხეშანალდა ცჩის, Ძერჸა̈Ძ ჩჸადაგა̈რ (ლნტ. 134) — ნიშნს უგებდა იმას, ვინც მოკლა.

ხ-ეშა̈ნ (—, ხეშა̈ნდა; ხეშა̈ნდე̄დს ბზ., —, ხეშანდა; ხეშანდეს ლნტ.), **ხ-ეშ⸢Ძ⸣ა̈ნ** (—, ხეშიანდ; ხეშიანდეს) ბქ., **ხ-ეშან** (—, ხეშანდა; ხეშანდეს) ლშხ., გ რ დ უ კ. — ასხია. ჸისკჸს ეჯჸი ხეშა̈ნ, ერ;) ეშ ხახონხა (ბზ. 307) — ეაშლს ისე ასხია, რომ მთლად დახუნძლულია. მეგემ(ს)... ჸისგ ხეშა̈ნ (ბქ. 55) — ხეს ეაშლი ასხია. ხილი̄ მასარდ ხეშან მეგმარს (ლშხ. 4) — ხეებს ხილიც ბლომად ასხია. მუშრა̈ ტჸიბჟი მა̈ნცხგლდს ხეშა̈ნ (პოეზ. 228) — მუშურის ხეობაში მოცხარს ასხია.

ხ-ეშა̄რდი (ა̈მშა̄რდა̈̈ნ, ა̈თშა̄რდა̈̈ნ; ა̈თშა̈̈რდი ბზ., ემშა̄რდა̄ნ, ეთშარდა̄ნ; ეთშა̄რდი ლშხ.), **ხ-ეშარდი** (ა̈მშარდან, ათშარდა̈ნ; ა̈თშა̈რდი ბქ., ა̈მეშარდან, ა̈თეშარდან; ა̈თეშარდი ლნტ.), გ რ დ უ კ. — უმშვიდდება, უამდება. თხუმე ლიზგე ეთშა̄რდა̄ნ ბებეს (ლშხ.) — ბებიას თავის ტკივილი დაუამდა. გჸი მა̈დ ა̈მსეშარდან თელ ლა̈დელ (ლნტ.) — გული მთელი დღე არ დამიმშვიდდა.

ხ-ეშგბენი (ა̈მშგა̈ბ, ა̈ხშგა̈ბ; ა̈ხშგებნი ზს., ემშგაბ, ეხშგაბ; ეხშგებნი ლშხ.), **ხ-ეშკებენი** (ა̈მეშკაბ, ა̈ხეშკაბ; ა̈ხეშკებენი) ლნტ., გ რ დ უ კ. — სძერება. ლუსჸემ ქა̈̈ხშგა̈ბ ფიცარს (ბზ.) — ფიცარს ლურსმანი გამოსძერა. ბეფშს შარჸა̈ლ (შალჸა̈რ) ა̈თაშკება (ლნტ.) — ბავშვს შარვალი ჩასძრობია.

ხ-ეშგდი (ლა̈მშგედა̈̈ნ, ლა̈ხშგედა̈̈ნ; ლა̈ხშგედი ბზ., ლა̈მშგედან, ლახშგედან; ლა̈ხშგედი ბქ., ლემშგედა̄ნ, ლეხშგედა̄ნ; ლეხშგედი ლშხ.), **ხ-ეშკედი** (⸢ლ⸣ა̈მეშკედან, ⸢ლ⸣ა̈ხეშკედან; ⸢ლ⸣ა̈ხეშკედი) ლნტ., გ რ დ უ კ. — ეკადრება. ეჯჸი ა̈ჯსყი̄ნე, იმჸა̈Ძყი ჯეშგდო̄ლნი (ბზ.) — ისე გაგიკეთებ, როგორც გეკადრება. მა̄ ხეშგდო̄ლდა ამჟი ეჯიარე ოჯახს (ლშხ.) — არ ეკადრებოდა ასე იმათ ოჯახს. ხოლა გარგალა და̈რს ხეშკედი (ლნტ.) — ცუდი ლაპარაკი არავის ეკადრება.

ხ-ეშგი იგივეა, რაც **ხ-ე̄შგი.**

ხ-ეშგო იგივეა, რაც **ხ-ეშგჸემ.**

ხ-ეშგრი (ა̈მშგირა̈̈ნ, ა̈თშგირა̈̈ნ; ა̈თშგირი ბზ., ა̈მშგირან, ა̈თშგირან; ა̈თშგირი ბქ., ემშგირა̄ნ, ეთშგირა̄ნ; ეთშგირი ლშხ.), **ხ-ეშკრი** (ა̈მეშკირან, ა̈თეშკირან; ა̈თეშკირი) ლნტ., გ რ დ უ კ. — უკვდება, უწყდება (უცებ). აშხუ ლადა̈ლისგა ლუნ ჩჸა̈მშგირა̈̈ნ (ბზ.) — ხბო ერთ დღეში მომიკვდა. წინწლა̈რ მა̈გ ჩჸამშგირანხ (ბქ.) — ყველა წიწილა გამოწყდა.

ხ-ეშგჸდი (ა̈მშგუდა̈̈ნ, ა̈თშგუდა̈̈ნ; ა̈თშგუდი ბზ., ამშგუდა̈ნ, ათშგუდა̈ნ; ა̈თშგუდი

ბქ., ემშგუდა̈ნ, ეთშგუდა̈ნ; ეთშგუდი ლშხ.), **ხ-ეშკუ̂დი** (ა̈მეშკუდან, ა̈თეშკუდან; ა̈თეშკუდი) ლნტ., გრდუკ. — ევუდება, ეხრჩობა. ჯან ლაშხურისა ლოთ ეთშგუდა̈ნხ (ლშხ.) — ხარი კინაღამ ცხენისწყალში დაეხრჩოთ. ნილაშტ ა̈თეშკუდან კაცისა (ლნტ.) — ქვევრში თიკანი დაეხრჩო.

ხ-ეშგუ̂ემ (ხუ̂აშგუ̂ემნ, ხაშგუ̂მინ; ხაშგუ̂მინნე) ზს., **ხ-ეშგო** (ხუ̂აშგომ, ხაშგმინ; ხაშგმინნე) ლშხ; **ხ-ეშკუ̂ემ** (ხუ̂აშკომ, ხაშკონნე‖ხაშკუ̂ემნე; ხაშკომნი‖ხაშკუ̂ემნი) ლნტ., გრდმ. — სთხოვს. მა̈ლ ხეშგუ̂ემ გე̄რგი̇ლს [ლეზუ̂ებს] (ბზ. 321) — მელა გიორგის საჭმელს სთხოვს. ჯგგრა̈გდ ლაგნა ხაშგმინ მა̈რეს (ლშხ.) — წმინდა გიორგიმ კაცს ღამის გასათევი სთხოვა. ბლიუ̂დ თეთრ ხაშკუ̂ემნე ბაპს (ლნტ.) — მუნჯმა მღვდელს ფული სთხოვა.

ეშდ იგივეა, რაც **ჲეშდ**.

ეშდარა, ჲეშდარა (-რა̈შ, — ბზ., -რა̈შ, — ბქ., -რა̈შ, — ლშხ.), **ეშტარა** (-ჲშ, —) ლნტ. — თვრამეტი. და̈ვითს ეშდარა ღოლა̈ქ ხორდა (ბქ.) — დავითს თვრამეტი ცხვარი ჰყაედა. ეჯ დენა ეშტარა ლგზა̈ ლი (ლნტ.) — ის ქალიშვილი თვრამეტი წლის არის.

ხ-ეშდბი (ა̈მშდაბა̈ნ, ა̈ხშდაბა̈ნ; ა̈ხშდა̈ბი) ბზ., გრდუკ. 1. უბრუნდება, უტრიალდება. სა̈უ̂ ა̈ხშდაბა̈ჩხ (ბზ.) — მარხილი გადაუბრუნდათ. 2. გადატ. მოუკვდება. ეჯისი̇ დოსგ ა̈ხშდა̈ბი ბაბა (ბზ.) — იმასაც ადრე მოუკვდება („გადაუბრუნდება") პაპა.

ეშდეშხუ, ჲეშდეშხუ (-ხუ̂ი̇შ) ბზ., (-ხუ̂შ) ლშხ., **ჲეშდეშხუ̂ი** ბქ., **ˈჲˈეშტეშხუ** (-ჲშ) ლნტ. — თერთმეტი. ეშდეშხუ ჯა̈ნ ა̈ნკუ̂ა̈დ (ბზ. 27) — თერთმეტი ხარი დაგვჭირდა. ეშტეშხუ გეზალ მაყა (ლნტ.) — თერთმეტი შვილი მყავს.

ხ-ეშდკგნი (ა̈მშდგკნა̈ნ, ა̈თშდგკნა̈ნ; ა̈თშდგკნი ბზ., ლა̈მშდგკნან, ლა̈ხშდგკნან; ლა̈ხშდგკნი ბქ., ლემშდგკნა̈ნ, ლეხშდგკნა̈ნ; ლეხშდგკნი ლშხ.), **ხ-ეშტკგნი** (ლა̈მეშტგკნან, ლა̈ხეშტგკნან; ლა̈ხეშტგკნი) ლნტ., გრდუკ. — ერჭობა, ესობა. მარეს თეტენ ყა̈თშდგკნა̈ნ ჰაჰა̈რყინ (ბზ. 366) — კაცს მახათი ბურგში შეერჭო (აერჭო). ცხუ̂ი-ცგჰემდ ჰუ̂ედს ლა̈ხშდგკნან (ბქ. 60) — ისარი კედელს შეერჭო.

ხ-ეშდნი (ამა̈შდგნ; ათა̈შდგნ; ა̈თე̄შდგნი ბზ., ა̈მეშდგნ, ა̈თეშდგნ; ა̈თეშდგნი ბქ.), **ხ-ე̄შდნი** (ემე̄შდგ̄ნ, ეთე̄შდგ̄ნ ეთე̄შდნი ლშხ.), **ხ-ეშტნი** (ა̈მეშტგნდა, ა̈თეშტგნდა; ა̈თეშტნი) ლნტ., გრდუკ.— ავიწყდება. ბეფშუ̂ ხა̈დუ̂რდ სგა ლახა̈შდგ̄ნხ (ბზ. 262) — ბავშვი სულ დაავიწყდათ (შემოავიწყდათ). ჯიმ ლოქნოსა ოგუ̂ე̄შდგ̄ნდეს (ლშხ. 38) — მარილი არ დაგვავიწყდესო. გეზალჲ ნაქუ̂... ჩუ̂ათა̈შტნა მამას (ლნტ. 263) — შვილის ნათქვამი დაევიწყებია მამას.

ეშდდორი იგივეა, რაც **ˈჲˈეშდდორი**.

ეშდოხუ̂იშდ (-იშ) ბზ., **ჲეშდოხუშდ** ბქ., ლშხ., **ეშტოხუ̂იშტ** ლნტ. — თხუთმეტი. ჩუ̂ამხგზეხ ქუთა̈შთე ბერკლა̈რშუ̂ ეშდოხუ̂იშდ ეკენითუ̂ეჟი (ბზ. 23) — გამაგზავნეს ქუთაისში ბორკილებით თხუთმეტ ენკენისთვეს. მეთხუ̂არა ეშდოხუშდ ლგმა̈რდელიხ (ბქ.) — მონადირეები თხუთმეტნი ყოფილან.

ხ-ეშდო̄რი იგივეა, რაც **ხ-ეშდო̈̄რი**.

ხ-ეშდო̈̄რი (ლა̈ხუ̂შდორრა̈ნ, ლა̈ხშდორრა̈ნ; ლა̈ხშდო̈̄რი) ბზ., **ხ-ეშდუ̂რი, ხ-ეშდუ̂რენი** (ლოხშდორენ‖ლახუ̂ეშდუ̂რ, ლა̈ხშდორან‖ლა̈ხშდუ̂არ; ლა̈ხშდერი‖ლახშდერნი) ბქ., **ხ-ეშდო̄რი** (ლოხშდო̄რენ, ლეხშდო̄რა̈ნ; ლეხშდო̄რი) ლშხ., **ხ-ენშტორი** (ა̈თუ̂ენშტორენ, ა̈თენშტორან; ა̈თენშტორი) ლნტ., გრდუკ. — ეხვევა; აცხრება. ლა̈ხუ̂შდო̄რა̈ნ ლაყხა̈ლთე (ბზ.) — საკვირველად მოეხვია. ბობშ ბგგიდ ლეხშდო̄რა̈ნ მიჩა დის (ლშხ.) — ბავშვი დედას მაგრად ჩაეხვია. და̈შტუ̂ ა̈სენშტორან ფირუ̂ს (ლნტ.) — დათვი ძროხას დააცხრა.

ხ-ეშდრა̈ლ (ლოხუ̂შდირა̈ლ, ლახშდირა̈ლე; ლახშდირა̈ლი‖ლახშდირა̈ლნე) ბზ., **ხ-ეშდრა̈ლ** (ლოხშდირალ, ლა̈ხშდირალ; ლახშდირა̈ლი) ბქ., გრდუკ. — ეთამაშება. ჰა̈შ ხეხუ̂მი ფათუ̂ა̈რს ხეშდრა̈ლ (ბზ. 392) — ქმარი ცოლის თმებს ეთამაშება. ნაღუ̂ეურ დინას ხეშდრა̈ლდა (ბქ. 131) — ბიჭი გოგოს ეთამაშებოდა. იხ. **ხ-ელრა̈ლ**.

ეშდსემი, ჲეშდსემი (-ი̇შ) ბზ., (-იშ)

ბქ., **ღეშდსემი** (-ჲშ) ლშხ., **ღეშტსემი** (-ღშ) ლნტ. — ცამეტი. ფერმას ხორი ეშდსემი ღუენდელ (ბქ. 195) — ფერმას ცამეტი მოზარდი (საქონელი) ჰყავს. ღეხუ-ჰäს ღეშტსემი გეზალ ხეყად (ლნტ.) — ცოლ-ქმარს ცამეტი შვილი ჰყავდა.

ხ-ეშდუჲრ ̈ენ ̈ი იგივეა, რაც **ხ-ეშდჲრი.**

ხ-ეშდლუჲ (äმშდუღäნ, äთშდუღäნ; äთშდუღუი ბზ., ამშდუღუäნ, ათშდუღუäნ; ათშდუღუი ბქ.), **ხ-ეშთხუჲ** (ემშდუხუäნ, ეთშდუხუäნ; ეთშდუხუი) ლშხ., **ხ-ეშტხუჲ** (äმეშტუხუäნ, äთეშტუხუäნ; äთეშტუხუი) ლნტ., გრდუვ. — ემარხება. მენწყერ ჩუქäნ კირაუ äთეშტუხუäნხ (ლნტ.) — მეწყრის ქვეშ საბძელი დაემარხათ.

ხ-ეშდხენი (äმშდäხ, ოთშდäხ; ოთშდეხნი ზს., ემშდახ, ოთშდახ; ოთშდეხნი ლშხ.), **ხ-ეშტეხენი** (ლ äმეშტახ, ლ äხეშტახ; ლ äხეშტეხენი) ლნტ., გრდუვ. — ელევა, უთავდება. ფარშმაგს ჩუ ოთშდäხ ლეღუ (ბზ. 253) — ფარშევანგს (აქ: ფასკუნჯს) ხორცი შემოელია. ფათრეკიშ მეთიäლს ფათრეკ მოდმ' ესერ ათშდეხა (ანდ.) — ფათერაკის მაძებარს ფათერაკი არ გამოლევიაო. ლეზუებ სკა ლახაშტეხა ხäლხს (ლნტ. 98) — ხალხს საჭმელი შემოლევია. ცოდუა მიშგუ ნოუ ხაშდეხახ (ჰოეზ. 130) — ჩემი ცოდვა ნუმც დალევიათ.

ხ-ეშეშäუჲ იგივეა, რაც **ხ-ეშშäუჲ.**

ხ-ეშენäლ იგივეა, რაც **ხ-ეშანäლ.**

ეშთäნ იგივეა, რაც **ეჩჲთäნ.**

ხ-ეშთხუჲ იგივეა, რაც **ხ-ეშდლუჲ.**

ეშ-ი-აშ ზმნს. — აქეთ-იქით. უäზი კუადლäრ ეშ-ი-აშ ოთშჲდა (ბზ. 237) — ვაზის ტოტები აქეთ-იქით გადაუყრია. ყäრს... ეშ-ი-აშ ადისგუხ (ბქ. 297) — ყავარს აქეთ-იქით დებდნენ. [ხალხ] ჰუაფხჲენიხ ეშ-ი-აშ (ლშხ. 29) — ხალხი აქეთ-იქით გაიფანტება.

ხ-ეშიäლ იგივეა, რაც **ხ-ეშიäლ.**

ხ-ეშიäლ იგივეა, რაც **ხ-ეშიäლ.**

ხ-ეშიäლ (ოხუშიäლäნ, äხშიäლäნ; äხშიäლი) ბზ., **ხ-ეშიäლ** (äხუშიäლ‖ოხუშიალ, äხშიალ; äხშიäლი ბქ., äხუეშიალენ; äხეშიალან; äხეშიალი ლნტ.), **ხ-ეშიäლ** (ოხშიäლ, ახშიäლე; ახშიäლნე) ლშხ., გრდუვ. — ებრძვის, ეომება. ეჯღäრ ხეშიäლხ თათრი ჯäრს (ბზ. 330) — ისინი თათრის ჯარს ეომებიან. [თეთნე ხელწიფხს] ეშდორი სäხელწიფხ ხეშიალ (ბქ. 106) — თეთრ ხელმწიფეს თორმეტი სახელმწიფო ეომებოდა. ხეშიäლ ღაკოფ დäუს (ლშხ.) — ებრძვის იაკობი დევს.

ეში-ეშჲ, ეშჲღეშჲ ბზ., **ეშიეში** ბქ., ლნტ., **ეშჲ-ეშჲ** ლშხ., ზმნს. — მაინცდამაინც, აუცილებლად. ჯ'ჲსერ ჩუახäშგუნი თხუმ, მარე ეშჲ-ეშჲ გუნ საჰირო მäმა ხäრ (ბზ. 250) — მე ჩამოვაწველინებ თავს, მაგრამ მაინცდამაინც ძალიან არ გჭირდებაო. ალე ხოხალხ ეშჲ-ეშჲ ზითუნახაუი სასახ (ლშხ. 70) — ეს ჰგონიათ მაინცდამაინც მზეთუნახავის სასახლე. ეშიეში ხამარჯუიხ ლიზის (ლნტ.) — აუცილებლად აპირებენ წასვლას.

ეშჲ ბზ., ლშხ., **ეში** ლნტ., ზმნს. — მაინც. ყალაჩუყლანდ ეშჲ ჩუადგäრ დäუ (ბზ. 246) — ყალაჩუყლანმა მაინც მოკლა დევი. მეცართე ეშჲ ლგრიხ (ლშხ. 11) — მკითხავთან მაინც მიდიან. დაჩუირდ ეში ჩუ ლäიშ ლიც (ლნტ. 311) — დამ წყალი მაინც დალია.

ხ-ეშკებენი იგივეა, რაც **ხ-ეშგბენი.**

ხ-ეშკედი იგივეა, რაც **ხ-ეშგდი.**

ხ-ეშგი იგივეა, რაც **ხ-ჲშგი.**

ხ-ეშკი იგივეა, რაც **ხ-ჲშგი.**

ხ-ეშკიფი იგივეა, რაც **ხ-ეშკფი.**

ხ-ეშკრი იგივეა, რაც **ხ-ეშგრი.**

ხ-ეშკუდი იგივეა, რაც **ხ-ეშგუდი.**

ხ-ეშკუემ იგივეა, რაც **ხ-ეშგუემ.**

ხ-ეშკფი (ლოხშკიფäნ, ლäხშკიფäნ; ლäხშკიფი ბზ., ლäხუშკიფენ‖ლოხშკიფენ, ლäხშკიფან; ლäხშკიფი ბქ., ლოხშკიფენ, ლეხშკიფäნ; ლეხშკიფი ლშხ.), **ხ-ეშკიფი** (ლäხუეშკიფენ, ლäხეშკიფან; ლäხეშკიფი) ლნტ., გრდუვ. — 1. მოულოდნელად შეხვდება, 'მი'ადგება; 'შე'ეჩეხება. ღორი მäრე ლäხშკიფäნხ უშხუäრ (ბზ.) — ორი კაცი ერთმანეთს შეეჩეხა. ნასო ლამაშკიფდა ხუნკუილეთ (ლნტ.) — წინაღამეს მოულოდნელად ნასო მომადგა. 2. ბქ. 'მი'აშტერდება.

დინა ქალახშ̈კიფან მარას (ბქ.) — ქალიშვილი კაცს მიაშტერდა.

ეშმა იგივეა, რაც **ძეშმა̈კ.**

ხ-ეშმი (ლოხჳეშმ, ლა̈ხშგმ; ლა̈ხშგმი) ზს., **ხ-ეშჳმი** (ოხშუმენ, ეხშუმა̄ნ; ეხშუმი ლშხ., ა̈ხჳეშუმენ, ა̈ხეშუმან; ა̈ხეშუმი ლნტ.), გ რ დ უ კ. — ეძახის, ეხმიანება; ეხმაურება. სგა ლა̈ხშგმ მეჭედს ქორთე (ბქ.) — შინ შეიხმო მოსული. სოფელდ ადშგმ ალ ჭა̈ნ სემი ათა̈ს მანა̈თდ ესერ ხაჯეშ (ბქ.) — სოფელმა თქვა (დაიძახა) — ეს ხარი სამი ათასი მანეთი ღირსო. ხოლამდ ა̈ხეშუმან დიმეთილს თელეღრა (ლნტ.) — ცუდად გამოეპასუხა (გამოეხმაურა) რძალი დედამთილს. მაღლაჳ ლა̈ხშგმ გა̈გიშხა̈ნქა (ჰოეზ. 3:4) — მამამა შემოსძახა გაგიშიდან.

ხ-ეშძა̈ნ იგივეა, რაც **ხ-ეშა̈ნ.**

ხ-ეშძი (ა̈მშიძა̈ნ, ა̈თშიძა̈ნ; ა̈თში̄ძ) ბზ., **ხ-ეში̄** (ემშიან, ეთშია̄ნ; ეთში̄) ლშხ., **ხ-ეშიძ** (ამშიძა̈ნ, ა̈თშიძა̈ნ; ათშიძ ბქ., ა̈მეშიან, ა̈თეშიან; ა̈თეშიი ლნტ.), გ რ დ უ კ. — უსიედება. მა̄რა სკელ ქა̈თშძა̈ნ (ბზ. 406) — კაცს წვივი გაუსივდა. შტიმრა̄ლ ხეში̄ხ (ლშხ.) — ყურები უსივდებათ. ფხულე ათაშია (ლნტ.) — თითი გასიებია. გ ა დ ა ტ. გიორგის ჯაჳრშჳ თხჳიმ ჩჳა̈თეშიან (ლნტ. 49) — გიორგის ჯავრით თავი გაუსივდა.

ხ-ეშო̄ნა̈ლ (ლოხშონა̈ლ, ლახშო̄ნა̄ლე; ლახშონა̈ლი) ბზ., **ხ-ეშონა̈ლ** (ლოხშონალ, ლახშონალ||ლა̈ხშონალე; ლახშონა̈ლისგ ბქ., ლახჳაშონა̈ლ, ლახაშონალე; ლახაშონალი ლნტ.), **ხ-ეშო̄ნა̄ლ** (ლოხშო̄ნა̄ლ, ლახშო̄ნა̄ლე; ლახშო̄ნალნე) ლშხ., გ რ დ უ კ. — შურს. ხენწიფი ბედა ლახშონა̄ლეხ (ბზ.) — ხელმწიფის ბედი შეშურდათ. ხეშონალდახ გიგოს (ლნტ.) — შურდათ გიგოსი.

ხ-ეშტერა̈ჳი იგივეა, რაც **ხ-ეშტრა̈ჳი.**

ეშტერბი იგივეა, რაც **ძეშდძორი.**

ხ-ეშტეხენი იგივეა, რაც **ხ-ეშდხენი.**

ხ-ეშტკგნი იგივეა, რაც **ხ-ეშდკგნი.**

ხ-ეშტნი იგივეა, რაც **ხ-ეშდნი.**

ეშტოხჳიშტ იგივეა, რაც **ეშდოხჳიშდ.**

ხ-ეშტრა̈ჳი (ლოხშტარჳა̈ნ, ლა̈ხშტარჳა̄ნ; ლა̈ხშტარჳი) ბზ., **ხ-ეშტრაჳი** (ლოხშტერჳენ, ლეხშტერჳა̄ნ; ლეხშტერჳი) ლშხ., **ხ-ეშტერა̈ჳი** (ლა̈ხჳეშტერა̈ჳენ, ლა̈ხეშტერაჳან; ლა̈ხეშტერა̈ჳი) ლნტ., გ რ დ უ კ. — ამტერდება. ხჳა̈ძ ხა̈ნს ლა̈ხშტარჳა̈ნხ უშხჳა̄რ (ბზ.) — დიდხანს მიაშტერდნენ ერთმანეთს. ლეხშტერჳა̄ნხ უშხჳა̄რ (ლშხ.) — მიაშტერდნენ ერთმანეთს. მი სკალახჳეშტერაჳენ ზურალს (ლნტ.) — მე ქალს მივაშტერდი.

ხ-ეშტხჳი იგივეა, რაც **ხ-ეშდღჳი**

ხ-ეშჳა̈რი იგივეა, რაც **ხ-ეშჳრი**[2].

ხ-ეშჳდები (ოხჳეშჳიდბა̈ნ, ა̈ხშჳიდბა̈ნ; ა̈ხშჳიდბი) ბზ., გ რ დ უ კ. — ემშვიდობება. ქა̈ხშჳიდბა̈ნ და̈ჳით მიჩა დი̄ნას (ბზ. 271) — დავითი თავის ქალიშვილს გამოემშვიდობა.

ეშჳი იგივეა, რაც **ეშხჳ.**

ხ-ეშჳმი იგივეა, რაც **ხ-ეშმი.**

ხ-ეშჳრი[1] (ესჳშურა̈ნ, ესშურა̈ნ; ესშური ბზ., ოსშურენ, ესშურან; ესშური ბქ., ესშურა̄ნ; ლშხ., ა̈სჳეშურენ, ა̈სეშურან, ა̈სეშური ლნტ.), გ რ დ უ კ. — საჭმელს გაუმაძღრისად ასკდება, ნაყროვნებისაგან ცუდად ხდება. ლეზჳებს ერე ყ'ესშურა̈ნ (ბზ.) — ვიღაც საჭმელს გაუმაძღრისად დაასკდა. გოჭა̈რ ყ'ესშურა̈ნხ შჳელს (ბზ.) — გოჭები შრატს დაასკდნენ.

ხ-ეშჳრი[2] (ა̈მშჳარა̈ნ, ა̈ხშჳარა̈ნ; ა̈ხშჳა̈რი ბზ., ემშჳარა̄ნ, ეთშჳარა̄ნ; ეთშჳარი ლშხ.), **ხ-ეშჳა̈რი** (ამშჳარან, ა̈თშჳარან; ა̈თშჳარი) ბქ., გ რ დ უ კ. — ჭრილობა ურთულდება, უმიზეზდება. ყელი ნაჭა̈ფ ბეფჳშს მგცხი̄სგა ყ'ა̈ხშჳარა̈ნ (ბზ.) — ძაღლის ნაკბენი ბავშვს სიციეში გაუმიზეზდა. ყ'ახშჳარენა ლგქაჩ ჰყინტს (ლშხ.) — ბიჭს ჭრილობა გამიზეზებია.

ხ-ეშშა̈ჳი (ჩჳა̈მშეშჳა̈ნ, ჩჳა̈თშაშჳა̈ნ; ჩჳა̈თშეშჳი) ბზ., **ხ-ეშშაჳი** (ემშეშჳა̄ნ, ეთშეშჳა̄ნ; ეთშეშჳი) ლშხ., **ხ-ეშეშა̈ჳი** (ა̈მეშეშაჳან, ა̈თეშეშაჳან; ა̈თეშეშა̈ჳი) ლნტ., გ რ დ უ კ. — უშეშდება. მაყალშჳ ჩჳემშეშჳა̈ნ მაგ (ლშხ.) — შიშით ყველაფერი გამიშეშდა. მგცხაუშ ტოტა̈რ ა̈თეშეშაჳანხ (ლნტ.) — სიცივისაგან ხელები გაუშეშდათ.

ეშჭიმ იგივეა, რაც **ესჭიმ.**

ეშჭომე იგივეა, რაც **ესჭომე.**

ეშხუ, ეშხჷი (მიც. აშხჷ, მოთხ. აშხჷემ, ნათ. აშხჷმიშ, მოქ. აშხჷშ"ჷ", ვით. აშხუდ) ზს., **ეშხუ** (მიც. ეშხუს, მოთხ. ეშხუდ, ნათ. ეშხუმიშ‖ეშხჷშ, მოქ. ეშხუჷშ ვით. ეშხუდ ლშხ., ნათ. ეშხუჲშ ლნტ.), **ეშჷი** (მიც. აშჷ, მოთხ. აშხჷემ) ლხმ. 1. ერთი. ბებშჷდ ეშხუ რჷეულ ენყიდე (ლშხ.) — ბაეშვმა ერთი რვეული იყიდა. ამ ლეთ ეშხუ ლა̈ჲსას აჲსენიხ (ბქ. 6) — ამ ღამეს ერთ საკლავს კლავენ. ეშხუ ზურა̄ლ ჩჷესსგური ტაბგი თხუმისა (ლშხ. 39) — ერთი ქალი სუფრის თავში დაჯდება. 2. ერთი განუსაზღვრელი ნაცვალსახელი. ეშხჷი‖ეშხუ მა̄რე ა̈რდა (ბზ. 59) — იყო ერთი კაცი. სგა ლა̈ხვა̈დგე̄ხ აშხჷ სოფელთე̄სგა (ბზ. 366) — მიაღწიეს ერთ(ს) სოფლამდე. **აშხუდ** ზს., **ეშხუდ** ლშხ., **აშხუმდ** ლნტ., ზმნს. — ერთად. კე̄სა̈რს ი ჷა̈ზრა̈ლს ჩჷასგჷრეხ აშხუდ (ბზ. 14) — კეისარსა და ვეზირებს ერთად დასხამენ. ჩი ლა̈დელ აშხუმდ არიხ (ლნტ.) — ყოველდღე ერთად არიან.

ეშხუდ იხ. **ეშხუ.**

ეშხუნ[1] იგივეა, რაც **აშხჷი̄ნ.**

ეშხუნ[2] იგივეა, რაც **აშხჷყინ.**

ეშხუნარდ, ეშხუნა̈ირდ, ეშხუნაირდ ზმნს. — ერთნაირად. ეშხუნაირდ ხე̄ქჷხ (ლშხ.) — ერთნაირად უთხრეს. ქართობილი დია̈რ ი ლობიოჲ დია̈რ ეშხუნა̈ირდ ინა̈ყიხ (ლნტ. 35) — კარტოფილიანი და ლობიანი პური ერთნაირად ცხვება.

ეშხუნა̈ირ (-იშ) ბზ., ლნტ., **ეშხჷინა̈ირ** ბქ., **ეშხუნაირ** ლშხ. — ერთნაირი. ჩილადალ ეშხჷინა̈ირ ლეზობ ამარახ (ბქ.) — ყოველდღე ერთნაირ საჭმელს ამზადებდნენ. ქორალ ეშხუნაირ ლჷგხ (ლშხ.) — ერთნაირი სახლები დგას. ნა̈დენა̈რს ეშხუნა̈ირ კაბა̈რ ხაქჷხ (ლნტ.) — გოგონებს ერთნაირი კაბები აცვიათ.

ეშხუნლო იგივეა, რაც **აშხუნლო.**

ეშხუს იხ. **ეშხუ.**

ეშხუშ-ეშხუ (-იშ, —) ბზ., **ეშხუჷშ-ეშხუ** ქს. — ერთადერთი. ეშხუშ-ეშხუ ფირჷილდ მირდა (ბზ.) — ერთადერთი ძროხა მყავდა. ეშხუჷშ-ეშხუ კაბ ხულჷა (ლშხ.) — ერთადერთი კაბა აქვს. ხალჷენახ ეშხუჷშ-ეშხუ აჴგლ (ლნტ. 268) — ერთადერთი ვაჟი ჰქონიათ. იხ. **აშხჷშ-ეშხჷილ.**

ეშხჷინ[1] იგივეა, რაც **აშხჷი̄ნ.**

ეშხჷინ[2] იგივეა, რაც **აშხჷყინ.**

ეშხჷინა̈ირ იგივეა, რაც **ეშხუნა̈ირ.**

ეშხჷყი იგივეა, რაც **აშხჷყინ.**

ეშხჷყი̄ნენ იგივეა, რაც **აშხჷყინ.**

ხ-ეშჷ̄დნი (ემშჷ̄დდა, ესშჷ̄დდა; ესშჷ̄დნი) ლშხ., **ხ-აშგდენი** (ამსაშგდდა, ასაშგდდა; ა̈სეშგდნი) ლნტ. — ეყრება. ლგრჩალ თხუმჟი ესშჷ̄დდა (ლშხ.) — ნაკვერცხლები თავზე დაეყარა იხ. **ხ-ეჭრი**[1].

ეჩაბუა̄სდ (-აშ, —, ბზ., -იშ, —, ლშხ.), **ეჯაბუასდ, ეჯაბასჷდ, ეჯაბასდჷ** ბქ., **ეჩაბუასტ** ლნტ.— საიქიო. ჩჷადკჷა̈რხ ყალაჩჷყლან ეჩაბუა̄სდთე (ბზ. 246) — ჩააგდეს ყალაჩუყლანი საიქიოში. ლჷაჭა̈რ ესერ ეჯაბასდთ' ოთგნგზაჷრა (ბქ. 251) — ვაჭარი საიქიოს გაუმგზავრებიაო. ეჯაბუასდხენ და̈რ ესერ ლი მეტხე (ანდ.) — საიქიოდან არავინ დაბრუნებულაო. ქუნა̈რ ესერ ეჯაბასჷდ ალხჷერიხ ხოჩამ ი ხოლამ (ბქ. 76) — სულები საიქიოში ბჭობენ კარგსა და ავსო. ეჯი ლოქ ღე̄რბათს ეჩაბუა̄სდ ლოხტი̄ხა (ლშხ. 35) — ივი ღმერთს საიქიოში მიუბრუნებიაო. მიჩ ეჩაბუასტხო დემ ლოქ იხნეხ (ლნტ. 71) — მე საიქიოში არ მიშვებენო.

ეჩათან იგივეა, რაც **ეჩი̄თა̄ნ.**

ეჩან იგივეა, რაც **ეჩგნ.**

ეჩანქა იგივეა, რაც **ეჯგნქა.**

ეჩანლო იგივეა, რაც **ეჩქანლო.**

ეჩაჷ ბზ., ქს., **ეჩხაჷ**[1] ბქ., ზმნს. — 1. იქით. ლადელჷშ ეჩაჷ ლგრი, ამბა̈ჷს იკჷჰა̄ლი (ბზ. 72) — დღისით იქით მიდის, ამბავს გებულობს. ათხე ერ ეჩაჷ ლი ლა̄შხ, ეჯზუმ ამხაჷ ლგმა̄რე̄ლი (ლშხ. 1) — ახლა რომ იქითაა ლაშხეთი, იმხელა აქეთ ყოფილა. 2. იქამდე. ეჩაჷ ხო̄ზი აშირ ჷერს (ბზ.) — იქამდე ასი ვერსია. ეჩაჷ ერ ადჴჷადდ, ეჩქა გარ ლა̈გჷეიდახ (ლნტ.) — იქამდე რომ მივედით, მხოლოდ მაშინ დაგვეწიენ.

ეჩალაჲ იგივეა, რაც **ეჯლა̈ჲ.**

ეჩგიˆშˆ, ეჩგიäშ ზს., **ეჯგიშ, ეჯგიäშ** ბქ., **ეჯსგიშ, ეჩეგიშ, ეჩეურა, ეჩეშ** ლშ., **ეჩეჲშ** ლნტ. — იქაური. ეჩგიˆშˆ ხოჩა ამეგ, ამეგი ხოლა ეჩეგ (ბზ. 442) — იქაური კარგი აქ, აქაური ცუდი — იქ. ეჩეჲˆშˆ მარე ამეჩუ დეშ იმარგ (ლნტ.) — იქაური კაცი აქ ვერ ივარგებს. ეჩეურა თუ გუ̈ნ ხოჩა ლეზობ ლი (ლშ.) — იქაური თაფლი ძალიან კარგი საჭმელია.

ხ-ეჩდა (ხუ̈ეჩ̈გდდäს, ხეჩ̈გდდა; ხეჩ̈გდდე̄დს ბზ., ხუ̈ეჩგდ, ხეჩგდ; ხეჩგდეს ბქ., ხუ̈ეჩ̈გდენ, ხეჩ̈გდäნ: ხეჩ̈გდე̄ნს ლშ., ხუ̈ეჩ̈გდდას, ხეჩგდდა; ხეჩგოდეს ლნტ.) გრდუვ. — ურევია. ხენწიფი კაზარმაისგა ეშხუ უ̈ეზირ ხეჩ̈გდ (ბზ. 292) — ხელმწიფის ყაზარმაში ერთი ვეზირი ერია. ნენკერას... ხილმäხილ ცხეკსი ხეჩდა (ბქ. 282) — ნენკერაში ხეხილი ტყესაც ურევია. უ̈რბაშ ხეჩდახ ეჯკალიბარ, ერე ჟი ლგფრე ხäრხ ასუ̈არ (ლშ. 89) — ბევრი ურევიათ ისეთები, სხეულის ნაწილები გამხმარი რომ აქვთ.

ხ-ეჩდინი იგივეა, რაც **ხ-ენჩგდი.**

ხ-ეჩდი̄ნი (äმჩგდი̄ნäნ, äხჩგდი̄ნäნ, äხჩგდი̄ნი ბზ., ემჩგდი̄ნäნ, ეხჩგდი̄ნäნ; ეხჩგდი̄ნი ლშ.), **ხ-ეჩდინი** (äმჩიდნäნ, äხჩიდნäნ; äხჩიდნი ბქ., äმეჩგდნäნ, äხეჩგდნäნ; äხეჩგდნი ლნტ.), გრდუვ. — ˈმოˈერევა. ცხუ̈ადუ̈ს ერ ხოჩäმდ ხეჩდი̄ნი, ეჩქა ჟი დემ იჟჩე (ბზ.) — საარაყე ქვაბს თუ კარგად მოერევა, მაშინ არ მიიწვავს. თაშმგჯაბს ბგგიდ ხეკუ̈ეს ეხჩგდი̄ნე̄ნს (ლშ.) — თაშმგჯაბს (მოხარშულ ყველს) მაგრად უნდა მორევა (მიერიოს).

ეჩე ბზ., ქს., **ზმნს.** — იქ. ჟი ლგრი მადლიäნთე ი ეჩე იმზირ (ბზ. 13) — ადის მადლიანთან და იქ ლოცულობს. ეჩე ესხუ̈ი̄დახ ბელხანჯარ (ლშ. 70) — იქ დახვდათ ბელხანჯარი. ეჩე ერ ადჯადდ, დäუ̈ დესა არდა äგის (ლნტ. 292) — იქ რომ მიეიდა, დევი შინ არ იყო.

ეჩეგ-ამეგ ბქ., **ეჩე-ამე** ქს., **ზმნს.** — აქა-იქ. ეჩეგ-ამეგ ჩუ იმიხ (ბქ. 238) — აქა-იქ (იქა-აქ) გააცხედება. ჩოლირს ეჩე-ამე გარ ხოგხ მურყუ̈ამäლ (ლნტ.) — ჩოლურში მხოლოდ აქა-იქ უდგათ კოშკები.

ეჩელეჟა ზმნს. — იქით, ქვემოდან ზემოთ, ზემოთკენ. იმთე ესღრი ეჩელეჟა? (ბზ.) — იქით, ზემოით, საით მიდიხარ? ეჩელეჟა ეშხუ ჯიმილ-დაჩუ̈ირ ახასდახ (ბქ. 27) — იქით (ზემოთ) ერთი და-ძმა შემოეყარათ. ამ დუ̈რეს ეჩელეჟა ალმäზლი მარე (ლნტ. 239) — ამ დროს იქით, ზემოთკენ, თურმე კაცი მოდიოდა.

ეჩელექუ̈ა ზმნს. — იქით, ზემოდან ქვემოთ. ეჩელექუ̈ა ჩუ̈äთჰäმ ალäი... (ბზ. 305) — ესეც ქვემოთ ჩაჰყვა. ჲერუ̈äჲ ალმäზლი ეჩელექუ̈ა, ჩიჲს ლგმააშამუ̈ნლი (ლნტ. 283) — ვინც ქვემოთ მოდიოდა, ყველას იმადლიერებდა.

ხ-ეჩემაუ̈äლ (ოსჩემაუ̈äლ, ესჩემაუ̈äლე; ესჩემაუ̈äლნე) ლშ., **ხ-ეჩემაუ̈äლ** (äსუ̈ეჩემაუ̈ˈალˈენ, äსეჩემაუ̈äˈლაˈნ; äსეჩემäუ̈ˈალˈი) ლნტ., გრდუვ. — ექადნება, ემუქრება. მეცუ̈ალა უ̈შხუ̈äრ ხეჩემაუ̈äლხ (ლშ.) — მოჩხუბრები ერთმანეთს ექადნებიან. დიენაცäდ... ჟäსეჩემაუ̈äნ გეზალუ̈თრას (ლნტ. 175) — დედინაცვალი დაექადნა გერს.

ეჩეჲსგა იგივეა, რაც **ეჩე̄სგა.**

ეჩეჟი ზმნს. — იმაზე. ეჩეჟი ნომˈ äსსგურდე̄დდ (ბზ. 162) — იმაზე არ დასხდეთ. ეჩეჟი ლგგäნ ხოშა ნეკშდ (ბქ. 205) — იმაზე დიდი თიკანი იდგა. ჟი იდე̄სხ ეჩეჟი გობარშუ̈ ლეღუ̈არს (ლშ. 38) — იმაზე გობებით ხორცს დებენ. ეჩეჟი მი მადმა მიქუ̈ა (ლნტ.) — იმაზე მე არაფერი მითქვამს.

ეჩექა ზმნს. — იქ, იმაზე. ლადäლშუ̈ი გარჯ ლი ეჩექა ლიჰედ (ბზ. 36) — დღისითაც ძნელია იმაზე გამოსვლა. ეჩექა მანქანა დეშ ლგრი (ბზ.) — იქ (იმაზე) მანქანა ვერ გავა. ქაუ̈ აჩადხ ეჩექა (ბქ. 19) — იმაზე (იქ) გაიარეთო. ეჩექა ანღრი (ლნტ.) — იმაზე მოდის.

ხ-ეჩეშენი იგივეა, რაც **ხ-ეჩშენი.**

ეჩეჩუ, ეჩჩუ ზს., **ეჩჩუ̈ნ** ბზ., ლშ., **ეჩეჩუ, ეჩეჩუ̈ნენ, ეშჩუ̈ნ** ლშ., **ეჩეჩუˈნˈ** ლნტ., **ზმნს.** — იქ. ჩუ სგურხ ეჩჩუ ხუ̈äჲ ხäნს (ბზ. 12) — იქ დიდხანს სხედან. ეჩჩუ̈ნ ლäჲბინიხ ლიჰნურის (ბზ. 9) — იქ დაიწყებენ ჭიდილს (ჭიდაობას). ეჩეჩუ პაპ ლგმზიგ (ბქ. 4) — იქ თურმე მღვდელი ცხოვრობდა. ეჩეჩუ ენბინი ლიბგრგიელ (ლშ. 21) — იქ დაიწყება ჭიდაობა. ეჩეჩუ დäრ äგუ̈სიხუ̈იდა (ლნტ.) — იქ არავინ დაგვხვდა

ეჩეხ იგივეა, რაც **ეჩხäნ.**

ეჩეხენ იგივეა, რაც **ეჩხა̈ნ.**

ეჩეხენ-ამეხენ იგივეა, რაც **ეჩხა̈ნ-ამხა̈ნ.**

ხ-ეჩე̄დურა̈̄ლ (ლოხჩე̄დურა̈̄ლ, ლახჩე̄დურა̈̄ლე; ლახჩე̄დურა̈̄ლნე ბზ.), **ხ-ეჩედურალ** (ლოხჩედურალ, ლა̈ხჩედურალ; ლა̈ხჩედურა̈ლი) ბქ., **ხ-ეჩე̄დურა̈̄ლ** (ლოხჩედურა̈̄ლ, ლახჩე̄დურა̈̄ლე; ლახჩე̄დურა̈̄ლნე) ლშ., გ რ დ უ ვ. 1. გაურბის, ʻგაʼექცევა. გიგოს ხეხუ ხეჩე̄დურა̈̄ლ (ბზ.) — გიგოს ცოლი ეყრება (გაურბის). 2. სული ʻამოʼჰხდება. სორთმანს ქჷინილდ ხეჩე̄დურა̈̄ლ (ჰოეზ. 82) — სორთმანს სული ჰხდება.

ეჩე̄სგა ბზ., **ეჩეჲსგა** ბქ., **ეჩეჲსა** ქს., **ეჩეჲსკა** ლნტ., ზ მ ნ ზ. — იმაში. ეჩე̄სგა ეშხუ ლგდგა̈რ არდა (ბზ. 296) — იმაში ერთი მიცვალებული იყო. ეჩეჲსგა დია̈რ ხოსდ (ბქ.) — იმაში პური ედო. ეჩეჲსკა სემი დია̈რ ლგმა̈რდ (ლნტ. 297) — იმაში სამი პური ყოფილა.

ეჩზუმ იგივეა, რაც **ეჯზუმ.**

ეჩთა̈ნ იგივეა, რაც **ეჩი̄თა̈ნ.**

ეჩი̄ზუმ იგივეა, რაც **ეჯზუმ.**

ეჩი̄თა̈ნ, ეჩთა̈ნ ბზ., ლშ., **ეშთა̈ნ** ლშ. — იმისთანა. ეჩი̄თა̈ნ ა̈გის ხჷა̈რდად, მა̈გ ჩუ ხჷიდაჷშრლდ (ბზ. 34) — იმისთანა ადგილას ვიყავით, ყველანი დავიღუპებოდით. ალ ზითუნახაჷ დეშ ლას ეჩთა̈ნ თჷალაშ (ლშ. 71) — ეს მზეთუნახავი ვერ იყო იმისთანა ლამაზი (თვალადი).

ხ-ეჩი̄შდჲე̄ლ (—, ლახჩი̄შდჲელე; ლახჩი̄შდჲელნე) ბზ., **ხ-ეჩიშტიელ** (ლა̈ხჷაჩიშტიელ, ლა̈ხაჩიშტიელე; ლა̈ხაჩიშტიელი) ლნტ., გ რ დ უ ვ. — რქენს. ნალუნთ ჯანა̈რ უშხჷა̈რ ხეჩი̄შდიე̄ლხ (ბზ.) — ნამამთრი ხარები ერთმანეთს რქენენ („ერქინებიან“). იხ. **ხ-ებურჯი̄ელ.**

ეჩი̄ცა̈ლ (-იშ, -ა̈რ) ბზ., **ეჯიცა̈ლ** ბქ. — იმოდენა, იმხელა. მელეჷ მაზუს იდისგალნიჷ, ეჯიცა̈ლ ლაღჷ სგა ხა̈ქმოლნა (ბქ. 198) — მზარეული (მეხორცე) რამდენსაც ანაწილებდა ხორცს, იმდენი ემატებოდა თურმე. იხ. **ეჯზუმ.**

ეჩნურ იგივეა, რაც **ეჯნურ.**

ხ-ეჩო იგივეა, რაც **ხ-ა̈ჩო.**

ხ-ეჩოქაჷა̈ლ იგივეა, რაც **ხ-ეჩქოჷა̈ლ.**

ხ-ეჩოქა̈ნიელ იგივეა, რაც **ხ-ეჩქოჷა̈ლ.**

ეჩოხ იგივეა, რაც **ეჩხა̈ჷ.**

ეჩოხ-ამოხ იგივეა, რაც **ეჩხა̈ჷ-ამხა̈ჷ.**

ეჩოხშა̈ლიდ იგივეა, რაც **ეჩხა̈ჷშა̈ლიდ.**

ეჩჷინ იგივეა, რაც **ეჯჷი̄ნ.**

ეჩჷი̄ʻნʼ იგივეა, რაც **ეჯჷი̄ნ.**

ეჩსერ ლშ., **ეჯსერ, ეჩსერ** ლნტ. — იმის გარდა, იმის მეტი. ეჩსერ გეზალ დე̄სა ხაყე̄ნახ (ლშ.) — იმის მეტი შვილი არ ჰყოლიათ. ეჯსერ მა̈დმაბედიგჷეშ ხა̈ღჷენახ (ლნტ.) — იმის მეტი არაფერი ჰქონიათ.

ეჩურ იგივეა, რაც **ეჯნურ.**

ხ-ეჩფენი (ლა̈მჩა̈ფ, ლა̈ხჩა̈ფ; ლა̈ხჩეფნი ზს., ლემჩაფ, ლეხჩაფ; ლეხჩეფნი ლშ.), გ რ დ უ ვ. — შეეყრება, ედება ავადმყოფობა. მაჲ ლოქ ლა̈ჯჩა̈ფ? (ბზ.) — რა შეგეყარაო? ჩუ მესგჷრა მა̈ზიგ ხოშამ ესერ ხეჩფენი (ანდ.) — მჯდომარეს ჭირი მეტად შეეყრებაო.

ეჩქად ზ მ ნ ზ. — მანამდე. ეჩქად მა̈დ ა̈ნკიდ ნა̈პუ ე ჷოდე დი̄ნა მიჩაცახა̈ნ დო ესსგურეხ (ბზ. 287) — მანამდე არ აიღო ლუკმა, ვიდრე გოგო მასთან არ დასვეს. ეჯჷი ლოქ ახსყედ, იმჷი̄ ეჩქად ლას (ლშ. 74) — ისე გააკეთეთ, როგორც მანამდე იყოო. ეჩქად ტეჷრ ლას ეჩეჩუ (ლნტ. 14) — მანამდე იქ ტევრი იყო.

ეჩქანღო, ეჩქანღჷე ზს., **ეჩანღო, ეჩქანღო** ქს., ზ მ ნ ზ. — მას შემდეგ. ეჩქანღო ლიმციქჷლიე̄ლ ხა̈რხ უშხჷა̈რ ნე̄სგა (ბზ. 6) — მას შემდეგ მოციქულობა აქვთ ერთმანეთში. ეჩქანღო ტაბგობ ხეჭმენიჷ (ბქ. 4) — შემდეგ პურის ჭამა მოჰყვებოდა. ალე ბალახ ეჩანღო ჷი იცხემ (ლშ. 40) — შემდეგ ეს ბალახი გაიზრდება. ეჩანღო ქა ხოჴრიდახ ამშა ასაბია̈ს (ლნტ. 5) — შემდეგ შეუთვლიდნენ ამის ოჯახს.

ეჩქაʻსʼ ზ მ ნ ზ. — მაშინ. სი̄მაქ ეჩქას, ქა̈ნტჷახ ძღუღჷახა̈ნქა (ბზ. 274) — ქალიშვილი მაშინ გამობრუნდა ზღვიდან. ეჩქა დი̄ნა ლა̈ჲსგიდდა მეგა̈მხა̈ნჩუ (ბზ. 370) — მაშინ გოგომ ჩამოიხედა ხიდან. ეჩქა ლა̈ხჴჷეედდა დინა (ბქ. 20) — მაშინაა გოგომ ჰკითხა. ეჩქას ლი ლეჷ-

დი ლეთრე̄მი მუჷდი̄შდ თეთრ (ლშ. 19) — მაშინ სასმლის გამყიდველისათვის ფული მისაცემი. ეჩქა ლიცს ხჷა̈გჷეშიდ ლელარტა̈მს (ლნტ. 15) — მაშინ ბოსტნეულს წყალს ვასხამთ.

ეჩქა̈შიშ, ეჩქა̈შია̈შ ბზ., **ეჩქა̈შიშ, ეჩქა̈იშ** ბქ., **ეჩქა̄შიშ** ლშ., **ეჩქა̈შია, ეჩქაშიშ** ლნტ. — მამინდელი. ეჩქა̈შიშ დრო̈ჷ ათხე ჲა̈ს ხაჴყიდ? (ბზ.) — მამინდელი დრო ახლა ვისლა ახსოვს? ეჩქა̈შიშ დრეჷჲი სკარ ჩი შჷა̈ნს ხად (ბქ.) — მამინდელ დროს დღეობა მთელ სვანეთს ჰქონდა (დღეობას მთელი სვანეთი იხდიდა). ა̈თხე ლა̈ჲდი ჩჷა̈რი ეჩქა̈შია მურყჷამა̈ლე ნამხჷიროჷა̈ლ (ლნტ. 14) — მამინდელი ციხეების ნანგრევები ახლაც არის.

ხ-ეჩქოჷა̈ლ (ლოხჩოქჷა̈ლ, ლახჩოქჷა̄ლე; ლახჩოქჷა̈ლნე) ბზ., **ხ-ეჩქოჷა̈ლ** (ლოხჩოქჷალენ, ლახჩოქჷალან; ლახჩოქჷა̈ლისგ) ბქ., **ხ-ეჩქოჷა̄ლ** (ლოხჩოქჷა̄ლ, ლახჩოქჷა̄ლე; ლახჩოქჷა̄ლნე) ლშ., **ხ-ეჩოქა̈ნიელ** (ლა̈ხჷაჩოქა̈ნიელ, ლა̈ხაჩოქა̈ნიელე; ლა̈ხაჩოქა̈ნიელი) ლნტ., გ რ დ უ კ. — უჩოქებს („ეჩოქება“). ჯეჳჭრა̈ლ ი ჯეჩქოჷა̈ლ, გჷა̈კჷირ ხა̈ყრ მიშგუ გეზალს (ბზ.) — გევედრები და გიჩოქებ, ყურადღება მიაქციე ჩემს შვილს. ხჷა̈ჲ ლა̈ხაჩოქა̈ნიელეჲ ღერბეთს (ლნტ.) — ბევრჯერ დაუჩოქეს („დაეჩოქნენ“) ღმერთს.

ხ-ეჩქჷნი (ოთჩქჷანა̈ნ, ა̈თჩქჷანა̈ნ; ა̈თჩქჷა̈ნი) ბზ., გ რ დ უ კ. — ეჩვევა (ძალიან). ბოფშა̈რ ჩიგარ მინე დის ხეჩქჷნიხ (ბზ.) — ბავშვები ყოველთვის თავიანთ დედას ეჩვევიან.

ეჩშელდ იგივეა, რაც **ეჯშელდ**.

ეჩშელდინ, ეჩშელდგნ, ეჯშელდგნ, ეჯშელდინ ზ მ ნ ს. — იმდენჯერ. ჷოშელდ ეჯი ლა̈მზგროთე ღგრდა, ეჩშელდგნ ქორ ქა ლგჯელჷე ხეხოლიდა (ბქ. 76) — რამდენჯერ ის სალოცავად წავიდოდა, იმდენჯერ სახლი დაგვილი ხვდებოდა. ჷოშა მარქჷ ადინე ლეჯიშქა, ეჩშელდინ ლა̈ჯიში ქიპს ხეკჷეს ქა ხაჳგდეს დაფა̈რ (ლნტ. 30) — რამდენჯერ მაქო გავა საქსოვში, იმდენჯერ საქსოვის ძაფს უნდა ლაფათინი მიარტყას.

ხ-ეჩშენი (ოხჷეჩშ, ა̈ხჩა̈შ; ა̈ხჩეშნი ბზ., ლოხჷეჩშ, ლეხჩაშ; ლეხჩეშნი ლშ.), **ხ-ეჩეშენი** (ლახჷეჩშ, ლა̈ხეჩაშ; ლა̈ხეჩეშენი) ლნტ., გ რ დ უ კ. 1. ეფარება. მი ზექს ოხჷეჩშ (ბზ.) — მე შენის გროვას მოვეფარე. ბეფშ ლა̈ხეჩაშ ქორს (ლნტ.) — ბავშვი სახლს მოეფარა. 2. მოასწრებს, დაასწრებს.

ეჩხაჷ[1] იგივეა, რაც **ეჩაჷ**.

ეჩხა̈ნ ზს., **ეჩხენ** ბქ., ლშ., **ეჩეხ, ეჩეხენ** ლნტ., ზ მ ნ ს. — იქით; იქიდან; გაღმა. ძუღჷა ეჩხა̈ნ ლახჷბა იბჷლთა̄ლდახ (ბზ.) — მღვის იქით ძმები ბურთაობდნენ. ზორგეთ ხაშხა აშხჷ ლარას ნიშგე ეჩხენ (ბქ. 197) — ზორგეთი ჰქვია ერთ მინდორს ჩვენს იქით. მე̄რმე მუხჷბას ლე̄ზი ხა̄რა ძუღჷა̄ ეჩხენთე (ლშ. 51) — მეორე ძმა უნდა გასულიყო მღვის გაღმა (იქით). ეჩეხენ ყ'ასაცილ ბურთშალ (ლნტ. 319) — იქით (გაღმა) დაახეთქა ბურთიერთ.

ეჩხა̈ნ-ამხა̈ნ ბზ., **ეჩხენ-ამხენ** ბქ., ლშ., **ეჩეხენ-ამეხენ** ლნტ., ზ მ ნ ს. — აქედან-იქიდან (იქიდან-აქედან), აქეთ-იქით. ჲეშდჲეროჷ ნანჷლ სგა ხასგურ ეჩხა̈ნ-ამხა̈ნ (ბზ. 85) — თორმეტი ქალწული აქეთ-იქით უმის.

ეჩხა̄ჷ ბზ., ლშ., **ეჩხაჷ**[2] ბქ., **ეჩოხ** ლნტ., ზ მ ნ ს. — იქ, იქით. სოფელხა̈ნ ჩიგარ ეჩხა̄ჷ ესღგრდახ ლეზჷები ლა̈ყიდთე (ბზ.) — სოფლიდან ყოველთვის იქ მიდიოდნენ საჭმლის საყიდლად. ხედჷა̈ჲ ა̈დგილს თეფნიხ, ეჩხაჷ ადჲე ჷეთხმალ (ბქ. 10) — რომელ ადგილზეც იკარგებოდნენ, იქით გარეკა საქონელი. იმთე̄ჲ იკა̄ფო̄ლნი კე̄სარ, ეჩხა̄ჷ აკა̄ფნიხ მჷრყჷამსი̄ (ლშ. 21) — საითაც წაიქცევა კეისარი, იქით წააქცევენ კომკასაც. იმა̈ჲხო ჯეკჷადდეს, ეჩოხ ადერ! (ლნტ. 240) — საითაც გინდოდეს, იქით წადი!

ეჩხა̄ჷ-ამხა̄ჷ ბზ., **ეჩხაჷ-ამხაჷ** ბქ., **ეჩხა̄ჷ-ამხა̄ჷ** ლშ., **ეჩოხ-ამოხ, ეჩეხ-ამეხ** ლნტ., ზ მ ნ ს. — აქეთ-იქით, აქედან-იქიდან (იქიდან-აქედან). [ჰყინტდ] კჷადლა̈რ ქა̄შიდ ეჩხაჷ-ამხა̄ჷ (ბზ. 233) — ბიჭმა წნელები აქეთ-იქით გადაყარა. ეჩხა̄ჷ-ამხაჷ მეზელალა ლახჰედნახ (ბქ. 253) — აქეთ-იქით მოსიარულეებს უკითხავთ. ჲალო ლოქ ჩჷ ესჭგა̈ნხ ეჩხენ-ამხენ (ლშ. 57) — აბა დადექით აქეთ-იქითო. ისკიდარი [ჰყინტ] ეჩოხ-ამოხ (ლნტ. 163) — ბიჭი აქეთ-იქით იხედება.

ეჩხა̄ჷშა̈ლიდ ბზ., **ეჩხა̈ლიდ** ბქ., **ეჩხა̄ჷშა̄ლიდ** ლშ., **ეჩოხშა̈ლიდ** ლნტ.,

ზმნზ. — იქითობას. ეჩხა̈ჳშა̈ლიდ ქა̈მა̈სდ (ბზ.) — იქითობისას გამომიარე. ეჩხა̈ლიდ თა̈ჳითალჸი თჳით ბა̈ჩ ოხკიდახ (ბქ. 197) — იქითობას სათითაოდ თითო ქვა აუღიათ.

ეჩხიდ ქს., ზმნზ. — იქით, მოშორებით. კჷჩოლ ეჩხიდ ხა̈გენახ ჳისკჳ (ლნტ. 141) — ცოტა მოშორებით ვაშლი სდგმიათ.

ხ-ეჩხინი (ლოხჩიხნა̈ნ, ლა̈ხჩიხნა̈ნ; ლა̈ხჩიხნი ბზ., ლოხჩიხნენ, ლა̈ხჩიხნან; ლახჩიხნი ბქ., ლოხჩიხნენ, ლეხჩიხნა̈ნ; ლეხჩიხნი ლშ.), **ხ-ეჩხჷნი** (ლა̈ხჳეჩჷხნენ, ლა̈ხეჩჷხნა̈ნ; ლა̈ხეჩჷხნი) ლნტ., გრდუვ. — ერჭობა, ეჩხირება; ძვრება. გეგი ხოლა̄მდ ხეჩხინი ჩი საქმე̄ჲსა (ლშ.) — გეგი ყველა საქმეში ცუდად ეჩხირება. ჯე ამ ჰემ ჩუქანქა სკაჳ ლა̈ხეჩჷხნან (ლნტ. 156) — შენ ამ თივის ქვეშ შეძვერიო.

ეჩგნ იხ. ეჯა.

ეჩგნქა იგივეა, რაც **ეჯგნქა**.

ეჩგნლო̄⌈ნ⌉, ეჩუნლო̄⌈ნ⌉ ბზ., ლშ., **ეჩან-ლო** ლშ., **ეჩუნლო, ეჯგნლჳე, ეჯქანლჳე** ბქ., **ეჩანლო** ლნტ., ზმნზ. — შემდეგ, იმის შემდეგ. ეჩგნლო̄ნ სგა̈ნტა̈ხ ზურაბ მელთერთე (ბზ 238) — შემდეგ 'შე'მობრუნდა ზურაბი მკითხავთან. ეჩუნლო ხჳა̈ჲ ხა̈ნ აჩად (ბქ. 10) — მას შემდეგ დიდი ხანი გავიდა. ეჯქანლჳე მა̈გ ქ'ანჴა̈დხ ყორქა (ბქ.) — შემდეგ ყველა გარეთ (კარში) გამოვიდა. ეჩგნლო მინს ხოჩა ლირდე ოთჴი̄დახ (ლშ. 57) — შემდეგ მათ კარგი ცხოვრება გაუტარებიათ.

ხ-ეცა̈̄დ⌈ი⌉[1] (⌈ლ⌉ა̈ხჳცა̄და̈ნ, ⌈ლ⌉ა̈ხცა̄დ⌈ა̈ნ⌉; ⌈ლ⌉ა̈ხცა̈̄დი) ბზ., **ხ-ეცა̈დ⌈ი⌉** (ლა̈ხჳცადენ, ლა̈ხცადან. ლა̈ხცა̈დი) ბქ., **ხ-ეცა̄დი** (ლოხცა̄დენ, ლეხცა̄და̄ნ; ლეხცა̄დი) ლშ., **ხ-ეცა̈დი** (ლა̈ხჳეცადენ, ლა̈ხეცადან; ლა̈ხეცადი) ლნტ., კრდუვ. — გზას უჭრის, ზემოდან ექცევა, ზემოდან 'მო'უვლის, თავს 'და'უვლის; 'მი'ეპარება. ლახცა̈̄დ ჰა̈შ ხეხჳს (ბზ. 304) — ქმარი მიეპარა ცოლს. ქორა̈შს ქა̈მე ქორხენ ესერ ახცადა (ანდ.) — შინაურს გარეშე შინიდან მოსდგომია (მოქცევიაო). ჲაკოფ მე̄რმა ლესგხენ ეხცა̄და̄ნ რაშს (ლშ. 61) — იაკობი მეორე მხრიდან მოექცა რაშს.

ხ-ეცა̈̄დ⌈ი⌉[2] (ესჳცა̄და̈ნ, ესცა̄დ⌈ა̈ნ⌉; ესცა̈̄დი) ბზ., **ხ-ეცა̈დი** (ესჳცადენ, ესცადან; ესცა̈დი) ბქ., **ხ-ეცა̄დი** (ოსცა̄დენ, ესცა̄და̄ნ; ესცა̄დი) ლშ. **ხ-ეცა̈დი** (ა̈სჳეცადენ, ა̈სეცადან; ა̈სეცადი) ლნტ., — ჩაენაცვლება, შეენაცვლება. გაგო იშგენ ნა̈პო̄ლს ესცა̄დ ლა̈ცჷნდაჳთე (ბზ.) — გუგული სხვა ჩიტს ჩაუჯდა (ჩაენაცვლა) ბუდეში. აშხჳ ლახა ხეფშენიჳ, მერმე ხეცა̈დიჳ (ბქ. 307) — ერთი რომ დაიღლებოდა, მეორე შეენაცვლებოდა.

ხ-ეცა̈̄დ⌈ი⌉[3] (ა̈თჳ/ოთცად⌈ა̈ნ⌉, ა̈თცა̄დ⌈ა̈̄ნ⌉; ა̈თცა̈̄დი) ბზ., **ხ-ეცა̈დი** (ოთცად, ა̈თცად; ა̈თცა̈დი ბქ., ა̈თჳეცადენ, ა̈თეცადან; ა̈თეცადი ლნტ.), **ხ-ეცა̄დი** (ოოცა̄დენ, ეთცა̄და̄ნ; ეთცა̄დი) ლშ. — 'გა'ეგმაენება. ბეფშჳ ა̈თცა̈̄დ დის მე̄რმა სოფელთე (ბზ.) — ბავშვი გაეგმაენა დედას მეორე სოფელში.

ხ-ეცდაჳი იგივეა რაც **ხ-ეცჳდი**.

ხ-ეცელენი იგივეა, რაც **ხ-ეცლენი**.

ხ-ეცეყენი იგივეა, რაც **ხ-ეცყენი**.

ხ-ეცირი იგივეა, რაც **ხ-ეცი̄რი**.

ხ-ეცი̄რი (ა̈მცი̄რა̈ნ, ა̈თცი̄რა̈̄ნ; ა̈თცი̄რი ბზ., ემცი̄რა̄ნ, ეთცი̄რა̄ნ; ეთცი̄რი ლშ.), **ხ-ეცირი** (ა̈მცირან, ა̈ხცირან; ა̈ხცირი ბქ., ა̈მეცირან, ა̈თეცირან; ა̈თეცირი ლნტ.), გრდუვ. — ეფიცხება, 'გადა'სძერება. ტჳეტი ტუფ ჸ'ა̈მცი̄რა̈ნ (ბზ.) — ხელის თყავი ამძვრა.

ხ-ეცლენი (ესჳეცლ/ოსეცლ, ესცა̈ლ; ესცელნი ზს., ოსეცლ, ესცალ; ესცელნი ლშ.), **ხ-ეცელენი** (ა̈სჳეცლ, ა̈სეცალ; ა̈სეცელენი) ლნტ., გრდუვ. — 'და'ასკდება, 'მი'ასკდება. ყა̈̄რაშ ხჳეცლენი ჩუქჳა̈ნ! (ბზ. 234) — ყავარზე (სახურავზე) ძირს დავასკდები. გადატ. ბუბა ხია̈რ ჸ'ესცალ ლეზობ (ბქ.) — ბიძა კინაღამ დაასკდა საჭმელს.

ეცნა̈რ იგივეა, რაც **ესნა̈⌈რ⌉**.

ხ-ეცუ⌈ჳ⌉ა̈ლ იგივეა, რაც **ხეცჳა̈̄ლ**.

ხ-ეცჳა̈̄ლ (ა̈თჳცუდ||ა̈ხჳცუდ||ოხცუდ, ა̈თცჳდ||ა̈ხცჳდ; ა̈თცო̄ლი||ა̈ხცო̄ლა) ბზ., **ხ-ეცჳა̈ლ||ხ-ეცუა̈ლ** (ა̈ხჳცუალ||ოთცუდ. ა̈ხცუალ||ა̈თცუდ⌈და⌉; ა̈ხცუა̈ლი||ა̈თცუჲ) ბქ., **ხ-ეცჳა̄ლ** (ოხცუდ, ეხცჳდა; ეხცო̄ლი) ლშ., **ხ-ეცუა̈ლ** (ა̈თჳეცუდ, ა̈თეცუდა; ა̈თეცუი) ლნტ., გრდუვ. — უწყრება, ეჩხუბება. ა̈თცჳდ როსტომ ბეჟანს (ბზ. 239) — როსტომი ბეჟანს გაუწყრა. ხოშა მუხჳბე ა̈თცუდდა [მაჰრენას]

(ბქ. 67) — უფროსი ძმა წაეჩხუბა უმცროსს. მი და̈ს ხუ̂აცუ̂აღ̄ა ი სი იმღა ა̈ჯცუ̂იუ̂ი? (ბქ. 258) — მე არავის გავწყრომივარ და შენ რატომ წაგეჩხუბები? [ძუღუ̂ა̄ ხელწიფ] კალხმარს ხეცუ̂ა̄ლდა (ლშ. 69) — ზღვის ხელმწიფე თევზებს ეჩხუბებოდა. ესცუ̂და ფუსნაბუა̄სდჲა ჯგგრა̄გს (ლშ. 54) — წაეჩხუბა უზენაესი წმინდა გიორგის. ლაუ̂დილა ათაცუახ [მეზა̈ტეს] (ლნტ. 231) — დები წასჩხუბებიან მეზატეს.

ხ-ეცუ̂დი (ა̈მცუდა̈ნ, ა̈თცუდა̄̈ნ ბზ., ა̈მცუდან, ა̈თცუდან ბქ., ა̈თცუდი ზს.), **ხ-ეცდაუ̂ი** (ემცუდუ̂ან, ეთცუდუ̂ა̄ნ; ეთცუდუ̂ი) ლშ., გრდუვ., — უფუჭდება. ჲეცერს ნამშაუ̂ ხეცუ̂დი (ბქ.) — ჲცერს მოსავალი უფუჭდება. სი გუ̂ეშ ეჯცუდუ̂ი (ლშ.) — შენ საქმე გაგიფუჭდება. იხ. **ხ-ედა̄̈უ̂ში.**

ხ-ეცუ̂დილა̄̈ლ (ლოხუ̂ცუ̂ედლა̈ლ, ლახცუ̂ედლა̄ლე; ლა̈ხცუ̂ედლა̈ლი) ბზ., **ხ-ეცუ̂დილა̈ლ** (ლოხუ̂ცუ̂იდლალ, ლა̈ხცუ̂იდლალ; ლა̈ხცუ̂იდლა̈ლი) ბქ., **ხ-ეცუ̂დილა̄ლ** (ლოხცოდლა̄ლ, ლახცოდლა̄ლე; ლახცოდლა̄ლნე) ლშ., **ხ-ეცუ̂ედლა̈ლ** (ლა̈ხუ̂ეცუ̂ედლენ, ლა̈ხეცუ̂ედლან; ლა̈ხეცუ̂ედლი) ლნტ., გრდუვ. — ჲყოღვილება, ეწვალება; ცოდვილობს. გეგი ხოშა̄მ ბაჩა̈რს ხეცუ̂დილა̄̈ლდა (ბზ.) — გეგი დიდ ქვებს ეყოღვილებოდა.

ˇ**ხ-ეცუ̂ედლა̈ლ** იგივეა, რაც **ხ-ეცუ̂დილა̄̈ლ.**

ხ-ეცუ̂ემი იგივეა, რაც **ხ-ეცუ̂მი.**

ხ-ეცუ̂მი (ა̈მცომა̈ნ, ა̈ხცომა̄̈ნ; ა̈ხცო̈მი ბზ., ა̈მცომან, ა̈ხცომან; ა̈ხცემი ბქ., ემცომა̄ნ, ეხცომა̄ნ; ეხცომი ლშ.), **ხ-ეცუ̂ემი** (ა̈მეცომან, ა̈ხეცომან, ახეცომი) ლნტ., გრდუვ. — ეცხება, ესმება. ა̈ფიცარს ულმაშა̈რს ყ'ახცომა̄̈ნ ნაცმუნ (ბზ. 351) — ოფიცერს ულვაშებზე მოეცხო ქონი. ულზიგალა̈შ კას გუნა̈ დემ ესერ ხეცუ̂მი (ანდ.) — უქნარას კერიას მური არ მოეცხებაო. ბეფშს ნინჩუ̂ა̈რყი ყ'ახეცომან ლობიო (ლნტ.) — ბავშვს სახეზე მოეცხო ლობიო.

ეცქე ზს. — გაიწი! ეცქე, ეჩქახი ესიგნ! (ბქ.) — გაიწი. იქით დადექი!

ხ-ეცყენი (ესუ̂ეცყ, ე/ასცა̈ყ, ე/ასცეყნი ზს., ოსეცყ, ესცაყ; ესცეყნი ლშ.), **ხ-ეცეყენი** (ა̈სუ̂ეცყ, ა̈სეცაყ; ა̈სეცეყენი) ლნტ., გრდუვ. — ერჭობა. მერჩილ ტა̈ხს ლახაცეყა სკა (ლნტ. 309) — ცელი ტახს შერჭობია. შდრ. **ხ-ეცყე̄რი.**

ხ-ეცყე̄რი (ლოხცგყე̄რა̈ნ, ლა̈ხცგყე̄რა̄̈ნ; ლა̈ხცგყე̄რი ბზ., ლოხცგყე̄რე̄ნ, ლეხცგყე̄რა̄ნ; ლეხცგყე̄რი ლშ.), **ხ-ეცყერი** (ლა̈ხუ̂ცგყერენ, ლა̈ხცგყერან; ლა̈ხცგყერი) ბქ., **ხ-ეცყგრი** (ლა̈ხუ̂ეცგყერენ, ლა̈ხეცგყერან; ლა̈ხეცგყერი) ლნტ., გრდუვ. — ერჭობა, ეჩრება, ეჩხირება, ძვრება. და̄̈უ̂ ბუხუ̂ა̈რყი̄ნ ათცგყე̄რე̄ნა (ბზ. 404) — დევი ბუხარში ამძვრალა [ბეფშუ̂ ჰურუ̂ჲსგა] ქა̄̈თცგყე̄რა̄̈ნ (ბზ. 262) — ბავშვი ხვრელში გაძვრა. ლეო მეშხე პოლიშ ი ლამფაშ უშხუ̂არ ნენსგა ლექუ̂' ა̈თცგყერან (ბქ. 18) — ლეო შაე იატაკსა და ჭერს შუა გაეჩხირა.

ხ-ეცყგრი იგივეა, რაც **ხ-ეცყე̄რი.**

ხ-ეცხადი იგივეა, რაც **ხ-ეგცხადი.**

ხ-ეცხა̈ტი იგივეა, რაც **ხ-ეცხტი.**

ხ-ეცხა̄̈მპი (ა̈მცხა̄მპა̈ნ, ⌜ლ⌝ა̈ხცხა̄მპა̄̈ნ; ⌜ლ⌝ა̈ხცხა̄̈მპი) ბზ., **ხ-ეცხა̈მპი** (ა̈მცხამპან, ა̈ხცხამპან; ა̈ხცხა̈მპი) ბქ., **ხ-ეცხა̄მპი** (ემცხა̄მპა̄ნ, ეხცხა̄მპა̄ნ, ეხცხა̄მპი) ლშ., **ხ-ეცხპა̈ნი** (ა̈მეცხგპანა̈ნ, ა̈თეცხგპანა̈ნ; ა̈თეცხგპა̈ნი) ლნტ., გრდუვ. — ესკვნება. ეჯ მა̄რა ჰინჭილ ა̈ხცხა̄მპა̄̈ნ (ბზ.) — იმ კაცს ნაწლავი გაენასკვა. ძა̈ფ ერ ჩუ̂ა̈ჯეცხგპა̈ნი, ლექნეხ: ხოლა ბედ ლოქ ხეთხა̈ნი (ლნტ.) — ძაფი რომ გაგენასკვება. იტყვიან: ცუდი ბედი ექნებაო (შეხვდებაო).

ხ-ეცხემ, ხ-ოცხემ (ა̈მცხე, ოხცხე; ოხცხემნე ბზ., ა̈მიცხ, ოთეცხ; ოთცხემ ბქ., ემცხე, ოხცხე; ოხცხემ ლშ., ა̈მცხე, ახოცხე; ახოცხემნე ლნტ.), გრდუვ. — ემრდება, ემატება. და̄̈უ̂ს ფა̄̈თუ̂დ მე̄უ̂არ ოხცხე (ბზ. 310) — დევს თმა ძალიან გაეზარდა. ზაუ̂ლადეღ ჭალა̈ჲს ლიც ა̈ხცხან (ბქ.) — გაზაფხულზე მდინარეს წყალი მოემატა. აშხუ̂ ზაუ̂ისგა ისლამს ხოშალსუ̂ახუ̂იშ ცხარა̈რ ახცხენა (ბქ.) — ერთ წელიწადში ისლამს უზარმაზარი ფრჩხილები გაზრდია.

ხ-ეცხენი იგივეა, რაც **ხ-ეცხე̄ნი.**

ხ-ეცხეპენი იგივეა, რაც **ხ-ეცხპენი.**

ხ-ეცხერპი იგივეა, რაც **ხ-ეცხე̄̈რპი.**

ხ-ეცხე̄ნი (ა̈მცხე̄ნა̈ნ, ა̈თცხე̄ნა̄̈ნ; ა̈თ/ა̈ხცხე̄ნი ბზ., ემცხე̄ნან, ეთცხე̄ნა̄ნ; ეთცხე̄ნი

ლშ.), **ხ-ეცხენი** (ა̈მცხენან, ა̈თცხენან; ა̈თცხენი ბქ., ა̈მეცხენან, ა̈თცხენან; ა̈თცხენი ლნტ.), გრდუვ. — ევარცხნება. თხუ̈იმ მიჩოუ̈შ და̈ს ხეცხენი (ბზ.) — თმა (თაეი) თავისით არაეის ევარცხნება. ლუბურდე ფა̈თუ̈ა̈რ ჩუ მადე ა̈მცხენანხ (ბქ.) — აბურდული თმები არ ჩამომევარცხნა.

ხ-ეცხი̄და̈ლ (ლოხ'უ̈'ცხი̄და̈ლ, ლახცხიდა̈ლე; ლახცხი̄და̈ლნე) ბზ., **ხ-ეცხიდა̈ლ** (ლოხუ̈ცხიდალ, ლა̈ხცხიდალ; ლა̈ხცხიდა̈ლი ბქ., ლახუ̈აცხიდა̈ლ, ლახაცხიდალე; ლახაცხიდალი ლნტ.). **ხ-ეცხი̄და̈ლ** (ლოხცხი̄და̈ლ, ლახცხი̄და̈ლე; ლახცხი̄და̈ლნე) ლშ., გრდუვ., — წუნს (მიზეზს) უდებს. [თაფუ] გუ̈ეშ ხეცხი̄და̈ლ [უ̈ა̈რგს] (ბზ.) — თაფუ საქმეს უწუნებს ამნაურს. [ლახუ̈ბა] ხეცხიდა̈ლდახ ჰელუ̈ა̈ნს მურყუ̈ამს (პოეზ. 188) — ძმები უწუნებდნენ კალატოშს კოშკს. იმ მეცხიდა̈ლდ? (პოეზ. 188) — რას მიწუნებთ?

ხ-ეცხნი (ოთცხანა̈ნ, ა̈თცხანა̈ნ; ა̈თცხა̈ნი ბზ., ოთცხან'ენ', ეთცხანან; ეთცხანი ლშ.), გრდუვ. — 'მი'აჩემდება, ეჩვევა. ა̈თცხანა̈ნ გიერგ ა̈'ჩხუ̈ ლა̈თხუ̈იარს (ბზ.) — გიორგი მიეჩვია ერთ სანადირო ადგილს.

ხ-ეცხო̄რპი (ლა̈ხუ̈/ოთცხო̄რპა̈ნ, ლა̈ხ/ა̈თცხო̄რპა̈ნ; ლა̈ხ/ა̈თცხო̄რპი‖ლოხცხუ̈ე̄რპი) ბზ., **ხ-ეცხერპი** (ოხცხორპენ, ა̈ხცხორპან; ა̈ხცხერპი) ბქ., **ხ-ეცხო̄რპი** (ლოხ/ოთცხორპენ, ლეხ/ეთცხო̄რპა̈ნ; ლეხ/ ეთცხო̄რპი) ლშ., **ხ-ეცხორპი** (ა̈თუ̈ეცხორპენ, ა̈თეცხორპან; ა̈თეცხორპი) ლნტ., გრდუვ. — ეხვევა. უ̈იჯ მეგა̈მს ლა̈ხცხო̄რპა̈ნ (ბზ. 31) — გველი ხეს შემოეხვია. ალი დინა ქა ლა̈ხცხორპან [ხელწიფხეს] (ბქ. 11) — ეს გოგო გადაეხვია ხელმწიფეს. [ლეხუ̈-ჰა̈შ] ქა̈თეცხორპანხ უ̈შხუ̈ა̈რ (ლნტ. 224) — ცოლ-ქმარი გადაეხვეია ერთმანეთს.

ხ-ეცხპა̈ნი იხ. **ხ-ეცხა̈მპი.**

ხ-ეცხპენი (ოხუ̈ეცხპ, ა̈ხცხა̈პ; ა̈ხცხეპნი ზს., ეხცხაპ; ეხცხეპნი ლშ.), **ხ-ეცხეპენი** (ა̈ხუ̈ეცხპ, ა̈ხეცხაპ; ა̈ხეცხეპენი) ლნტ., გრდუვ. — გარს ევლება. ერტყმება, 'შე'მოეხვევა. ლა̈ლმესგს სამინ ქა ხეცხპენიხ (ბზ. 14) — კერიას სამჯერ შემოუვლიან. ა̈ხცხა̈პხ ესნა̈რ ქა მგლხა̈რ [თათრა̈რს] (ბზ.) — გარს შემოერტყნენ თურმე მულახელები თათრებს. გოლერშა̈პ ქახაცხპენა კა-კერა̈დს (ბქ. 11) — გველეშაპი შემორტყმია კერიას. უ̈ეზირს გირგიმურგუ̈ალდ ა̈ხეცხაპხ იშკენ (ლნტ. 243) — ვეზირს ირგვლივ შემოერტყნენ სხვები.

ხ-ეცხტენი იგივეა, რაც **ხ-ეცხტი.**

ხ-ეცხტი (ა̈მცხატ'ა̈ნ', ა̈თცხატ'ა̈ნ'; ა̈თცხა̈ტი) ბზ., **ხ-ეცხტენი** (ა̈მცხატან, ათცხატან; ათცხა̈ტი ბქ., ემცხატან, ეთცხატა̈ნ; ეთცხატი ლშ.), **ხ-ეცხა̈ტი** (ა̈მსეცხატან, ა̈სეცხატან; ა̈სეცხატი) ლნტ., გრდუვ. — ეჩხირება. უსმართუ̈ილ ნაპუ ყიალისგ' ესერ ათცხოტენა'ხ' (ანდ.) — უსამართლო ლუკმა ყელში გასჩხერიათო. თხერეს ჯიჯუ̈ ყია̈დსა ყ'ა̈სეცხატან (ლნტ.) — მგელს ძვალი ყელში გაეჩხირა. შდრ. **ხ-ეცყე̄რი.**

ხ-ეცხუ̈დენი (ა̈მცხუ̈ა̈დ, ოთცხუ̈ა̈დ; ო/ა̈თცხუ̈ედნი ბზ., ემცხუ̈ად, ოთცხუ̈ად; ოთცხუ̈ედნი ლშ.), **ხ-ეცხუ̈ედენი** (ა̈მცხუ̈ად ათოცხუ̈ად; ათოცხუ̈ედენი) ლნტ., გრდუვ. — 'შე'უწყდება, უთავდება, უშრება. ხოჩა ლირდე დოსგ ა̈მცხუ̈ა̈დ (ბზ.) — კარგი ყოფა(-ცხოვრება) ადრე შემიწყდა. და̈უ̈არს თუმი სარაგ ჩ'ოთცხუ̈ადხ (ლშ.) — დევებს თაფლის წყარო დაუშრათ.

ხ-ეცხუ̈ედენი იგივეა, რაც **ხ-ეცხუ̈დენი.**

ხ-ეცხუ̈ლი (ა̈მცხულა̈ნ, ა̈ხცხულა̈ნ; ა̈ხცხუ̈ლი ბზ., ა̈მცხულან, ა̈ხცხულან; ა̈ხეცხული ბქ., ემცხულა̈ნ, ეხცხულა̈ნ; ეხცხუ̈ლი ლშ., ა̈მეცხულან, ა̈ხეცხულან; ა̈ხეცხული ლნტ.), გრდუვ. — ეტრუსება. ლემასგუ̈ხენქა თანაფგლა̈რ ყ'ა̈მცხულანხ (ბქ.) — ცეცხლისაგან წამწამები შემეტრუსა. დენას ფათუ̈ ა̈ხეცხულან (ლნტ.) — გოგოს თმა შეეტრუსა.

ხ-ეძგა̈̄რდელ (ლახუ̈ძგა̈̄რდელ, ლახძგა̈̄რდელე; ლახძგა̈̄რდელნე) ბზ., **ხ-ეძგარელ** (ლახუ̈ძგარალ, ლა̈ხძგარალ; ლახძგარა̈ლისგ) ბქ., **ხ-ეძგა̄რიელ** (ლოხძგა̄რიელ, ლახძგა̄რიელე; ლახძგა̄რიელნე) ლშ., **ხ-ეძგა̈̄რიელ**, **ხ-ეძგერიელ** (ლა̈ხუ̈ეძგარიელენ, ლა̈ხეძგარიელან; ლა̈ხეძგარიელი) ლნტ., გრდუვ. — ეძგერება, ერქინება. ჰა̈ნ ხეძგარიელდა კოჯს (ლნტ.) — ხარი ერქინებოდა კლდეს.

ხ-ეძგერენი იგივეა, რაც **ხ-ოძგრენი.**

ხ-ეძგერიელ იგივეა, რაც **ხ-ეძგჳრძელ.**

ხ-ეძგრჷნი, ხ-ოძგრენი (ხჷეძგრ, ხეძ-გჳრ||ხოძგჳრ; ხეძგრენი) ბზ., **ხ-ეძგრჷნი** (ლოხძგერჷგნ, ლახძგერჷგნ; ლჳხძგერნი ბქ., ხჷეძგრ, ხეძგარ; ხეძგრენი ლშ.), **ხ-ეძგერენი** (ლჳხჷეძგრ, ლჳხეძგარ; ლჳხეძგერი) ლნტ., გ რ დ უ. — ეტაკება, ეძგერება, ერჭობა, ეჯახება. სუმინ ხეძკჳრ დჳჷ როსტომს (ბზ. 435) — სამჯერ ეძგერა დევი როსტომს. ჷობურ დადა კოჯს ხოძგჳრ (ბზ. 392) — კუდიანი დედაბერი კლდეს დაეჯახა. ბელხანჯარ ი დჳჷ სგაჲ ხეძ-გჳრხ ჷშხჷჳრ (ლშ. 71) — ბელხანჯარი და დევი ეძგერნენ ერთმანეთს. ალ გეჩ ხოჩჳმდ ლეხძგერნი ჵჷედთე (ლშ.) — ეს დანა კარგად ჩაერჭობა კედელში.

ხ-ეძგჷბენი (ჳმძგჷჳბ, ჳხძგჷჳბ; ჳხ-ძგჷებნი ზს., ემძგჷაბ, ეხძგჷაბ; ეხძგჷებნი ლშ.), **ხ-ეძგჷებენი** (ჳმძგჷჳბ, ჳხეძგჷჳბ; ჳხეძგჷებენი) ლნტ., გ რ დ უ. — სწყდება, ენგრევა. ჩჳჷს ჵჳღჷირ ჳხძგჷჳბ (ბზ.) — ცხენს ალვირი მოსწყდა. ჭიშკჳრ ქჳხეძგჷაბ გალაჷჳნს (ლნტ. 221) — ჭიშკარი მოსწყდა გალავანს. გ ა დ ა ტ. გჷჳმი-მუჭედ ჩჷჳმძგჷჳბ (ბქ.) — გულ-მკერდი ჩამწყდა.

ხ-ეძგჷებენი იგივეა, რაც **ხ-ეძგჷბენი.**

ხ-ეძღრი (ემძღირჳნ, ეთძღირჳნ; ეთძღირი ლშ., ჳმეძღირან, ჳთეძღირან; ჳთეძღირი ლნტ.) — უსველდება. ლჳრაისა ჵემ ხეძღრიხ (ლშ.) — მინდორში თივა უსველდებათ. იხ. **ხ-ეჟრი.**

ხ-ეძხილჳლ (ლოხჷძიხლჳლ, ლჳხძიხლჳლ; ლჳხძიჵლჳლ˹ნე˺) ბზ., გ რ დ უ. — დასძახის, დასჭყივის. ყანსაჷ ქოჩულს ხეძხილალე (ჵოჟ. 14) — ყანსავი ქოჩულს დასძახის.

ხ-ეძჷნძჳლ იხ. **ხ-ოძჷნძჳლი.**

ხ-ეძგრხჳნი, ხ-ეხგრზჳნი (ჳმძგრხნჳნ, ჳხძგრხანჳნ; ჳხძგრხჳნი) ბზ., **ხ-ეძგრხანი** (ემძგრხნჳნ, ეხძგრხნჳნ; ეხძგრხნი) ლშ., **ხ-ეწგრხჳნი, ხ-ეგგრხჳნი** (ჳმეწ/გგრხანან, ჳხეწ/გგრხანან, ჳხეწ/გგრხჳნი) ლნტ., გ რ დ უ. — ეხლართება, ებურდება. ლიგჷრგჷ თოჷსა ჩჳრს ფაფალ ხეძგრხანი უშხჷჳრთე (ლშ. 14) — გიორგობის თვეში ცხენებს ფაფარი ეხლართებათ ერთმანეთში. ბეფშს ძაფჳრ ქჳსეწგრხანან (ლნტ.) — ბავშვს მაუთულები გაეხლართა.

ხ-ეწად იხ. **ხ-ოსგდი.**

ხ-ეწჳდ˹ი˺ (ჳხ˹ჷ˺წად, ˹ლ˺ჳხწჳდ; ˹ლ˺ჳხწჳდი||ჳხწოლა) ბზ., **ხ-ეწჳდი** (ლოხ-ჷწად, ლჳხწად; ლჳხწჳდი) ბქ., **ხ-ეწჷნი** (ლოხწჳდ, ლახწჳდა; ლეხწჷნი) ლშ., **ხ-ეწენი** (ახჷაწად, ახაწად˹და˺; ჳხეწენი) ლნტ., გ რ დ უ. — მხარს უმაგრებს, ეშველება, ეხმარება. ხოწად ისგჷა თხჷიმ! (ბზ. 315) — უშველე შენს თავს! მიჩა წეჷარ-მეძბარ, ხოწჳდხჷ! (ლშ. 56) — ჩემო მწევარ-მეძებრებო, მიშველეთო! ეჯმინს მი ხჷეწენი ლაჯჳნიჟი (ლნტ.) — იმათ მე ეეხმარები ხენაში.

ხ-ეწდენი[1] (ჳმწჳდ, ჳხწჳდ; ჳხწედნი ზს., ემწად, ეხწად; ეხწედნი ლშ.), **ხ-ეწედენი** (ჳმეწად, ჳხეწად; ჳხეწედენი) ლნტ., გ რ დ უ. — ამოდის (ენახება) მზე. ლაბსყალდჳრს მიჟ ჳხწჳდხ ლაჯჷრაისგა (ბზ. 49) — ლაბსყალდებს მზემ შემოუნათა სარკმელში (მზე დაენახათ). ამტყჷასგჳრ ქჳხწჳდხ (ბქ. 206) — ვარსკვლავებმა ამოანათეს. (ვარსკვლავები ამოვიდნენ). ლუფხჷისა ხოშა დოსგ ხეწდენი მგჷ (ლშ.) — გაზაფხულზე უფრო ადრე ამოდის მზე. მიჟ ჳხეწად (ლნტ.) — მზე ამოვიდა.

ხ-ეწდენი[2] იხ. **ხ-ოსგდი.**

ხ-ეწედენი იგივეა, რაც **ხ-ეწდენი.**

ხ-ეწენი იგივეა, რაც **ხ-ეწჳდი**

ხ-ეწენი იგივეა, რაც **ხ-ეწჳდი.**

ხ-ეწერჳლ იგივეა, რაც **ხ-ეწრჳლ.**

ხ-ეწესი იგივეა, რაც **ხ-ეწსი.**

ხ-ეწეჷანჳლ იგივეა, რაც **ხ-ეწჷნჳლ.**

ხ-ეწეფხენი იგივეა, რაც **ხ-ეწფხენი.**

ხ-ეწექჷენი იგივეა, რაც **ხ-ეწქჷენი.**

ხ-ეწჷნჳლ (ლოხ˹ჷ˺წჷნჳლ, ლჳხწჷნჳლ/ლახწჷნჳლე; ლჳხწჷნჳლი/ლახწჷნჳლნე) ბზ., **ხ-ეწენჳლ** (˹ლ˺ოხ˹ჷ˺წენალ, ˹ლ˺ჳხწენალ; ˹ლ˺ჳხწენჳლი), **ხ-ეწეჷანჳლ** (ლოხჷწეჷანალ, ლახწეჷანალე; ლახწეჷანჳლისგა) ბქ., **ხ-ეწჷნჳლ** (ლოხ˹ჷ˺წჷნჳლ, ლახწჷნჳლე; ლახწენჳლნე) ლშ., **ხ-ეწენჳლ** (ჳხჷეწენალენ, ჳხეწენალან; ჳხეწენჳლი) ლნტ., გ რ დ უ. — ემხრობა, მხარში უდგება. ˹შე˺ეწჷ-

ვა, 'და'ეხმარება, ეშველება, ექომაგება. ჳა̈ზრა̈ლ კჷსა̈რს ხეწჷნა̈ლხ (ბზ. 13) — ევმირები კეისარს ემხრობიან. ლახუბა უშხუარ ა̈ხწჷნალხ||ა̈ხწადხ (ბქ.) — ძმები ერთმანეთს მხარში ამოუდგნენ. გეგის ლოხწჷნალ (ლშხ.) — გეგის მიეხმარე. ალე მინს ლოქ ხეწენა̈ლხ?! (ლნტ. 295) — ეს ჩვენ გვემხრობაო?!

ხ-ეწჷნი იგივეა, რაც **ხ-ეწა̈̄დი.**

ხ-ეწჷფხნი იგივეა, რაც **ხ-ეწფხენი.**

ხ-ეწჷქუნი იგივეა, რაც **ხ-ეწქუნი.**

ხ-ეწიი იგივეა, რაც **ხ-ეწჲი.**

ხ-ეწიდ იგივეა, რაც **ხ-ეწჲი.**

ხ-ეწრა̈ლ (ლოხ'უ'წერა̈ლ, ლახწერა̄ლე; ლახწერა̈ლი) ბზ., **ხ-ეწრა̈ლ** (ლოხუწერა̈ლ, ლახწერალე; ლახწერა̈ლისგ) ბქ., **ხ-ეწრა̄ლ** (ლოხუწერა̄ლ, ლახწერა̄ლე; ლახწერა̄ლნე), **ხ-ეწერა̈ლ** (ლახუაწერა̈ლ ლახაწერალე; ლახაწერალი) ლნტ., გ რ დ უ ვ. — აგინებს, ლანძღავს. ეჯჲარ ხეწრა̄ლდახ ჰალდჷშა̈რს (ბზ. 4) — ისინი აგინებდნენ ხალდელებს. ლახუბად მეჯეგ ჩუადწერალეხ (ბქ. 159) — ძმებმა მეჯოგე გალანძღეს. ყუგს ესერ ხა̈წრალახ ი ჯი ლჷუმცუნალ (ანდ.) — თურმე ყრუს აგინებდნენ და ის კი იცინოდაო. იხ. **ხ-ერშუნა̈ლ.**

ხ-ეწსი (ა̈მწესა̈ნ, ა̈/ეხწესა̈ნ; ა̈ხწესი ბზ., ა̈მწესან, ახწესან; ა̈ხწესი ბქ., ემწესა̈ნ, ეხწესა̈ნ; ეხწესი ლშხ.), გ რ დ უ ვ. — უჩნდება, ებადება, 'შე'ეძინება. ალას სჷმი გეზალ ა̈ხწესა̈ნ (ბზ.) — ამას სამი შვილი შეეძინა. ეჯა̈რს ეხწესანხ ნაღუჟურ (ბქ. 63) — იმათ გაუჩნდათ ვაჟიშვილი.

ხ-ეწუდი (ლოხუწუედა̈ნ, ლა̈ხწოდა̈ნ; ლა̈ხწუედი ბზ., ლოხწოდენ, ლა̈ხწოდან; ლა̈ხწედი ბქ., ლეხწოდა̈ნ, ლეხწოდი ლშხ.), გ რ დ უ ვ. — 'შე'უდგება, 'და'ეწყება. კჷსრი'ში' გეზალ ლაქუნაუა̈ლს ლა̈ხწოდა̈ნ (ბზ. 87) — კეისრის შვილს სიკვდილის პირას მივიდა (სულის ამოსვლა დაეწყო).

ხ-ეწუჷნი (ლოხუწუჷნა̈ნ, ლა̈ხწუჷნა̈ნ; ლა̈ხწუჷნი ბზ., ლოხწუჷნენ, ლეხწუჷნა̈ნ, ლეხწუჷნი ლშხ.), **ხ-ეწუენი** (ლოხწუენენ, ლა̈ხწუენან; ლა̈ხწუენი ბქ., ლა̈ხუეწუენენ, ლა̈ხეწუენან; ლა̈ხეწუენი ლნტ.), გ რ დ უ ვ. — ჩნდება, ეჩვენება, ენახვება. ქაუ ესერ ლა̈ხწუჷნა̈ნ (ბზ. 250) — დამენახეო. ბარგა̈რ ქა ხეწუჷნიუხ (ბქ. 202) — ნივთები (ბარგები) გამოჩნდებოდა. ჲაკოფს ქა ლეხწუჷნა̈ნ ზითუნახაუ (ლშხ. 66) — იაკობს ეჩვენა მზეთუნახავი. მიჩ ღერთა̈ლ ლოქ ხეწუენიხ (ლნტ. 71) — მას ღმერთები ეჩვენებაო.

ხ-ეწურენი იგივეა, რაც **ხ-ეწური.**

ხ-ეწური (ა̈მწურდა||ა̈მწურა̈ნ'და', ა̈ხწურა̈ნ'და'; ა̈ხწური||ა̈ხწუირი ბზ., ა̈მწურან, ა̈ხწურან||ოხწუნდა||ა̈ხწურიუ; ახწური ბქ.), **ხ-ეწურენი** (ემწურნან, ეხწურნა̈ნ; ეხწურნი) ლშხ., გ რ დ უ ვ. — დასდინდება, გამოუვა. ფხულაქა ზისხ ა̈მწურდა (ბზ.) — თითიდან სისხლი გამომდინდა. და̈უს ზისხ ოხწუნდა (ბქ. 101) — დევს სისხლი გამოუვიდა. მარა თხუმ ზისხ ა̈ხწურიუ (ბქ.) — კაცს თავში სისხლი გამოუვიდა.

ხ-ეწუსტა̈ნ იხ. **ხ-აწუსდა̈ნი.**

ხ-ეწფხენი (ლა̈მწა̈ფხ, ლა̈ხწა̈ფხ||ესწა̈ფხ; ლა̈ხ/ესწეფხნი) ზს., **ხ-ეწფხგნი** (ლა̈მწგფხნან||ლა̈მწაფხ, ლა̈ხწგფხნან||ლა̈ხწაფხ; ლა̈ხწგფხნი) ბქ., **ხ-ეწჷფხნი** (ემწჷფხ'ნ'ან, ესწჷფხ'ნ'ა̈ნ; ესწჷფხი) ლშხ., **ხ-ეწეფხენი** (ა̈მსეწეფხან, ა̈სეწეფხან; ა̈სეწეფხენი) ლნტ., გ რ დ უ ვ. — ეწვეთება. ნაჰა̈ნდგრ ლა̈მწა̈ფხ (ბზ.) — სახურავიდან ჩამონადენი წვიმის წყალი ჩამომეწვეთა. ა̈მირა̈ნს ქჷმარა̈ლ ა̈სეწეფხან აბაყა̈რჟი (ლნტ. 276) — ამირანს ცრემლები დაეწვეთა ლოყებზე. და̈უს ხა̈წეფხოლნა უიშკუჟი ლიც (ლნტ. 261) — თურმე დევს პირისახეზე წყალი ეწვეთებოდა. იხ. **ხ-ეწქუნი.**

ხ-ეწქუნი, ხ-ეწქუენი (ა̈/ემწჷქუნა̈ნ||ა̈/ემწა̈ქუ, ეს/ა̈თწჷქუნა̈ნ ეს||ა̈თწა̈ქუ; ეს||ა̈თწჷქუნი||ეს/ ა̈თწჷქუნი) ბზ., **ხ-ეწქუნი** (ემწუქუნან, ესწუქუნან; ესწუქუნი) ბქ., **ხ-ეწჷქუნი** (ემწჷქუნან, ესწჷქუნა̈ნ; ესწჷქუნი) ლშხ., **ხ-ეწექუენი** (ა̈მსეწექუან, ა̈სეწექუან; ა̈სეწექუენი) ლნტ., გ რ დ უ ვ. — ეწვეთება, ელევენთება. მა̈რიამგლს ლაღფია̈რ ხეწქუნო̈ლ ლერქუა̈ლჟი (ბზ.) — მარიამს სალებავი ეწვეთებოდა განსაცმელზე. ლეტურე ჟი ესწუქუნი ტაბლას (ბქ.) — სანთელი დაელევენთება ტაბლას. გუელიაშა̈პს ქჷმარა̈ლ ასაწექუნა (ლნტ. 211) — გველეშაპს ცრემლები დასწვეთებია.

ხ-ეწქუ̈ენი იგივეა, რაც **ხ-ეწქუნი.**

მგნჭყი (-ყი̄შ, -ჭყა̄ლა ბზ., -ყა̈შ, -ჭყა ბქ., -ყი̄შ, -ყა̄ლა ლშხ., -ჲშ, -ა̈რ ლნტ.) — გამხედნი. ჩაჟუ̂ემ მგნჭყი ლგბერკილ ჩაჟუ̂ეჲ ხესგუ̂რი (ბქ.) — ცხენის გამხედნი დაბორკილ ცხენზე ჯდება. ალ ჩა̄ჟი მგნჭყი და̄რ ლი (ლშხ.) — ამ ცხენის გამხედნი არავინ არის. ხოჩა მგნჭყი ხაწგხ ალ ჩა̈ჟს (ლნტ.) — ამ ცხენს კარგი გამხედნი სჭირდება.

მგნჯრი (-რი̄შ, -ჯრა̄ლა ბზ., -ა̈შ, -ა̈ლ ბქ., -რი̄შ, -რა̄ლა ლშხ.), **მერჯენე** (-ჲშ, -ნალა) ლნტ. — მხლებელი, გამყოლი. დი̄ნა̈ მგნჯრი ჲა̈რ ი̄რა? (ბზ.) — გოგოს გამყოლი ვინ იქნება? წუ̂ილიშ მგნჯრი ობა̈შ ა̈ნნაზორან (ბქ.) — პატარძლის გამყოლი ბევრი მოგროვდა. დად ზურა̄ლს ხაჟხა დედფალი მგნჯრის ლამუ̂ორხენ (ლშხ. 33) — მამის ოჯახიდან დედოფლის მხლებელ ქალს მდადე ჰქვია. ლაგუ̂ანახო მერჯენალა მიჩ ა̈ზუ̂ისა ხოღელდახ (ლნტ.) — სატირალში გამყოლები მას ემოში ელოდებოდნენ. გა̈ნხა̈ნ ხაყა მგნჯრი მა̄რე (პოეზ. 54) — გვერდში ჰყავს მხლებელი კაცი.

მგნჯრინე (-ნე̄მიშ, -რინა ბზ., -ნემ, -რინა ბქ., -ნე̄შ, -ნე̄ლა ლშხ.), **მგრჯენე** (-ჲშ, -რჯენალა) ლნტ. — წამყვანი, მიმყვანი (ის, ვინც იახლებს). მიშგუ ქორთე მგნჯრინე სი მადე ხა̈სუ̂ა? (ბქ.) — სახლში შენ არ მიმიყვანე? (მიმყვანი შენ არ იყავი?).

მგჲედუ̂რე იგივეა, რაც **მგჰდგრე**.

მგჲეს იგივეა, რაც **მგი**.

მგჲესკ იგივეა, რაც **მგი**.

მგჲრა̈ყი იგივეა, რაც **მგჰრა̈ყი**.

მგჲრი (-რი̄შ, -ა̈ლ ბზ., -ა̈შ, მგჲრა ბქ.), **მგჲრენი** (-ნი̄შ, -ალ||ნა̄ლა) ლშხ., **მგირე** (-ჲშ. -რალა) ლნტ. — დამწერი. მიშგუ̂ა თეუ̂შ მიწუ̂ა ამშა მგჲრენი (ლშხ. 11) — ამის დამწერი ჩემი თვალით მინახავს. ამშა მგირე გუ̂აწგხ ჲერუ̂ალე (ლნტ.) — ამის დამწერი ვინმე გვჭირდება.

მგპა̈ტიუ̂ე (-უ̂ე̄მიშ, -ტიუ̂ა ბზ., -უ̂ემ, -ტიუ̂ა ბქ. -ჲშ, -უ̂ალა ლნტ.), **მგპატიუ̂ე** (-უ̂ე̄შ, -უ̂ე̄ლ) ლშხ. — მპატიჟებელი. ეჯის ქა მგპატიუ̂ე და̄რ ხაყა (ლშხ. 78) — იმას მპატიჟებელი არავინ ჰყავს. ამშა მგპა̈ტიუ̂ე მა̈დ ხუ̂ი (ლნტ.) — ამის მპატიჟებელი არა ვარ.

მგპრისდე (-დე̄მიშ, -და̄ლა ბზ., -დე̄შ, -და̄ლა ლშხ.), **მგპრისდი** (-ა̈შ, -და) ბქ., **მგპრისტე** (-ჲშ, -ა̈ლ) ლნტ. — ნათლია, მომნათვლელი. გეზლა̈შ ესერ მგპრისდი ხარ (ბქ. 310) — შვილის ნათლიააო. ციოყ მიშგუ̂ი ჯუმლა

მგპრისდე ლი (ლშხ.) — ციოყი ჩემი ძმის ნათლიაა (მომნათლელია).

მგუ̂ იგივეა, რაც **მიჟ**.

მგუა̄ბირ (-იშ, ყაბა̈რ) ბზ., **მგუაბჷირ** (ყაბა̈რ) ბქ. — ბალსშემოელი. გეგის დი მგუა̄ბირ ხორი, მუ — მუჩჷაბირ (ბზ.) — გეგის დედა ბალსშემოელი ჰყავს, მამა — ბალსქვემოელი.

მგუ-დოშდუ̂ლ იგივეა, რაც **მიჟ-დოშდუ̂ლ**.

მგუელა̈დელ იგივეა, რაც **მიშლადელ**.

მგუელე̄თ იგივეა, რაც **მიშლე̄თ**.

მგუელ იგივეა, რაც **მუჟჷელ**.

მგყირ (ხომყირა, მა̈მყირე) ზს. — 1. სველი: ნინ მგყირ ჩიგჷაშმი ესერ მგრგა̈დი ლი (ანდ.) — სველი ენა ყველაფრის მთქმელიაო. 2. (-იშ||-ყრიშ ბზ., -იშ, — ბქ.) — სისველე. ხეკჷეს ერე მგყირს ლანწგრა ქამაჷ ხადეს (ბქ. 230) — სისველეს საწრეტი გარეთ უნდა ჰქონდეს. იხ. **მგძლირ**.

მგულაწა̈დ, **მიყლაწა̈დ** (-იშ, —) ბზ., **მგულაწად** (-ა̈შ, —) ბქ., **მიყლაწად** (-იშ, —) ლნტ., **მგულაწედ** (-იშ, —) ლშხ.,— აღმოსავლეთი (მზის დასანახი). მგულაწადხენჩუ ფოყს თაჷრა̈რ ხაშხა (ბქ. 224) — აღმოსავლეთის მხარეს თავრარი ჰქვია. ბესოს მიყლაწად ა̈გის ქორ ხოგ (ლნტ.) — ბესოს აღმოსავლეთით უდგას სახლი. მიყლაწადხენ საზღჷა̈რ ლი ლექჷსირი თემსაბჭო (ლნტ. 13) — აღმოსავლეთით ესაზღვრება ლექსურის თემსაბჭო.

მგულაჰჷა̈რ (-იშ, —) ბზ., **მგულაჰჷარ** (-ა̈შ, —) ბქ., **მგულაჷერ** (-იშ, —) ლშხ., **მიყლაჷარ** ლნტ. — დასავლეთი (მზის ჩასასვლელი). ეშხუ მგულაჰჷარხენ აჩად ი მერმე მგულაწადხენ (ბქ. 40) — ერთი დასავლეთიდან წავიდა, მეორე — აღმოსავლეთიდან.

მგურენი (-ნი̄შ, -რენა̄ლა ბზ., -ნა̈შ, -რენა ბქ., -ნი̄შ, -ნა̄ლა ლშხ.) — იხმარება გამოთქმაში: **თხუმე მგურენი** — თავმომაბეზრებელი, შემაწუხებელი. ალ ზურალ თხუმემ მგყრენი ამსჷალდ ლი (ბქ.) — ეს ქალი თავმომაბეზრებელი ადამიანია. ამშა გარგლა თხუმე მგყრენი ლი (ლშხ.) — ამის ლაპარაკი თავმომაბეზრებელია.

მგური (-რი̄შ, -ა̄ლ ბზ., -ა̈შ, -ა̈რ ბქ., -რი̄შ, -რა̄ლა ლშხ., -ǝშ, -რალა ლნტ.) — შემცოდებელი, შემბრალებელი. ქჷითიშ მგყრი დარ წჷა (ბქ.) — ქურდის შემბრალებელი არავინ ჩანს. ეჯკაǝ ლაუგიარ ლი, ერე ალ ქჷეყანაჟი მგყრი და̄რ ხოსდენი (ლშხ.) — ისეთი საძაგელია, რომ ამ ქვეყანაზე შემბრალებელი არავინ რჩება. მგყრი-მგბრა̈ლ მიშკჷი ამახჷსუ ახაკედა! (ლნტ.) — შემცოდებელ-შემბრალებელი ჩემს მგერსამც ამოსწყვეტია!

მგუჷელ იგივეა, რაც **მუჟჷელ**.

მგულღ̄ლი (-ლი̄შ, -ღ̄ლა ბზ., -ლი̄შ, -არ ლშხ.), **მგულღლი** (-ა̈შ, -ღლა ბქ., -ǝშ, -ა̈რ ლნტ.) — მბღავანა (ვინც ან რაც ხშირად ბღავის). ლანსკინე მგულღლი... და̈შდუ̂დ (ბქ. 207) — გამოხტა აბღავლებული დათვი. ისკჷი ბეფშ ლიჷ ამყი მგულღლი? (ლნტ.) — შენი ბავშვია ასე რომ ბღავის?

მგრ იგივეა, რაც **მირ**.

მგრა̈̄მ ბზ., **მგრა̄მ** ლშხ., განუსაზღვ. ზმნს. — სადღაც, რაღაცა. ბაჯუ აჩა̈დ მგრა̈მთე (ბზ.) — ბაჯუ სადღაც წავიდა. ეშ მგრა̄მთე ლახქარჷე̄ნახ (ლშხ. 76) — სადღაც გადაკარგულან. ტჷული მგრა̄მ (ლშხ.) — რაღაცას ამბობს.

მგრბიელ იგივეა, რაც **მერბიე̄ლ**.

მგრგა̈დი (-დია̈შ, -ა̈რ) ბქ., **მგრაგა̈დი** (-ǝშ, -ა̈ლ) ლნტ. 1. მოლაპარაკე. ეჯი ძღგდ მგრაგა̈დი ზურალ ლი (ლნტ.) — ის ქალი ბევრს ლაპარაკობს (ძალიან მოლაპარაკეა). 2. მედიატორი, შუაკაცი, შუამავალი. იხ. **მგგრგა̈ლი**.

მგრდა̈ბ იგივეა, რაც **მორიდაბ**.

მგრდა̈ჭ იგივეა, რაც **მგდრა̈ჭ**.

მგრდი (-დი̄შ, -რდა̄ლა ბზ., -და̄ლა ლშხ., -ა̈შ, -რდა ბქ., -დიშ, -დალა ლნტ.) — გამზრდელი. ნიბა̈შნა̈შ მგრდი ლა̈ჩინჩჷილის ესერ ლახტეხა (ანდ.) — შვილიშვილის გამზრდელი ხელახლა ჩვილობას დაუბრუნებიაო. ხოჩა გეზლა მგრდი დედეს მაგ ხოჩა ხეხ̄ლი (ლშხ.) — კარგი შვილის გამზრდელ დედას ყველაფერი კარგი ეკუთვნის.

მგრთენ იგივეა, რაც **მურთჷენ**.

მგრთხ[1] (-იშ, -ა̈ლ) ზს. — ნაპერწკალი:

ნაღვერდალი; ღველფი. [დäშდუდ] ეშხუ გუდრა მგრთხ ლäდე (ბზ. 433) — დაიჭმა ერთი გუდა ნაღვერდალი წაიღო. გადატ. ბაბად ინჯარშუ თერარხენქა მგრთხ ანჭარე (ბქ.) — ბაბუამ სიბრაზით თვალებიდან ნაპერწკლები გადმოყარა.

მგრთხ² (-იშ, -äრ) ბქ. — დორბლი. დäუ ხვრშუ მგრთჳს აშ ბიდა (ბქ.) — დევი სიბრაზისაგან დორბლს ყრიდა (ღვრიდა).

მგრკინე (ნ-ēმიშ, -კინäლა ბზ., -ნემ, -კინა ბქ., -ნēშ, -ნēლ ლშხ.), **მგრკგლე** (-ჲშ, -ლäლ) ლნტ. — ʼდაʼმკიდებელი. ჲäრ ლი ამō მგრკინე? (ბზ.) — ამას ვინ დაკიდებს? (ვინ არის დამკიდებელი?)

მგრკგლე იგივეა, რაც **მგრკინე**.

მგრმი (-მōშ, -რმäლა ბზ., -äშ, -რმა ბქ., -მōშ, -მäლა ლშხ., -მიშ, -äლ ლნტ.) — დამჭერი. ჩäჟä მგრმი დäრ მიცვხ (ბზ.) — ცხენის დამჭერი არავინ მეგულება. äბრეგიშ მგრმი ფიშირ ლგმäრხ (ბქ.) — ყაჩაღის დამჭერი ბევრნი ყოფილან. ანზგზეხ ჩუ მგრმი მäრēლ მოსმართლად (ლშხ. 76) — მოსამართლეებმა გამოაგზავნეს დამჭერი კაცები. ბეფში მგრმი ჲäრ ირა? (ლნტ.) — ბავშვს ვინ დაიჭერს (დამჭერი ვინ იქნება)? ეშდჲორი ლალ მგრმიდ ჯაყა (ჰოეზ. 24) — თორმეტი კაცი დამჭერი გვყავს.

მგრყōნე (-ნēმიშ, -ყōნა ბზ., -ნēშ, -ნēლ ლშხ.), **მგრყინე** (-ნემ, -ყინა) ბქ. — მომრგვმელი, ʼდაʼმრგვმელი. ჲäრ დო ლäსუ მგრყōნე, დეშ ოხმჲäერ (ბზ.) — თუ ვინ იყო დამრგვმელი, ვერ გაეიგე. ტეტიშ მგრყინე მäგ ანღვრდ (ბქ. 297) — დამრგვმელი (ხელის თავზე შემომრგვმელი) ყველა მოდიოდა. იხ. **მგტყäცი**.

მგრში (-შōშ, -რშა ბზ., -äშ, -რშა ბქ., -შōშ, -შäლა ლშხ., -ჲშ, -რშალა ლნტ.) — დამჟვები, გამშლელი (ლოგინისა). ამიშ მგრში იäრ ლასუ? (ბქ.) — ეს ვინ გაშალა (ამის გამშლელი ვინ იყო)?

მგრშკ (-იშ, -äლ), **მგშკ** (-äშ, -äრ ბზ., -იშ, -äრ ბქ., ლნტ.) — ჭიანჭველა. მიჩა მაყალუშ ესერ... გიმქა მგრშკ დეშ იზელäლ (ბზ. 396) — ჩემი შიშით მიწაზე ჭიანჭველა ვერ დადისო. ლäღზიგალ-ლäლგიმალს მგშკ ესერი ხაშდბა (ანდ.) — ოჯახის მოწყობას ჭიანჭველაც ცდილობსო. ალე ქათასგმდა ეჯ მარას, ხედუäჲ ერე მგშკäრს გარგალას ხომნäრდა (ლნტ. 201) — ეს გაიგონა კაცმა, რომელიც ჭიანჭველების ლაპარაკს უსმენდა. კნინ. **მგრშკგლდ** ბზ. ჰიშხ ნōსʼäთვა მგრშკგლდს! (ბზ. 339) — ჭიანჭველას ფეხი არ დაადგა!

მგრჰენე იგივეა, რაც **მგნჭრინე**.

მგსგდი (-დōშ, -სგდიäრ ბზ., -äშ, -სგდა ბქ., -დōშ, -არ ლშხ.), **მგსკიდი** (-ჲშ, -äრ) ლნტ. 1. მაყურებელი, მაცქერალი. მი ხუōრა ეჩō მგსგდი (ბზ.) — მისი მაყურებელი მე ვიქნები. ჩუბაუ მგსგდი დეცთეჟიშ მურყუამს ესერ დეშ ხäწდა (ანდ.) — დაბლა მაცქერალმა ცამდე აწვდილი კოშკი ვერ დაინახაო. ხოლა თეჟი მგსგდი [ანჭად] (ლშხ.) — ავი თვალით მაყურებელი მოვიდა. 2. მეთვალყურე, მედამხედველე, მომვლელი. ეჯჲäრდ ბეფშუ ქორä მგსგდიდ აცუირხ (ბზ.) — ბავშვი იმათ სახლის მეთვალყურედ დატოვეს. მეჩის ხოჩა მგსგდი ხაკუ (ბქ.) — მოხუცს კარგი მომვლელი უნდა.

მგსერე იგივეა, რაც **მგსრე**.

მგსიპ (-იშ, -äრ||-სპäლა ზს., -äლა ლშხ., -äრ ლნტ.) — მბრუნავი. [მგლტეხ] ქა ლäხყახäნ მგსიპ შōრას (ბზ. 51) — ლენტეხელმა მბრუნავ დოლაბს აკოცა. ლეგუēრō ბორბალ ხოჩა მგსიპ ლი (ლშხ.) — წისქვილის ბორბალი კარგად ბრუნავს (კარგი მბრუნავია).

მგსōპანე, მგსპე (-ნēმიშ, -პēმიშ, -სōპანäლა) ბზ., **მგსიპანე, მგსპე** (-ნემ, -პემ, -ნოლ) ბქ., **მგსōპანე, მგსპე** (-ნēშ, -პēშ, -ნäლა, -პäლა) ლშხ., **მგსიპäნე, მგსპე** (-იშ, -äრ) ლნტ. — გადამბრუნებელი. მგსიპანე ხოსიპანა (დიარს). (ბქ. 307) — გადამბრუნებელი უბრუნებდა პურს. ამშა მგსპე იშგენ დäრ ლი (ლშხ.) — ამის გადამბრუნებელი სხვა არავინ არის.

მგსკäდ (-სკდიშ, -სკდäრ) ზს., **მგსკად** (-სკდიშ, -სდარ) ლშხ., **მგსკäტ** (-იშ, -äრ) ლნტ. — ბეჭედი. უეზირდ ჟი ლäჲკიდ მგსკäდ ჯიბხäნჟი (ბზ. 293) — ვეზირმა ჯიბიდან ბეჭედი ამოიღო. მგსკäდ ქანშყäდ თუინგხენქა (ბქ. 58) — თუნგიდან ბეჭედი გადმოვარდა. [ჭყინტდ] ქა ლახომ ქრუტს მგსკად (ლშხ. 75) — ბიჭმა ქერივს ბეჭედი მისცა. ჲერუäჲ ლოქ მიჩა დენäჲ მგსკäტს ჟäნკედ, ეჯი ლოქ ირა მიჩა დე-

ნა̈ჲ ლეჭაშგრი (ლნტ. 279) — ეინც ჩემი ქალიშვილის ბეჭედს აიღებს, ის იქნება ჩემი ქალიშვილის საქმროი. [დიდ] ზურაბს სკა ლახაბე ფხულეჲსა ჰმირა̈ნი ნაჸოდ მგსკა̈ტ (ლნტ. 250) — დედამ ზურაბს თითზე ამირანის მიცემული ბეჭედი წამოაცვა (შეაბა).

მგსკა̈ტ იგივეა, რაც **მგსკა̈დ.**

მგსკიდი იგივეა, რაც **მგსგდი.**

მგსკīრ (-იშ, -ა̈ლ ბზ., -ალ ლშხ.), **მგსკირ** (-სკრა̈რ უშკ., -სკრიშ, სკრა̈რ ბქ., -იშ, -ა̈ლ ლნტ.) — ძირმაგარა. მგსკირჟი ფისემ ლიდისგ ხა̈მიქჸახ შჸა̈ნს — ქა როქ იწობე (ბქ.) — სვანეთში ძირმაგარაზე ფისს იღებენ, გამოიწოვსო. ბობშს კīნჩხჟი მგსკīრ ხა̈რ (ლშხ.) — ბავშვს კისერზე ძირმაგარა აქვს. მგსკირ მადგა̈რი (ლნტ.) — ძირმაგარა მკლავს.

მგსმინე¹ (-ნēმიშ, -მინა̄ლა ბზ., -ნემ, -მინა ბქ., -ნēშ, -ნēლ ლშხ., ზს.) — დამბეზღებელი, დამსმენი. ეჩī მგსმინე ჟა̈ნმეჴრა̈ნ (ბზ.) — იმის დამბეზღებელი გამომჟღავნდა. მგსმინე ამსჸალდ და̈ს ჩალა̈ტ (ბქ.) — დამსმენი ადამიანი არავის უყვარს.

მგსმინე² (-ნēმიშ, -მინა̄ლა ბზ., -ნემ, -მინა ბქ., -ნēშ, -ნēლ ლშხ.) — მომსმენი. ამი მგსმინე და̄̈რ მაჲა (ბზ.) — ამის მომსმენი არავინ მყავს. შდრ. **მუჰჸნა̈რი.**

მგსპე იგივეა, რაც **მგსīპანე.**

მგსრე¹ (-რēმიშ, -სრა̄ლა ბზ., -რემ, -სრა ბქ., -რēშ, -რēლ ლშხ.), **მგსერე** (-ჲშ, -სერალა) ლნტ. — მჯობნი, გამსწრები. მგსრემ მგსრე დემის შდეხნი (ბქ.) — მჯობის მჯობი არ დაილევა.

მგსრე² (-რēმიშ, -სრა ბზ., -რემ, -სრა ბქ., -რēშ, -რēლ ლშხ.), **მგსერე** (-ჲშ, -სერალა) ლნტ. — გამმეტებელი. ამშა მგსერე მა̈დ ხი სი (ლნტ.) — შენ ამის გამმეტებელი არა ხარ.

მგსსგნე (-ნēმიშ, -სსგნა ბზ., -ნემ, -სსგნა ბქ.,-ნēშ, -ნა̄ლა ლშხ., -ჲშ, -სსგნალა ლნტ.) — წამსისინებელი. ჟალჸემ მგსსგნე მი ხჸა̈სჸ (ბქ.) — ძაღლის წამსისინებელი მე ვიყავი. სი მგსსგნე გარ ხირახი (ლნტ.) — შენ მხოლოდ წამსისინებელი იქნები.

მგსყე (-ყēმიშ, -სყა̄̈ლ ბზ., -ყემ, -ყოლ ბქ., -ყēშ, -ყēლ ლშხ., -ჲშ, -ა̈ლ ლნტ.) — 1. გაკეთებული. ალას მეგმი კა̈ცხჟი ლა̈ცჷნდაჸ ხა̈რ მგსყე (ბზ. 363) — ამას ხის კენწეროზე ბუდე აქვს გაკეთებული. ლა̄შგ-ლაყēლī ეჩე ხა̈რხ მგსყე ზურა̄ლēლს (ლშხ. 9) — საწველი და ყველის ამოსაყვანი ქალებს იქ აქვთ მოწყობილი. ლასკადგრას ბეტონი ზგგი ჯებირა̈ლ ხარ მგსყე (ლნტ. 10) — ლასკადურას ბეტონის მაგარი ჯებირები აქვს გაკეთებული. 2. დადგენილი, დათქმული. სოფლა̈რს სკარობ ხერასშჸ ხადხ მგსყე (ბქ. 231) — სოფლელებს დღეობა მორიგეობით ჰქონდათ დადგენილი. 3. გატენილი (თოფი). სოფელს მა̈ნკჸი ჰემაშჸ მგსყე თეფიშ ჰერ ესერი ჩუ აყალჸე (ანდ.) — სოფელს პირველად უტყვიოდ გატენილი თოფის ხმაც შეაშინებსო. 4. შერიგებული. ალჲა̈რ ჩუ მგსყე ლიხ (ბზ.) — ესენი შერიგებული არიან.

მგსყი (-ყīშ, -სყა ბზ., -ა̈შ, -სყა ბქ., -ყīშ, -არ ლშხ.), **მგსყეი** (-ჲშ, -სყეალა) ლნტ. — 'გა'მკეთებელი. ა̈მი მგსყი და̈ჸით ლასჸ (ბქ.) — ეს დავითმა გააკეთა (გამკეთებელი იყო). სი ქორს დემშა მგსყეი ხი (ლნტ.) — სახლში შენ არაფრის გამკეთებელი ხარ.

მგტ (-იშ, -ა̈რ ზს., ლნტ., -არ ლშხ.) — მაგლი, ჭია. ჸისგჸს მგტ ხორი (ბზ.) — ვამლს ჭია ჰყავს. გიმჟი მგტ ესერი იბულელ ი ამსოლდი (ანდ.) — მიწაზე მატლიც დაცოცავს და ადამიანიცო. ამშა წჸēნე ჟი ხუტე ლგქაჩისა მგტარს, ეჯჟი მგლნი ლი (ლშხ., ხორ. 19) — ამის წვენი ჭრილობაში მატლებს სპობს, ისეთი მწარეა.

მგტა̄ბე (-ბēმიშ, -ტა̄ბა̄ლა ბზ., -ბēმიშ. -ბა̄ლა ლშხ.), **მგტაბე** (-ბემ. -ტაბა ბქ., -ჲშ. -ა̈ლ ლნტ.) — 'გა'მთლელი. კიბდჸēნი მგტა̄ბე დეშ ოხჸითხ (ბზ.) — კიდობნის გამთლელი ვერ მოვიძიე. ყორა̈შ მგტაბე მარ ლეკარქე (ბქ.) — კარის გამთლელი უნდა ვიშოვო. ჩულგდგარგნლო მēრმა ლადელ კუბი მგტა̄ბა̄ლას ჴგდეხ (ლშხ. 34) — სიკვდილის შემდეგ მეორე დღეს კუბოს გამთლელები მოჰყავთ.

მგტა̄̈რ (-იშ. -ტა̄რუ) ბზ., **მგტა̈რ** (-ტარუ ბქ., -ტარა̈ლ ლნტ.), **მგტა̄რ** (-ალ) ლშხ. — მატლიანი. ალ ჸისკჸ მგტა̈რ ლი (ლნტ.) — ეს ვაშლი მატლიანია.

მგტბიდე (-დēმიშ. -და̄ლა ბზ., -დემ. -ბიდა ბქ., -დēმიშ, -და̄ლა ლშხ.), **მგტებდე**

(-ჲშ, -ტებდალა) ლნტ. — გამთბობი. ჟა̈ჭურაშ ლემესგ ხოჩა მგტბიდე ლი (ბქ.) — არყის ხის ცეცხლი კარგად ათბობს (გამთბობია). ფეჩ ხოჩა მგტებდე ლი ქორა̈შ (ლნტ.) — ღუმელი სახლს კარგად ათბობს (გამთბობია).

მგტებდე იგივეა, რაც **მგტბიდე**.

მგტმე (-მე̄მიშ, -მა̄ლა ბზ., -მემ, -ტმა ბქ., -მე̄მიშ, -მა̄ლა ლშხ.) — უჭმელი. მგფანე მარე მგტმე ლი ამ ლადეღ (ბქ. 75) — ამ დღეს საკურთხის გამშლელი კაცი უჭმელია. **მგტმად** ზმნზ. ბქ., ლშხ. — უჭმელად. ბეჳა ეჲ ლა̈დეღ მგტმად ლგმჭემნელი (ბქ. 311) — ბევა იმ დღეს თურმე უჭმელად თიბაედა.

მგტყაბ იგივეა, რაც **მგტყა̈ბ**.

მგტყა̈ბ (-იშ, -ტყაბა̈რ) ზს., ლნტ., **მგტყაბ** (-არ) ლშხ. — შემწვარი. [ბეფშჳს] მგტყა̈ბ წჳა̈დ საკჳ (ბზ. 315) — ბავშვს (შემწვარი) მწვადი უნდა. [სოკს] მგტყაბს ხაყა ლეზობდ (ლშხ., ხორ. 10) — სოკო საჭმელად შემწვარი ვარგა.

მგტყა̈ბ˹ე˺ იგივეა, რაც **მგტყბე**.

მგტყა̈ცი იგივეა, რაც **მგტყცა̈̄ნი**.

მგტყეცა̈ნი იგივეა, რაც **მგტყცა̈̄ნი**.

მგტყბე (-ბე̄მიშ, -ტყბა̄ლა ბზ., -ბემ, -ტყბა ბქ., -ბე̄მიშ, -ბა̄ლა ლშხ.), **მგტყა̈ბ˹ე˺** (-ჲშ, -ბა̄ლ) ლნტ. — შემწველი. წჳა̈დიშ მგტყბე ლემასგჳცახა̈ნ ესსგურდა (ბზ.) — მწვადის შემწველი ცეცხლთან დაჯდა. ალე მა̄რე წჳადი მგტყბიდ ადგენეხ (ლშხ.) — ეს კაცი მწვადის შემწველად დააყენეს.

მგტყცა̈̄ნი (-ნი̄შ, -ცა̄ნიარ) ბზ., **მგტყცა̄ნი** (-ნი̄შ, -ნა̄ლა) ლშხ., **მგტყცა̈ნი** (-ცანა̈შ, -ცანა) ბქ., **მგტყეცა̈ნი, მგტყა̈ცი** (-ციშ, -ა̈რ) ლნტ. — მცემელი, გამლახავი. ალ მარემ მგტყცა̈ნი ჲარ ლასჳ? (ბქ.) — ეს კაცი ვინ სცემა (ვინ არის გამლახავი)? ალი ლი მიშკჳ მგტყა̈ცი (ლნტ.) — ჩემი გამრტყმელი ეს არის. იხ. **მგრყი̄ნე**.

მგტყცე (-ცე̄მიშ, -ყცა ბზ., -ცემ, -ყცა ბქ., -ცე̄შ, -ცა̄ლა ლშხ., -ჲშ, -ტყცალა ლნტ.) — დამრღვევი (შეკერილისა). ა̈მიშ მგტყცე და̈რ წჳა (ბქ.) — ამის დამრღვევი არავინაა.

მგტხე[1] (-ხე̄მიშ, -ტხა̄ლა ბზ., -ხემ, -ტხა ბქ., -ხე̄მიშ, -ხე̄ლ||-ხა̄ლა ლშხ., -ჲშ, -ა̈რ ლნტ.) — 1. დამბრუნებელი. ამი̄ მგტხე მა̄მა ხჳი (ბზ. 339) — ამის დამბრუნებელი არა ვარ. ქუნემ მგტხე მაროლ ქა ხოთრონხ (ბქ. 301) — სულის დამბრუნებელი კაცები მიჩნეული ჰყავდათ. მა̈გიერი მგტხეს ხჳა̈თხელნად (ლნტ. 89) — თურმე სამაგიეროს გადამხდელს ეძებდით. 2. მოპასუხე. პასხჳი მგტხე ალჲა̈რ ლიხ (ბზ. 13) — მოპასუხე (პასუხის დამბრუნებელი) ესენი არიან.

მგტხე[2] (-ხე̄მიშ, -ტხა ბზ., -ხემ, -ტხა ბქ., -ხე̄მიშ, -ხე̄ლ ლშხ., -ჲშ, -ა̈რ ლნტ.) — დამამჟავებელი, ამჟავებელი. კინტჳრია̈შ მგტხე და̈რ მაყა (ბქ.) — კიტრის დამამჟავებელი არავინ მყავს.

მგჳშხი იგივეა, რაც **მუჳშხი**.

მგფანე იგივეა, რაც **მგფა̄ნე**.

მგფა̈რი/ე იგივეა, რაც **მგფრენი**.

მგფა̈შტჳი იგივეა, რაც **მგფშჳდი**.

მგფა̈ცხი იგივეა, რაც **მგფცხი**.

მგფა̄ნე (-ნე̄მიშ, -ფა̄ნა ბზ., -ნე̄შ||-ნე̄მიშ, -ფა̄ნა ლშხ.), **მგფანე** (-ნემ, -ფანა ბქ., -ჲშ, -ა̈რ ლნტ.) — საკურთხის დამდგმელი, გამშლელი. მგფა̄ნე ეჳ იკედ აშხჳ ფაკა̈ნ ლგჯე̄მი ქაქს (ბზ. 11) — საკურთხის დამდგმელი იღებს ერთ ჯამ რძის ფაფას. მგფანე მარე მგტმე ლი ამ ლადეღ (ბქ. 75) — საკურთხის გამშლელი კაცი ამ დღეს უჭმელია.

მგფეშტჳე იგივეა, რაც **მუფშჳდე**[2].

მგფრე (-რე̄მიშ, -ფრა ბზ., -რემ, -ფრა ბქ., -რე̄შ, -რა̄ლა ლშხ., -ჲშ, -ა̄ლ ლნტ.) — 1. გამხმობი. ითქიშ მგფრე მიჲ ლასჳ (ბქ.) — მარცვლის გამხმობი მე იყო. მაჳ ლესეს ალ ჳისკჳი მგფრე? (ლნტ.) — ნეტავ რამ გაახმო ეს ვაშლი? (რა არის ამის გამხმობი?) 2. გამომწრთობი (რკინისა ან ფოლადისა).

მგფრენი (-ნი̄შ, -რენა||-ნა̄ლა ბზ., -ა̈შ, -რენა ბქ., -ნი̄შ, -ნა̄ლა ლშხ.), **მგფა̈რი/ე** (-ჲშ, -ა̈რ) ლნტ. 1. დამხურავი (თავსაფრის). ხოჩა და̈̄რ ა̈რი ლაჩქი მგფრენი (ბზ. 42) — თავსაფრის დამხურავი კარგი არავინ არის. მეჩის ლაჩქი მგფრენი და̄რ ხეყე̄დდა (ლშხ.) — მოხუცს ლეჩაქის დამხურავი არავინ ჰყავდა. 2. ბზ. გადამხურავი (ყავრის). ლგყა̄რა̈ მგფრე-

ნი ლა̈დი მა̄ჵ ხეშდბი (ბზ.) — ყაერის გადამხურაეი დღეს არ იმუშავებს.

მგფშგე (-გე̄მიშ, -ფშგა̄ლა ბზ., -გემ, -ფშგა ბქ., -გე̄შ, -გე̄ლ ლშხ.), **მგფშკე** (-ჲშ, -ფშკალა) ლნტ. 1. გამხსნელი, შემხსნელი. ფისრა̈ჲ, სი ხია ამი̄ მგფშგე? (ბზ.) — წყეულო, შენ ხარ ამის გამხსნელი? 2. სასაქმებელი (წამალი). ალ ჟაკა̈რ ხოჩა მგფშკე ლი (ლნტ.) — ეს წამალი კარგი სასაქმებელია.

მგფშტჳე იგივეა, რაც **მუფშჳდე**.

მგფცხი (-ხი̄შ, -ფცხა ბზ., -ა̈შ, -ფცხა ბქ., -ხი̄შ, -ხა̄ლა ლშხ.), **მგფა̈ცხი** (-ჲშ, -ფაცხალა) ლნტ. — მფარცხავი. გუშგჳეჲთე მგფცხა ანჯა̈ღხ (ბზ.) — ჩვენთან მფარცხავები მოვიდნენ. მგფცხა მგჳნა̈ჰჳერუნღჳე ოხოგანხ გჳაშჳ (ბქ.) — მფარცხავები მზის ჩასვლის შემდეგ შეუდგნენ საქმეს. მი ჩიილა მგფა̈ცხი ხჳას (ლნტ.) — მე ყოველთვის მფარცხავი ვიყავი.

მგფხკგნე[1] (-ნე̄მიშ, -ფხკგნა̄ლა ბზ., -ნემ, -კგნა ბქ., -ნე̄შ, -ნე̄ლ ლშხ., -ჲშ, -ა̈ლ, ლნტ.) — დამფხაკუნებელი, დამკაკუნებელი. და̈შდჳ ლა̈ხჰჳედდა: ჲა̈რ ესერ ლი მგფხკგნე? (ბზ. 369) — დათვმა ჰკითხა: ვინ აფხაკუნებსო? (ვინ არის დამფხაკუნებელიო?)

მგფხკგნე[2] (-ნე̄შ, -ნე̄ლ) ლშხ. — ფხუკიანი. ზურა̄ლს სჳრუ მგფხკგნე ჰაშ ხაყა (ლშხ.) — ქალს ძალზე ფხუკიანი ქმარი ჰყავს.

მგფხჳე (-ჳე̄მიშ, -ფხჳა̄ლა ბზ., -ჳემ, -ფხჳა ბქ., -ჳე̄შ, -ჳა̄ლა ლშხ., -ჲშ, -ფხჳალა ლნტ.) — გამშლელი, გამფანტველი. ქა̄მ კჳეცნა მგფხჳე მი ხჳას (ლშხ.) — ხორბალი გარეთ მე გავშალე (გამშლელი მე ვიყავი).

მგფხრიჰჳი (-ჳი̄შ, -ფხრიჰჳა ბზ., -ჳი̄შ, -ალ ლშხ.), **მგფხრიჰი** (-ა̈შ, -რიჰა) ბქ. — გამომჩხრეკი. მგფხრიჰის მიჩა ხოლა ესერ ოხფხირჰა (ბქ.) — გამომჩხრეკმა თავისი ცუდი გამოჩხრიკაო.

მგქარ (-იშ, —) — 1. მუქარა. 2. ჯიბრი. ზურალ ჩიის ეჩა მგქარშჳ ა̈სყეიდა (ლნტ.) — ქალი ყველაფერს იმის ჯიბრზე აკეთებდა.

მგქაფ (-იშ, —) — სამაგიერო, სანაცვლო, მაგიერი. აშხჳ გეზლა̈ მგქაფ ალა ი̄რა (ბზ. 24) — ერთი შვილის მაგიერ ეს იქნება. [ბესი] ჰანჳეჲ მგქაფდ ჯი ლახაგა̈ნ ხა̈ლხს (ბქ. 200) — ბესი ხარის მაგიერად თვითონ მიადგა ხალხს. მაშდმა̈რჳი მა̈რემ მგქაფდ ლეთრ ესერ რაგდი (ანდ.) — სიმთვრალის დროს კაცის მაგიერ სასმელი ლაპარაკობსო. საყდარ, ჯჳინელი მგქაფ, მახე ადგეხ (ლშხ. 4) — საყდარი, ძველის მაგიერ, ახალი ააგეს. ჯჳინალდ ნა̈ფთი მგქაფ ნესკა̈ჲ ლემესკს აშჳახ (ლნტ. 5) — ძველად ნავთის მაგიერ შუაცეცხლს ანთებდნენ. ალა თაჳბექიშ მგქაფ გჳერა (ჰოჲზ. 34) — ეს თავბექის ნაცვლად გვეყოლება.

მგქა̈ბი იგივეა, რაც **მგქა̄̈ბი**.

მგქა̈დინე იგივეა, რაც **მგქდენი**.

მგქა̈ფი იგივეა, რაც **მგქფი**.

მგქა̈ჩე იგივეა, რაც **მგქჩე**.

მგქა̈ჩი იგივეა, რაც **მგქჩე**.

მგქა̄̈ბი (-ბი̄შ, -ბჲა̈რ) ბზ., **მგქა̈ბი** (-ა̈შ, -ქაბა ბქ., -ჲშ, -ა̈რ ლნტ.), **მგქა̄ბი** (-ი̄შ, -არ) ლშხ. — გვერდის ამვლელი, ამქცევი. ისგჳეი̄დ ჰირ მგქა̄̈ბიჳ ლი მეჰად! (ბზ.) — ჭირი ყოველთვის აგვცილებოდეთ (გვერდის ამვლელი ყოფილიყოს)! ჩიმე მგქა̄ბი ალე ლი (ლშხ.) — ყველას გვერდის ამქცევი ესაა. ალ მარე ლასგ გუშკჳე მგქაბი? (ლნტ.) — ეს კაცი იყო ჩვენი გვერდის ამქცევი?

მგქდენი (-ნი̄შ, -ქდანა̄ლა ბზ., -ა̈შ, -ქდენა ბქ., -ნი̄შ, -არ ლშხ.) **მგქა̈დინე** (-ჲშ, -ნალა) ლნტ. 1. ამცილებელი, ამცდენი. ალე ლია ცხჳჲე მგქდენი? (ლშხ.) — ეს არის ისრის ამცილებელი? 2. გამცდენი. დაჳითს მა̈დ ხალატგნ ლემშაჳი მგქა̈დინე (ლნტ.) — დავითს სამუშაოს გამცდენი არ უყვარდა. 3. შემცდენი. ჳობურ დადა ლი მა̄რემი მგქდენი (ლშხ.) — კუდიანი დედაბერია კაცის შემცდენი.

მგქმე (-მე̄მიშ, -ქმა̄ლა ბზ., -მემ, -ქმა ბქ., -მე̄მიშ, -მა̄ლა ლშხ., -ჲშ, -ქმალა ლნტ.) — 1. 'მო'მმატებელი. ლჳინა̈ლთეჲსგა ლგცემ მგქმეი ფიშირ ა̈რი (ბქ.) — ღვინოში წყლის ჩამმატებელიც ბლომადაა. 2. მომგები (ოჯახში მოგების შემომტანი).

მგქორწილ იგივეა, რაც **მუქორწილ**.

მგქოხ, მუქოხ, მუქუხ (-იშ, -ქხჳა̈რ) ბზ., **მუქჳიხ** (-ა̈რ) ბქ., **მუქოხ** (-ქჳხარ ლშხ., -ა̈რ ლნტ.) — ქვა; რიყის ქვა. თელდ გრჳი მუქოხდ ოთსყინე ტა̈რიელს (ბზ. 61) — ტარი-

ელს მთლად მწვანე ქვად ვაქცევ. დე̄ჳდ თჳეთნე მუქჳხ წჳენდ აფი̄შგ (ბზ. 364) — დევმა თითო ქვას წვენი გამოადინა (წვნად აქცია). ლაყფვგნა... მუქჳიხ ბაჩა̈რყი ხადხ (ბქ. 307) — გამოსაკვეთი სიპ ქვებზე ჰქონდათ გაკეთებული. სოფლიშ ჰერს მუქჳიხ ბა̈ჩ ესერ ჩჳოთბიჰკჳა (ანდ.) — სოფლის ხმას სიპი ქვა გაუხეთქიაო. ეჵკიდ დე̄ჳემ ხოშა მუქოხ (ლშხ. 80) — დევმა დიდი ქვა აიღო. მაჳლუდს... მუქოხა̈რ ათოშიდა (ლნტ. 141) — მელიას ქვები გადაუყრია. ჯეჲლოქ მუქოხს ლგჯას ათფიშდჳნი (ლშხ. 80) — მე რიყის ქვას რძეს გამოვადენო. ამკა̈ლი მგქოხა̈რს გდესკხ ქორა̈ მუხჳირმოყ (ლნტ. 65) — ასეთ რიყის ქვებს დებენ სახლის საძირკველის კუთხესთან.

მგქსა̈ნი იგივეა, რაც **მუქჳა̄სგ̄რა**.

მგქჳემ იგივეა, რაც **მუქჳემ**.

მგქჳისკ იგივეა, რაც **მჳქჳი̄სგ**.

მგქფი (-ფი̄შ, -ქფა̄ლა ბზ., -ფა̈შ, -ქფა ბქ., -ფი̄შ, -ქფა̄ლა ლშხ.), **მგქა̈ფი** (-ჲშ, -ა̈რ) ლნტ. — (ტვირთის) მზიდავი. ჳო̄შთხჳ მგქფი ამე ოთთიმ (ბზ. 40) — ტვირთის ოთხი მზიდავი აქ ვიშოვე. ბაჩჳემ მგქფის მასა̈რდ ჰამშა ხაწგხ (ბქ.) — ქვის მზიდავს დიდი ღონე სჭირდება. ჰემი მგქფიდ ხჳა̄ჲ მა̄რე მაწგხ (ლშხ.) — თივის მზიდავად ბევრი კაცი მჭირდება. ამშა მგესკ ხოჩა მგქა̈ფი მარე გჳაწგხ (ლნტ.) — ამის წამღებად ტვირთის კარგი მზიდავი კაცი გვჭირდება.

მგქშა̈გ (-იშ, ქაშგა̈რ) ზს. — ჩერქეზი. მგქშა̈გ მირი მუშგჳრიდ (ბზ.) — ჩერქეზი მყავს სტუმრად. იხ. **ქაშაგ**.

მგქჩე (-ჩე̄მიშ, -ქჩა̄ლა ბზ., -ჩემ, -ქჩა ბქ., -ჩე̄შ, -ჩა̄ლა ლშხ.), **მგქა̈ჩი** (-ჲშ, -ა̈რ) ლნტ. — მჭრელი. ზექ̈ მგქჩა̈დ მა̄დ ლა̈ნტყუბეხ (ბზ. 37) — შემის მჭრელებმა არ შეგვიამხანაგეს (შეგვიტყუპეს). ა̈რი ეშხუ ცხეკიშ მგქჩე მარე (ბქ. 93) — არის ერთი ტყისმჭრელი კაცი.

მგლა̈ჳ (-იშ, —) ბზ., **მოლა̈ჳ** ბქ. ლნტ., **მოლაჳი** ლშ. 1. ბზ. გასალეწი მარცვლეული. მგლა̈ჳ ქა̄ფხიქხ კალჳისგა (ბზ.) — გასალეწი მარცვლეული კალოზე გაშალეს. 2. მოსავალი. ნებჳზაშა̈რს ნა̈თეჳ მოლა̈ჳს ყი ხა̈გემხ (ბქ. 230) — სალამოობით მომკილ მოსავალს დააბვინებენ (დაადგამენ).

მგლდერი̄ლ (-ა̈შ, -ა̈რ) ბზ., **მგლდერო̄ლ** (-აშ, -არ) ლშხ., **მგლდერილ** (-ა̈შ, -ა̈რ) ბქ., ბოტ. — ცერცველა. მგლდერილ კჳეცან ხეჩდა (ბქ.) — ცერცველა პურის ნათესებს ურევია. მგლდერო̄ლ პარკალს ღედერშა̄ლ იჵდე (ლშხ., ხორ. 22) — ცერცველას პარკი ცერცვივით გამოაქვს.

მგლელი იგივეა, რაც **მგლლი**.

მგლიჯ იგივეა, რაც **მგლლიჯ**.

მგლიჯგ იგივეა, რაც **მგლლიჯ**.

მგლლატი იგივეა, რაც **მგლლა̈ტი**.

მგლლა̈ბი (-ბი̄შ, -ლლაბა ბზ, ლშხ., -ა̈შ, -ლლაბა ბქ.) — მოღალატე. ღერმათოჳი ლახსისგა მუხჳბემ მგლლაბი! (ბქ.) — ღმერთსაც შესძულებია ძმის მოღალატე!

მგლლა̈ტი (-ტი̄შ, -ლლატა ბზ., -ა̈შ, -ლლატა ბქ., -ტიშ, მოლლატა ლნტ.), **მგლლატი** (-ტი̄შ, მოლლატა) ლშხ. — მოღალატე. ისგუ მგლლა̈ტიდ ნო̄საჳ ოხჳსყა ღე̄რბათჳ! (ბზ.) — ღმერთმა შენი მოღალატე არც გამხადოს! მგლლატა ჩუ ლუშგურანე ხარენა ისლამს (ბქ. 198) — ისლამს მოღალატეები დარიგებული ჰყოლია. ყანსაჳს ხჳა̄ჲ მგლლატი ხეყე̄და (ლშხ.) — ყანსაეს ბევრი მოღალატე ჰყაედა.

მგლლი (-ლი̄შ, -ა̈რ||-ლლა ბზ., -ა̈შ, -ლლა ბქ., -ლი̄შ, -არ ლშხ.), **მგლელი** (-ჲშ, -ა̈რ) ლნტ. — მომლოდინე, მომცდელი, დამყდელი. მგლლი̄შდ გარჯ ლი ალამა̈გხა̈ნს ქა̈მ ლირდე (ბზ.) — მომლოდინისათვის ძნელია ამდენ ხანს გარეთ ყოფნა. ლექერ ლეგეჰიშ გარ ესერ მგლლი ლი (ანდ.) — წისქვილი მხოლოდ საფქვავის მომლოდინე არისო. იმშა მგლლი ლოქ ლი? (ლშხ. 77) — რას ელოდები (რისი მომლოდინე ხარო)?

მგლლიჯ, **მგლიჯ** (-იშ, -ა̈̄რ ბზ., -არ ლშხ.), **მგლლიჯ**, **მგლიჯგ** (-ა̈რ) ბქ., **მგლლინჯ** (-ა̈რ) ლნტ. — კბილებდაკრეჭილი; პირდაფჩენილი. დე̄ჳა̈ დის შდგქა̈რ მგლიჯ ოთსა̈დ ლაქჳნაჳა̄ლყი (ბზ. 308) — დევის დედას სულის ამოხდომისას კბილები დაკრეჭილი დარჩა. იმემ მგლიჯგ მისდი? (ბქ.) — რა პირდაფჩენილი მიყურებ?

მგღრე (-რე̄მიშ, -ღრა̄ლა ბზ., -რემ, -ღრა ბქ., -რე̄შ, -რა̄ლა ლშხ., -ჲშ, -ღრალა ლნტ.) — მომცილებელი, მომშორებელი. ხოლა ჟაღჷემ მგღრე ფაუ ლი (ბქ.) — ცუდი ძაღლის მომცილებელი ჯოხია. ლა̈დეღი ამშა მგღრე მა̈დ ხჷი (ლნტ.) — დღეს ამის მომშორებელი არა ვარ.

-მგყ, -მიყ ზს., **-მგყ** ლშხ., **-მოყ** ქს., თანდებული — თან. ქორმგყ (ბზ.) — სახლთან, კოშკმოყ (ლშხ.) — კოშკთან. მუხჷირმოყ (ლნტ.) — საძირკველის კუთხესთან.

მგყდა̈̄ნი[1] (-ნი̄შ, -და̄ნა̄ლა) ბზ., **მგყდა̈ნი** (-ა̈შ, -დანა) ბქ., **მგყდა̄ნი** (-ნი̄შ, -ნა̄ლა) ლშხ., **მგყედა̈ნი** (-ჲშ, -ყედანა) ლნტ. — ხელში დამჭერი, დამკავებელი. ლეტჷრემ მგყდა̈ნი მი ხჷა̈სჷ (ბქ.) — სანთლის დამკავებელი მე ვიყავი.

მგყდა̈̄ნი[2] (-ნი̄შ, -და̄ნა) ბზ., **მგყდა̈ნი** (-ა̈შ, -დანა) ბქ., **მგყდა̄ნი** (-ნი̄შ, -ნა̄ლა) ლშხ., **მგყედა̈ნი** (-ჲშ, -ყედანალა) ლნტ. — ქალის დამწინდავი, დამნიშნავი. ალ დინა̈შ მგყდა̈ნი ეზერ მა̈ხელჷა̈ჲ ლი (ბქ.) — ამ ქალიშვილის დამწინდავი კარგი ვაჟკაცია.

მგყდი (-დი̄შ, -ყდა̄ლა ბზ., -და̄ლა ლშხ., -ა̈შ, -ყდა ბქ., -ჲშ, -ა̈რ ლნტ.) — მყიდველი. ამი̄ მგყდი და̈̄რ მიცგხ (ბზ.) — ამის მყიდველი არავინ მეგულება. ციოყ ქორა̈შ მგყდის ხეთხელი (ბქ.) — ციოყი სახლის მყიდველს ეძებს. ამშა მგყდი დესა ხჷი (ლნტ.) — ამის მყიდველი არა ვარ.

მგყედა̈ნი იგივეა, რაც **მგყდა̈̄ნი**.

მგყერ (-იშ, -ა̄ლ ბზ., -ა̈რ ბქ., -ალ ლშხ.) — 1. დამრტყმელი. ბეფშჷი მგყერს ხჷა̈ჲ ნაცჷა̄ლ ხა̄დ (ბზ.) — ბავშვის დამრტყმელს ბევრი საყვედური შეხვდა (ჰქონდა). მგყერს მა̈ხელჷა̈ჲ მგქაფს ქა ხა̈ტხე (ბქ.) — დამრტყმელს ვაჟკაცი სამაგიეროს გადაუხდის. ლეყერ დე̄მ ხაგიჭ მგყერი მაღჷრას გარ (ლშხ. 46) — დასარტყმელი მხოლოდ დამრტყმელის ფიცს არ სჯერდება. 2. დამრეკობი, დამსობი. ფაუა̈შ მგყერ (ბქ.) — ჯოხის დამრეკობი.

მგყეჩჷნე იგივეა, რაც **მგყჩე**.

მგყრო̄ნტ (-იშ, -ალ) ლშხ., **მგყრონტ** (-ა̈ლ) ლნტ., ზოოლ. — წერო. ლა̄შხურისა მგყრო̄ნტალ იზგეხ (ლშხ.) — ცხენისწყალში (ლაშხურაში) წეროები ცხოვრობენ. იხ. **წა̈̄ჷრ**.

მგყფგნე (-ნე̄მიშ, -ნა̄ლა ბზ., -ნემ, -ფგნა ბქ., -ნე̄შ, -ნე̄ლ ლშხ.) — ქვის მკოდავი. მგყფგნა შილისგა წიროლ ხჷლჷანდახ (ბქ. 307) — წისქვილის ქვის მკოდავებს ხელში პატარა უროები ეჭირათ. ციოყ ში̄რა̄ ბეჩარე მგყფგნე ლი (ლშხ.) — ციოყი დოლაბის ქვის მკოდავია.

მგყჩე (-ჩე̄მიშ, -ყჩა̄ლა ბზ., -ჩემ, -ყჩა ბქ., -ჩე̄შ, -ჩა̄ლა ლშხ.), **მგყეჩჷნე** (-ჲშ, -ყეჩჷნალა) ლნტ. — მომცილებელი. ჩიქე დესა ხჷი მიშკჷი ბებშიშდჷ ლჷსჷე მგყეჩჷნე (ლნტ.) — ჩემს ბავშვს ჯერ არ მოვაცილებ ძუძუს (მომცილებელი არა ვარ).

მგშარდე იგივეა, რაც **მგშა̄რდე**.

მგშა̈ჲ (-შა̈ჲშ, -შჲა̈რ) ბზ., **მგშა̈** (-იშ, -შა̈ჲ ბქ., -ჲშ, -შა̈რ ლნტ.), **მგშაჲ** (-შა̄ჲშ, -არ) ლშხ., — მუშა. ჷმჷა̈̄ჲთე ალ ქორა̈ მგშა̈ჲ მა̄რე ქა̄ჩეს, ჩია̈̄გ სი ლოხჴე! (ბზ. 11) — საითაც ამ სახლის მუშაკაცი წავიდეს, ყველგან შენ შეეწიე! ბაბა ხოჩა მგშაჲ მა̄რე ლი (ლშხ.) — ბაბუა კარგი მუშაკაცია.

მგშა̈ში იგივეა, რაც **მგშია̈̄ში**.

მგშა̄რდე (-დე̄მიშ, -რდა̄ლა ბზ., -დე̄შ, -და̄ლა ლშხ.), **მგშარდე** (-დემ, -რდა ბქ., -ჲშ. -ა̈ლ ლნტ.) — დამამშვიდებელი, დამაშოშმინებელი. დიეშ მგშარდე ხოჩა გეზალ ლი (ბქ.) — დედის დამამშვიდებელი კარგი შვილია. ისკჷა სერ და̈რ ლი მიშკჷი მგშარდე (ლნტ.) — შენს მეტი არავინაა ჩემი დამამშვიდებელი.

მგშგა̈ლი იგივეა, რაც **მგ̄შგა̈̄ლი**.

მგშდა̈ბ (-იშ, -შდბა) ზს., **მოშდა̈ბ** (-იშ, -შდბა) ბქ., **მოშდაბ, მგშდაბ** (-იშ, მოშდბალა) ლშხ., **მგშტა̈ბ** (-იშ, -შტაბალა) ლნტ. — მომუშავე; მომსახურე. ცხეკს მგშდა̈ბ სი დემე მიწჷა (ბზ.) — შენ ტყეში მომუშავე არ მინახიხარ. ზჷრაბი ლაქორწილისა მარიამ მოშდაბ ლას (ლშხ.) — ზურაბის ქორწილში მარიამი მომსახურე იყო.

მგშდბგნე იგივეა, რაც **მგშდრე**.

მგშდე[1] (-დე̄მიშ, -შდა ბზ., -დემ, -შდა̈ ბქ., -დე̄შ, -და̄ლა ლშხ., -ჲშ, -შდალა ლნტ.) — დამყრელი. ჷისგჷი მგშდე (ბზ.) — ვამლის დამყრელი.

მგშდე² (-დე̄მიშ, -შდა̄ლა ბზ., -დემ, -შდა ბქ., -დე̄შ, -და̄ლა ლშხ., -ჲშ, -შდალა ლნტ.) — მომკვრელი. ალა სისგიშ მგშდე ლი (ბქ.) — ეს ზიზლის მომკვრელია.

მგშდნე იგივეა, რაც **მგ̄შდნე**.

მგშდრა̈ნი (-ნი̄შ, -შდრანა ბზ., -ა̈შ, -შდრანა ბქ.), **მგშტრა̈ნი** (-ჲშ, -ნალა ლნტ.)— დამგრეხი (თოკისა) თა̈კუა̈შ მგშდრა̈ნი ანჴად (ბქ.) — თოკის დამგრეხი მოვიდა.

მგშდრე (-რე̄მიშ, -შდრა̄ლა ბზ., -რემ, -შდრა ბქ.), **მგშდბგნე** (-ნე̄შ, -ნა̄ლა) ლშხ., **მგშტაბნე** (-ჲშ, -შტაბნალა) ლნტ. — გამრთობი, შემქცევი. ბეფშიშ მგშდრად დინა ა̈ნჴერნეხ (ბქ.) — ბავშვის გამრთობად გოგო თან მოიყვანეს. ეზერ მგშტაბნე ჯაყა ლა̈დელი (ლნტ.) — დღეს კარგი გამრთობი გყავს.

მგშელდა̈ნი იგივეა, რაც **მგშგლდა̈ნი**.

მგშელდე იგივეა, რაც **მგშგლდა̈ნი**.

მგშენა̈ჳი იგივეა, რაც **მგშნა̈ჳი**.

მგშენე იგივეა, რაც **მგშნე**.

მგშერა̈ჳი იგივეა, რაც **მგშრა̈ჳი**.

მგშე̄რე (-რე̄მიშ, -შე̄რა ბზ., -რე̄შ, -რა̄ლა ლშხ.), **მგშერე** (-რემ, -შერა ბქ., -ჲშ, -შერალა‖-ა̈ლ ლნტ.) — გამლესავი (დანისა). გაჩჳემ მგშერეს ხოლამდ ოხშერა (ბქ.) — დანის გამლესავს ცუდად გაულესავს.

მგშთხრი (-რი̄შ, -რა̄ლა) ლშხ., **მგშთხა̈რი** (-ჲშ, -ა̈ლ) ლნტ. — მთხრელი. გიმე მგშთხრა̄ლა ანჴადხ (ლშხ.) — მიწის მთხრელები მოვიდნენ. მგშთხა̈რი დარ მოშ ხჳითხ (ლნტ.) — (მიწის) მთხრელი ვერავინ ვიპოვე.

მგში (-ში̄შ, -ა̈რ ბზ., -ა̈შ, -ა̈რ ბქ., -ში̄შ, -არ ლშხ.), **მგშიჳ** (-იშ, -ა̈რ) ლნტ. — გასივებული. მუჩოლიირს ჰა̈ყბა̈რ... ეჩჲი მგში ჩუ ხა̄რ, ერე წირდ ხოშა (ბზ. 66) — ჩოლურელს ლოყები ურიგოდ მეტად აქვს გასიებული. ჰყინტ ნალგჳაროშ მგშის ხაჯეშ (ბქ.) — ბიჭი სიმსუქნისაგან გასივებულს ჰგავს.

მგშია̄ში (-ში̄შ, -ა̈რ) ბზ., **მგშა̈ში** (-ა̈შ, -ა̈რ) ბქ., **მგშია̄ში** (-ში̄შ, -არ) ლშხ., **მგშია̈ში** (-ჲშ, -ა̈რ) ლნტ. — ახალ წელს ხელის გამხსნელი, „დამკვებებელი“. ჲა̈რ გჳე̄რა ამ ზაჳ მგშია̈ში? (ბზ.) — წელს „დამკვებებლად“ ვინ გვეყოლება? მგშია̄შის ხოჩა შიე მა̄რას ითშიხ (ლშხ. 17) — „დამკვებებლად“ კარგი ხელის კაცს ირჩევენ. მგშია̈შის ჟი ხეკჳეს ახოკიდან ლემეზირ (ლნტ. 69) — „დამკვებებელს“ უნდა აელო სეფისკვერი (სალოცავი).

მგშიჳ იგივეა, რაც **მგში**.

მგშკ იგივეა, რაც **მგრშკ**.

მგშკალი იგივეა, რაც **მგ̄შგა̄ლი**.

მგშკა̄დი (-დი̄შ, -შკა̄და̄ლა) ბზ., **მგშკა̈დი** (-ა̈შ, -კადა ბქ., -ჲშ, -კადალა ლნტ.), **მგშკა̄დი** (-დი̄შ, -არ) ლშხ. — მჭედელი (ვინც აჭედებს). ფისე̄ჳ ესერ ხაბა ამი̄ მგშკა̄დის (ბზ. 344) — ამის დამჭედებელს ფისიმც დასხმიაო (ებასო). ჲანარს მგშკა̄დი ხაწგხ (ლშხ.) — ხარებს დამჭედავი სჭირდება.

მგშკიდ (-იშ, -შკდა̈რ ზს., ლნტ., -შკდარ ლშხ.) — მჭედელი. [ხოხჳრა მუხჳბე] აჩა̈დ ბერჲა̈ მგშკიდთე (ბზ. 265) — უმცროსი ძმა რკინის მჭედელთან წავიდა. მგშკიდ დეჳე თილ აქჳნთრინე მგკროლს (ბქ. 36) — მჭედელი დევეთი სახნისებს ახურებს. მიჩა დია̈რ ჩილა̈დელ მგშკიდს ესერი დეშ ოხსყა (ანდ.) — თავისი პური (სარჩო) ყოველდღე მჭედელსაც ვერ გაუკეთებიაო. [ხა̈ლხ] ა̈მეჩედხ მგშკდა̈რხო, ჟ'ახოშკადჳნახ [ცხულა̈ჴემატ] (ლნტ. 207) — ხალხი მჭედლებთან წასულა, მშვილდ-ისარი გამოუჭედვინებია.

მგშლადელ იგივეა, რაც **მიშლადელ**.

მგშლეთ იგივეა, რაც **მიშლე̄თ**.

მგშნა̈ჳი (-ჳი̄შ, -შნაჳა ბზ., -ჳა̈შ, -შნაჳა ბქ.), **მგშნაჳი** (-ჳი̄შ, -ჳა̄ლა) ლშხ., **მგშენა̈ჳი** (-ჲშ, -ნაჳალა) ლნტ. — გამშენებელი. ნიშგჳეჲ ხოშა ბაბა ლგმა̈რ სარაგცახა̈ნ ხილრე მგშნა̈ჳი (ბზ.) — ჩვენი პაპა ყოფილა წყაროსთან ხეხილის გამშენებელი.

მგშნე (-ნე̄მიშ, — ბზ., -ნემ, — ბქ., -ნე̄შ, — ლშხ.), **მგშენე** (-ჲშ, —) ლნტ. — მახმოიარე. ალ იცხ ხოჩა მგშნე ლი (ბქ.) — ეს მსხალი კარგი მახმოიარეა.

მგშოლდა̈ნი იგივეა, რაც **მგშგლდა̈ნი**.

მგშრა̈ჳი (-ჳი̄შ, -შრაჳა ბზ., -ა̈შ, -შრაჳა ბქ.), **მგშრაჳი** (-ჳი̄შ, -შრაჳა) ლშხ., **მგშერა̈ჳი** (-ჲშ, -რაჳალა) ლნტ. — სახსნილოს

მჭამელი, მარხვის გამტეხი. მგშერა̈ჟ̄ედ მგზ-ჟ̄ებს ქორხო დემ იხნეს ლაფანაყი (ლნტ.) — მარხვის გამტეხს საკურთხის დადგმისას სახლში არ უშვებენ.

მგშტაბნე იგივეა, რაც **მგშდრე**.

მგშტა̈ბ იგივეა, რაც **მგშდაბ**.

მგშტნე იგივეა, რაც **მგ̄შდნე**.

მგშტრა̈ნი იგივეა, რაც **მგშდრა̈ნი**.

მგშყბგნე (-ნე̄მი̄შ, -შყბგნა̄ლა ბზ., -ნემ, -შყბგნა ბქ., -ნე̄შ, -ნე̄ლ ლშხ.) — მიმხლელი, მიმჯახებელი. თ ხუმრე უშხუ̈არ მგშყბგნე ბეფშილდ ლგმარ (ბქ.) — თავების ერთმანეთზე მიმხლელი ბავშვი ყოფილა.

მგშხა̈ტი იგივეა, რაც **მგშხტი**.

მგშხბიე̄ლი (-ლი̄შ, -ბიე̄ლა) ბზ., ლშხ., **მგშხბელი, მგშხბგრი** (-ა̈შ, -ლა‖-რა) ბქ., **მგშხებიელი** (-ჲშ, -ბია̈რ) ლნტ. — მკერავი. ანღრი ჩაფლარე მგშხბიე̄ლი (ბზ. 323) — მოდის ფეხსაცმელების მკერავი. გიგა ხოჩა მგშხბიე̄ლი ლი (ლშხ.) — დეიდა კარგი მკერავია.

მგშხბგრი იგივეა, რაც **მგშხბიე̄ლი**.

მგშხებიელი იგივეა, რაც **მგშხბიე̄ლი**.

მგშხრე (-რე̄შ, -შხრა ბზ., -რემ, -როლ ბქ., -რე̄მი̄შ, -რე̄ლ ლშხ.) — დამპობი (შეშის, კვარის...). კუ̂ილიშ მგშხრეს ჯამშა ხაწგხ (ბქ.) — კუნძის დამპობს ძალა სჭირდება.

მგშხტი (-ტი̄შ, -ა̈რ ბზ., -ა̈შ, -შხტა ბქ., -ტი̄შ, -შხტა ლშხ.), **მგშხა̈ტი** (-ჲშ, -შხატალა) ლნტ. — დამწვნელი (კალათისა, გოდრისა...); მღობავი. ჰალგიშ მგშხტად ლა̈ჲშუ̂ემხ (ბქ.) — ღობის მღობავებმა შეისვენეს.

მგშგლდა̈ნი (-ნი̄შ, -დანია̈რ ბზ., -ა̈შ, -დანა), **მგშელდე** (-დემ, -დანა) ბქ., **მგშგლდანი** (-ნი̄შ, -დანა) ლშხ., **მგშელდა̈ნი, მუშოლდა̈ნი** (-ჲშ, -შოლდანალა) ლნტ. — დამთელელი. თეთრი მგშელდა̈ნი (ლნტ.) — ფულის დამთელელი.

მგჩა̄̈ყი (-ყი̄შ, -ჩა̄ყა) ბზ., **მგჩა̈ყი** (-ა̈შ, -ყაუა ბქ., -ჲშ, -ა̈რ ლნტ.), **მგჩა̄ყი** (-ყი̄შ, -არ) ლშხ. — ცხენოსანი. [ეჯნე̄მდ] ლა̈ჲჯერნე აშირ მგჩა̄̈ყი (ბზ. 162) — იმან ასი ცხენოსანი წაიყოლა. მიშგო მუ ხოჩა მგჩა̈ყიდ ხოთრახ (ბქ.) — მამაჩემს კარგ ცხენოსნად იცნობენ.

მგჩდი̄ნე (-ნე̄მი̄შ, -დი̄ნა ბზ., -ნე̄ლ ლშხ.), **მგჩდინე** (-ნემ, -დინა ბქ., -ჲშ, -ა̈რ ლნტ.) — 1. ამრევი. ლა̈დი სი ხი̄რა ლგჯე̄მი მგჩდი̄ნე (ბზ.) — დღეს რძის ამრევი შენ იქნები. 2. გამომრევი. ლითუ̂რი ჰასგა̈შ ესერ მგჩდინე ლი (ბქ.) — სწაელა ჭალარის გამომრევიაო.

მგჩემ იგივეა, რაც **მუჩუ̂ემ**.

მგჩერა̈ჟ̂ი იგივეა, რაც **მგჩრაჟ̂ი**.

მგჩრა̈ჟ̂ი (-ჟ̂ი̄შ, -ჩრაჟ̂ა ბზ., -ჟ̂ი̄შ, -ჟ̂ა̄ლა ლშხ.), **მგჩრა̈ჟ̂ი** (-ა̈შ, -ჩრაჟ̂ა) ბქ., **მგჩერა̈ჟ̂ი** (-ჲშ, -რაჟ̂ალა) ლნტ. — შემჩერებელი, გამჩერებელი, შემაყოვნებელი. ლიმა̈ჩუ̂იშ მგჩრა̈ჟ̂ი მამაგუ̂ეშ წუ̂ა (ბქ.) — სიბერის შემაყოვნებელი არაფერი ჩანს.

მგჩფე[1] (-ფე̄მი̄შ, -ჩფა ბზ., -ფემ, -ჩფა‖-ფოლ ბქ., -ფე̄მი̄შ, -ფე̄ლ ლშხ.) — გამომკვებავი. ალამა̈გ კუმში მგჩფე დე̄სა ხუ̂ი ამ ზაუ̂ (ბზ.) — წელს ამდენ საქონელს ვერ გამოვკვებავ (გამომკვებავი არა ვარ). ჲერუ̂ა ლინთუ̂ისგა ქუ̂ინგმგენა ხოსგდი, ეჯის მგჩფე ხაქხა (ბქ.) — ვინც ზამთარში საქონელს უვლის, მას გამომკვებავი პქვია.

მგჩფე[2] (-ფე̄მი̄შ, -ჩფა ბზ., -ფემ, -ჩფა‖ფოლ ბქ., -ფე̄მი̄შ, -ფე̄ლ ლშხ.) — მომგვრელი. ლეზუ̂ებემ ლისკორე მა̈იდიშ ესერ მგჩფე ლი (ბქ.) — საჭმელზე ფიქრი შიმშილის მომგვრელიაო.

მგჩფგლა̄̈რი (-რი̄შ, -ა̈ლ) ბზ., **მგჩფგლა̈რი** (-ა̈შ, -ჩფგლარა) ბქ., **მგჩფგლგ̄რი** (-რი̄შ, -ალ) ლშხ., **მგჩაფლა̈რი** ლნტ. — მეწალე. ალ დინა მგჩფგლა̈რია̈შ გეზალ ლი (ბქ.) — ეს გოგო მეწაღის შვილია. იხ. **მგკარძალი**.

მგჩხმა̄̈რ (-იშ, —) ბზ., **მგჩხმა̈რ** ბქ., ლნტ., **მგჩხმა̄რ** (-ალ) ლშხ. — ქონიანი. დადუდ მგჩხმა̈რ შია̈რ ა̈დბა̈რ (ბქ.) — დადუმ ქონიანი ხელები დაიბანა.

მგცა̄̈დი[1] (-დი̄შ, -ცა̄და̄ლა) ბზ., **მგცა̄დი** (-დი̄შ, -ცა̄̈და) ლშხ., **მგცა̈დი** (-ა̈შ, -ცადა ბქ., -ჲშ, -ცადალა ლნტ.) — გამცვლელი; გამომცვლელი. ლა̈დი დე̄სა ხუ̂ი ალ კა̈ბა̈ მგცა̄̈დი (ბზ.) — დღეს ამ კაბის გამომცვლელი არა ვარ.

მგცა̄̈დი[2] (-დი̄შ, -ცა̄და̄ლა) ბზ., **მგცა̄დი** (-დი̄შ, -ცა̄და) ლშხ., **მგცა̈დი** (-ა̈შ, -ცადა ბქ.,

-ǡშ, -ცადალა ლნტ.) — (დაძახებაზე) პასუხის გამცემი. მგცა̈დი და̈რ ა̈რი ქორს (ბქ.) — სახლში პასუხის გამცემი არავინაა.

მგცლე (-ლე̄მიშ, -ცლა̈ლ ბზ., -ლემ, -ცლა ბქ., -ლე̄შ, -ლე̄ლ ლშხ., -ǡშ, -ცლალა ლნტ.) — შუაზე გამხეთქი, გამპობი; გამხევი. ბეფშ ლგმა̈რ ლადრიშ ისგდ მგცლე (ბქ.) — ბავშვი ყოფილა წერილის შუაზე გამხევი.

მგცხი[1] (ხომცხა̈ნა‖ხომცხა, მამცხე ბზ., ხომცხანა, მა̈მცხანე ბქ.) — ცივი. მგცხი ლიცს ნომ ხითრე! (ბზ.) — ცივ წყალს ნუ სვამ! კა̈ლუნ ჩი ნაჰრაყუნს ლიც მგცხი ესერ ხოჩა (ანდ.) — ზოგჯერ ყოველგვარ პატივისცემას ცივი წყალი სჯობიაო. ნენა ლინთუ̂ ხომცხანა ლას ალ ლინთუ̂დ (ლნტ.) — შარშანდელი ზამთარი უფრო ცივი იყო წლევანდელზე. იხ. **ქუ̂ეირ.**

მგცხი[2] (-ხი̄შ, -ა̈რუ ბზ., -ა̈შ, -ა̈რ ბქ., -ხი̄შ, -ხǡე̄რუ‖-ხǡარ ლშხ.), **მა̈ცხა̈ǡ** (-იშ, -ა̈რ) ლნტ. — სიცივე. მა̈ǡ მირ მგცხი ლი! (ბზ. 241) — რა სიცივეა (ცივაა)! ლინთუ̂ მგცხი ხემთქუნ სგუ̂ირს (ბქ. 303) — ზამთარში ხამის ტილომ სიცივე იცის. ლათ მგცხა̈ǡ ლას (ლნტ.) — გუშინ სიცივე იყო.

მგცგრცა̈უ̂ი (-უ̂ი̄შ, -ა̈ლ) ბზ., **მგცგრცა̈უ̂ი** (-ა̈შ, -ცაუ̂ა ბქ., -იშ, -არ ლნტ.), **მგცგრცაუ̂ი** (-უ̂ი̄შ, -ცაუ̂ა) ლშხ., — მძარცველი, ქურდი. ქორთე მგცგრცაუ̂ი ანჴად (ლშხ.) — სახლში ქურდი შემოვიდა.

მგძიენი იგივეა, რაც **მგძჰენი.**

მგძღირ (ხოძღრა, მგძღირა̈ლა) ლშხ., **მგძღგრ** (ხოძღირა, მგძღირალა) ლნტ. — სველი. მგძღირ გიმ ხოჩა ლეჴნი ლი (ლშხ.) — სველი მიწა კარგად იხნება (კარგი მოსახნელია). იხ. **მგუ̂ირ.**

მგძხა̈ლი (-ხა̈ლი̄შ, -ხალია̈რ ბზ., -ლა̈შ, -ხალა ბქ.), **მგძხალი** (-ლი̄შ, -ხა̈ლა) ლშხ. — პირუტყვის შემძახებელი; გამრეკი. კუ̂მში მგძხა̈ლი და̈რ მაყა (ბზ.) — საქონლის გამრეკი არავინ მყავს.

მგძჰენი (-ნი̄შ, -ძჰენა) ბზ., **მგძიენი** (-ნი̄შ, -ძიენა) ლშხ., **მგზჰენი** (-ა̈შ, -ჰენა) ბქ., **მგზიენი** (-ǡშ, -ნალი) ლნტ. — დამკვლელი; ყასაბი. მიჩა დიდ ი მუდ ჴ̈ანმა̈რეხ ჰყინტ ამი̄ მგძჰენიდ (ბზ. 312) — მისმა დედამ და მამამ ბიჭი ამის დამკვლელად გაამზადეს. მგზჰენი ეჯ მარე ლა̈სუ̂ (ბქ.) — ყასაბი ის კაცი იყო. ანჴადხ მგზიენალა (ლნტ.) — ყასბები მოვიდნენ.

მგწბი̄ნე (-ნე̄მიშ, -წბი̄ნა̈ლა ბზ., -ნემ, -ბინა ბქ., -ნე̄მიშ, -ნა̈ლა ლშხ., -ǡშ, -ა̈ლ ლნტ.) — დამკიდებელი. ამშა მგწბი̄ნე მა̈ ხუ̂ას მი (ლშხ.) — მე ამის დამკიდებელი არ ვიყავი.

მგწესე იგივეა, რაც **მგწსე.**

მგწიი იგივეა, რაც **მგწჰი.**

მგწი̄ იგივეა, რაც **მგწჰი.**

მგწკრე (-რე̄მიშ, -რალა ბზ., -რემ, -როლ ბქ., -რე̄შ, -რა̈ლა ლშხ., -ǡშ, -რალა ლნტ.) — გამპობი; გამბზარავი. ალე ლი მიშკუ̂ი გუ̂იმი მგწკრე (ლნტ.) — ეს ჩემი გულის გამპობია.

მგწნა̈უ̂ი (-უ̂ი̄შ, -წნაუ̂ა̈ლა ბზ., -ა̈შ, -წნაუ̂ა ბქ., -ǡშ, -წნაუ̂ალა ლნტ.), **მგწნაუ̂ი** (-უ̂ი̄შ, -უ̂ა̈ლა) ლშხ. — დამწუნებელი. ალ დინა̈შ მგწნა̈უ̂ი დემეგ ლი ქა ლგთაუ̂ე (ბქ.) — ამ გოგოს დამწუნებელი არ გაჩენილა.

მგწრა̈ნი (-ნი̄შ, -ა̈ლ ბზ., -ა̈შ, -რანა ბქ., -ǡშ, -ა̈რ ლნტ.), **მგწრანი** (-ნი̄შ, -ნა̈ლა) ლშხ. — გამწითლებელი. ლა̈ტხაჟი ლახანა̈შ მგწრა̈ნიდ ჩიგინდუ̂ირს იჴმა̈რიხ (ბქ.) — დამწნილების კომბოსტოს გასაწითლებლად ჭარხალს ხმარობენ.

მგწრე იგივეა, რაც **მგნწირ.**

მგწსე (-სე̄მიშ, -წსა ბზ., -სემ, -სოლ ბქ., -სე̄მიშ, -სა̈ლა ლშხ.), **მგწესე** (-ǡშ, -სალა) ლნტ. — დამწესებელი; შემქმნელი. ამშა მგწესე ძღვდ ჰკუ̂იერ ლგმა̈რ (ლნტ.) — ამის დამწესებელი ძალიან ჭკვიანი ყოფილა.

მგწჰი (-ჰი̄შ, -წჰა ბზ., -ა̈შ, -წჰა ბქ.), **მგწი̄** (-წი̄შ, -წǡენა̈ლა) ლშხ., **მგწიი** (-წიǡშ, -წიალა) ლნტ. — დამპატიჟებელი. ჩა̈ჟ მაწგხ მგწჰი̄შდ (ბზ.) — დამპატიჟებლისათვის ცხენი მჭირდება. სოფელს მგწჰა ქა ხეჴმენიუ̂ხ (ბქ. 296) — დამპატიჟებლები სოფელს შემოიელიდნენ. მე̄რმა ლადელ დედფალი დიე ლაჴდათე აზზიხ მა̈რას მგწი̄ს (ლშხ. 33) — მეორე დღეს დედოფლის დედის მოსაყვანად დამპატიჟებელ კაცს აგზავნიან. მგწიალა ანაუ̂ზეხ (ლნტ.) — დამპატიჟებლები გამოგზავნეს. მგწჰი მიშგუ̂ი სი ხიროლე (ჰოჯ. 122) — ჩემი დამპატიჟებელი

(მაწვეეარი) შენ ხარ (იქნებოდი).

მგწგხ იგივეა, რაც **მაწგხ**.

მგჭარა̈ყი იგივეა, რაც **მგჭრა̈ყი**.

მგჭა̈ხუ̂ი იგივეა, რაც **მუჭხუ̂ი**.

მგჭბიდე (-დე̄მიშ, -ბიდა̄ლა ბზ, -დემ-ა̈შ, -ბიდა ბქ., -დე̄მიშ, -და̄ლა ლშხ.), **მგჭებდე** (-ეშ, -დალა) ლნტ. — დამამწყედეველი. ხამრე მგჭბიდას ყორა̈შ ქა ლიდის სგა ლახემდგნენახ (ბქ.) — ლორების დამამწყედევლებს კარის გამოხურვა დავიწყებიათ.

მგჭდე (-დე̄მიშ, -ჭდა ბზ., -დემ, -ჭდა ბქ., -დე̄შ, -და̄ლა ლშხ., -ეშ, -ჭდალა ლნტ.) — მიმყუდებელი. ყორმგყ თეფიშ მგჭდე მი ხუ̄ა̈სუ̂ (ბქ). — კართან თოფი მე მივაყუდე (მიმყუდებული ვიყავი).

მგჭე (-ჭე̄მიშ, — ბზ., -ჭემ, — ბქ., -ჭე̄შ, — ლშხ., -ეშ, — ლნტ.) — გამომცხვარი. დია̈რ მა̈მა ლი ჩიჭე მგჭე (ბზ.) — პური ჯერ არ არის გამომცხვარი. დინად მგჭე დია̈რ სგადაჲე ქორთე (ბქ.) — გოგომ გამომცხვარი პური სახლში შეიტანა. მგჭე დიარ ხოჩა ლი (ლშხ.) — გამომცხვარი პური კარგია. თორნისა მგჭე დია̈რ ხოჩა გა̈მიშ ლი (ლნტ.) — თონეში გამომცხვარი პური გემრიელია (კარგი გემოსია).

მგჭებდე იგივეა, რაც **მგჭბიდე**.

· **მგჭედ** იგივეა, რაც **მუჭუ̂ედ**.

მგჭეი იგივეა, რაც **მგჭი**.

მგჭემე იგივეა, რაც **მგჭმე**.

მგჭემნე იგივეა, რაც **მგჭმინე**[1].

მგჭი (-ჭიშ, -ჭა̄ლა ბზ., ლშხ., -ა̈შ, -ჭა ბქ.), **მგჭეი** (-ეშ, -ჭეალა) ლნტ. — გამომცხობი. ქორს დირიშ მგჭი მი ხუ̂ი (ბქ.) — სახლში პურის გამომცხობი მე ვარ.

მგჭკა̈მ[1] (-ჭკმიშ, -ჭკმა̈რ ზს., -იშ, -კამა̈რ ლნტ.), **მგჭკამ** (-ჭკმიშ, -ჭკმარ) ლშხ. 1. ნაპერწკალი. მეგმემ ნა̈ყუ̂იჩს მგჭკმა̈რ გარ ოთცუ̂ირა (ბქ. 209) — ხის ნატეხს მხოლოდ ნაპერწკლები დაუტოვებია. მგჭკამ ოთშყად ბოფშუ̂ს თეთე (ლშხ.) — ბავშვს თვალში ნაპერწკალი ჩაუვარდა. ლემესკ მგჭკამა̈რს ფიშტუ̂ა (ლნტ.) — ცეცხლი ნაპერწკლებს ყრიდა (უშვებდა). 2. ბქ. ცეცხლი (მონადირის ენაზე).

მგჭკა̈მ[2] (-ჭკმიშ, -ჭკმა̈რ) ბქ., **მგჭკიჲლ** (-იშ, -არ) ლშხ. — ციცინათელა.

მგჭკიჲლ იგივეა, რაც **მგჭკა̈მ**[2].

მგჭკიუ̂ე იგივეა, რაც **მგჭკჵუ̂ე**.

მგჭკყე (-ყე̄მიშ, -ჭკყა̄ლა ბზ., -ყემ, -ყოლ ბქ., -ყე̄მიშ, -ყა̄ლა ლშხ., -ეშ, -ჭკყალა ლნტ.) — ამომწყვეტი, ამომჟლეტი. მგშკრე მგჭკყე მამგუ̂ეშ წუ̂ა (ბქ.) — ჭიანჭველების გამწყვეტი არაფერი ჩანს.

მგჭკრგნე[1] (-ნე̄მიშ, -ჭკრგნა̄ლა ბზ., -ნემ, -რგნა ბქ.) — მომთმენი. ალ ბეჩშ ხოჩა მგჭკრგნე ლი (ბქ.) — ეს ბავშვი დიდი (კარგი) მომთმენია.

მგჭკრგნე[2], **მგჭკგრნე** (-ეშ, -ნალა) ლნტ. — მზრუნველი. ა̈რ ლი ამშა მგჭკგრნე? (ლნტ.) — ამაზე მზრუნველი ვინ არის?

მგჭკჵუ̂ე (-უ̂ე̄მიშ, -ჭკჵუ̂ა̄ლ) ბზ., **მგჭკჵუ̂ე** (-უ̂ემ, -უ̂ოლ) ბქ., **მგჭკიჲუ̂ე** (-უ̂ე̄მიშ, -უ̂ე̄ლ) ლშხ., **მგჭკიუ̂ე** (-ეშ, -ა̄ლ) ლნტ. — მბჟუტავი; მოციმციმე; ციმციმა. ლემესგ ჯუ̂ე̄დიას მგჭკჵუ̂ე გარ თერჲნდა (ბზ.) — ცეცხლი შორს მბჟუტავილა ჩანდა. ალი ხეწად აშხუ̂ ადგის მოლე მგჭკჵუ̂ეს (ბქ.) — ერთ ადგილას ამან რაღაც მოციმციმე დაინახა. მაკა̈ მგჭკიუ̂ე თერა̈ლ ჯარ?! (ლნტ.) — რა ციმციმა თვალები გაქვს?!

მგჭმე (-მე̄მიშ, -ჭმა ბზ., -მემ, -ჭმა ბქ., -მე̄მიშ, -მა̄ლა ლშხ.), **მგჭემე** (-ეშ, -მალა) ლნტ. — მთიბავი. ეშხუ̂ ხოჩა მგჭმე აშხუ̂ ლადელ ჰექტარს ჩუ̂ ა̈ჭმე (ბქ.) — ერთი კარგი მთიბავი ერთ დღეს ჰექტარს დაათიბავს. მგჭმა̄ლა ლახუ̂თე აჩადხ (ლშხ.) — მთიბავები მთაში წავიდნენ. მგჭემე და̈რ მაყა (ლნტ.) — მთიბავი არავინ მყავს.

მგჭმინე[1] (-ნე̄მიშ, -ჭმინა̄ლა ბზ., -ნემ, -ჭმინა ბქ., -ნე̄მიშ, -ნე̄ლ ლშხ.), **მგჭემნე** (-ეშ, -ჭემნალა) ლნტ. — (უკან) გამყოლებელი, გამყოლი. სი ხასგ ალ ბებში მგჭემნე? (ლნტ.) — შენ იყავი ამ ბავშვის გამყოლებელი?

მგჭმინე[2] (-ნე̄მიშ, -ჭმინა ბზ., -ნემ, -ჭმინა ბქ.) — დამგველი, დამხვეტი. ჰა̈ზუ̂ი მგჭმინე ხოხუ̂რა დჲნჲლ ლი (ბზ.) — ეზოს დამგველი პატარა გოგოა.

მგჭრა̈ყი (-ყიშ, -ჭრაყა ბზ., -ა̈შ, -ჭრაყა

ბქ.), **მგჭრაყი** (-ყი̄შ, -ჭრაყა) ლშხ., **მგჭარა̈-ყი** (-დ̄შ, -რაყალა) ლნტ. — შემთავაზებელი; დამძალებელი. ა̈რყიშ მგჭრაყას ქა ლა̈ყჩა დე-მეგ ხარხ (ბქ.) — არყის დამძალებლებს ვერ მოიშორებ. ეჯი იმშა მგჭარა̈ყიდ ა̈რი?! (ლნტ) — ის რისი შემთავაზებელია?!

მგჭშხი (-ხი̄შ, -ჭშხდ̄ა̈რ ბზ., -ა̈შ, -ჭშხა ბქ., -ხი̄შ, -არ ლშხ., -დ̄შ, -ა̈რ ლნტ.) — მეკვლე. ზომხას მა̈ნკუ̂ი მგჭშხი ჯედნი (ბზ.) — ახალ წელს პირველად მეკვლე მოდის. მგშდ̄ა̈შის ხაშხა ქორა̈შ მგჭშხი (ბქ. 73) — „დამკვებე-ბელს“ ოჯახის მეკვლე ჰქვია. ალ მა̄რას ხა̄დ̄შ-ხა მგჭშხი (ლშხ. 16) — ამ კაცს მეკვლე ჰქვია. მგჭშხი ჯედენი (ლნტ. 57) — მეკვლე მოვა.

მგხ (-ი̂ც, -ა̈რ) ზს., ლნტ. — აუდარი. ლგ-ჰყა̈რ მგხს ლჯჰყა̈რ ესერ გუ̂ა̈ლი ხაჭიმ (ანდ.) — გაბმულ აუდარს გაბმული დარი (ავალვა) მოსდევსო.

მგხატა̈ჳი იგივეა, რაც **მგხტა̈ჳი**.

მგხა̈რ[1] (-ხრიშ, — ზს., -ხა̈რიშ, — ლნტ.), **მგხარ** (-ხრი̄შ, —) ლშხ. — ხვალე. ა̈ლ ლეზ-უ̂ებ მგხა̈რიშდ მაკუ (ლნტ.) — ეს საჭმელი ხვალისათვის მინდა.

მგხა̈რ[2] **ზმნზ.** — ხვალ. მგხა̈რ ესერ და̈̄უ̂ს ფიშუ̂დეხ (ბზ. 311) — ხვალ დევს გამო-ვუშვებთო. მგხა̈რ გრილ ირა (ლნტ. 18) — ხვალ სიგრილე იქნება. მგხარ ჰამს ყი ა̈ნგენიხ (ჰოჯზ. 138) — ხვალ დილას ადგებიან.

მგხა̈რბა̄ზი ბზ., **მგხა̈რბა̈ზი** ბქ., **მგხარ-ბა̄ზი** ლშხ., **მგხა̈რბაზი** ლნტ., **ზმნზ.** 1. ზს. ხვალღამ. 2. ქ.. ხვალსაღამოს. მგხარბა̄ზი მახე ზად̄ ლი (ლშხ.) — ხვალსაღამოს ახალი წელია. მგხა̈რბაზი ა̄ტუ̂ეხენი ლოქ (ლნტ. 314) — ხვალ საღამოს დავბრუნდებით.

მგხა̈რეჩეხენ იგივეა, რაც **მგხა̈რეჩხა̈ნ**.

მგხა̈რეჩხა̈ნ ბზ., **მგხა̈რეჩხენ** ბქ., **მგხა-რეჩხენ** ლშხ., **მგხა̈რეჩეხენ** ლნტ., **ზმნზ.** — ზეგ. მგხა̈რეჩხენ მინს ესერი ა̈დჯერნის (ბქ. 48) — ზეგ თქვენც წაგიყვანთო.

მგხენე (-ნე̄მიშ, -ხენა||-ნა̄ლ ბზ., -ნემ, -ხენა ბქ., -დ̄შ, -ა̈რ ლნტ.), **მგხე̄ნე** (-ნე̄შ, -ნე̄ლ) ლშხ. 1. მახარობელი. ნალუ̂ეურიშ მგხენა ლგნ-ქროუ̂ე თეფოუ̂ ხასჩქუ̂არე (ანდ.) — ვაჟის დაბადების მახარობელს მოოქროვილი თოფი აჩუქეო. ბაპ'ა̈შ'ხო შიშტ მგხენე ადაუ̂უზეხ (ლნტ. 181) — მღვდელთან მაშინვე მახარობე-ლი გააგზავნეს. 2. ლშხ. მადლიერი.

მგხიმ (ხომხგმა, მგხმა̄რა, მამხგმე ბზ., ხომხგმა ბქ.) — 1. მწარე. ლეზუ̂ებ მგხიმ ლა̈სუ̂ (ბზ. 142) — საჭმელი მწარე იყო. **გადატ.** ერხის მგხიმ რაგა̈დ ხა̈მთქუ̂ახ (ბქ.) — ზოგს მწარე ლაპარაკი სჩვევია. 2. ქხ. მჟავე. ალ ბალახ მგხიმ გემაშ ლი (ლშხ. 16) — ეს ბა-ლახი მჟავე გემოსია.

მგხირ (-ხრიშ, -ხრა̈რ ბქ.) — კვარი. ხემა მგხირ მუტუ̂ა̈რ, ამყი ესერ ელმა̈ზა̈ლი (ბქ. 311) — როგორც ანთებული კვარი, ასე მიდიო-და თურმე. იხ. **მუგუ̂ა̈ლ**.

მგხმირი იგივეა, რაც **მგხმე̄რი**.

მგხმე̄რი (-რი̄შ, -ა̈ლ ბზ., -რი̄შ, -ალ ლშხ.), **მგხმგრი** (-ა̈შ, -ხმგრა) ბქ., **მგხმირი** (-რიშ, -ა̈ლ) ლნტ. — მეორე. ესღრი ალა ი მგხმე̄რი ლახხუ̂ი̄დ (ბზ. 248) — მიდის ეს და მეორე მე-ხედა. ყალაჩუ̂ყლა̄ნდ სგა ლა̈დ̄ქუ̂ე მგხმე̄რი̄ ლერქუ̂ა̈ლ (ბზ. 248) — ყალაჩუყლანმა მეო-რის ტანსაცმელი ჩაიცვა. მგხმე̄რი ჰყინტ ან-ჯად (ლშხ.) — მეორე ბიჭი მოვიდა. **კნინ.** **მგხმე̄რილ** ბზ., **მგხმგრილ** ბქ., **მგხმე̄რო̄ლ** ლშხ. ყჷრგმ-შაუ̂ხანს ლახხუ̂ი̄დ მგხმე̄რი̄ლ (ბზ. 253) — ყარამშაეხანს მეორე შეხედა.

მგხნი (-ნი̄შ, -ა̈რ ბზ., -ა̈შ, -ა̈რ ბქ.), **მგხ-ნე** (-ნე̄შ, -ნა̄ლა ლშხ., -დ̄შ, -ხნალა ლნტ.) — შემშვები. დინა̈შ ქორთე მგხნე მიჩა დი ლგ-მა̈რ (ბქ.) — გოგო დედამისს შეუშვია სახლში (დედა ყოფილა შემშვები). ამშა ქორხო მგხნე მა̈დ ხუ̂ი (ლნტ.) — ამას სახლში არ შევუშვებ (შემშვები არ ვარ).

მგხპე (-პე̄მიშ, -ხპა̄ლა ბზ., -პემ, -ხპა ბქ., -პე̄შ, -პე̄ლ ლშხ., -დ̄შ, -ხპგრალი ლნტ.) — გამომთხრელი. თემი ლეხპე მარე მგხპა ლედ-გა̈რიდ დემის აზარა (ბქ.) — თვალისგამოსა-თხრელი კაცი გამომთხრელს სასიკვდილოდ არ მოეგაედა. **გადატ.** გამხეთქი. მიშგუ̂ი გუე მგხპე ალე ლი (ლშხ.) — ჩემი გულის გამხეთქი ეს არის.

მგხრინე (-ნე̄მიშ, -ხრინა̄ლა ბზ., -ნემ, -ხრინა ბქ., -ნე̄შ, -ნე̄ლ ლშხ., -დ̄შ, -ნალი ლნტ.) — გამჯავრებელი, გამბრაზებელი. მიშგუ მგხ-

რინე მა̈რა̈ლ აჯალ იცჳა̈ლხ ქა̈მენჩჳნ (ბზ. 422) — ჩემი ცამჯავრებელი კაცები გარეთ კიდევ ჩსუბობენ. ისგჳი მგხრინე და̈რ არი (ლშხ.) — შენ ვერავინ გაგაჯავრებს.

მგხტა̈ჳი (-ჳი̄შ, -ხტაჳა̈ლა ბზ., -ა̈შ, -ხტაჳა ბქ.), **მგხტაჳი** (-ჳი̄შ, -ჳა̈ლა) ლშხ., **მგხატა̈ჳი** (-ეშ, -ტაჳალა) ლნტ. — დამხატავი, მხატვარი. შჳა̈ნეშ მგხტა̈ჳის გუნ ნიჭ ხაწ̈გხ (ბქ.) — სვანეთის დამხატავს დიდი ნიჭი სჭირდება.

მგხჭი (-ჭი̄შ, -ჭეა̈რ) ბზ., **მგხჭია** (-ჭია̈შ, -ხჭიოლ ბქ., -ჭი̄შ, -ჭიე̄ლ ლშხ.) — რაც უჭერს („მომჭერი"), მოჭერილი. მგხჭია ჩაფგლ ლეგ ლეგეჭ ლი (ბქ.) — მოჭერილი ფეხსაცმელი ცუდი გასაძლებია.

მგჯა̈ნი იგივეა, რაც **მგჯნი.**

მგჯა̈ცე იგივეა, რაც **მგჯცე.**

მგჯდე (-დე̄მიშ, -ჯდა̈ლა ბზ., -დემ, -ჯდა ბქ., -დე̄შ, -დე̄ლ ლშხ., -ეშ, -დალა||-ა̈რ ლნტ.) — 1. მომტანი. მაშენე მუხჳბე სა̈დლი მგჯდად აცჳირხ (ბზ. 245) — უფროსი ძმა სადილის მომტანად დატოვეს. ტგტა̈შ დია̈რ მიჩა მგჯდა ტაბაგშჳ ოხლოჳანდ (ბქ.) — სატირლის პური მის მომტანს ტაბაკით მოჰქონდა. აგის ეშხჳს გარ ცურეხ ზექი მგჯდას (ლშხ. 24) — სახლში მხოლოდ ერთ შეშის მომტანს ტოვებენ. ალე დემშა მგჯდე ლოქ ერ ლგმა̈რელი, ჩუ ლოქ ხახალა მიჩ (ლნტ. 233) — ეს რომ არაფრის მომტანი არ იყო, მე ვიცოდიო. 2. გადამხდელი. წორ მგჯდად ხოშა მგკედს ესერ ხარ გარჯ (ანდ.) — სისხლის საზღაური გადამხდელზე მეტად მიმღებს უძნელება. ალე მა̈რე ჳალი ხოჩა მგჯდე ლი (ლშხ.) — ეს კაცი ვალის კარგი გადამხდელია.

მგჯეფია იგივეა, რაც **მგჯფია.**

მგჯმა̈რი (-რი̄შ, -რეა̈ლ ბზ., -ა̈შ, -მარა ბქ., -რიშ, -ა̈ლ ლნტ.), **მგჯმარი** (-რი̄შ, -რა̈ლა) ლშხ. — მომხმარებელი. ამი მგჯმა̈რი მი მა̈მა ხჳი (ბზ.) — ამის მომხმარებელი მე არ ვარ. აშირ მგკარქა ეშხჳი მგჯმა̈რი ესერ ხა̈სრე (ანდ.) — ას შემოვნელს (შემომტანს) ერთი მომხმარებელი სჯობნისო. ამშა მგჯმარიდუ ხორდჳენა̈ხი ღე̄რბათს! (ლშხ.) — ამის მომხმარებლად გამყოფოს ღმერთმა! მირანგულ მგჯმა̈რიდუ ა̈რი, ლეჯმა̈რი მეჳარ ხუღჳა (ლნტ.) — მირანგულა მომხმარებლად იყოს, მოსახმარი ბევრი აქვს.

მგჯნი (-ნი̄შ, -ჯნა ბზ., ლშხ., -ა̈შ, -ჯნა ბქ.), **მგჯა̈ნი** (-ნიშ, -ნალი) ლნტ. — მხენელი. მგჯნა თხე̄რა ა̈თლჳა̈ჭხ (ბზ. 361) — მხენელები მგელს გაეკიდნენ. მგჯნა სგა̈თშგმხ მალულდს (ბქ. 135) — მხენელებმა მელას შეუძახეს. [ჭყინტ] ხოჩა მგჯა̈ნი ა̈ხეფასოლ (ლნტ. 51) — ბიჭი კარგი მხენელი გამოვიდოდა.

მგჯფია (-ფია̈შ, -ფია̈ლ ბზ., -ფია̈შ, -ჯფიოლი ბქ., -ფია̈შ, -ფია̈ლ ლშხ.), **მგჯეფია** (-ეშ, -ფალი) — 1. კბენია. ეჯმინს მგჯეფია ქელ ხაყახ (ლნტ.) — იმათ მკბენარა ძაღლი ჰყავთ. 2. მკბენარი. ლგსბრალე სგა̈დს მგჯფია ესერ ხესგჳრი (ანდ.) — დასაწყლებულ მოზარდს მკბენარი ესევაო. წიდრა̈ლს მგჯფია ხერდჳენი (ლშხ.) — ბინძურს მკბენარები უჩნდება (ეყოლება). შდრ. **ტიშ.**

მგჯშდა̈ნი (-ნი̄შ, -ნა) ბზ., **მგჯშდა̈ნი** (-ა̈შ, -ნა) ბქ., **მგჯშდა̈ნე** (-ნე̄შ, -ნე̄ლ) — გამომხრელი (ძვლისა). ალ ქელჳლ ამშა მგჯშდა̈ნე მა̈მ ლი (ლშხ.) — ეს ძაღლი ამას ვერ გამოხრავს (გამომხრელი არაა).

მგჯჩე (-ჩე̄მიშ, -ჯჩა ბზ., -ჩა̈ლა ლშხ., -ჩემ, -ჯჩა ბქ., -ეშ, -ჩალა ლნტ.) — გამცემი. ლერქჳრე მგჯჩად ობა̈შქაოლჳ ხა̈რი! (ბქ.) — დიდხანს გეცოცხლოს (ტანისამოსის გამცემად დიდხანს ყოფილიყავე)! ჩაფლა̈ლე მგჯჩე (ლნტ.) — ფეხსაცმელების გამცემი.

მგჯჩი (-ჩი̄შ, -ა̈რ ბზ., ლშხ., -არ ლშხ., -ა̈შ, -ჯჩა ბქ.), **მგჯეჩი** (-ეშ, -ა̈რ) ლნტ. — დამკვესებელი. მგჯჩი ჰობედს ხა̈ბდინე (ბქ.) — დამკვესებელი აბედს მოუკიდებს.

მგჯცე[1] (-ცე̄მიშ, -ჯცა̈ლა ბზ., -ცემ, -ჯცა ბქ., -ცე̄მიშ, -ცა̈ლა ლშხ.), **მგჯა̈ცე** (-ეშ, -ცალა) ლნტ. 1. დამლუპველი, დამქცევი. ალ მეზგემ მგჯცად მა̈შინა ა̈სპგდ (ბქ.) — ამ ოჯახის დამქცევად მანქანა იქცა. ანღრიხ ლოქ ალ ოჯა̈ხი მგჯაცალა (ლნტ.) — ამ ოჯახის დამქცევები მოდიანო. 2. ქს. ირიბად დამდები.

მგჯცე[2] (-ცემ, -ჯცა) ბქ. — წამქცევი (ჭიქისა); მომგონებელი. ეჯყი ანხჳატხ, ერე ჭიქიშ მგჯცე და̈რ ოთსადხ (ბქ.) — ისე ამო-

წყდნენ, რომ ქიქის წამქცევი არავინ დარჩათ.

მგჯა̈ბ, მუჯა̈ბ (-იშ, -ჯაბა̈რ ზს., -ბალა ლნტ.), **მგჯაბ** (-არ) ლშხ. — მოხარშული. მგჯა̈ბ ლელჷ ხაკუხ (ბზ. 315) — მოხარშული ხორცი უნდათ. ამშა ძირს იზბიხ მგჯაბს (ლშხ., ხორ. 19) — ამის ძირს მოხარშულს ჭამენ.

მგჯგრი[1] (-რი̄შ, -ჯგრა ბზ., -ა̈შ, -ჯგრა ბქ., -რი̄შ, -რა̄ლა||-რიალ ლშხ., -ჲშ, -რალა ლნტ.) — საკურთხის გამკეთებელი (დამდგმელი). მგჯგრიდ მახე ლერქჷა̈რ ხეკჷეს ყანმარას (ბქ.) — საკურთხის დამდგმელმა ახალი გასაცმელი უნდა მოამზადოს. [ეჯი] მინე მგჯგრი ხაბაყახ (ლნტ. 42) — ის მათი საკურთხის დამდგმელი ჰყონიათ.

მგჯგრი[2] (-რი̄შ, -ჯგრა ბზ., -ა̈შ, -ჯგრა ბქ., -რი̄შ, -რა̄ლა ლშხ., -ჲშ, -რალა ლნტ.) — დამრიგებელი, რჩევის მიმცემი. ჩუ ჯაწგხ მგჯგრი (ლნტ.) — დამრიგებელი კი გჭირდება.

მგჯილკე იგივეა, რაც **მგჯლიკი**.

მგჯიშ (-იშ, -ჯშა ზს., -ალა ლნტ.), **მგჯში** (-ა̈შ, -ჯშა ბქ., -იშ, -შა̄ლა ლშხ.) — მქსოველი. ანღრ' ამექა მგჯიშ მა̄რე (ბზ. 322) — აქ მქსოველი კაცი მოდის. მგჯშას მასა̈რდ ჰირ ხარხ (ბქ.) — მქსოველებს ბევრი ჯაფა ადგათ (აქეთ). წინდა̄რე მგჯ'ში და̄რ ჯიხალა̄? (ლშხ.) — წინდების მქსოველი არავინ იცი? ეშხუ მგჯიში მაზუმდ მიჯეშ! (ლნტ.) — ერთი მქსოველი რამდენად მიღირს!

მგჯლა̈ი (-ლა̈ი̄შ, -ლაჲა ბზ., -ლაჲა ბქ. -ლა̈ჲშ. -ლაჲა̈რ ლნტ.), **მგჯლაი** (-ლაი̄შ, -ლაჲა) ლშხ. — მარჩიელი, მკითხავი. მგჯლა̈ი ლეჯლა̈იხენქა ჷარჩხილს იკადჷ (ბქ.) — მკითხავი სამარჩიელოსაგან ფულს იღებდა.

მგჯლიკი (-კი̄შ, -ჯლიკა ბზ., -ა̈შ, -ჯლიკა ბქ.), **მგჯლიკე** (-კე̄შ, -კა̄ლა) ლშხ., **მგჯილკე** (-ჲშ, -კალა) ლნტ. — ხელის მკვრელი, წამჯიკავებელი. მგჯლიკიდ ტაფ ა̈დქინე (ბქ.) — ხელისმკვრელი გაიქცა. გ ა დ ა ტ. შემგულიანებელი, წამქეზებელი. ჩიილა მგჯილკე ჲა̈რ ჯეყენი? (ლნტ.) — ყოველთვის შემგულიანებელი ვინ გეყოლება?

მგჯმარი იგივეა, რაც **მგჯმი**.

მგჯმი (-მი̄შ, -ა̈რ ბზ., -მი̄შ, -არ ლშხ., -ა̈შ, -ჯმა ბქ.), **მგჯმგნე** (-ჲშ, -რალა) ლნტ. — დამარილებელი. ლალჷემ მგჯმის სურუ ჯიმ ლახარა (ბქ.) — ხორცის დამმარილებელს შედმეტი მარილი მოსვლია.

მგჯრა̈ჷი (-ჷი̄შ, -ჯრაჷა ბზ., -ჯრაჷა ბქ., -ჲშ, -ჷალა ლნტ.), **მგჯრაჷი** (-ჷი̄შ, -ჷა̄ლა) ლშხ. — დამჯერებელი, დამჯერე. დიეშ მგჯრა̈ჷი ქალს დემის ხექდი (ბქ.) — დედის დამჯერე არ შეცდება. ალ ამბაჷი მგჯრაჷი მა̄ ხჷი (ლშხ.) — ამ ამბის დამჯერებელი არ ვარ. მა̈გს ხალა̈ტ ხოჩა მგჯრა̈ჷი ბეფშ (ლნტ.) — კარგი დამჯერი ბავშვი ყველას უყვარს.

მგჯში იგივეა, რაც **მგჯიშ**.

მგჯჯგგნე (-ნე̄მიშ, -ჯჯგგნა ბზ., -ნემ, -ჯჯგგნა ბქ., -ნე̄შ, -ნა̄ლა ლშხ., -ჲშ, -ა̈რ ლნტ.) — აძიგძიგებული (მოძიგძიგე), აკანკალებული (მოკანკალე). ლეჷან ქორთე მგცხიშჷ მგჯჯგგნე ანტახ (ბქ.) — ლევანი შინ სიცივისაგან აკანკალებული დაბრუნდა.

მგჰდგრე (-რე̄მიშ, -რა̄ლა ბზ., -რემ. -ჰდგრა ბქ.), **მგიდგრე** (-რე̄შ, -რა̄ლა) ლშხ., **მგჲედჷრე** (-ჲშ, -რალა) ლნტ. — მომნანიებელი. ლითჷრია̈შ მგჰდგრე და̈რ მიწჷა (ბქ.) — სწავლის მომნანიებელი არავინ მინახავს. ზურალს მა̈დ ლოქ ხალა̈ტ მგჲედჷრე მარე (ლნტ.) — ქალს მომნანიებელი კაცი არ უყვარს.

მგჰი (ხომჰა) ზს., **მგი** (ხომჲა, მგია̄რა ლშხ., ხომგჲა, მგიარა ლნტ.) — მწიფე. ჰეცრა̈რ აშხჷ მეზგე̄მი ყორყი მგჰი ჰებს ახა̄სდხ (ბზ. 56) — ეცერელები ერთი ოჯახის კარზე მწიფე ბალს წააწყდნენ. მგჰი განჰჷს ქა იხჷრიხ კჷიდოლა̈რთეჲსგა (ბქ. 229) — მწიფე ანწლს ჩაკრეფენ გოდრებში. მგი ჷიცხ მეჩჲა̈რს ხალა̈ტხ (ლნტ.) — მწიფე მსხალი მოხუცებს უყვართ. ხომგჲა ჷისკჷ ხოჩილ გა̈მიშ ლი (ლნტ.) — (უფრო) მწიფე ვაშლი უფრო გემრიელია.

მგჰრა̈ყი (-ყი̄შ, -ჰრაყა||-ყია̈ლ) ბზ., **მგჲრა̈ყი** (-ყა̈შ, -ჲრაყა) ბქ., **მგ̄ჲრაყი** (-ყი̄შ, -ყალ) ლშხ., **მგარა̈ყი** (-ჲშ, -ყალა) ლნტ. 1. არყის მხდელი. მგლქერის ი მგრბის მგჲრაყა ქა დემის ხექჷცენიჷხ (ბქ. 300) — მეწისქვილესა და ხაბაზს არყის მხდელები არ ჩამორჩებოდნენ. ეჯი მგჲრაყი დე̄სა ლი ათხე (ლშხ.) — ის ახლა არყის გამომხდელი არ არის. 2. არყის

მოყვარული. ჰგარაყალა ჩიილა გუშკუეშმოყ იხორიელიხ (ლნტ.) — არყის მოყვარულები ყოველთვის ჩვენთან იკრიბებიან

ჟუ̂ა̈ნ (-იშ, ჟუ̂ანა̈რ) ზს. — მურთხი. ჟუ̂ა̈ნს გუ̂ირკუნლუ̂ე ხეპემინა̈ლხ (ბქ. 234) — მურთხზე ივლისის შემდეგ ნადირობენ (მურთხს— დასდევენ).

ჟუ̂ი̄ნა (-ნა̈შ, -ნა̈ლ ბზ., -ნა̄შ, -ნე̄ლ ლშხ.), **ჟინა** (-ნაშ, -ნოლ ბქ., -ჲშ, -ნა̈ლ ლნტ.) — ძერა. ლიმრიეთექა ჲარუ̂ ნაგზა ჟინას ლიც ესერ ჟი ლჷყა̈ჯ ხარ (ბქ.) — მარიამობამდე ორი კვირით ადრე ძერას წყლის სმა აკრძალული აქვსო.

ჟლაბიაჲ იგივეა, რაც **ჟლა̈ბჲა̈ჲ**.

ჟლაე̄რდ ბზ. — აშკარად. უფვგოშ ი ჟლაე̄რდ ნიშგუ̂ეჲ ამხუ̂ა̈რ მა̄მ ნაზა̄რეხ (ბზ.) — ფარულად თუ აშკარად ჩვენი მტრები არ გვშოგავენ.

ჟლა̈ბჲა̈ჲ (-ბჲა̈იშ, -ბჲაჲა̈რ) ბზ., **ჟლა̈ბია̈** (-ჲშ, -ბიაუ) ბქ., **ჟლაბიაჲ** (-ბია̄ჲშ, -ბიე̄ლ) ლშხ. — ლაქლაქა. იმჟი ჟლა̈ბჲა̈ჲ ხი (ბზ.) — როგორი ლაქლაქა ხარ? ყორლისგა ჟლა̈ბია̈ ზურალ ა̈ნსგიდიუ̂ (ბქ.) — კარებში ლაქლაქა ქალმა შემოიხედა.

ჟლერ ლშხ. — თქეში, თავსხმა წვიმა. ძღჷდ ჟლერ ლას — ძლიერი თქეში იყო.

ჟლერენი იგივეა, რაც **შხერნი**.

ჟლიპე (ოჟლჷპ, აჟლიპ; ა̈ჟლპე ზს., ა̈ჟლუპ, ა̈ჟლიპ; ა̈ჟლპე ლნტ.), **ჟლჷპე** (ოჟლჷპ, აჟლიპ, აჟლპე) ლშხ., გ რ დ მ. — ჭყლეტს. მჷრშკჷლდ ჩუ დო̄სა აჟლჷპა! (ბზ. 339) — ჭიანჭველა არ გაჭყლიტო!

ჟლირე იგივეა, რაც **შხირე**.

ჟლიუ̂ა̈რ-ბლიუ̂ა̈რ (-იშ, -ა̈ლ ბზ.), **ჟლიუ̂ა̄რ-ბლიუ̂ა̄რ** (-ალ) ლშხ., **ჟლიუ̂ა̈რ-ბლიუ̂ა̈რ** (-უ̂არა̈ლ) ბქ., ლნტ. — ჭრელთვალება, დიდთვალება. ჟლიუ̂არ-ბლიუ̂არ ჯაუ̂აშე̄რალ (პოეზ. 208) — ჭრელთვალება ჯავასანნი.

ჟლი̄ლი იგივეა, რაც **ჟლჷ̄ლი**.

ჟლჷპე იგივეა, რაც **ჟლიპე**.

ჟლჷ̄ლი (ჟლუ̂ი̄ლდა̈ს, ჟლი̄ლდა; ჟლი̄ლდე̄ს ბზ., ჟლჷ̄ლის, ჟლჷ̄ლდა, ჟლჷ̄ლდეს ლშხ.), **ჟლჷლი** (ჟლუ̂ილ, ჟლჷლიუ̂; ჟლჷლიდეს ბქ., ჟლულდა̈ს, ჟლჷლდა; ჟლჷლდეს ლნტ.), გ რ დ უ ვ. — ღნავის, ბღავის. [ციცუ̂] ჟლჷლი (ბქ. 315) — კატა ღნავის.

ჟჷრ — წყალობა. ხელმწიფხა̈ნქა ესერ ხუ̂ა̈ჲ ჟჷრ ხე̄რა (ბზ. 272) — ხელმწიფისგან ბევრი წყალობა გექნებაო. ჟჷრ შუკუ̂ლისგა და̈ს ესერ ხოდა (ანდ.) — წყალობა გზაში არავის დაუდვიაო. ღერთემ ჟჷრ (ბქ.) — ღვთის წყალობა.

ჟჷრჷ̄ნ-ფჷრჷ ბზ., **ჟჷრჷმ-ფჷრჷმ** ლშხ. — აბდაუბდა, უთავბოლო, უწესრიგო, არარა. ეჩას მიშგუ ნაგჷრგალუ̂ ჟჷრჷ̄ნ-ფჷრჷდ გარ ხესმი (ბზ.) — იმას ჩემი ლაპარაკი არარად ულირს. ჟჷრჷმ-ფჷრჷმს გარგლი (ლშხ.) — უთავბოლოდ ლაპარაკობს.

ჟჷტჷნილ (-ა̈შ, -ა̈რ) ბქ. — ბუთხუზა ბავშვი. იმჟი ჟჷტჷნილ პიწილ ლი — როგორი ბუთხუზა ბავშვია.

ჟჷჯ (-იშ, -არ) ლშხ. — ძირმაგარას ძირი.

რ

-რა 1. ზს., ლშ. — მერქნიან მცენარეთა აღმნიშენელი სუფიქსი. სებიდ ანქა̈ჩ წიფრა (ბზ.) — სებიმ მოჭრა წიფელი. ცხეკისა მეჩი ჯი̄რა ლჱგ (ლშ.) — ტყეში ბებერი მუხა დგას. 2. ლნტ. ამა თუ იმ ხის მასალის აღმნიშენელი სუფიქსი. ცხჵიმრა — რცხილის მასალა. შდრ. ცხჵიმ — რცხილა (ხე).

რაგა̈დ (-გდიშ, -გდა̈რ) ბქ. — ლაპარაკი. ბაბა... ჩიმი რაგა̈დს გუდ ჰედნიჵ (ბქ. 19) — ბაბუა ყველას ლაპარაკს ხედებოდა. ნჷნ ესერ რაგა̈დ ხა̈შელდა, შის — ლეჩემ (ანდ.) — ენას ლაპარაკი აკისრია („ათელია"), ხელს — საქნარიო. შდრ. **გა̈რგლა.**

რაგა̈დი იგივეა, რაც **რაგდი.**

რაგდი (ესჵრაგდინ, ესრაგდინე; ესრაგდინისგ) ბქ., **რაგა̈დი** (ლა̈ხჵრაგა̈დინ, ლა̈ჲრაგა̈დნე; ლა̈ჲრაგა̈დნი) ლნტ., გრძუკ. — ლაპარაკობს, ამბობს, საუბრობს. მა̈გ თამა̈შდ რაგდი (ბქ. 75) — ყველა ხმადაბლა (ნელა) ლაპარაკობს. ამეჩუ ბოფშა̈რ... ლგლენტეხუდ რაგა̈დიხ (ლნტ. 9) — აქ ბავშვები ლენტეხურად ლაპარაკობენ. შდრ. **გა̈რგლი.**

რაგდობ (-ა̈შ, —) ბქ. — ლაპარაკი, საუბარი, მოლაპარაკება, საქმეზე მსჯელობა. ანსგმდა შჵანრე რაგდობ (ბქ.) — მოისმა სვანების საუბარი. შდრ. **რაგა̈დ, გა̈რგლა.**

რაგჵ იგივეა, რაც **რა̈გჵ.**

რადაგ იგივეა, რაც **რადა̈გ.**

რადა̈გ[1] (-იშ, -დაგა̈რ) ბქ., **რადაგ** (-ალ) ლშ. 1. დიდი ცეცხლი, კოცონი. რადა̈გ ლემესგ შგილს ხეშდორალ (ლხმ.) — კოცონი სხვენს სწვდებოდა (ეხეოდა, ახტებოდა). 2. ლამით ვზის გამნათებელი მუგუზალი.

რადა̈გ[2] ბქ., **რადაგ** ლშ. — ნოყიერი, მოსავლიანი. ამეჩუ რადაგ გიმ ლი (ლშ.) — აქ ნოყიერი მიწაა.

რაზ[ა] იგივეა, რაც **რა̈ზ**[1].

რაკ იგივეა, რაც **რა̈კ.**

რანგ იგივეა, რაც **რა̈ნგ.**

რაპა̈ტ (-პტიშ, -პტა̈ლ) ბზ., **რაპატ** (-იშ, -ალ) ლშ., **რა̈ფ** (რაფა̈რ) ბქ. — შევისა და ქარისგან ერთად თავმოყრილი თოვლი; ნამქერი; ლავგარდანი. ზაგა̈რქა მუსი რაპა̈ტ ხა̄სდა̈ნ||ხა̈ზდა (ბზ.) — მეგანზე (თოვლის) ნამქერი იდო. ლჷყა̄რხენქა რაპატ ანშყად (ლშ.) — სახურავიდან თოვლის გროვა გადმოვარდა.

რაჟან იგივეა, რაც **როჟან.**

რაყ (-ა̈შ, -ა̈ლ ბზ., -ა̈რ ბქ.) — კასრი, საარაყე მასალის დასაყენებელი ხის დიდი, თავღია ჭურჭელი. რაყა̈[შ] ლიგმი (ბზ.) — კასრის (ძირის, ფსკერის) დაგმანვა. გა̈ნჭჵს რაყა̈რთეჲსგა ისგა ხა̈თქეხ (ბქ. 228) — ანწლს კასრებში ჩააყენებენ. **რაყუბტკა** (ბქ.) — უსალტებო კასრი, გადატ. — მუდამ საშიშ მდგომარეობაში ყოფნა.

რაშ იგივეა, რაც **რა̈შ.**

რა̈გჵ (-იშ, -ა̈რ) ბქ., **რაგჵ** (-ალ) ლშ. — მორყეული, მოფამფალებული, დანგრევის პირას მისული (შენობა, ვზა...). რა̈გჵისგა ლირდე ლემყალჵ ლი (ლხმ.) — მორყეულ შენობაში ცხოვრება საშიშია. კნინ. **რა̈გულ** ბქ.

რა̈კ (-იშ, —) ზს., ლნტ., **რაკ** ლშ. — წამი, თვალის დახამხამება (დრო). ბეფშჵდ აშხჵ რა̈კს ქა̄დზჷგრე მა̈გ (ბზ. 26) — ბავშვმა ერთ წამში გაათავა ყველაფერი. ეშხჵ რაკს ლამდჲა̄ნ გეჩ! (ლშ.) — ერთ წამს მათხოვე დანა! **ჩი რა̈კს** (ზს.) — ყოველ წამს. **წა̈მნირა̈კნ** (ზს.) — წამდაუწუმ. **თერა̈კზჵ ხა̈ნს** (ჩბხ.) — თვალის დახამხამებაში, მყისვე. კნინ. **რა̈კი̄ლდ** ბზ., **რა̈კილდ** ბქ., **რაკი̄ლ** ლშ.

ალ ღჷნას აშხუ რაკჷლდაშ'უ' გარ ხუალატ (ბზ.) — ამ ქალიშვილს მარტო ერთი წამით ვუყვარვარ. აშხუ რაკილდს ლიც ლაზს ესერ იშუმინე (ანდ.) — ერთ წამს წყალი სელაში ისვენებსო. ეშხუ რაკჷლს ემღელ! (ლშ.) — ერთ წამს დამიცადე!

რა̈ნგ ზს., ლნტ., **რანგ** (-იშ, —) ლშ. — თაფლუჭი, რანგი. (სუსუდ) დორა̈ჲ რა̈ნგ ანჰიდ (ბზ. 27) — სუსმ კოკა თაფლუჭი მოიტანა. ჯუინალდ ყუნზლიშ რა̈ნგს ლგმჩომნელიხ (ბქ. 282) — ძველად თურმე ყურძნის რანგს აკეთებდნენ. საკოკიაჲ ლაწუდა̈რდ ხაყა... რანგიშდ (ლშ., ხორ. 25) — გოქმო (ბოტ.) საწურად ვარგა თაფლუჭისთვის. რა̈ნგ ი ღუინა̈ლ... მიჯგრის! (პოეზ. 286) — რანგი და ღვინო მიკურთხოს!

რა̈ჲგა̈ (-იშ, -გაუ) ლხმ., **რა̈ჲგა** (-გა̈შ, -გოლ) ჩხბ. — უძრავი ქონება. რა̈ჲგა ხოჩამდოლუ ა̈ჲჯგმრა (ჩხბ.) — უძრავი ქონება კარგად მოგეხმაროსო.

რა̈ფ იხ. **რაპა̈ტ**.

რა̈ქუ იგივეა, რაც **რა̈ქუ**; იხ. ყგლე.

რა̈შ (-იშ, რაშა̈ლ ბზ., რაშა̈რ უშგ., ბქ.), **რა̈შუ** (რაშუა̈რ ბქ., რაშუა̈ლ ლნტ.), **რაშ** (-ალ) ლშ. — რაში. რა̈შს ათყალუნდა ალექსიშდ (ბზ. 255) — რაშს შეეშინდა ალექსის (ალექსის'ა'დ). ალის ხორი ბიქუიშ რა̈შ (ბქ. 35) — ამას ჰყავს ქარის რაში. ადჰად მებატე... რა̈შუშუ (ლნტ. 296) — მივიდა მებატე რაშით. ლალზიგა რაშ-ბედაურინ გოშია (პოეზ. 116) — სასახლე რაშ-ბედაურით სავსეა. კნინ. **რა̈შილდ** ზს., **რაშილ** ლშ.

რა̈ჭ'უ' (-ა̈შ, რაჭუა̈ლ ბზ., რაჭუა̈რ ბქ.), **რეჭუ** (-იშ, -ალ) ლშ., **ზოოლ**. — კურდღელი. მეთხუია̈რდ ხელწიფს რა̈ჭუარე ყუიეპერშუდ' რთჰიდ (ბზ. 395) — მონადირემ ხელმწიფეს კურდღლების გულ-ღვიძლი (ღვიძლფილტვი) მიუტანა. ჯი რა̈ჭუდ ა̈სიპდა (ბქ. 64) — თვითონ კურდღლად გადაიქცა. ღუაშ ი რა̈ჭუ უშხუა̈რ დემეგ ესერ ხაგხ (ანდ.) — ჯიხვი და კურდღელი ერთმანეთის ბარდაბარი არ არიანო („ერთმანეთს არ ადგანანო"). რეჭუი ბალახ... რეჭუა̈ლს ხალატხ (ლშ., ხორ. 25) — კურდღლის ბალახი კურდღლებს უყვართ. კნინ. **რა̈ჭულდ**. რა̈ჭულდს ყ'ახფა̈შ (ბზ. 366) — კურდღელს ქანცი გაუწყდა (დაიღალა).

რა̈ზ[1] (-იშ, რა̈ზა̈ლ) ბზ., **რა̈ზა̈რ** უშგ., **რაზ** ჩხბ., **რაზა** (-ზა̈შ, -ზა̈რ) ლხმ., **რაზა** (-ა̈შ, -ზელ) ლშ. 1. რაზა, კარის საკეტი. ისლამდ რაზ ყ'ოსდე ყორს (ბქ.) — ისლამმა კარი გადარაზა (რაზა დაუდო კარს). 2. კარის ჩამოსაკიდი.

რა̈ზ[2] უშგ. — რამძი, მწყობრი, რიგი.

რა̈ქუ იხ. ყგლე.

რეჟენ იგივეა, რაც **როჟან**.

რეღუენი იგივეა, რაც **რეღუნი**.

რეღუნი (ორღუ ბზ., ორეღუ ბქ., ლშ., არა̈ღუ; ა̈რღუენი ზს., არაღუ; არღუენი ლშ.), **რეღუენი** (ორეღუ, არა̈ღუ; ა̈რეღუენი) ლნტ., გრდუკ. — ირღვევა, ინგრევა. მურყუამ ჩუ რეღუნი (ბზ. 17) — კოშკი ინგრევა. (ბერ) ჩ'ომრეღუელი (ბქ. 198) — წინდა დარღვეულა.

რეწუნი (ორწუ ბზ., ორეწუ ბქ., არა̈წუ; ა̈რწუენი ზს., ორეწუ, არაწუ; არწუენი ლშ.), **რეწუენი** (არეწუ, არა̈წუ; არეწუენი) ლნტ., გრდუკ. — იმართება, სწორდება, იწელება, იჭიმება. ჯი ესერ ა̈რწუენი ქა (ბქ. 223) — მე გავიწელებიო. ჟაღუემ ჰა̈კედ ქა დემ ესერ რეწუნი (ანდ.) — ძაღლის კუდი არ გასწორდებაო.

რეჭუ იგივეა, რაც **რა̈ჭუ**.

რეკ (-იშ, -ა̈ლ) ბზ., **რიკ** (-ა̈რ ბქ., -ალ ლშ.) — 1. რიკი; რიკ-ტაფელას სათამაშო ჯოხი — ჩილიკა. რეკ ანჴგ ი ღო ლირეკუნა̈ლდ (ბზ.) — რიკი მოიტანე და მერე ვითამაშოთ რიკ-ტაფელა. ბაბად რიკ ემსყე (ლშ.) — ბაბუამ რიკი გამიკეთა. 2. თოკის ბოლოს მობმული ხის გახვრეტილი ნაწილი.

რექუ იგივეა, რაც **რა̈ქუ**, იხ. ყგლე.

რია̈ლ (-იშ, —) ზს., **რიალ** ლშ. — ხმამაღალი ლანძღვა. მიშგუა ამახუს შუა̈ნია̈ რია̈ლ შგყყი ესუა̈დ (ბზ.) — ჩემს მტერს სვანეთის ლანძღვა აეკიდე („დაევადე") ზურგზე. მეზუბელა̈რდ უშხუა̈რ რია̈ლ ახთხიფხ (ბქ.) — მეზობლებმა ერთმანეთი გამოლანძღეს (ერთმანეთის ლანძღვა მიაფერთხეს). **რია̈ლ-თრია̈ლ** ზს. — ლანძღვა-გინება. ბესის ხუა̈ჲ რი-

ალ-თრიალ ხა̄ლდა (ლშხ.) — ბესის ბეერი ლან-ძღეა-გინება ხედა (ჰქონდა). **რიალ ი ქეთერ!** (ლშხ. გინება).

რიგ^{1} (-იშ, —) — 1. რიგი, ჯერი. სგუ̂ებნე რიგ ლექუ̂ა ლიფუნჩულა̈ლ ა̈დბინეხ (ბზ.) — წინა რიგში ჩურჩული დაიწყეს. აშხუ̂ რიგჟი თხერ'ესერი დემ ხეჰა̈ნი (ანდ.) — ერთ რიგზე მგელსაც არ გაეწბილებაო (ეჰაგიებაო). 2. ზს. წყება. კე̄სა̈რდ მე̄რმე რიგგდ ადზგზე უ̂ა̈ზ-რა̈ლ (ბზ. 259) — კეისარმა მეორე წყებად გა-აგზავნა ვეზირები. ეშხუ რიგ ლერექუ̂ გარ მუღუ̂ა (ბქ.) — მარტო ერთი ხელი (წყება) ტა-ნისამოსი მაქვს. 3. ჯგუფი, სახეობა, გვარი. ალე ეშხუ რიგი ლობიო ლი (ლშხ., ხორ. 12) — ეს ერთგვარი ლობიოა.

რიგ^{2} — წესი. რიგ მა̄ ლი ყუ̂ელძერისა ლეღუ̂ი ლიზობ (ლშხ. 20) — წესი არ არის ყველიერში ხორცის ჭამა. **რიგ ი წეს** (ბქ.) — რიგი და წესი. **რიგიშ მარე** (ბქ.) — წესრი-გის კაცი.

რიგ^{3} ზს. — თანდებული -თანა, მსგავსი. თხუ̂მრიგ მარა მოდმაგეშ ესერ ხორი (ანდ.) — (საკუთარი) თავისთანა კაცს არაფერი ჰყავ-სო. ამ ჩაყუ̂რიგ დესა ა̈რი შუ̂ანისგა (ბქ.) — ამ ცხენის მსგავსი სვანეთში არ არის.

რიგ^{4} უშგ. — ზოგი. რიგს ხაცუდა ნაბდი ქაფარ,... რიგს ხაცუდა წერქუ̂ა ქაფარ (ჰოფზ. 24) — ზოგს ეკიდა ქეჩის ტვირთ(ებ)ი, ზოგს ეკი-და თომის ტვირთ(ებ)ი.

რიგია̈ნდ ზს., **რიგიანდ** ლშხ., ზმნზ. — რიგიანად, წესიერად. ბებე ჩი̄ს რიგიანდ ასყი (ლშხ.) — ბებია ყველაფერს რიგიანად აკეთებს.

რიდ^{1} (-იშ, —)ბზ., ლშხ. — რიდი, ხათრი; მორიდება. იმშა რიდ ჯა̄რ? (ბზ.) — რისი გე-რიდება (რიდი გაქვს)? ალეს ჩი̄მე რიდ ხა̄რ (ლშხ.) — ამას ყველას რიდი აქვს.

რიდ^{2} ზს., ლშხ. — შნო. რიდ ი ზირზ სგებინ ხოჟელ მარა (ბქ.) — შნო და წარმოსა-დეგობა (ომახიანობა) წინ მიუძღვის ადამიანს.

რიდია̈ნ^{1} (-იშ, -ანა̈ლ) ზს., **რიდიან** (-ალ) ლშხ. — მორიდებული. სუ̂როუ რიდიან მა̄რას მა̄ღ ხაყა! (ლშხ.) — ძალიან მორიდებუ-ლი კაცი არ ეარგა!

რიდია̈ნ^{2} ბზ. — შნოიანი, წარმოსადეგი მეხედულებისა. იმჟი რიდია̈ნ ბეფშუ̂ ხი! (ბზ.) — როგორი შნოიანი ბავშვი ხარ!

რიკ^{1} იგივეა, რაც **რე̄კ**.

რიკ^{2} (-იშ, -ა̈რ) ბქ. — რული, თვალის მი-ლულვა, თვალის მოტყუება, ოდნავ მიძინება. ლეთიშ ლეთ რიკ მადმა ხოდა მგრზას (ბქ.) — წუხანდელ ღამეს მურზას თვალი არ მიულუ-ლავს (რული არ მიუღევს).

რიფ (-იშ, —) ბზ., ლშხ. — თოვლის მო-წყვეტის ან რაიმე რბილი საგნის დაცემის, სიღ-რმეში ჩავარდნის ხმა. მუსდ რიფ ა̈ნკიდ (ბზ.) — თოვლმა (მოწყვეტისას) ხმა გაიღო. მუსი რიფ ანსგ̌მღა (ლშხ.) — თოვლის (დაცემის) ხმა მოისმა. იხმარება გამოთქმაში: **რიფ მაჭიდ გუ̂ძ-სა** (ლშხ.) — ელდა მეცა (დაცემის ხმა მომხვდა გულში).

რიღუ̂ე (ორუღუ̂; ა̈რღუ̂ე ზს., არუღუ̂; ადრიღუ̂ე ლნტ., არიღუ̂ ზს., ლნტ.), **რგღუ̂ე** (ორგღუ̂‖ორუღუ̂, არიღუ̂; არღუ̂ე) ლშხ., გ რ დ მ. — არღვევს, ანგრევს, შლის. ხოხუ̂რა̈ლ მურყუ̂ამს ჩუ რიღუ̂ეხ (ბზ. 16) — უმცროსები კოშკს ანგრევენ. ლექუ̂ა̄უ̂იშარ ლგმრიღუ̂ინხ (მუ̄რყუ̂ამს) (ლშხ. 21) — ქვემოურები თურმე ანგრეეღნენ კოშკს.

რიყ (-იშ, -ა̈რ‖-ალ ზს., ლნტ., -არ ლშხ.) — 1. რიყე, მდინარის ნაპირი. ალას კუმა̈შ რი-ყისგა ხაყა (ბზ. 339) — ამას საქონელი რიყეში ჰყავს. (ჩუ̂ალ) ჟა̈გუ̂ერშლე რიყა̈რს (ბქ. 227) — მვაეი აავსებს რიყეებს. ეჯი ლეძსგიდღა რიყთე (ლშხ. 62) — იმან მიიხედა რიყისკენ. რიყ... ბა̈ჩშუ̂ ლგმა̈რელი გუ̂ეში (ლნტ. 264) — რიყე ქვ'ებ'ით ყოფილა სავსე. რიყისა ჩუ̂ა̈დ-გეხ... ქორულდ (ლნტ. 247) — რიყეში ჩადგეს პატარა სახლი. რიყიას ლეჟა ესღგრიდ (ჰოფზ. 12) — რიყის ზემოთ მიდიხართ. 2. რიყის ქვა. (და̄̈უ̂ს) რიყ ხა̄̈ცუ̂ ბარჯა̈ლჩუ (ბზ. 242) — დევს რიყის ქვა ჰკიდია მხრებზე. 3. ბზ. იხმარება გამოთქმაში **რიყი ლიკდუნე** — რაიმე მოქმე-დების ბოლომდე მიყვანა. და̈უ̂ითდ ჟა̈ნკიდ გუ̂ეში ტუმარა̈ძ ი სა̈უ̂თეჟი რიყ გარ ახკიდ-უ̂ნე (ბზ.) — დავითმა აიღო სავსე ტომარა და მარხილზე დადო („ბრახვანილა გაადენინა“). 4. ლხმ. იხმარება გამოთქმაში **რიყი ლიღნე** — ხარ-ბად ყლაპვა. ბეფშდ ლეზობ რიყ გარ ათღანე (ლხმ.) — ბავშვმა საჭმელი ხარბად გადაყლან-

სლა. 5. ლხმ. საგნის ცარიელ ჭურჭელში ჩავდების ხმა. შდრ. **რიყირა̈ყა.**

რიყირა̈ყა (-ა̈შ, —) ბზ., **რიყირაყა** (-ა̈შ, —) ლხმ. — რახარუხი. დოლებშ̄ირას ესერ ეშდღარჷ თანა̈ლ ეჩხა̈ნჩუ რიყირაყა (ბზ. 269) — დოლაბი თურმე მთას იქით გადავტყორცნეო (დოლაბს— რახარუხიო).

რიჩხ (-იშ, —) ზს., ლშხ. — რაჩხუნი, რეჩხი. გუდ||გჷიდ რიჩხ ა̈ნკიდ (ბზ.) — გულმა რეჩხი უყო (გაიღო). რა̈შს ათყალჷნიჷ სოსლანიშ რიჩხდ (ბქ. 170) — რაშს შეეშინდა სოსლანის რაჩხუნისა (რაჩხუნად). შიშდ რიჩხ მაჲიდ გუს (ლშხ.) — გულმა მაშინვე რეჩხი მიყო (დამარტყა გულს).

რიჰ (-იშ, —) ზს. 1. გაუთავებელი ლაპარაკი. იმშა რიჰ ჯა̄რხ? (ბზ.) — რა (რისი) გაუთავებელი ლაპარაკი გაქვთ? 2. აყალმაყალი. რიჰიშ ლიგნე (ბქ.) — აყალმაყალის ატეხა (დაყენება).

რიჰი-რაჰა (-ჰა̈შ, —) — მითქმა-მოთქმა; ჭორიკნობა. ჩუ ხა̄დახ ზურალჷლს რიჰი-რაჰა (ლშხ.) — ქალებს მითქმა-მოთქმა ჰქონდათ. რიჰი-რაჰა ნესგა̈ უბნა̈რ (ჰოეზ. 222) — ჭორიკანა („მითქმა-მოთქმა") შუა უბნები.

რიხ (-იშ, —) ზს., ლშხ. — რახუნი, ბრაგვანი, გათქი, გლართანი. მგრა̈მნჷმდ რიხ ა̈ნკიდ (ბზ.) — რაღაცამ ბრაგვანი გაიღო. ნენზს რიხ ათღანდა გიმ ლეჟა (ბქ.) — სოჭმა მიწაზე გლართანი მოადინა. ბეჩდ რიხ ანკიდ (ლშხ.) — ქვა გარახუნდა (ქვამ რახუნი გაიღო).

რკჷენ იგივეა, რაც **კჷენ.**

რობ იგივეა, რაც **რუებ.**

როგჷ (-ა̈შ||-იშ, -ა̈ლ ბზ., -ა̈შ, -ა̈რ ბქ., -იშ, -ალ ლშხ., -ა̈ლ ლნტ.), — ცერცვი. მათხჷმის... როგჷა̈ ითქა̈რ ლოხჷია̈სგჷნა (ლაშგა̈რდ) (ბზ. 20) — მეთაურმა თურმე ლაშქარს წაალებინა (მეთაურს— წაუღებინებია ლაშქრისად) ცერცვის მარცვლები. ამეჩუ ლალჷა̈შიდ როგს (ბქ. 225) — აქ ვთესავთ ცერცვს. როგჷ ⌈ლი⌉ მენგრე ლედერ (ლშხ. 25) — ცერცვი მსხვილი ბარდაა. ჟი ლოხჷბინახ როგჷა̈შ ლინკჷლი (ჰოეზ. 48) — დაუწყიათ ცერცვის კენკვა. შდრ. **ლედა̈რ.**

როდინ იგივეა, რაც **რგდინ.**

როდინ-გურნა იგივეა, რაც **რგდინ-გურნა.**

როკჷ (-იშ||-ა̈შ, -ა̈ლ ბზ., -იშ, -ა̈რ ბქ., -ა̈ლ ლნტ., -ალ ლშხ.) — 1. ორთითა. როკა̈რშჷ ი ბიწრა̈რშჷ ა̈წჷრემიხ [ითქს] (ბქ. 230) — მარცვალს ორთითებითა და ფიწლებით ანიავებენ. 2. ორად განშტოებული, ორკაპა (ხე). ხეწა̈დ მა̄ლ როკჷ მეგემს (ბზ. 434) — მელიამ ორკაპა ხე დაინახა (ხეს შეხედა). (ხოშას) ბრუჰჷ (როკ) მეგამქა ოთსკინა ქა (ბქ. 131) — უფროსი ორკაპა ხეზე გადამხტარა (უფროსს— უსკუპია). 3. ხის ტარიანი ორწვერა შუბი. ფუსდა̈შ როკოლჷ ჯა̈ჷხა! (ბქ.) — უფლის ორწვერა შუბიმც მოგხვედრია! კნინ. **როკგლდ** ზს. შდრ. **ბრუჰჷ.**

როჟან, როჟენ, როჟჷენ ბზ., ბჟ., (-იშ, -ენა̈რ უშკ., ბჟ., -ენა̈ლ ბზ.), **რეჟენ** (-ენიშ, -ენა̈რ) ჩბხ., ლხმ., **როჟან** (-იშ, -ალ) ლშხ., **რაჟან** (-იშ, -ა̈რ) ლნტ. — ეევანი, განგალაკი. ია̈სონს თითბრიშ... რეჟენ ახხჷია (ბქ. 227) — იასონს თითბრის ეევანი უპოეია („დახვედრია"). დაჰგლს როჟან ხა̄ბ (ლშხ.) — თხას ეევანი აბია. (ჯანარეს) ყიას ხორკგდახ როჟნარე (ჰოეზ. 40) — ხარებს ყელზე ეკიდათ ეჟვნები. კნინ. **როჟჷნილ** უშკ.

როსკა იგივეა, რაც **რუსკა.**

როფ (-ა̈შ, -ა̈ლ ბზ., -იშ, -ალ ლშხ.) — საფანელი. როფ ხაკლი როგჷს (ლშხ.) — ცერცვს (ცერცვის წვენს) საფანელი აკლია. მერხელი ნა̄ყუნს როფულ მა̄ ხაყა (ლშხ.) — ჭინჭრის შეჭამადი უსაფანელოდ არ ვარგა. გადატ. **როფდ მეჩდე** — ძალიან მოხარშული, ჩაქნილი. როფდ ლი მეჩდე ლელჷ (ლშხ.) — ხორცი ჩაქნილია (საფანელადაა წასული). **როფდ ლიგნე** — დიდი ჩხუბი. უშხჷა̄რ როფდ ლახა̄გა̈ნხ (ბზ.) — ძალიან ეჩხუბნენ („საფანელად მიადგნენ") ერთმანეთს.

როქ⌈ჷ⌉ ზს., **ლოქ⌈ჷ⌉** ქს. — ხხვათა ხიტყვის ნაწილაკი -მეთქი, -თქო, -ო (გამოიყენება, ჩვეულებრივ, მესამე პირის კონსტრუქციასთან). ჯა როქჷ ხოლა მა̄რე! (ბზ. 378) — შე ცუდო კაცოო! მი როქ ოდრი ეჯღა̈რთე (ბზ. 28) — მე იმათთან წავალო. ათხე როქჷი ამჟი ა̈რი (ბქ. 199) — ახლაცო ასეა. მაღ ლოქ ჯაკუ (ლშხ.) — რა გინდაო. ხჷა̈ღ გეზელილ ლოქუ ლახაოდახ (ლნტ. 47) — ბევრი შვილ(ებ)იო მისცემოდ-

ეთ. დე̄მ როქჷ იგნი (ჰოჳზ. 66) — არ დაედგებით.

როშ (-იშ, —) ქს. — ქატო. ხამარს მასარდ ოსშიდხ როშ (ლშხ.) — ღორებს ბლომად დაუყარეს ქატო. ჩა̈ჲს როშს ხამნეხ (ლნტ. 165) — ცხენს ქატოს აჭმევენ. შდრ. გა̈ტ.

როჰიკ (-იშ, -ა̈ლ ბზ., -ალ ლშხ.) — როჰიკი, სარჩო, გასამრჯელო. ალ ზადა როჰიკს ღჷაჲარ ითხე̄ლნეხ (ლშხ.) — ამ წლის სარჩოს მამაკაცები იშოვიან („მოიძებნიან“).

რუებ (-იშ, -ა̈ლ) ბზ., **რობ** (-ა̈შ, -ა̈რ ბქ., -იშ, -ალ ლშხ.) — ოდნავ ჩაღრმავებული ადგილი. ეჯდა̈რ აჩა̈დხ რუებთე (ბზ.) — ისინი წავიდნენ ჩაღრმავებული ადგილისაკენ. რობისგა ლიც ჩუ იტები (ბქ.) — ჩაღრმავებულ ადგილას წყალი დაგუბდება. გუშგჷე დაბ რობისა ლას (ლშხ.) — ჩვენი ყანა ჩაღრმავებულ ადგილას იყო. კნინ. **რობგლდ** ბქ., **რობი̄ლ**, **რობჷლ** ლშხ.

რუსკა (-კა̈შ, -კა̈ლ), **რუცკა** ბზ., **როსკა** (-კა̈შ, -კა̈ლ უშგ., -კა̄შ, -კე̄ლ ლშხ.) — ფინია. ალ მა̄რე თე̄ლდ როსკას ხაჯეშ (ლშხ.) — ეს კაცი მთლად ფინიას ჰგავს. კნინ. **რუსკო̄ლ**‖**რუცკოლ** ბზ., **როსკო̄ლ** უშგ., ლშხ. ჯუმილდ ჩჷა̈ძიჰ როსკო̄ლ (ბზ. 369) — ძმამ დაკლა ფინია.

რჷის, მურ᾿ჷ᾿ის (-იშ, რუსა̈ლ) ბზ., **მურუსჷი** (-ა̈შ, რუსა̈რ) ბქ., **მურუს** (რუსალ ლშხ., რუსა̈ლ ლნტ.) — რუსი. რჷისი ლაშგა̈რდ მამ მაყჷლუნი (ჰოჳზ. 64) — რუსის ლაშქრის (ლაშქრად) არ მეშინია. რუსა̈რ ამჰედხ ქორთესგა (ჰოჳზ. 66) — რუსები მოსულან შინ.

რჯჷილ (-იშ, —) ბზ., **რჯულ** ბქ., ლშხ., **ჯჷრილ** ბქ. — რჯული. მა̈დ რჯჷილი ხა̈ლხ მო̄მა არდა ეჩე! (ბზ.) — რა რჯულის ხალხი არ იყო იქ! მა̄დ ლენ რჯულიშ ხი? (ლშხ.) — რა რჯულის'ა' ხარ?

რგდინ (-იშ, -დნა̈რ, -დნა̈ლ) ბზ., **როდინ** (-ალ ლშხ., -ა̈ლ ლნტ.) — როდინი. ჲა̈ხჷკდ ჯიმ რგდინხა̈ნჲი (ბზ.) — მარილი ამოვიღე როდინიდან. ბებედ მახე როდინ ანჴიდ (ლშხ.) — ბებიამ ახალი როდინი მოიტანა. გაკ როდინისა ათჷაყა̈ლ (ლნტ.) — კაკალი როდინში დაენაყა.

რგდინ-გურნა (-ნა̈შ, -ნა̈ლ) ბზ., **როდინ-გურნა** (-ნა̄შ, -ნე̄ლ) ლშხ. — ფილთაქვა, როდინი და ქვასანაყი. ალდა̈რს ხორდახ რგდინ-გურნა (ბზ. 335) — ამათ ჰქონდათ როდინი და ქვასანაყი. კნინ. **რგდინ — გურ᾿ნ᾿ო̄ლ.** რგდინ-გურ᾿ნ᾿ო̄ლ ესერ ქა̄ჷ ლახტიხხ (ბზ. 339) — როდინი და ქვასანაყი დამიბრუნეთო. რგდინ-გურო̄ლგნქა გჷაწჷა დე̄სამა (ბზ. 337) — ფილთაქვის გარდა არაფერი გაგვაჩნია.

რგსკნა̈დ (-ა̈იშ, -ნადა̈ლ) ბზ., **რგსკნა̈** (-ნაუ) ბქ., **რგსკნად** (-აიშ, -ნე̄ლ) ლშხ. — წკრიალა. იმკა̈ლიბ რგსკნა̈დ ზანგლა̈გ ა̈ჯბა ფირჷდ! (ბზ.) — როგორი წკრიალა ეძვანი შეგიბამს ძროხისთვის („ძროხად“)! ბეფშჷს რგსკნა̈ ჰერილდ ხოზ (ბქ.) — ბავშვს წკრიალა ხმა აქვს („უდევს“).

რგლჷე იგივეა, რაც **რილჷე**.

რგჰი (-ი̄შ, -ა̈ლ ბზ., -ა̈შ, -ა̈რ ბქ.) — ნათელი, გათენებული, განთიადი, სინათლე, სინათლიანი, განათებული. რგჰი ლი სერ (ბზ.) — უკვე განთიადია. სი გჷი რგჰი ჯულჷე (ბზ. 340) — შენ გული ნათელი გაქვს. ჯანყჷა̈თდ ლეჰმე რგჰია̈შდ ა̈დლიე (ბქ.) — ჯანყვათმა თიბვა (სათიბი) გათენებისას (განთიადის'ა'დ) მოათავა (გალია). რგჰილისგა̈შ ნაჩომ ლგჰემ ესერ დემეგ ლი (ანდ.) — სინათლეში გაკეთებული (ნაკეთები) დაფარული არ არისო. **რგჰი გჷეშ** (ბქ.) — ნათელი საქმე. რგჰი იროლე (ჰოჳზ. 40) — სინათლე იქნება. რგჰი დ ბურის თა̈ჷირ ესერი̄ გუდ ჴედნი (ბზ.) — ნათელსა და ბნელს ბრმაც მიხვდებაო (გულად მოდისო). რგჰი ი ბური ჩილა̈დეღ ესერ ითხა̈ლხ ი იჲჷლურა̈ლხ (ანდ.) — სინათლე და სიბნელე ყოველდღე შეიყრებიან და გაიყრებიანო. **რიჰდ** ზს., ზმნზ. — განთიადამდე. რიჰდ ანჴა̈დხ [ზურა̄ლა̈რ] (ბზ. 259) — განთიადამდე მოვიდნენ ქალები. შდრ. **ნა̈რჰი.**

რგჰიდბური (-რი̄შ, —) ბზ., **რგჰი-ბური** (-ა̈შ, —) ბქ. — სიბნელისა და სინათლის მიჯნა, ბინდბუნდი, რიჟრაჟი. ალ ზურა̄ლ რგჰიდბურიჲი იგნა̈ლ (ბზ.) — ეს ქალი რიჟრაჟზე დგება. მეთხჷა̈რ რგჰი-ბურიჲი ათაგან შუკჷს (ბქ.) — მონადირე ბინდბუნდში გაუდგა გზას.

ს

-ს მიცემითი ბრუნვის სუფიქსი: **ბეფშჷს** ზს., **ბეფშს** ლნტ. **ბობშს** ლშხ. — ბავშვს. **მა̈რეს** ლშხ. — კაცს. **გჷეშს** — საქმეს.

სა- მყოფადის მიმღეობისა და დანიშნულების სახელთა პრეფიქსი, იხმარება **ლა-, ლე-** პრეფიქსების ადგილას ან, იშვიათად, მათ პარალელურად. **სალჯიმ; ლალჯგმ** ბქ. — სამარილე. **სამნელ** ბზ. — საურველი. **სანგეჰჷ, ლენგეჰჷ** ბქ. — სიმაგრე. **საგჷილ** ზს., ლნტ. — ახალუხი (საგულე).

საბ იგივეა, რაც **სა̈ბ.**

საბა̈ნ (-იშ, -ბნა̈რ ბზ., -ბანა̈რ ლნტ.) — **საბან** (-ბნარ) ლშხ. — საბანი. დი̄ნად საბან ანშხებე (ლშხ.) — გოგომ საბანი შეკერა. თელეღრას ჟი ხოჴდიდახ... საბანა̈რს (ლნტ. 46) — რძლისთვის ყიდულობდნენ საბნებს.

საბრალ (ხოსბრალა, მასბრალე ზს., ლშხ., ხოსაბრალა ლნტ.) 1. საბრალო, საწყალი. საბრალს თეთრ მა̄მ ხულჷე (ბზ. 262) — საბრალოს ფული არა აქვს. ეჯჲა̈რდ ხოსბრალა და̈̄რ არდა (ბზ.) — იმათზე უფრო საბრალო არავინ იყო. 2. ღარიბი. ა̈რიხ აშხჷ ა̈გის საბრალ ჲეხჷ-ჰა̈შ (ლნტ. 171) — იყო ერთი ღარიბი ცოლ-ქმარი (არიან ერთ ადგილას საბრალო ცოლ-ქმარი).

საბუთ (-იშ, -ა̈რ ზს., ლნტ., -არ ლშხ.) — საბუთი, ცნობა. ჯჷღჷამა ლეგლირდე̄ საბუთ? (ბზ.) — ავადმყოფობის ცნობა (საბუთი) გაქვს? საბუთ ლახჷემ ლიმოლეჲშ (ლნტ. 14) — ახოს გაჩეხვის საბუთი მისცა.

საბულ იგივეა, რაც **სა̄ბელ.**

საბჭო (-ჭჷე̄შ, -ჭოა̈ლ ბზ., -ო̄შ, -ჭოე̄ლ ლშხ., -ჭოჲშ, -ა̈ლ ლნტ.), **სა̈ბჭო** (-ჭოშ, -ა̈ლ) ბქ. — საბჭო. ფა̈რიშ სა̈ბჭოშ სოფლა̈რ ლიხ: სჷიფ, კა̈ცხ... (ბქ. 195) — ფარის საბჭოს სოფლებია: სვიფი, კაცხი — ათხე ლენტეხა ჷოშთხჷ სოფელი საბჭო ლი (ლნტ. 11) — ახლა ლენტეხში ოთხი სოფლის საბჭოა.

საბგრწა̈მ (-იშ, -წმა̈რ) ბქ. — საპირისწამლე, სამასრე. ჷოსა̈რს მუჰჷედქა საბგრწმა̈რ ხარ (ბქ. 239) — ჩოხას მკერდზე სამასრეები აქვს. იხ. **სასტრაფ.**

საგ იგივეა, რაც **სა̈გ.**

საგულ იგივეა, რაც **საგჷილ.**

საგუნზილ (-იშ, -ა̈რ) ბზ., ბქ., **საგუნძილ** (-არ) ლშხ. — სანდო, საგულდაგულო, საფუძვლიანი. საგუნზილ გჷაშჷ მა̈რე ნომოჷ ლა̈ხჰიალ (ანდ.) — საფუძვლიან საქმეს კაცმა არ მოუჩქაროსო. საგუნძილ გჷეშ ლოქ ლი ალე (ლშხ.) — ეს სანდო საქმეაო. **საგუნზილდ** ბქ., **საგუნძილდ** ლშხ., ზ მ ნ ხ. 1. სანდოდ, საგულდაგულოდ, საფუძვლიანად. ალ ქორ საგუნზილდ ლჷგ ლი (ბქ.) — ეს სახლი საიმედოდ (საგულდაგულოდ) არის ნაგები. ეჯიარ ჩი̄ს საგუნძილდ ასყიხ (ლშხ.) — ისინი ყველაფერს საგულდაგულოდ აკეთებენ. 2. ლშხ. დიდი ღირებულების მქონე ნივთი.

საგურმეტ (-იშ, -ა̈ლ ბზ., -ალ ლშხ.) — ზედმეტად მიღებული რამ. საგურმეტდ მგრე̄ს ხაკუჩ! (ლშხ.) — ალბათ ზედმეტად უნდა (ზედმეტის აღება უნდა)!

საგჷილ (-ჷლიშ, -ჷლა̈რ ბზ., -იშ, -ა̈ლ ლნტ.), **საგულ** (-არ) ლშხ. — ახალუხი, (საგულე). მახე საგჷილ ოხშხებხ მამას (ბზ.) — მამას ახალი ახალუხი შეუკერეს. საგჷილი ქამეშხენ ჷოსა̈რს ხჷიქჷემდად. (ლნტ. 7) — ახალუხის გარედან ჩოხას ეიცვამდით. კ ნ ი ნ. **საგჷლიდ** ბზ., ლნტ., **საგულე̄ლ** ლშხ.

სადაგ იგივეა, რაც **სადა̈გ.**

სადამ ზს., ეთნ. — საქორწილო სიმღერა (მღერიან პატარძლის მოყვანისა და კერიის გა-

რშემოელისას). ქორს სადამშჷ ქა ხჷეჭმენიდად (ბქ. 4) — სახლს სადამის (სიმღერით) გარს ეუვლიდით.

სადარ-კჷდარ იგივეა, რაც **სადა̈რ-კჷდა̈რ.**

სადაფ იგივეა, რაც **სადა̈ფ.**

სადა̈გ (-იშ, -დაგა̈რ) ბქ., ლნტ., **სადაგ** (-არ) ლშხ. 1. მიუდგომელი, ობიექტური, მიუკერძოებელი. მედიატჷერ სადა̈გ მა̈რე ლი (ბქ.) — მედიატორე მიუკერძოებელი კაცია. 2. ჩვეულებრივი, უბრალო (დღე...), საშინაო (ტანსაცმელი...). სადაგ არა̈ყ (ბქ.) — ჩვეულებრივი არაყი. სადაგ ლადეღ (ლშხ.) — უბრალო დღე (სამუშაო დღე). სადაგ ლერექჷ (ლშხ.) — საშინაო ტანსაცმელი. ცა̈შ სადა̈გ ლა̈დეღ ლი (ლნტ.) — ხუთშაბათი სამუშაო დღეა.

სადა̈რ-კჷდა̈რ ბქ., **სადარ-კჷდარ** ლშხ. — დიდი საყვედური; ვინება. სადა̈რ-კჷდა̈რ მა̈გ ჭაჭა̈რ ლექჷა ხაჯიდ (ბქ.) — ძალიან უსაყვედურა (მეტისმეტად გალანძღა საჯაროდ).

სადა̈ფ (-დფიშ, -დფა̈რ ბზ., -იშ, -დაფა̈რ ლნტ.), **სადაფ** (-არ) ლშხ. 1. სადაფი. სადა̈ფშჷ ლგშკა̈̄დ ჭგნგირ ხუღჷა (ბზ.) — სადაფით მოჭედილი უნაგირი აქვს. 2. ღილი. ქიბე ტა̈ნს... სადაფა̈რს ალსოგემდ (ლნტ. 30) — მე და ტანსაცმელს სადაფებს (ღილებს) დავაკერებთ.

სადგა̈მ (-გმიშ, -გმა̈რ ზს., -იშ, -გამა̈რ ლნტ.), **სადგომ**[1] (-იშ, -ა̈რ) ზს., **სადგამ** (-არ) ლშხ. — სადგამი, სანაშენე (ღორი, ცხვარი...). ჩიგარ ხჷა̈დ სადგამარ ხეყჷდახ (ლშხ.) — ყოველთვის ბევრი სადგამი ჰყავდათ. სადგამდი დესა გჷაყა ხა̈მ (ლნტ.) — სანაშენედაც აღარა გვყავს ღორი.

სადგემ იგივეა, რაც **სადგჷემ.**

სადგომ[1] იგივეა, რაც **სადგა̈მ.**

სადგომ[2] იგივეა, რაც **სადგჷემ.**

სადგჷემ (-ჷმიშ, -ჷმა̈რ ბზ., -იშ, -ა̈რ ლნტ.), **სადგემ** (-ჷმიშ, -ჷმა̈რ) ბქ., **სადგომ**[2] (-იშ, -არ) ლშხ. — სადგომი, ბინა, კარავი. ხჷიზელა̈ლდ ი სადგჷემს დეშ ხჷითხე̄ლიდ (ბზ. 39) — დავდივართ და ბინას ვერ ვშოულობთ. ჭყინტდ ცილიშ სადგჷემ ადიგ (ბქ. 38) — ბიჭმა... ტყავის კარავი დადგა. ქა̈ნსკინე სადგომხენქა ჷოქრე ფატანდ (ლშხ. 73) — გამოხტა სადგომიდან ოქროს პერანგი. მა ამბა̈ჷ ლი ალ სადგჷემისკა? (ლნტ.) — რა ამბავია ამ სადგომში?

სადილ იგივეა, რაც **სა̈დილ.**

სადლობ იგივეა, რაც **სა̈დლობ.**

საზრ იგივეა, რაც **სა̄ზრ.**

საზლჷა̈რ (-იშ, -ჷრა̈ლ ბზ., -ჷარა̈ლ ლნტ.), **სამზლჷარ, სამძლჷა̈რ** (-ჷარა̈რ) ბქ., **საზლჷარ** (-ალ) ლშხ. — საზღვარი. ალა ლი მჷლხა̈შ ი მესტია̈̄ საზლჷა̈რ (ბზ.) — ეს მულახის და მესტიის საზღვარია. მიქლაწადხენ საზლჷა̈რ ლი ლექჷსირი თემსაბჭო (ლნტ. 13) — აღმოსავლეთიდან (მზის ამოსვლის მხრიდან) საზღვარია ლექსურის თემსაბჭო.

სათ იგივეა, რაც **სალა̈თ.**

სათა̈თჷრ (-იშ, -ა̈ლ) ბზ., **სათეთჷრ** (-ა̈რ) ბქ., **სათითურ** (-ალ) ლშხ., **სა̈თითურ** (-ა̈ლ) ლნტ. — სათითური, სათითე. ჩაფლა̈რს სათა̈თჷრულ დეშ ა̈შხბიხ (ბზ.) — ფეხსაცმელებს სათითურის გარეშე ვერ კერავენ. სათითურ ა̈მთჷაფ (ლნტ.) — სათითური დამეკარგა.

სათა̈ლ (-იშ, -თლა̈რ) ბზ., **სჷანთალ** (-თლაშ, -თლა̈რ) ბქ. 1. დურბინდი. ჟა̈̄ხჷიკდ სათა̈ლ, ჩჷესწო̈̄ნ (ბზ. 39) — ავიღე დურბინდი (და) დავინახე. კოჯართე ათჷსგი სჷანთალშჷ (ბქ.) — დურბინდით კლდეებისაკენ გავიხედე. 2. ბქ. კორა (სამიმნე თოფისა). სჷანთალჟი ლიკჷანე (ბქ.) — მიმანში ამოღება.

საინ იგივეა, რაც **სა̈ინ.**

საკარცხულ იგივეა, რაც **საკარცხჷილ.**

საკარცხჷილ, სა̈კგრცხჷილ (-იშ, -ა̈რ ბზ., -ა̈ლ ლნტ.), **საკარცხულ** (-არ) ლშხ. — საკარცხული, უფროსის დასაჯდომი სკამი; სავარძელი. მჷქჷთერ ესერ საკარცხჷილჟო̈̄ნ ხოსგჷრხ (ბზ. 26) — ქურდი თურმე საკარცხულზე უზით. საკარცხულს მაჩე̄ნემ აგის აგმგდახ (ლშხ.) — საკარცხულს საუკეთესო ადგილზე დგამდნენ.

საკა̈რცხ იგივეა, რაც **სა̈კაცხ.**

საკეცურ იგივეა, რაც **წკა̈ლ.**

საკმეჷელ, საკმე̄ლჷ, საკმჷე̄ლ

(-იშ, -ა̈რ) ბზ., **სა̈კმეჳელ** (-ა̈რ ბქ., -ა̈ლ ლნტ.), **საკმოჳელ, საკმეჳელ** (-არ) ლშხ. — საკმეველი. ჯჳიდ ი საკმეჳელ ა̈ნყიდხ (ბზ. 405) — სანთელი და საკმეველი იყიდეს. [ძეხჳ-ჭაშს] ჩოთო̄შჳახ ჯჳიდიშ ი საკმოჳელი (საკმეჳელი) ლაკირ (ლშხ. 58) — ცოლ-ქმარს სანთლის და საკმევლის საკირე დაუნთიათ.

საკმოჳელ იგივეა, რაც **საკმეჳელ.**

საკუთა̈რ (-იშ) ზს., **საკუთარ** ლშხ., **საკჳთა̈რ** ლნტ. — საკუთარი. ლი მა̄ ალა ისგუ საკუთა̈რ ქორ? (ბზ.) — არის ეს შენი საკუთარი სახლი? სასა̄შ საკუთარ ეშხუ საბაპ ლი (ლშხ.) — სასაში (საკუთრად) ერთი სამრეველოა. ციცის საკჳთა̈რ დაბ ხუღჳა (ლნტ.) — ციცის საკუთარი ყანა აქვს.

საკურთხ (-იშ, -ა̈ლ ბზ., ლნტ., -ალ ლშხ.) — საკურთხი. თანაფს საკურთხ ხა̄რ ლექდე ლგდგარა პატრონს (ლშხ. 42) — აღდგომას საკურთხი უნდა მიიტანოს მიცვალებულის პატრონმა. ხოჩა საკურთხს ამარეხ (ლნტ.) — კარგ საკურთხს ამზადებენ.

საკჳთარ იგივეა, რაც **საკუთა̈რ.**

საკჳრელ იგივეა, რაც **სა̈კჳრელ.**

საკჷნზელა̈რ (-ეშ) ზს., ლნტ. (იხმარება მხოლოდ მრავლობითი რიცხვის ფორმით) — დგიმის ბაწრები. ლა̈ჯშა̈რს საკჷნზელა̈რ ა̈თქჳცჳრა̈ნ (ბზ.) — საქსოვ დაზგას დგიმის ბაწრები დაუწყდა.

სალა̈ტ (-იშ, -ა̈რ) ბზ., **სალატ** ბქ. — ალაო. სალატდ იმა̈რგ ჰჷმინ, მანა̈შ, სიმინდ, ფეტჳ (ბქ. 196) — ალაოდ ვარგა ჭვავი, ქერი, სიმინდი, ფეტვი. იხ. **ზა̈დ.**

სალტ იგივეა, რაც **სა̈ლტ.**

სალხინ იგივეა, რაც **სა̈ლხინ.**

სამ (-ა̈შ, -ა̈რ ზს., -იშ, -არ ლშხ.) — ძაღლის კისერზე მისაბმელი ჯოხი. [დუდად] სამს სგა ხა̈ფხეჭ (ბქ. 18) — დუდამ ძაღლის კისერზე მისაბმელ ჯოხს ხელი სტაცა.

სამართა̈ლ იგივეა, რაც **სამჷრთა̈ლ.**

სამარხჳ (-ა̈შ, -ა̈ლ ბზ., -იშ, -ალ ლშხ., -ა̈ლ ლნტ.) — სამარხვო. სამარხჳს გარ ჩი̄ ხჳამა̄რედ (ბზ. 10) — ყველაფერს მხოლოდ სამარხვოს ვამზადებთ. უჭმისა სამარხჳს გარ იზბიხ (ლშხ.) — მარხვაში მხოლოდ სამარხვო საჭმელს ჭამენ.

სამა̈̄ლ (-იშ, -მა̄ლა̈რ) ბზ., **სამა̈ლ** (-მალა̈რ) ბქ. — ეშმაკი, ქაჯი. ნამთილ ოხჴა̈დ სამა̈ლს (ბქ. 152) — ეშმაკს გასაჭირი დაუდვა. იხ. **ძეშმა.**

სამეგჳ (-იშ, -ა̈რ) ზს., **სამოგ** (-არ) ლშხ. — სამოგვე (ტყავი). ლჳაჭრი გეზალდ სამეგჳ ლა̈ძშხებ ჳეშგიმ (ბზ. 446) — ვაჭრის შვილმა სამოგვე (ტყავი) უკნიდან მიიკერა. სამოგი ჩაფლარ ხა̄ზხ (ლშხ.) — სამოგვის ფეხსაცმელი აცვიათ.

სამზლჳარ იგივეა, რაც **საზლჳა̈რ.**

სამნელ (-იშ, -ა̈რ ბზ., -ა̈ლ ლნტ., -არ ლშხ.) — სამურეველი, საურეველი. სამნელ დეშ ოთთიმ (ბზ.) — საურეველი ვერ ვიშოვე. ჩა̈ჟი სამნელ ლოქ ათთჳეფა შუკჳეი (ლშხ.) — გზაზე ცხენის საურეველი დამეკარგაო.

სამოგ იგივეა, რაც **სამეგჳ.**

სამრა̈კჳ (-იშ||-ა̈შ, -ა̈ლ) ზს., ლნტ. — სამრეკლო. სამრა̈კჳა̈ ჰა̈ზჳისგა კარჳა̈̄ლს ჩუ იგემხ (ბზ. 17) — სამრეკლოს ეზოში დიდ ვოდრებს დგამენ. სამრა̈კ ი იშგენ მა̈გ ხად ლაჭჳმის (ბქ.) — ეკლესიას სამრეკლო და სხვა ყველაფერი ჰქონდა.

სამტინ იგივეა, რაც **საფტინ.**

სამტრა̈კ (-იშ, -რაკა̈ლ) ბზ., **ამტრაკ** (-რაკა̈რ) ბქ., **აპუტრაკ, ამტრაკ** (-ალ) ლშხ., **აპუტრა̈კ** (-რაკა̈ლ) ლნტ. ბოტ. — აპუტარაკი, შხამა. ამტრაკშჳ ყელა̈რს აყგჷრიხ (ბქ.) — შხამათი ძაღლებს წამლავენ. ამტრაკს მე̄ჳარ მგლნი ძირ ხა̄რ (ლშხ., ხორ. 1) — შხამას ძალიან მწარე ძირი აქვს.

სამყურ[1] (-იშ, -ალ ლშხ., -ა̈ლ ლნტ.), ბოტ. — სამყურა ბალახი. სამყურ ლეჭმა ლა̄რელისა ხოხალ (ლშხ. ხორ. 25) — სამყურა სათიბ მინდვრებში იცის.

სამყურ[2] იგივეა, რაც **სამყჳირ⌈ჳ⌉.**

სამყჳირ⌈ჳ⌉, სანყჳირ (-ჳრიშ, -ჳრა̈ლ) ბზ., **სანყჳერ** (-ჳრა̈რ) ბქ., **სამყურ, სანყურ** (-იშ, -ალ) ლშხ., **სამყჳირ** (-ა̈ლ) ლნტ. — ბუკი, საყვირი. სამყჳირჳ ესერ ა̈ნკიდ ი სოფელთე̄ჳ ადბა̈ყნე (ბზ.) — საყვირი აიღე

და სოფელს შეატყობინეო. ნაჴდჳარ ადშგმნიხ სამყურს (ლშხ. 20) — მოსულები საყვირს (ბუკს) დაუკრაეენ. მგლენტეხდ სამყჳირ ასაშუმნე (ლნტ. 132) — ლენტეხელმა ბუკი დასცა (დაუკრა).

სამძღჳა̈რ იგივეა, რაც **საზღჳა̈რ.**

სამწ იგივეა, რაც **სა̈მწ.**

სამწჳალდ (-იშ, -ა̈რ) ბქ. — მამფური, სამწვადე. ესლჳანდახ ყჳიჟე ი გჳი სამწჳალდშჳ ჟი მგტყა̈ბ (ბქ. 3) — შამფურზე შემწვარი ღვიძლი და გული მიჰქონდათ. იხ. **შამფჳირ.**

სამწგხ⌈ჳ⌉ (-იშ) — საჭირო. ჟაგა̈რ სამწგხჳეი̄შდ მა̄რ ლჳშხჳინ (ბზ.) — წამალი საჭიროებისათვის მაქვს შენახული. ქორა̈შ სამწგხ ბარგრი⌈შ⌉ ლა̈ყდად ქალა̈ქთე ხა̄დ ლე̄ზი (ბზ.) — ოჯახისთვის საჭირო ნივთების შესაძენად ქალაქში მოუხდა წასვლა (ჰქონდა წასასვლელი).

სამხუბ, სანხუბ (-ა̈შ, -ჳა̈რ ბზ., სახჳბა̈შ, მეხჳბა̈რ ბქ.) — საძმო, საგვარეულო. სამხუბჳ გჳა̄რ ლგმზგრე! (ბზ.) — საძმო გვყავდეს დალოცვილი! მიშგჳი სახჳბა̈შ მა̈რე ლი (ბქ.) — ჩემი საძმოს კაცია. იხ. **ლანხუბ.**

სამგრთა̈ლ (-იშ) ზს., **სამგრთალ** ლშხ., **სამართა̈ლ** ლნტ. 1. სამართალი. სამგრთა̈ლ ესერ ბიჯჳშ ესღრი (ზს.) — სამართალი ნაბიჯით დადისო (სამართალი თავისას გაიტანსო). სამგრთა̈ლი თგრქა̈დჳ ოხჳზგზე (ბზ. 416) — სამართლის მაკრატელი გამომიგზავნეო. 2. ბქ. სასჯელი. ქორა̈შ კეშალა მჳკჳშა სამგრთა̈ლ ხედიჳ (ბქ. 292) — სახლის გატეხისათვის გამტეხს სასჯელი დაედებოდა.

სანა̈ჲ (-ნა̈̄შ‖-ნე̄მიშ, -ნა̈̄რ) ბზ., **სენა** (-ნოლ ბქ., -ნა̈ჲშ, -ნა̈ლ ლნტ.), **სენაჲ** (-ნა̈⌈ჲ⌉შ, -არ) ლშხ. 1. წალო, განჯინა. სანა̈ისგა ბერჟა̈ წირო̄ლ ა̈რი (ბზ. 18) — წალოში რკინის უროა. ჯჳინელ ქორალს სენჲარ ხა̄დახ (ლშხ.) — ძველ სახლებს წალოები ჰქონდათ. ნეცინ ხიბა̈კს სენა̈ჲსა ხჳაშხჳნიდ (ლნტ.) — წვრილმან ნივთებს (ბარგს) წალოში ვინახავთ. 2. ლშხ. სარკმელი. სენჲარს ქა ხოგემხ ლუნთისა (ლშხ.) — ზამთარში სარკმელებს ხურავენ.

სანა̈ფ იგივეა, რაც **სანეფ.**

სანგა̈ჰჳ (-გჰჳიშ, -გჰჳა̈რ) ბზ., **სა̈ნგეჰჳ** ბქ. — სიმაგრე, გამაგრებული, გამძლე. თანღა̈რუნღო სანგა̈ჰჳ ა̈დგილა̈რჟი მურყჳმა̈ლს გგა̈მდახ (ბზ.) — უღელტეხილების აქეთ (შემდეგ), სამაგრ (გამაგრებულ) ადგილზე, კოშკებს აშენებდნენ. სა̈ნგეჰჳ კოჯართელისგა სა̈ცრაჳ დემხენ ლი (ბქ. 312) — გამაგრებულ კლდეებში შესასვლელი არსაიდანაა.

სანდრო̈ჳ, სანდრეჳ (-იშ, -როჳა̈ლ ბზ., -ა̈რ ბქ.), **სანდროჳ** (-ალ ლშხ., -ა̈ლ ლნტ.) — სამდურავი, საყვედური. ლახჳბად სანდრო̈ჳ ხა̈ქჳხ [ხოხჳრა მუხჳბას] (ბზ. 103) — ძმებმა სამდურავი (საყვედური) უთხრეს უმცროს ძმას. თანაფ ლა̈დეღ ღერთა̈ სანდროჳს ჲა̈რ ყგლე? (ლნტ.) — აღდგომა დღეს ღვთის სამდურავს ვინ ამბობს?

სანეფ (-ნფიშ, -ნფა̈რ ბზ., -იშ, -არ ლშხ.), **სანა̈ფ** (-ნფიშ, -ნფა̈რ) ბქ., **სა̈ნეფ** (-იშ, -ა̈რ) ლნტ., ბოტ. — სინაფი (ვაშლის ჯიში). მე̄ჳარ ხეშა̈ნდა წგრნი სანეფს (ბზ. 187) — ბლომად ესხა წითელ სინაფს. ჰყინტდ სანა̈ფ ა̈ნკიდ ჯიბხენჟი (ბქ. 22) — ბიჭმა ჯიბიდან სინაფის ვაშლი ამოიღო. სანეფ ჳსკჳ ლი მენგრე ი მუჰხჳი (ლშხ., ხორ. 25) — სინაფის ვაშლი მსხვილი და ტკბილია.

სანტყჳი̄რ (-იშ, -ა̈ლ) ბზ. — დილეგი, კოშკის ერთი სართული, რომელიც ტყვისათვის იყო განკუთვნილი. სანტყჳი̄რს კიჩხ ლოხგეხ (ბზ.) — დილეგს კიბე მიუდგეს.

სანყურ იგივეა, რაც **სამყჳირ⌈ჳ⌉.**

სანყჳერ იგივეა, რაც **სამყჳირ⌈ჳ⌉.**

სანყჳირ იგივეა, რაც **სამყჳირ⌈ჳ⌉.**

სანცხჳერ (-იშ‖-ხჳრიშ, -ჳრა̈ლ ბზ., -ჳრა̈რ ბქ.), **სა̈ნცხერ** (-იშ, -ა̈რ) ბქ. — სათოფური, სათვალთვალო ჭუჭრუტანა. მიშგუ მურყჳამს სანცხჳრა̈ლ ჟი მერლჳე ხა̄რ (ბზ.) — ჩემს კოშკს სათოფურები მონგრეული აქვს. მურყჳმა̈რს სანცხჳრა̈რ ხარხ (ბქ. 241) — კოშკებს სათოფურები აქვს. კნინ. **სა̈ნცხჳერი̄ლ** ბზ.

სანწჳეფ (-იშ, -ა̈რ) ბზ., **სანწოფ** ბქ., **წანწოფ** (-არ) ლშხ., **წანწჳეფ** (-ა̈რ) ლნტ., ბოტ. — ძახველი. ღი̄ნა სანწჳეფი ლახჳერთე აჩა̈დ (ბზ.) — გოგო ძახველის საკრეფად

წაეიდა. შჵა̈ნია̈ ცხეკა̈რისა წანწჵეეფ ხჵა̈ი ითხი (ლნტ.) — სვანეთის ტყეებში ბევრი ძახვე-ლი იცის (იშოვება).

სანხჵბ იგივეა, რაც **სამხჵბ.**

საჲათ იგივეა, რაც **სალა̈თ.**

საპ'ჵ'ენ (-იშ, -ა̈რ ბზ., ლნტ., -პნიშ, -ნა̈რ ბქ.), **საპონ** (-არ) ლშხ. — საპონი. დი̄ნა საპენს ხოხჯგნა ეფენდის (ბზ. 369) — გოგო საპონს უსვამდა ეფენდის. სა̈ყჵდირს ლიც ი საპენ დემ ესერ ხა̈ლრეხ (ანდ.) — საყვედური წყლით და საპნით არ მოიცილებაო. ალ ბალახ საპონშა̈ლ იქაფაჵი (ლშხ.) — ეს ბალახი სა-პონიეით ქაფდება.

საჟენ იგივეა, რაც **საჯენ.**

სარაგ იგივეა, რაც **სარა̈გ.**

სარაჯ იგივეა, რაც **სარა̈ჯ.**

სარა̈გ (-რგიშ, -რგა̈ლ ბზ., -რგა̈რ ბქ., -იშ, -რაგა̈ლ ლნტ.), **სარაგ** (-ალ) ლშხ. — წყა-რო. ლგჯჷმი სარა̈გ ზისხდ ესსიპდა (ბზ. 267) — რძის წყარო სისხლად იქცა. ღობრე მო-ლა̈ტს თუმი ესერ სარა̈გ ახა̈ზინა (ანდ.) — ფუტკრის მოყვარულს თაფლის წყარო მოსდი-ოდაო. მეგემ ჩუქჵა̈ნ სარაგ ანღრი (ლშხ.) — ხის ქვეშ წყარო მოდის. სარაგმოყ მეჩი ზუ-რალ ლგმა̈რდელი (ლნტ. 206) — წყაროსთან მოხუცი ქალი ყოფილა.

სარა̈ჯ (-რჯიშ, -რჯა̈ლ ბზ., -რჯა̈რ ბქ., -რაჯა̈ლ ლნტ.), **სარაჯ** (-ალ) ლშხ. — სარაჯი, თაფლით სავსე ფიჭა. სარაჯ ლახ ხედი, ეჯი ქა ლეკედ ლი (ბქ. 308) — თუ ფიჭა თაფლით სავ-სეა, ის ამოსაღებია. ბაბად გჵეში სარა̈ჯ ა̈ნ-კიდ ლჵებხენქა (ლნტ.) — პაპამ სკიდან სავსე სარაჯი ამოიღო.

სარგებ იგივეა, რაც **სა̈რგებ.**

სარგიბ იგივეა, რაც **სა̈რგებ.**

სარკ იგივეა, რაც **სა̈რკ.**

სასდიკ (-იშ, -ა̈რ) ზს., **სასტიკ** (-არ) ლშხ., **სა̈სტიკ** (-ა̈რ) ლნტ. — სასტიკი, მკაცრი. ეჯა გუნ სასდიკ ზურა̈ლ ლი (ბზ.) — ის ძა-ლიან მკაცრი ქალია. სასტიკ მა̈რე ლგმა̈რ გი-გო (ლშხ.) — სასტიკი კაცი ყოფილა გიგო.

სასტიკ იგივეა, რაც **სასდიკ.**

სასტრაფ, სასწრაფჵ (-იშ||-ა̈შ, -ა̈ლ ბზ., -იშ, -ალ ლშხ.) — საჲამნე, პატრონგამჩ. ციოყდ ქალა̈ჲბე სასტრაფ (ბზ.) — ციოყმა საჲამნე შეიბა. სასტრაფ ქალგრო̄ნჩხე ხჵლ-ჵა̈ნ პატრონელშჵ (ლშხ.) — საჲამნე ტყუე-ბით პქონდა გამოჭედილი. შდრ. **საბგრწა̈მ.**

სასჵა̈ბ (-იშ) ბზ. — გასაქანი, საშუალე-ბა. სასჵა̈ბ მა̄მ მა̄რ ბა̈რგი ლადა̄სგდ (ბზ.) — ბარგის დადების საშუალება არ მაქვს.

სასწრაფჵ იგივეა, რაც **სასტრაფ.**

საჵდ (-იშ) ბზ., **სეჵდ, სეჵდ** ბქ., ქხ. — სეედა, მონატრება, ნახვის ნატვრა. [ჳყინტს] ოხჳა̈დ დი̄ნა̄ საჵდ (ბზ. 433) — ეაქს მოენატრა გოგო (მოუეიდა გოგოს სეედა). ქორს ჰამუნ-ლჵე ნებოზდი სეჵდ ხაყა (ანდ.) — სახლი დი-ლიდან საღამომდეც მოგენატრებაო.

საჵჭმ იგივეა, რაც **სა̈ჵიჭმ.**

საჵ იგივეა, რაც **სა̈ჵ**[1].

საფლა̈ჵ (-იშ, -ლაჵა̈რ) ზს. ლნტ. **საფ-ლა̈** (-ლაჵ) ბქ., **საფლაჵ** (-არ) ლშხ. — საფ-ლავი, სამარე. ნა̈ბოზს საფლა̈ჵს იწჵა̈ნეხ (ბზ. 8) — საღამოს საფლავს მოინახულებენ. ჸა̈სე-რჵ ესლაჩხ საფლაჵყი (ბქ.) — საფლავს უდა-რაჯეთო. მა̈გ ესერ ხაწჵა, ეჩქას საფლა̈ გარ ხაკლი (ანდ.) — ყველაფერი როცა გაქვს, მაშინ საფლავიღა გაკლიაო. მუტჵა̈რს ხოტჵრენიხ საფლაჵყა̈ნ (ლშხ. 25) — სანთელს უნთებენ საფლავზე.

საფტინ (-იშ, -ა̈რ ზს., ლნტ., -არ ლშხ.), **სამტინ** (-ა̈რ) ბქ. — შაბათი. საფტინ ლირ-ჰა̈ლთე ჸა̈ხჵნა̈ზჵრა̈ნდ (ბზ. 40) — შაბათს, გათენებისას შევეყროდით. ჯი ესერ იდგა̈რი თანფა̈ საფტინ ლადელ (ბქ. 10) — მე ალდგო-მის შაბათ დღეს მოვკვდებიო. საფტინს, ჲერჵ თანფა ნე̄სგა ჩუკჵლარს ხოხალხ ლიმზგრ (ლშხ. 27) — ორი აღდგომის შუა, შაბათს, ჩუკუ-ლელებმა ლოცვა იციან საფტინ ლა̈დელ დოსკ ღგრიხ ლახჵხო (ლნტ.) — შაბათ დღეს მთაში ადრე მიდიან.

საფუა̈რ, საფჵა̈რ (-იშ, -ჵარა̈რ ზს., -ჵარა̈ლ ბზ., ლნტ.), **საფუარ** (-ალ) ლშხ. 1. სა-ფუარი. ეშხუ ასა̈ლ საფჵა̈რი მგლჩად (ბზ.) — ერთი საფუარის მცეელად დარჩა. საფუა̈რს ქა ხჵიმასედჵნედ ლა̈რბიელყი (ლნტ.) — საფუ-არს ვიტოვებთ (გამოვირჩევთ) ცხობისას. 2. სა-

საფუერე (ჭურჭელი). ქორისგა ხოჯგხ სემი საფუ̈ა̈რ (ბზ. 261) — სახლში სამი სასაფუერე უდგათ. საფუ̈ა̈რს ჩუ მგგემდ ლა̈ტებიდ მა̈გის (ლნტ. 33) — საფუარს თბილ ადგილზე ედგამთ კნინ. **საფუარგლ** ზს., **საფუარილ** ბქ., ლნტ., **საფუარე̄ლ** ლშხ.

საფუსნ (-იშ, -ა̈რ) ბზ., **საფუსდ** ბქ., -არ ლშხ., **საფუსტ** (-ა̈რ) ლნტ. — საბატონო, სამფლობელო. ალი ადგი დაჩქელანრე საფუსდ ლასუ̂ (ბქ.) — ეს ადგილი დადეშქელიანების საბატონო იყო. ჩო̄ლურ გალფხა̄ნარე საფუსნ ლგ̄მა̄რ (ლშხ.) — ჩოლური გარდაფხაძეების საბატონო ყოფილა.

საფუსტ იგივეა, რაც **საფუსნ.**

საფუ̂ა̈რ იგივეა, რაც **საფუა̈რ.**

საქლეუ̂ იგივეა, რაც **საქუელ.**

საქოლ იგივეა, რაც **საქუელ.**

საქუელ, საქლეუ̂ (-იშ, -ა̈რ) ბზ., **სა̈ქლეუ̂** ბქ., **საქოლ** (-არ) ლშხ. — საქოლავი ქვა: სახურავზე (ყავარზე) დასაწყობი სამაგრი ქვა. ტუ̂იბჩუ ხოჩა საქლეუ̂ ბაჩა̈რ ა̈მითხ (ბზ.) — ღელეში კარგი საქოლავი ქვები მიპოვეს. ყარუ̂ი სა̈ქლეუ̂ ბაჩა̈რ ესდეხ (ბქ.) — ყავარზე საქოლავი ქვები დააწყვეს.

საქუ̂ნელ (-იშ) ბზ. — ჭირნახული. მაშე̄ნამ მუხუ̂ბა კიბდონა̈რ საქუ̂ნელშუ̂ გუ̂ეში ესხუ̂ი̄დ (ბზ.) — უფროს ძმას კიდობნები ჭირნახულით სავსე დახვდა.

საქგლ (-იშ, -ქლა̈რ) ბქ. — საქალებო, ქალების ხელსაქმისათვის განკუთვნილი სათავსო, ძველებური სვანური სახლის შესასვლელთან მიშენებული. ლუშნუ ქორს სგებინხენ საქგლს ხოგემხ (ბქ.) — სვანურ სახლს წინა მხრიდან საქალებოს უშენებენ.

სალარ იგივეა, რაც **სალა̈რ.**

სალა̈თ, სადათ (-იშ, -ა̈რ) ზს., **სა̄თ** (ა̈შ, -ა̈რ ბზ., -იშ, -არ ლშხ.), **სათ** (-სათა̈რ) ლნტ. — საათი. ქა̄ჩა̈დ ჩხარა სალა̈თ (ბზ. 440) — გავიდა ცხრა საათი. [მარეს] ქა ლახემხ ეშხუ სალა̈თ ლისკორემ ნა̈ბ (ბქ. 150) — კაცს ერთი საათის ფიქრის ნება მისცეს. სათ მა̈დ მულუ̂ანდა (ლნტ.) — საათი არ მქონდა.

სალა̈რ (-იშ, -ლარა̈ლ) ბზ., ლნტ., **სალარ** (-ალ) ლშხ. — სალარი. სალა̈რ ჩა̈ყ ა̈ნყიდხ (ბზ.) — სალარი ცხენი იყიდეს.

სალგრმათ, სა̈ლგრმათ (-იშ) ბქ., **სალგრბეთ** ლშხ., **სა̈ლერბეთ** ლნტ. — სალმრთო. სალგრბეთ ტაბაგუ̂ი ლოქ ხოსგურ დედე (ლშხ.) — დედა სალვთო სუფრაზე უზისო. სა̈ლერბეთ ტაბაგ ახუ̂ამარედ (ლნტ.) — სალმრთო ტაბლა მოამზადეთ.

საყა̄̈ნ[1] (-ყა̄ნა̈შ) ბზ., **საყა̈ნ** (-ყნიშ, -ყნა̈რ) ბქ., — ღეობაზე შესრულებული სიმღერა. საყნიშ მა̈ლდშუ̂ ესეროდ ლგმზგრე ლი მინე... მუშგუ̂რი! (ბქ. 80) — საყანის მადლით დალოცვილიყოს ჩვენი სტუმარიო!

საყა̄̈ნ[2] (-იშ) ბზ., **საყე̄ნ** ლშხ. — ქელეხის დროს დიდი რაოდენობით სასმელ-საჭმელის ემოში დადგმა და არყის სმის წესი მიცვალებულის სახელზე (სიტყვასიტყვ. გასატანებელი). ჩუ̂ესგემხ კალისა ტაბაგს... ალეს საყე̄ნს ხაყლეხ (ლშხ. 36) — ემოში ტაბლას დადგამენ. ამას საყენს (გასატანებელს) ეძახიან.

საყდა̈რ (-დრიშ, -დრა̈ლ ბზ., -დრა̈რ ბქ., -იშ, -დარა̈ლ ლნტ.), **საყდარ** (-დრიშ, -დრალ) ლშხ. — საყდარი, ეკლესია. ლეტუ̂რა̄̈ლს ხაპუ̂დიხ ჩი̄ს, ერუ̂ა̄̈დ საყდა̈რს ნარდუ̂ ლი (ბზ. 14) — სანთლებს აძლევენ ყველას, ვინც ეკლესიაში ნამყოფი. სტა̄რუ̂ნიში... ზაგარუ̂ი ლგგა̄ნ... საყდარ (ლშხ. 50) — ჯვრის გადასასვლელზე ეკლესია იდგა. საყდა̈რს ხუსკიდიდ (ლნტ.) — საყდარს ვუყურებთ. კნინ. **საყდრილ** ზს., **საყდარე̄ლ** ლშხ., **საყდარილ** ლნტ.

საყდურ იგივეა, რაც **სა̈ყუ̂დირ.**

საყუ̂ედირ იგივეა, რაც **სა̈ყუ̂დირ.**

საშშობ იგივეა, რაც **შა̈შშობ.**

საშჩიუ̂არ იგივეა, რაც **სა̈ჩიუ̂არ.**

საჩფგლ (-ა̈შ, -ა̈რ) ზს. — ერთი საქალამნე ტყავის ღირებული (საფასური) რამე. ყუ̂ეკრე მგკდა... ხოჯდე მა̈გ ეშხუ საჩფგლ კუ̂ეცან (ბქ. 7) — ზვარაკის მომყვანს ყველა ერთი საქალამნე ტყავის საფასურ ხორბალს მოუტანს.

საჩქუ̂ა̈რ (-უ̂რიშ, -უ̂რა̈ლ ზს., -იშ, -უ̂არა̈ლ ლნტ.), **საჩქუ̂არ** (-ალ) ლშხ. — საჩუქარი. მგკგლმა̈ხიდ უ̂ოქუ̂რეშ კალმახ ლუ̂აპა̈რს

ოთჴიდ საჩქჷა̈რდ (ბზ. 381) — მეთევზემ ოქროს თევზი საჩუქრად მიუტანა ვაჭარს. საჩქჷა̈რდ ეშხჷარ ქორ ესერ და̈ს ხოცჷა (ანდ.) — საჩუქრად ერთიმანეთისათვის სახლი არავის აუკიდებიაო. დიმთილს ხოჩა საჩქჷა̈რს ხაჷედიხ (ლნტ.) — დედამთილს კარგ საჩუქარს აძლევენ.

საციქჷ იგივეა, რაც **სა̈ციქჷ**.

საძუჷ (-იშ, -ა̈რ ჩს., ლნტ., -არ ლშხ.) — საძუე. მახე საძუჷ გჷა̄რ ლეთმე (ბზ.) — ახალი საძუე უნდა ეიმოვოთ. ჩა̄ყს საძუჷ ოხჷმეწჷინ (ლშხ.) — ცხენს საძუე გაეუსწორე.

საწუთრ[1] (-იშ, —, ბზ., ლშხ.) — საწუთრო. ა̈დსგიდდახ საწუთრი სა̈რკთე (ბზ. 74) — ჩაიხედეს საწუთროს სარკეში.

საწუთრ[2] (-იშ, -ალ) ლშხ. — ლამაზი, კოხტა, სანატრელი, სასურველი. მე̄ჷარ საწუთრ მუშგჷრი ლი (ლშხ.) — ძალიან სასურველი სტუმარია.

საწყინ (-იშ, -ა̈რ) ჩს., **საწყენ** (-არ) ლშხ., **სა̈წყენ** (-ა̈რ) ლნტ. — საწყენი. საწყინ გჷეშ ხეყა̈რხ (ბზ.) — საწყენი საქმე დაემართათ. ისგჷი საწყენ ნოსჷ ხასმა (ლშხ.) — შენი საწყენი ნურავისამც სმენია. სა̈წყენ გჷეშ ხეყარხ (ლნტ.) — საწყენი საქმე დაემართათ.

საჭირო იგივეა, რაც **სა̈ჭირო**.

სახ იგივეა, რაც **სა̈ხ**.

სახელწიფ, სახელწიფხ იგივეა, რაც **სახელმწიფ**.

სახინახობ, სახლინახობ (-იშ, -არ) ლშხ., **სა̈ხინახობ, სახნა̈ხობ** (-ა̈ლ) ლნტ. — „სახლინახობა“ (ნიშნობითურთ). სახლინახობ ლე̄ჷთ ძღჷდ ხინ [ხა̄რხ] (ლშხ. 30) — „სახლინახობა“ დღეს დიდი ლხინი აქეთ. ალახ გჷეშს ჷა̈ნასყენახ, სა̈ხინახობს იჩომდახ (ლნტ. 48) — რაკი საქმეს მოაგვარებდნენ — „სახლინახობას“ აწყობდნენ.

სახიშ იგივეა, რაც **სა̈ხიშ**.

სახკაფ იგივეა, რაც **სა̈ხკა̈ფ**.

სახლინახობ იგივეა, რაც **სახინახობ**.

სახმახ იგივეა, რაც **სა̈ხმა̈ხ**.

სახნახობ იგივეა, რაც **სახინახობ**.

სახრა̈ბ (-იშ ბზ., -რაბა̈შ ბქ.), **სახრებ** (-იშ) ლშხ., **სახარება** (-ბა̈ჲშ, -ბა̈ლ) ლნტ. 1. სახარება. სახრებს იჭჷდა̄ნეხ (ლშხ.) — სახარებას კითხულობენ. 2. აღდგომის ცისკრის წირვა. ლიზგნგლა̈გი ერ ა̈დბინეხ, სახრა̈ბიშ წიროჷლდ ლა̈ჯხალდა (ჰოფზ. 328) — ზარის რეკა რომ დაიწყეს, აღდგომის ცისკრის წირვა გაგონა. სახრებთე მე̄ზი ჷენრექჷოლ მახე ლერქჷალშჷ (ლშხ. 25) — აღდგომის ცისკრის წირვაზე წამსვლელი ახალი ტანსაცმლით შეიმოსებოდა.

სახჷშირ იგივეა, რაც **სახშჷირ**.

სახშჷირ (-იშ, -შჷრა̈ლ) ბზ., **სახჷშირ** ბქ. — შარვალი. ლინთჷიშდ ა̈შხბიხ... სახჷშირს [კჷლიაშს] (ბქ. 239) — საზამთროდ კერავენ ხამი შალის შარვალს. იხ. **შა̈ლბარ, შალჷარ.**

საჴეჷ იგივეა, რაც **სა̈ჴეჷ**.

საჴსა̈რ (-იშ, -სარა̈ლ) ჩს., ლნტ., **საჴსარ** (-ალ) ლშხ. — სახსარი, ტყვის გამოსახსნელი გადასახადი. ნჷ̄თია̈რდ საჴსა̈რ ანნა̈ზორეხ (ბზ. 26) — ნათესავებმა სახსარი შეაგროვეს. ათოჭირახ ა̈გიხო... საჴსა̈რ 'ანჴიდდ! (ლნტ. 105) — შეუთვალეს თურმე სახლში, გამოსახსნელი მოიტანეთო!

საჴსნილ (-იშ) ბზ., **სა̈ხსნილ** ლნტ. — სახსნილო, არასამარხვო საჭმელი. ქჷინს მა̄დ ხოცხა ეჯ ლე̄ჷთ საჴსნილ (ბზ. 11) — სულს არ ურჩევნია იმ ღამეს სახსნილო. ჴსნილისა სა̈ჴსნილ ლეზჷებს ამარახ (ლნტ.) — ხსნილში სახსნილო საჭმელს ამზადებდნენ.

საჯა̈ყ (-იშ, -ჯაყა̈რ) ბზ., ლნტ. **საჯაყ** (-არ) ლშხ. — 1. უცნაური, საოცარი, საკვირველი. საჯა̈ყ დი̄ნა ლი (ბზ.) — უცნაური ქალიშვილია. — 2. ქს. ცუდი, უშნო, უხეირო. ძღჷდ საჯაყ მა̄რე ლი (ლშხ.) — ძალიან ცუდი კაცია. ამკა̈ლი საჯა̈ყ მარე მა̈დ მიწჷა გუშკჷე კჷითხისა (ლნტ.) — ასეთი უხეირო (უხიაგი) კაცი არ მინახავს ჩვენს კუთხეშიო.

საჯენ, საჟენ (-ჯნიშ, -ნა̈რ ბზ., -იშ, -არ ლშხ.), **სა̈ჯენ, სა̈ჟენ** (-ჯნიშ, -ნა̈რ ბქ., -იშ, -ა̈რ ლნტ.) — საჟენი. მგშკიდს ჷ'ახშკა̄დჷნედ უსგჷა საჟენ ნა̄ჭა (ბზ. 81) — გამოაჭედვინეთ მჭედელს ექვსი საჟენი ჯაჭვი. საჯენდ ხოშა̄მ

ნანკლათხან იჩოხ მჷრყჷამს (ლშხ. 20) — სიმაღლით საქენზე მეტს აშენებენ კოშკს. ჲერბი სა̈ჯენჲი აშთხა̈რხ გიმ (ლნტ. 250) — მიწა ორ საქენზე ამოთხარეს.

სა̈ბ (-იშ, -საბა̈რ) ზს., **საბ** (-არ) ლშხ. — ახალმოჭრილი, ნედლი, წერილი შეშა. სეჲს საბ ოსდეხ (ლშხ.) — მარხილის წერილი შეშა დაუდეეს.

სა̈ბელ იგივეა, რაც **სა̄ბელ.**

სა̈ბჭო იგივეა, რაც **საბჭო.**

სა̈გ (-იშ) ბქ., **საგ** ლშხ. — „მოყვანილობა" (მომარდი საქონლისა). ხოჩა სა̈გიშ ლჷნ ლი (ბქ.) — კარგი „მოყვანილობის" სბოა.

სა̈და იგივეა, რაც **სედა.**

სა̈დილ (-დლიშ, -დლა̈რ ზს., -იშ, -ა̈ლ ლნტ.), **სადილ** (-დლარ) ლშხ. — სადილი. დი̄ნად სა̈დილ ოთჲიდ მიჩა ლაჯმილას (ბზ. 401) — გოგომ სადილი მოუტანა თავის ძმებს. ლგჷფკელ ქ'ანჷგან სა̈დილიშ ლამარათე. (ბქ. 94) — ქალბატონი ადგა სადილის გასამზადებლად. სადილს ბაპარს ხა̄მნეხ მგლზონა (ლშხ. 28) — სადილს მღვდლებს მონაზვნები აჭმევენ. მიჩა დაჩჷირს ახოჲიდა სა̈დილ (ლნტ. 277) — მის დას სადილი მოუტანია.

სა̈დლობ (-იშ||-ა̈შ, —) ზს., ლნტ. **სადლობ** (-იშ) ლშხ. — სადილობა. სადლობა̈ დრო̈ჷქა ჲედნი მეშხე და̈̄ჷ (ბზ. 255) — სადილობის დროს შავი დევი მოდის. ხეხჷ-ჭა̈შს სა̈დლობ ხარხ (ბქ. 103) — ცოლ-ქმარი სადილობს (ცოლ-ქმარს სადილობა აქვთ).

სა̈დჷ, სჷა̈დ (-იშ, სადჷა̈რ||სჷადჷა̈რ) ბზ. — სადენი მიწის ქვეშ, (მილი). ლგჷჯ' ესერ სჷა̈დშჷ ხა̄რა ლჷკჷა̈რ ჰა̈ზჷთე (ბზ.) — რძე სადენით (მილებით) ჰქონია ეზოში შემოყვანილი (შემოგდებული).

სა̈ზრ იგივეა, რაც **სა̄ზრ.**

სა̈თითჷრ იგივეა, რაც **სათა̈თჷრ.**

სა̈ინ (-იშ, -ა̈რ ბზ., ლნტ., სა̈ჲნიშ, საჲნა̈რ ბქ.), **საინ** (-არ) ლშხ. — თეფში. ჷოქრეშ სა̈ინჲი ხო̄ზ თე (ბზ.) — თვალი ოქროს თეფშზე უდევს. ჭიქ ი სა̈ინ ზჷრალა̈შ ესერ ქა̈ხე ლი (ანდ.) — ჭიქა და თეფში ქალის სახელიაო.

სა̈კაცხ, საკა̈რცხ (-კცხიშ, -კცხა̈რ) ზს., **საკაცხ̈** (-იშ, -არ) ლშხ., **საკა̈ც** (-კაცა̈რ) ლნტ. — ჯალამბარი, საკაცე. ლგდგარ საკაცხჷშ ანჲიდხ (ლშხ.) — მიცვალებული საკაცით მოასვენეს (მოიყვანეს). შიშტ ანა̈სყეხ საკა̈ც (ლნტ.) — სწრაფად გააკეთეს საკაცე.

სა̈კმეჷელ იგივეა, რაც **საკმეჷელ.**

სა̈კსა̈რ (-სრიშ, -სარა̈ლ||-სარა̈რ ბზ., -იშ, -სარა̈რ ბქ.) — ბერკეტი, საკისარი. სა̈კსა̈რ გჷაწჷგხ დი̄რი ქალადასგდ (ბზ.) — ბერკეტი გვჭირდება დირეს გასადებად.

სა̈კჷრელ (-იშ, -ა̈რ ზს., -ა̈ლ ლნტ.), **საკჷრელ** (-ალ) ლშხ. — საკვირველი, საოცარი. დი̄ნას მა̈ჲ სა̈კჷრელ, აფიცერთე ხოცხა̈ნ ლიწჷი̄ლა̈̄ლ (ბზ.) — გოგოს, რასაკვირველია, ოფიცერზე ერჩია გათხოვება. მაჲ საკჷრელ ლი, ერე ბაპ ჩუ ხოტბგლი (ლშხ. 9) — მღვდელი, რასაკვირველია, აკურთხებს სუფრას. სა̈კჷრელ [ლენაბაჲ] ლი კაცოლშა გჷეშ (ლნტ.) — საკვირველია კაცოაანთ საქმე.

სა̈კგრცხჷილ იგივეა, რაც **საკარცხჷილ.**

სა̈ლტ (-იშ, -ა̈რ) ზს., ლნტ., **სალტ** (-არ) ლშხ. — სალტე. რაყს სა̈ლტ ყოხსყეხ (ბზ.) — კასრს სალტე გაუკეთეს. ჷრემდ სალტარ მა̄რ ლეჭმი̄ნე (ლშხ.) — ურემს სალტეები უნდა შემოევლო.

სა̈ლხინ (-იშ, -ა̈რ) ზს., ლნტ., **სალხინ** (-არ) ლშხ. — სალხინო, ლხინში სახმარი. სა̈ლხინ ტაბა̈გჷ ჯა̄რხ ლემა̄რე (ბზ.) — სალხინო სუფრა მოგვემზადებინოთ. სალხინდჷ ლოქ ლაჯჲედა ალე მაგ მჷშგჷრი მე̄რმაჲი! (ლშხ. 35) — მეორედ სალხინოდ მოგვსვლოდეს ამდენი სტუმარიო! ალე სა̈ლხინ ლჷინალ ლი (ლნტ.) — ეს ლხინში სახმარი ღვინოა!

სა̈მჷნ (-ა̈შ, ლა̈სმჷნა) ბზ., **სემჷნ** (-იშ, ლა̈სმჷნა ბქ., ლასმჷნა ლშხ., ლა̈სემნა ლნტ.) — ცოლისძმა. ⌈და̈̄ჷ⌉ჯიჯჷა̈რს მიჩა ლა̈სმჷნას ხოშდე (ბზ. 401) — დევი ძელებს თავის ცოლისძმებს უგრის. ძჷერს ჯი იზბი... ჯიჯჷს მიჩა სემჷნს ხატყცი (ბზ. 114) — ხორცს თვითონ ჭამს, ძვალს თავის ცოლისძმას ურტყამს. გეგის ხოჩა სემჷნ ხაყა (ლნტ.) — გეგის კარგი ცოლისძმა ჰყავს.

სა̈მწ (-იშ, -ა̈რ) ბზ., **სამწ** ბქ. 1. ბზ. მოე-

ნა, შეძენა. ხოჩა სა̈მწიშ ლი (ბზ.) — კარგი მშოვნელია (კარგი შოვნის არის) 2. შემწეობა, ხელშეწყობა.

სა̈მწჳინ (-იშ) ზს. — ხეირიანი, გამართული, კარგი. სამწჳინ ა̈ზჳ ხარხ მგსყე||ლგსყე (ბქ.) — გამართული (გაკეთებული) ემო აქვთ. **სა̈მწჳინდ** ზს. ზ მ ნ ს. — ხეირიანად, გამართულად, კარგად. გჳეშს სა̈მწჳინდ ხაკუ ლიჩჳმე (ბქ.) ლისყი (ზს.) — საქმეს ხეირიანად უნდა გაკეთება.

სა̈ნგეჭჳ იგივეა, რაც **სანგა̈ჭჳ**.

სა̈ნდ იხმარება გამოთქმაში **სა̈ნდ ლიგნე** — ნაკუწებად ქცევა. თა̈კჳ ესერ სა̈ნდ ოთგენახ (ბქ.) — თოკი ნაკუწებად უქცევიათო. სანდ ლას მეჩდე [ლგგნე] (ლშ.) — ნაკუწებად იყო ქცეული. ბოფშა̈რს მა̈გ სა̈ნდ ათოგენახ (ლნტ.) — ბავშვებს ყველაფერი ნაკუწებად უქცევიათ.

სა̈ნეფ იგივეა, რაც **სანეფ**.

სა̈ნყჳირ იგივეა, რაც **სამყჳირ**.

სა̈ნცხერ იგივეა, რაც **სანცხჳერ**.

სა̈ნჭლა (-ლა̈̄შ, -ლა̄ლ ბზ., -ლა̈შ, -ლოლ ბქ.) — კანდრიბი, კირკალი. ჭა̈ნდ სა̈ნჭლა ჩჳაყჳიჩ (ბზ.) — ხარმა კირკალი გატეხა.

სა̈ნჯ (-იშ, -ა̈რ) ზს. — სამხრეული ღვედი, თასმა. თეფიშ სა̈ნჯ (ბქ.) — თოფის სამხრეული ღვედი.

სა̈ჟენ იგივეა, რაც **საჯენ**.

სა̈რგებ (-იშ) ზს., ლნტ., **სარგიბ** უშგ., **სარგებ** ლშ. — სასარგებლო, სარგებელი. წინწილ ხა̄მნე მიჩა დის, მარე სა̈რგებდ მა̄მა̄დ ოხჯა̈დ (ბზ. 251) — წიწილი აჭამა თავის დედას, მაგრამ ისევ არ არგო. ამ ლგცა̈რს გუნ სა̈რგებ ხეფსიხ (ბქ. 227) — ეს წყლები ძალიან სასარგებლოა (სასარგებლო გახდებიან). სა̈რგებ მა̈დმა ხოწჳახ ლახჳხო ლიზიჳშ (ლნტ.) — მთაში წასელით სარგებელი არაფერი უნახავთ.

სა̈რკ (-იშ, სარკა̈ლ ბზ., ლნტ., -სარკა̈რ ბქ.), **სარკ** (-ალ) ლშ. 1. სარკე. ა̈დსგიდდახ საწჳთრი სა̈რკთე (ბზ. 74) — საწუთროს სარკეში ჩაიხედეს. სა̈რკ დეშ ა̈ხჳთხედ (ლნტ.) — სარკე ვერ ეიპოვეთ. გ ა დ ა ტ. დეც სა̈რკდ ლგგ (ბქ.) — ცა მოწმენდილია (ცა სარკედ დგას). 2. მინა. ბაბად კუბს ჟიქანქა სარკა̈რ ხა̈ყერ (ბქ. 111) — მამამ კუბოს ზემოდან მინები გაუკეთა.

სა̈სტიკ იგივეა, რაც **სასდიკ**.

სა̈ჳლდ (-აშ, -ა̈რ) ბქ. — 1. ნიკაპი. მი სა̈ჳლდ მებჯჳე მად (ბქ.) — მე ნიკაპი გახეთქილი მქონდა.

სა̈ჳ[1] (-იშ) ზს., ლნტ., **საჳ** ლშ. — ოსეთი (ძველი გაგებით), ახლა: მთის გადაღმა მხარე, ჩრდილოეთკავკასიელი თურქულენოვანი ხალხების საცხოვრისი. ალ ჳოლრეშ ი კოჯა̈რ ეჩხა̈ნჩუ სა̈ჳ ლი (ბზ.)— ამ მყინვარების და კლდეების იქით ოსეთია. სა̈ჳით' ოჩადდ ლა̈ჭმათე (ბქ. 17) — ოსეთში წავედით სათიბად. ალ ხა̈ტ ლგმარდელი სა̈ჳს (ლნტ. 95) — ეს ხატი ოსეთში ყოფილა.

სა̈ჳ[2] (-იშ, საჳა̈რ) ზს., ლნტ. **სეჳ** (-არ) ლშ. — მარხილი. ყაბათგრ ჟი ხა̄გ სა̈ჳჟი ი ანღრი კე̄სა̈რთე (ბზ. 259) — ყაბათირი მარხილზე დგას და კეისართან მოდის. მოღა̈ჳს სა̈ჳა̈რჟი ხოლჯენიხ (ბქ. 230) — მოსავალს მარხილებზე აკრავენ. სეჳ ლგმა̄რე ხეკჳეს ლგ̄გე̄ნდეს (ლშ. 16) — მარხილი გამზადებული უნდა იდგეს კ ნ ი ნ. **სა̈ჳლდ** ზს., ლნტ., **სეჳლ** ლშ. ჰემს ეშხუ სა̈ჳლდ ქა ხეფსი (ბზ.) — თივა ერთი პატარა მარხილი გამოვა.

სა̈ჳიჭმ (-იშ, -ა̈რ) ზს., ლნტ., **საჳჭმ** (-არ) ლშ. — სამარხვო. დედედ სა̈ჳიჭმ ლეზჳბა̈რ ჟ'ანმა̄რე (ბზ.) — დედამ სამარხვო საჭმელები მოამზადა. ადგომ ლადელ სა̈ჳიჭმ ნაყუნ გარ იმა̈რი (ბქ. 75) — ადგომა დღეს (ნათლიღების წინა დღე) მხოლოდ სამარხვო საჭმელი მზადდება. სა̈ჳიჭმს გარ ხჳიზჳებ'ი'დ ჳიჭმისა (ლნტ.) — მარხვაში მხოლოდ სამარხვო საჭმელს ვჭამთ.

სა̈ჳ-ჩა̈ჳ (-იშ, -ჩაჳა̈რ) ზს., **სეჳ-ჩეჳ** (-არ) ლშ. — მარხილი და ჩეო, ჩეოიანი მარხილი. ჯა̈ნი ლესგ აშხჳ სა̈ჳ-ჩა̈ჳთ' ე̄სჳდედ (ბზ. 27) — ხარის ფეშხო (გვერდი) ჩეოიან მარხილში ჩაედეთ. კირ სა̈ჳ-ჩა̈ჳშ ქორა̈რთე ოხლჳახ (ბქ. 277) — კირი ჩეოიანი მარხილით სახლებში მიაქეთ. ენწს სეჳჩეჳშჳ იმა̄ჯეხ (ლშ.) — ნაკელს ჩეოიანი მარხილით ეზიდებიან.

სა̈ფჯა̈ლ, სა̈ფგრჯელ (-იშ, -ა̈რ ზს.) იხ-

მარბა მრავლობითში. — საფეხურები — საქსოვი დაზგის ნაწილი. ლელჯჳმარა̈რს სა̈ფჴალა̈რ ხა̈ბხ ჩუბაჳ (ბქ. 306) — დგიმ-სავარცხლებს საფეხურები (ფეხის გასაყრელი) აქვს მიბმული.

სა̈ფგრჴელ იგივეა, რაც **სა̈ფჴა̈ლ**.

სა̈ქლეჳ იგივეა, რაც **საქუელ**.

სა̈ლერბეთ იგივეა, რაც **სალგრმათ**.

სა̈ლგრმათ იგივეა, რაც **სალგრმათ**.

სა̈ყ (-იშ, საყა̈რ) ბქ. — სამანი. მიშგჳა დაბლისგა ჲესჳალა სა̈ყ ესჳჩიხნა (ბქ.) — ჩემს ყანაში ვიღაცას სამანი ჩაურჭვია.

სა̈ყჳდირ (-დრიშ, -ა̈ლ ბზ., -იშ, -ა̈რ ბქ.) **საყდურ** (-ალ) ლშ., **სა̈ყჳედირ** (-ა̈ლ) ლნტ. — 1. საყვედური. ლახჳბად სა̈ყჳდირ ხა̈ქჳხ [ხოხჳრა მუხჳბეს] (ბზ. 109) — ძმებმა საყვედური უთხრეს უმცროს ძმას. ცერა სა̈ყჳდირდ ხესდენიჳ ზურალ ირიჳ ა ლჳაყმარა (ბქ. 294) — მიტოვება (დაშორება) სასაყვედუროდ (სირცხვილად) რჩებოდა — ქალი იქნებოდა თუ კაცი. [მა̄რჳალს] საყდურდ მა̄მა ხა̄რხ ლემყალ (ლშ. 48) — მედიატორებს საყვედურის შიში აღარ აქვთ. — 2. ბქ. გლახაკი, უშნო. ამკა̈ლიბ სა̈ყჳდირ ამსჳალდ დემეგ მიწჳა (ბქ.) — ასეთი გლახაკი ადამიანი არსად მინახავს.

სა̈შშობ იგივეა, რაც **შა̈შშობ**.

სა̈ჩიჳა̈რ (-ჳრიშ, -ჳრა̈ლ ბზ., -ჳრა̈რ ბქ., -იშ, -ჳარა̈ლ ლნტ.), **საშჩიჳარ** (-ალ) ლშ. — საჩივარი. სა̈ჩიჳა̈რთე დეშ ლურდად (ბზ. 38) — საჩივლელად ვერ მივდიოდით. ლგქჳთერ სა̈ჩიჳა̈რს ლეშტ იტხა (ბქ. 208) — გაქურდული საჩივარს უკან იბრუნებდა. სა̈ჩიჳა̈რი ლიირე შკჳირ ხაბაყახ (ლნტ.) — საჩივრის დაწერა სირცხვილად მიაჩნიათ.

სა̈ციქჳ (-იშ, -ა̈რ ბზ., ლნტ., -ცქჳიშ, -ცქჳა̈რ ბქ.), **საციქჳ** (-იშ, -არ) ლშ. — საციქველი. სა̈ციქჳთე მეცა̈დ მოშ ეჯჲა̈რთე? (ბზ.) — იმათთან საციქველისთვის ვერ გამეგზავნები? საციქჳი ლიჳდი მა̄ შიდ ზომხიე̄რ (ლშ.) — ახალ წელს საციქველის გაცემა არ შეიძლება. სა̈ციქჳი ლიჳედი მა̈დ ხამა̈ჭირხ (ლნტ.) — საციქველის მიცემა არ ეზარებათ (არ უჭირთ).

სა̈ჭირო ზს., (-ჲშ) ლნტ., **საჭირო** (-ო̄შ, —) ლშ. — საჭირო. სა̈ჭირო ესერ მა̄მა ხა̄რ [ლი̄ზი] (ბზ. 251) — საჭირო არ არის წასვლაო. ა̈დკიდახ სა̈ჭირო სახსა̈რს (ბქ. 240) — გადაიხდიდნენ საჭირო სახსარს. [ბა̈ჩი] ლა̈ჲასკდ სა̈ჭირო ლი ჩა̈ჳ (ლნტ. 23) — ქვის წასალებად საჭიროა ჩეო.

სა̈ხ (-იშ) ზს., ლნტ., **სახ** ლშ. — 1. სახე. ლა̈ჭმათე̄სგა მა̄რა̄ლე სა̈ხჲი ანჴა̈დხ ჯგჷრა̈გ ი... ა̈ნგლოზა̈რ (ბზ. 289) — წმინდა გიორგი და ანგელოზები სათიბში კაცის სახით მოვიდნენ. — 2. ბქ. საქმე; წესი. ბერჟემ სა̈ხ მგშკიდს ესერ ხოხალ (ბქ.) — რკინის წესი მჭედელმა იცისო. ლემბა̈ჲ ლი ისგუ სა̈ხ (ბქ.) — გასაოცარია შენი საქმე.

სა̈ხელმწიფ (-იშ, -ა̈რ) ზს., ლნტ., **სახელწიფხ** ბქ., **სახელწიფ** (-არ) ლშ. — სახელმწიფო. ხელწიფდ ჩჳა̈დნა̈ზჳრე მიჩა სა̈ხელმწიფისგა მერდე მა̄რე მა̈გ (ბზ. 249) — ხელმწიფემ თავის სახელმწიფოში მყოფი ყველა კაცი შეაგროვა. შამშია̈თილ ათასდდა ეშხუ სახელწიფხს (ბქ. 53) — შამშიათილი წააწყდა ერთ სახელმწიფოს. ეჯ სახელწიფისა ხენწიფს ხაყე̄ნა ზითუნახაჳ [დინა] (ლშ. 67) — იმ სახელმწიფოში ხელმწიფეს მზეთუნახავი ქალიშვილი ჰყოლია. ხორჳა მუხჳბეს ა̈სესად ეჯ სა̈ხელმწიფოჲ ბატონობ (ლნტ. 314) — იმ სახელმწიფოს ბატონობა უმცროს ძმას დარჩა.

სა̈ხინახობ იგივეა, რაც **სახინახობ**.

ფანჯ'ჺ'ალ (-იშ, -ა̈რ) ბქ. 1. ფართხუნა, განიერი რამ. ეჯ მარა ფანჯჺალ პალტო ხაქუდ (ბქ.) — იმ კაცს ფართხუნა პალტო ეცვა. 2. ჩასკვნილი.

ფანჯასან (-იშ, -ა̈რ) ლხმ. — გამხმარი. გიმ ფანჯასანდ ლგგ (ლხმ.) — მიწა გამომხმარია (გამხმარად დგას).

ფანჯა̄გჷლ, ფანჯა̄კჷლ (-აშ, -არ) ლშხ. — ქრთამი. ალ მა̄რე ფანჯა̄გჷლს მეშგო — ეს კაცი ქრთამს მთხოვს.

ფადდა იგივეა, რაც **ფა̈დდა**[1].

ფაჟ (-იშ, -ა̈რ) ბზ. 1. გაოგნებული, ელდანაცემი. დი ჰა̈რი ფაჟა̈რ გარ ასა̈დ — დედა მთლად ელდანაცემილა დარჩა. 2. მისუსტებული, გაძვალტყავებული.

ფაჟელა̈ (-იშ, -ლაუ ბქ.) — უგონოდ მოხეტიალე, ბოდიალა. ეშხუ ფაჟელა̈ ბეფშ მითრონ (ბქ.) — ერთ ბოდიალა ბავშვს ვიცნობდი.

ფარ[1] (-ა̈შ||-იშ, -ა̈ლ ბზ., -ა̈რ ბქ.) — ფიტი, თაფლგამოცლილი ფიჭა. ლჺებისგა ჰა̈რი ფარა̈ლ გარ არდახ (ბზ.) — სკაში ცარიელი ფიტებილა (ფიჭებილა) იყო. მეშხე ფარ ქა ლექჺცე ლი (ბქ. 308) — შავი ფიტი მოსაჭრელია.

ფარ[2] იგივეა, რაც **ფა̈რ**[1].

ფარან იგივეა, რაც **ფარა̈ნ.**

ფარაშ (-იშ, -ალ) ლშხ., ბოტ. — ბალახი თეთრი ვარდის მსგავსი ყვავილით.

ფარა̈ნ (-რნიშ, -რნა̈ლ ბზ., -რნა̈რ უშგ., -იშ, -რანა̈ლ ლნტ.), **ფანა̈რ** (-ნრა̈რ) ბქ., **ფარან** (-რნიშ, -რნალ) ლშხ. — ფანარი. ფარა̈ნ ჩჺა̈მფაჰჺა̈ნ (ბზ.) — ფანარი გამიფუჭდა. ფარან ხოლა̄მდ ატჺრენი (ლშხ.) — ფანარი ცუდად ანათებს.

ფარა̈შ (-იშ, -რაშა̈ლ) ბზ. — ფარეში, ჭანჭიკი, სოლი. პოლ ფარა̈შშჺ ახგნწყრჺე გერმანდ უშხჺა̄რ (ბზ.) — გერმანმა იატაკის (ფიცარი) ერთმანეთს მჭიდროდ მიაწყო სოლით.

ფარდა̈გ (-იშ, -დგა̈ლ) ბზ., **ფარდა̈ქ** (-დაქა̈ლ) ბზ., ლნტ., **ფარდაგ** (-ალ) ლშხ. — ფარდაგი. ჺა̈ზრა̈ლს ჩოთგრშეხ ფარდა̈გ (ბზ. 259) — ვეზირებს დაუგეს (გაუშალეს) ფარდაგი.

ფართჺიკჺ (-იშ, -ა̈ლ ბზ., -ა̈რ ბქ.), **ფართუკ'ჺ'** (-ალ ლშხ., -ა̈ლ ლნტ.) — წინსაფარი. მიშგჺა დადას ხემთქუნ ფართჺიკჺრე ლიშხბი (ბქ.) — ბებიაჩემმა იცოდა (ჩემს ბებიას სჩვეოდა) წინსაფრების კერვა. ბებეს ჭჷრელ ფართუკჺ ხა̄ბ (ლშხ.) — ბებიას ჭრელი წინსაფარი უკეთია (აბია).

ფარისეჺელ იგივეა, რაც **ფა̈რისეჺელ.**

ფარიქცეულ, ფარიცქეულ იგივეა, რაც **ფირცქეჷილ**.

ფარსაგ (-ა̈შ, —) ბზ., **ფარსა̈გ** (-იშ, —) ბქ., **ფარცაგ** ლშხ., **ფარცა̈გ** ლნტ. — ფარსაგი, კარვი. ქა ჯა̈ჩი̄ჲე ფარსაგ ა̈გითე (ბზ. 316) — ცოლს გათხოვენინებ (გაგასიძებ) კარგ ადგილას. **ფარსაგდ** ზს., **ფარცაგდ** ქს., ზ მ ნ ს. — რიგიანად, ღვარიანად, ბლომად, კარგად. ღორჷადს ფარცაგდ ხოჩიდხ (ლშხ.) — მატყლს არას ღვარიანად ურტყეს. ბაბად ღჷინა̈ლ ფარსა̈გდ მიჯგრის (ჰოუზ. 286) — მამამ ლეინო ბლომად მიკურთხოს.

ფარუკად იგივეა, რაც **ფარუკ'ჷ'**.

ფარუკე̄ლარ (-იშ, —) ლშხ. 1. პირფერობა, პირმოთნეობა. ჲეხჷდ ჭაშს ფარუკე̄ლარ ხაჭიდ — ცოლმა ქმარს პირფერობა დაუწყო (დაარტყა). 2. ცბიერება. შდრ. **ფერა̈ბ**.

ფარუკ'ჷ', ფარუკად (-იშ, -ალ) ლშხ. 1. პირმოთნე, პირფერი. ფარუკჷ‖ფარუკად მა̈როლ ჩი̄ს ხაჲისგ — პირფერი კაცუნა ყველას სძულს. შდრ. **ფა̈რშიჷ**. 2. ცბიერი. კ ნ ი ნ. **ფარუკე̄ლ**.

ფარჷ იგივეა, რაც **ფა̈რჷ**.

ფარფ იგივეა, რაც **ფა̈რფ**.

ფარფალ (-ფლა̈შ, -ფლა̈რ) ბზ., ლხმ., **ფარფ'ა'ლა̈ჲ** ზს. 1. ყლორტი. ნიჷრას ფარფალ ქა მეფჷ̈ჷდე ხა̈დ (ბზ.) — ნიორს ყლორტები გამოსული ჰქონდა. 2. ცეცხლის დიდი ალი. ფარფ'ა'ლა̈ჲ ლემესგ (ბზ.) — გუზგუზა ცეცხლი. 3. ხარ-კამეჩის უღლის ბოლო ნაწილები. 4. ლხმ. თევზის ფარფლები.

ფარფაშა̈ჲ (-ა̈იშ, -ა̈ლ) ბზ., **ფარფაშაჲ** (-აიშ, -აჷ) ლშხ. — შილიფად ჩაცმული. ფარფაშა̈ჲდ და̈̄რ ირქჷა̈̄ლ ისგჷანქა ლინთჷისგა (ბზ.) — ზამთარში შენს მეტი შილიფად არავინ იყვამს. შდრ. **ცინცილა̈ჲ**.

ფარშაჷანგ, ფარშაჷა̈ნგ იგივეა, რაც **ფა̈რშმა̈გ**.

ფარშა̈ (-იშ, -შაჷ) ლხმ. — საიდუმლოს გამცემი. ალ ჸურალ ფარშა̈ ლა̈სჷ — ეს ქალი საიდუმლოს გამცემი იყო.

ფარშიჷ იგივეა, რაც **ფა̈რშიჷ**.

ფარშმაგ იგივეა, რაც **ფა̈რშმა̈გ**.

ფარჩა (-ჩა̈̄შ, -ჩა̈̄ლ ბზ., -ჩა̄შ, -ჩე̄ლ ლშხ., -ჩა̈ჲშ, -ჩა̈ლ ლნტ.) — 1. ფარჩა, სტავრა. გიერგდ ა̈ნყიდ ფარჩა (ბზ.) — გიორგიმ იყიდა ფარჩა. 2. ბზ., უშგ. სვანური ქუდი.

ფარცაგ, ფარცა̈გ იგივეა, რაც **ფარსაგ**.

ფა'რ'ხსდი, ფახცი (-დი̄შ, -ცი̄შ, —) ბზ. — უხეში, ხაოიანი, ხორკლიანი. ლუშნუ ჷოლჲა̄ქა̈რს ფარხსდი მა̈ტყ ხა̈გხ — სვანურ ცხვრებს უხეში მატყლი აქვთ (ადგათ).

ფას იგივეა, რაც **ფა̈ს**.

ფასა̈ჲ[1] (-იშ, -ა̈რ) ბზ. — მოსავლიანი, ფასიანი, ხეავიანი. მიშგჷა ლა̈მთილა̈რს ფასა̈ჲ დაბა̈რ ხულჷა̈̄ნდახ (ბზ.) — ჩემი ქმრის ოჯახს (სამამამთილო-სადედამთილოს) მოსავლიანი ყანები ჰქონდათ.

ფასა̈ჲ[2] ბზ. — ქოთქოთა, ყაყანა. ქორთე ანჭა̈დ ფასა̈ჲ მა̈რე (ბზ.) — სახლში მოვიდა ყაყანა კაცი.

ფასკუნჯ (-იშ, -არ) ლშხ., **ფასკჷინჯ** (-ა̈რ) ლნტ. — ფასკუნჯი. ცხა̈კჷ ფასკჷინჯი ცინდალა̈ლს იზობდა (ლნტ. 26) — ქორი ფასკუნჯის ბარტყებს ჭამდა.

ფასკჷინჯ იგივეა, რაც **ფასკუნჯ**.

ფასობ (-იშ, —) ბქ. — 'გა'მოსავლიანობა. მისა̈ს ხოჩილ ფასობ ლი ნეჭნა̈შდ — წელს მარმანდელზე (მარმანდელის'ა'დ) უკეთესი მოსავლიანობაა.

ფასჷდ, ფასდჷ (-იშ, —) ლხმ. — ჩაჩუმი. ფასჷდ მოდე ისმი — ჩაჩიჩუმი არ ისმის.

ფატა̈ნ (-ტნიშ, -ტნა̈რ ზს. ლნტ., -იშ, -ტანა̈რ ლნტ.), **ფატან** (-ტნიშ, -ტნარ) ლშხ. — პერანგი. მა̈გ ფატა̈ნშჷ ასა̈დ (ბზ.) — ყველა პერანგის ამარა (პერანგით) დარჩა. ბებედ ფატან ემშხებე (ლშხ.) — ბებიამ პერანგი შემიკერა. ჯჷინალდ ხჷიქჷემდად ქანა̈ ფატა̈ნს (ლნტ. 6) — ძველად ვიცვამდით ტილოს (კანაფის) პერანგს. კ ნ ი ნ. **ფატნგლ'დ'** ბზ., **ფატლად** ჩბხ., **ფატნილ** ლხმ., **ფატლგდ** ფარ., **ფატნი̄ლ** უშგ., ლშხ.

ფაუ, ფაჷუ (ფაჷი̄შ, ფაჷა̈რ) ბზ., **ფაუ** (-ა̈შ ბქ., -იშ ლნტ., -ა̈რ ბქ., ლნტ.), **ფა̄უ** (ფა̄ჷშ, ფა̄უარ‖ფა̄ჷარ ლშხ.) — ჯოხი. ლახ-

ჟბად ბერჟა ფაჟარ ჩ'აჯიჩხ (ბზ. 2) — ძმებმა რკინის ჯოხები გაცვითეს. ზგსყი ფაუს ხასგჟრეჯ ბეფშჟს (ბქ. 6) — ნედლ ჯოხზე შესვამენ ბავშვს. მეჩი მარე ფაუს ჩუ იბაჯგე (ლშხ.) — მოხუცი კაცი ჯოხს დაეყრდნობა (დაიბჯენს). **ფაუ ლგყგგნე** (ბქ.) — გამხმარი ჯოხი, გადატ. უშილო, უძირო, უძეოდ გადაშენებული. **მიშგუოლდ ფაუ ჯუდჟე** (ბქ.) — ჩემი ჯოხი გქონდესო, ჩემს დღეში (ე. ი. ცუდ დღეში) ჩავარდნილიყავიო. **აშხჟ ფაუსოლჟ ლახზურგანხ** (ბქ.) — ერთი დროშის ქვეშ დავირაზმოთო („ერთ ჯოხს ჩავკიდოთ ხელიო"). კნინ. **ფაჟლდ** ბზ., **ფაულდ** ბქ., **ფაჟლ** ლშხ.

ფაჟუ იგივეა, რაც **ფაუ**.

ფაფალ (-ფლაშ, -ფლარ ზს., -იშ, -არ ლშხ., -ალ ლნტ.), **ფაფარ** (-არ) ლშხ. — ფაფარი. ჩაჲს ფაფალ ქაჟ ესერ ათფეშჟდხ (ბზ.) — ცხენს ფაფარი შეკრიჭეთო. ჲაკოფ ჩაჲს ხოსდგჟი ფაფალს (ლშხ. 60) — იაკობი ცხენს უწნავს ფაფარს. ლიგერგი თრჲსა ჩარს ფაფარ ხეძგრხანიხ (ლშხ. 14) — გიორგობის თვეში ცხენებს ფაფარი ებურდებათ (ეძახებათ, ეგრიხებათ). გადატ. მევანი, გორაკი, გორა. ამჲარს ქორ ფაღვარჟი ხაგნენახ (ბქ. 250) — ამათ თურმე მევანზე სდგმიათედგათ სახლი. გუშგჟე ქორ ფაფარი თხუმჟი ლგზგ (ლშხ.) — ჩვენი სახლი გორაკის თავზე დგას. კნინ. **ფაფლიდ** ბქ.

ფაფიაჲ იგივეა, რაც **ფაფიაჲ**.

ფაფრანჯ, ფაფრანჯიან[2] იგივეა, რაც **ფაფრანჯ**.

ფაფრანჯიან[1] (-იშ, -ალ) ლშხ. — მარჯვე, სწრაფი; გამჭრიახი. ჯაბა ფაფრანჯიან მარე ლი (ლშხ.) — ჯაბა მარჯვე კაცია.

ფაფრანჯ, ფაფრანჯჲაჲ (-'ა'იშ, -რანჯალ ბზ., -რაჯარ ბქ.), **ფაფრანჯ, ფაფრანჯიან**[2] ლშხ. — ახმახი; დიდი ძალ-ღონის მქონე არსება. ლამჟჟიდ ეშხუ ფაფრანჯჲაჲ დაჟ (ბზ.) — შემხვდა ერთი ახმახი დევი.

ფაქარ (-იშ, —) ბქ. — ჩირქი; წყლული. ფაქარდოღ აჲჩგდა ლეზებ-ლეთრე (ბქ.) — ჩირქად გადაგქცეოდეს საჭმელ-სასმელი! (წყევლაა).

ფაქრაჟან (-იშ, -ჟანალ) ბზ., **ფაქრაჟან, ფაქრეჟან, ფრექ** (-ალ ლშხ., -ალ ლნტ.) — უფსკრული, ხრამი. ყანსაჟს ფაქრაჟანდ ლოხრიღჟა მიჩა ლირდე-ლიზგე (ბზ.) — ყანსავს გაუნიავებია (უფსკრულისთვის მიუხეთქებია, გადაუყრია) თავისი ქონება (ყოფა-ცხოვრება). ბაბად ფეტჟ ფაქრაჟანს ლახრიღჟ (ლშხ.) — ბაბუამ ფეტვი ხრამში გადაყარა (ხრამს ჩაახეთქა). ლჟაშ ფრექს აშყად (ლშხ.) — ჯიხვი ხრამში გადავარდა.

ფაქრეჟან იგივეა, რაც **ფაქრაჟან**.

ფაქუტ (-იშ, -არ ლშხ., -ალ ლნტ.) — ფაცხა, ჯარგვალი, ქოხი. კნინ. **ფაქუტოლ** ლშხ., **ფაქუტოლ** ლნტ. ნაჲ სურუ ხოლა ფაქუტოლ გჟიგ (ლშხ.) — ჩვენ ძალიან ცუდი ქოხი გვიდგას. მგლდეღ ლახეკიან ფაქუტოლხო (ლნტ. 130) — მწყემსი გაიქცა (გაექანა) ფაცხისაკენ. შდრ. **ფაცხ**.

ფაქჟ იხ. **ფექ**.

ფაყჟ (-აშ‖-იშ, -არ ზს., ლნტ., -არ ლშხ.) — ქუდი. ამნემ ჩუ ლაჲკიდ ფაყჟ (ბზ. 281) — ამან მოიხადა (ჩამოიღო) ქუდი. ფაყჟარ ჩუ ლგკიდ ხარხ ჩის (ლშხ. 22) — ქუდები ყველას მოხდილი (ჩამოღებული) აქვთ. თხუმჟი ლეგემ გუღჟან გუშკჟეურა ფაყჟ (ლნტ. 6) — თავზე დასახურავად (დასადგამად) გვქონდა ჩვენებური ქუდი. ნაჲ ფაყჟარე თხუმჟი ნეგნი (ჰოუზ. 80) — ჩვენ ქუდები თავზე გვეხურება (გვედგმება). იხმარება გამოთქმებში: **ფაყჟაშ მგგემ** (ზს.) — მამაკაცი, ქუდოსანი („ქუდის 'და'მდგმელი"). მინე ლასკარისგა ფაყჟაშ მგგემ ჩუ ესეროღ ადფიშრე (ბქ. 9) — ჩვენს გვარში ქუდოსანი ამრავლეო. **სოფლიშ ფაყჟ** (ზს.) — სოფლის თავკაცი. გადატ. ყანსაჟდ **ჟოქრეშ ფაყჟ** ესიგ (ბქ.) — ყანსავმა თავი ისახელა (ოქროს ქუდი დაიხურა). **ფაყჟ ჟი მეკდე** (ბქ.) — ქუდმოხდილი, თაელაფდასხმული, შერცხვენილი. კნინ. **ფაყჟლდ** ბზ., **ფაყჟლ'დ'** ზს., **ფაყჟლ** ლშხ.

ფაყშჟირ იგივეა, რაც **ფჲყჟშირ**.

ფაშაჲ, ფაშარაჲ (-აიშ, -არ, -ალ) ბზ., **ფაშა** (-შაუ ბქ., -შარ ლნტ.), **ფაშარ** ლშხ. — ფაშვიანი; ღიპიანი. ბუბა ქჟიტი ფაშარ ლი (ლშხ.) — ქვიტი ბიძია ღიპიანია. გადატ. გაუმაძღარი. იმჟი ფაშაჲ კუმაშ ჯირი?! (ბზ.) —

როგორი გაუძლარი საქონელი გყავს?! კ ნ ი ნ. **ფა̈შილა̈ჲ** ბზ.

ფაშა̈რ იხ. სგა̄შურა.

ფაშა̄რ იგივეა, რაც **ფაშა̈ჲ.**

ფაშდ იგივეა, რაც **ფაშდჷ.**

ფაშდელა̈ იგივეა, რაც **ფაშდჷჲელა̈ჲ.**

ფაშდია̈ნ იგივეა, რაც **ფაშჷდჲელა̈ჲ.**

ფაშდჷ, ფაშჷდ ბზ., **ფაშდ** ბქ., (-ა̈შ, —) ზს., **ფაშდჷ** (-აშ, —) ლშხ. — ქება. ჰეცრიშ ფაშდ ჯჷინელ ლაღრალა̈რსი ხეჩდა (ბქ. 121) — ეცრის ქება ძველ სიმღერებშიც ურევია. ჯაბაშა ფაშდჷგნქა დე̄სმა მეჴედ ეჩა ყია ლეჟა (ლშხ.) — ჯაბაანთ ქების მეტი არაფერი ამოსულა იმის პირიდან (ყელს ზემოთ).

ფაშდჷჲელა̈ჲ, ფა̈შჷდჲე̄ლა̈ჲ (-ა̈იშ, -ლაჷუ) ბზ., **ფაშდელა̈** (-იშ, -უ/-ლაუ), **ფაშდია̈ნ** (-იშ, -დიანუ) ბქ., **ფაშჷდ'ჲელ'აჲ** (-ლაიშ, -ლაჷუ) ლშხ. — ბაქია, ტრაბახა. ფა̈შჷდჲე̄ლა̈ჲ მა̄რე ხოლა ლი (ბზ.) — ტრაბახა კაცი ცუდია. კატი გჷა̈მიდ ფაშდელა ზურალ ლა̈სჷ (ბქ.) — კატო (კატი) მეტად ტრაბახა ქალი იყო. მიშ:ყჷი აფხნიკ ფაშჷდჲელაჲ ლი (ლშხ.) — ჩემი ამხანაგი ბაქიაა.

ფაშჷდ იგივეა, რაც **ფაშდჷ.**

ფაშჷდ'ჲელ'აჲ იგივეა, რაც **ფაშდჷჲელა̈ჲ.**

ფაშჷირდ ლიგნე იგივეა, რაც **ფა̈ში̄რდ ლიგნე.**

ფაშყჷ (-იშ, -ა̈რ) ზს., ბ ო ტ. — ქაშა (ეაშლი). მი ფაშყჷ სანაფ სურუ მალა̈ტ (ბქ.) — მე ქაშა სიცაფი ძალიან მიყვარს.

ფაჩლე̄ლ იგივეა, რაც **ფა̈ჩი.**

ფაჩხ'ჷ'[1] (-ა̈შ, -ა̈რ) ზს. 1. აუცმელი ჩირი. ფაჩხს მაჰე̄რაისგა აფრეხ (ბზ.) — აუცმელ ჩირს ჩრდილში ახმობენ. 2. გამხმარი ხილი.

ფაჩხჷ[2] იგივეა, რაც **ფა̈ჩხჷ.**

ფაცე̄რ (-იშ, -ა̈ლ ბზ., -ალ ლშხ.), **ფაცერ** (-ა̈ლ) ლნტ. — ფაცერი. ბობშარდ ღელაჲსა ფაცე̄რ ესგეხ (ლშხ.) — ბავშვებმა ღელეში ფაცერი ჩადგეს. გ ა დ ა ტ. **ფაცე̄რშა̄ლ ლჲ̄გ** ხალხ (ლშხ.) — ბევრი ხალხია (ფაცერივით დგას ხალხი).

ფაციც (-იშ, —) ლშხ. — ფრთხილი, გაფაციცებული. გულო ფაციც ზურა̄ლ ლი — გულო ფრთხილი ქალია. **ფაციცდ** ზ მ ნ ს. — ფრთხილად. მიხე ფაციცდ ა̄რდა — მიხეილი ფრთხილად იყო.

ფაცხ (-ა̈შ, -ა̈რ ბზ., -ოლ ბქ., -იშ, -არ ლშხ.) — ფაცხა. ფაცხთეისგა ოჩა̈დდ (ბზ.) — ფაცხაში შეედით. კ ნ ი ნ. **ფაცხგლდ** ზს., **ფაცხი̄ლ** ლშხ. ფაცხგლდგნქა მამგჷეშ ხაწჷახ (ბქ.) — პატარა ფაცხის გარდა არაფერი გააჩნიათ. ფაცხი̄ლისა̄ჲ ლოქ ჩოთგენი მახჲადა̄რ (ლშხ. 60) — ფაცხაშიც დაელევები სიხარულითო. შ დ რ. **ფაქუტ.**

ფახ იხმარება გამოთქმაში **ფახ ხაჴიდ** ლშხ. თხე̄რად ქინალს ფახ ხაჴიდ — მგელმა კრავი დააფრთხო (კრავს ფახი მისცა).

ფახსდი იგივეა, რაც **ფარხსდი.**

ფახშურ იგივეა, რაც **ფა̄̈ყჷშირ.**

ფახცი იგივეა, რაც **ფარხსდი.**

ფაჴიაჲ იგივეა, რაც **ფა̈ჴია̈ჲ.**

ფაჴშურ იგივეა, რაც **ფა̄̈ყჷშირ.**

ფა̈თჷ (-ა̈შ ზს., -იშ ლნტ., ფათჷა̈რ ზს., ლნტ.), **ფათჷ** (-არ) ლშხ. — თმა. ახბგდა ქი და̄̈ჷა̈ ფა̈თჷს (ბზ. 30) — ცეცხლი მოჰკიდებია დევის თმას. ფა̈თჷიშ შელდდ ესეროღჷ ათგენა! (ბქ. 235) — ეს ერთი და სხვა ათასიო („თმის სათვალავად დასდგომოდესო")! ზურა̄ლე̄ლ ფათჷარს ლემესთე შგდეხ (ლშხ. 59) — ქალები თმებს ცეცხლში ყრიან. ეჲ მარეს ფა̈თჷ ხა̈რენა ლუთთჷენე (ლნტ. 246) — იმ კაცს თმა ჰქონია გათეთრებული. ფა̈თჷა̈რ ჯაგა̈ნდა ყჷა̈რყჷლაი (პოეზ. 2) — თმები ჰქონდა (ედგა) ხუჭუჭი. კ ნ ი ნ. **ფა̈თჷლდ** ბზ., **ფა̈თულდ** ბქ., ლნტ., **ფათჷლ** ლშხ. ფათჷლ ლოქ ეხკიჩდ (ლშხ. 49) — თმის ღერი („პატარა თმა") მოიგლიჯეთო (ფიცის ამღებს ეტყვიან). **ფა̈თჷ ლა̈გნა̈შ** დინა (ბქ.) — ქალიშვილი, რომელიც თმის გაშვების (დაყენების) ასაკისაა. გ ა დ ა ტ. ზს. — ბზარი. ჰიქს **ფა̈თჷ ხა̄გ** (ბზ.) — ჭიქას ბზარი აქვს (ადგას).

ფა̈თჷა̄რობ (-ა̈შ, —) ბზ., **ფათჷარობ** (-ა̈შ, — ბქ., -იშ, — ლნტ.), **ფათჷა̄რობ** (-აშ, —) ლშხ. — თმების წეწვა-გლეჯით ჩხუბი, ქალების ხელჩართული ბრძოლა. გა̈რგლას ზუ-

რელა̈ლდ ფა̈ჵა̄რობ ახჭემხ (ბზ.) — ქალებ-მა ლაპარაკს ჩხუბი მოაყოლეს. ზურალე̄ლს ჩუ ხა̄დახ ფაჲჵა̄რობ (ლშხ.) — ქალებს პქონ-დათ წეწაა-გლეჯა.

ფა̈თჵა̈̄რ (-იშ, ფათჵა̄რა̈ლ) ბზ., **ფათ-ჵა̈რ** (-ჵარა̈ლ) ბქ., ლნტ., **ფათჵა̄რ** (-ალ) ლშხ. — ბალნიანი, თმიანი. ალ ზურა̄ლს ფა̈თ-ჵა̈̄რ ნიჩჵ ხა̄დდა (ბზ.) — ამ ქალს თმიანი პი-რისახე პქონდა. ჲეშმაჲს ფათჵა̄რ ტოტარ ხა̄და (ლშხ.) — ეშმაკს ბალნიანი ხელები პქონდა.

ფა̈თქოლა̈ჲ (-ა̈იშ, -ა̈რ) ბზ., **ფათქჵა-ლაჲ** (-ლა̄ჲშ, -ლე̄ლ) ლშხ. — გასახეთქი. სი ფა̈თქოლა̈ჲ, ქჵა̈რილ მიშგუ (ჳოჟ. 152) — შე გასახეთქო, ჩემო ლაფშა.

ფა̈თქჵა (-ჵა̈̄შ, —), **ფეთქჵა** (-ჵა̈შ, — ბქ., -ჵა̄შ, — ლშხ., -ჵა̈ჲშ, — ლნტ.) — 1. ქანცის გამოლევა, ქანცის გაწყვეტა. ლიშდა̈ბშჵ ფა̈თ-ქჵა იმ მაშიდ? (ბზ.) — მუშაობით ქანცის გა-წყვეტა რას მარგებს („მიშველის")? 2. გახეთქა, გასკდომა (გულისა, მუცლისა...). ალ ჰყინტს მი-შგუ გუმი ფეთქჵად გჵი ხარ (ბქ.) — ამ ბიჭს ჩემი გულის გასკდომა უნდა („გასკდომად აქვს გული"). ხამს ფეთქჵანუნ ხა̄რ ჯად ლგბე̄ლე (ლშხ.) — ღორს გახეთქამდე აქვს მუცელი გა-ბერილი. იხმარება გამოთქმაში **ფა̈თქჵდ ლიგნე** ზს. — გაძღომა, გასკდომა. ალ ხა̈მ ფა̈თქჵდ ლგგ (ბზ.) — ეს ღორი ძალზე მაძღარია („გას-კდომად დგას").

ფა̈თქჵია̈ჲ (-ა̈იშ, -ა̈რ) ბზ., **ფა̈თქჵია̈** (-იშ, -იაუ) ბქ. — ფამფამა. ძაძუ ფა̈თქჵია̈ჲ ზურა̄ლ ლი (ბზ.) — ძატუ ფამფამა ქალია.

ფა̈თხია̈ჲ (-ა̈იშ, -ა̈რ) ბზ., **ფა̈თხია̈** (-იშ, -იაუ) ბქ. — სუსტი, მიკნავებული. მა̈ჲ ფა̈თხჲა̈ჲ ბეფშჵილდ ლი ალ ჰყინტგლდ? (ბზ.) — რა სუსტი ბავშვია ეს ბიჭუნა?

ფა̈კჵნა (-ნა̈̄შ, -ნა̈̄რ‖-ნა̈̄ლ) ბზ., **ფეკჵნა** (-ნა̈შ, -ნოლ ბქ., -ნა̄შ, -ნე̄ლ ლშხ., -ნა̈ჲშ, -ნა̈რ ლნტ.), ზ ო ო ლ. — ლეკვი, ბოკვერი. ამნე̄მდ ფა̈კჵნა̈̄რ ქჵა̈სგრდა̄ლე (ბზ. 395) — ამან ლეკ-ვები დაზარდა. ქა̈ჯდ ესსიპე ჰა̈შ ი რა̈შ ფეკ-ჵნოლდ (ბქ. 21) — ქაჯმა გადააქცია ქმარი და რაში ლეკვებად. ჟე̄ლდ ფეკჵნე̄ლ აშიდ (ლშხ.) — ძაღლმა ლეკვები დაყარა. მაჵრენეს ფეკ-ჵნა ახათენა (ლნტ.) — უმცროსს ლეკვი გასჩე-ნია. კ ნ ი ნ. **ფა̈კჵლ‖ფა̈კჵი̄ლ** ბზ., **ფეკ-ჵნილ, ფეკჵნულ** ბქ., ლნტ., **ფეკჵნო̄ლ** ლშხ. ალის ხალთთეჲსგა ფეკჵნილ ოთგენეჲ (ბქ. 92) — ამას ხალთაში პატარა ლეკვი ჩაუს-ვეს.

ფა̈ლიკდ ლიგნე იხ. **ფელიკ.**

ფა̈მლი (-ლი̄შ; -ა̈რ ბზ., -ლა̈შ, -ლა‖-ლა̈რ ბქ.), **ფამლი** (-ლი̄შ, -არ) ლშხ. — ში-ნაყმა, შინამოსამსახურე, ლაქია. ხელწიფხ ა̈ნ-ხირნა̈̄ნ ფა̈მლია̈̄რთე (ბზ. 442) — ხელმწიფე გაჯავრდა შინაყმებზე. ლჵაჰა̈რს ხოქჵა ფა̈მ-ლად (ბქ. 251) — ვაჭარს უთქვამს ლაქიებისა-თვის. ყორ მიკარედ, ფა̈მლა! (ჳოჟ. 108) — კა-რი გამიღეთ, შინაყმებო!

ფა̈ნელ იგივეა, რაც **ფანელ.**

ფა̈ნთხ იგივეა, რაც **ფა̄ნთხ.**

ფა̈ნჩხ (-იშ, -ა̈რ) ბზ., **ფონჩხ** (-ა̈რ) ბქ., **ფიჩხ**[1] (-არ) ლშხ. — ფიჩხი. ქჵერიჵ ანჴა̈დ ფანჩხა̈რთე (ბზ. 381) — ქერიეი მოვიდა ფიჩხის ასაღებად (ფიჩხებისკენ). ამნემ ესბოგალე ფონჩხა̈რ (ბქ.) — ამან ხიდივით დააწყო ფი-ჩხები. ბებედ ფიჩხ ანხურჲელე (ლშხ.) — ბე-ბიამ ფიჩხი შეაგროვა.

ფა̈ჲდა[1] (-და̈̄შ, —) ზს., **ფაჲდა** (-და̈შ, —) ლხმ., **ფა̄ჲდა** (-და̄შ, —) ლშხ. — ბედი. ალ ზურალს ხოლა ფა̈ჲდა ლაპოდენა (ბქ.) — ამ ქალს ცუდი ბედი პქონია (მისცემია).

ფა̈ჲდა[2] ზს., **ფაჲდა** ლხმ., **ფა̄ჲდა** ლშხ. — ბარაქა. ფა̄ჲდა მა̄ ხა̄რ ქერს (ლშხ.) — ქერს ბარაქა არა აქვს.

ფა̈ჲტონ (-იშ, -ა̈რ) ზს., **ფა̄ჲტონ** (-არ) ლშხ. — ფაეტონი. ამ წა̈მქი ფა̈ჲტონოლჵ ოხ-მარე! (ბქ. 251) — ამ წამსვე ფაეტონი მომიმზა-დეთ! ხენწიფი გეზალ ფა̄ჲტონშჵ ანჴად (ლშხ.) — ხელმწიფის შვილი ფაეტონით მოვი-და.

ფა̈რ[1] (-იშ, -ფარა̈ლ ბზ., -ფარა̈რ ჳმ.), **ფარ**[2] (-ალ) ლშხ. — ფარი. მიჩა ფა̈რ ი ხან-გა̈რდ ესერ ხაყლჵნი (ბზ. 26) — შენი ფარ-ხმლის (ხმლად) მეშინიაო.

ფა̈რ[2] იგივეა, რაც **ფა̈რჵ.**

ფა̈რისეჵელ, ფა̈სეჵელ (-ჵლიშ, -ჵლა̈რ) ბზ., **ფარისეჵელ** (-ჵლარ) ლშხ. —

ფარისეველი. როსტომ ფა̈რისეჳელ მა̄რე ლი (ბზ.) — როსტომი ფარისეველი კაცია. ამკად ფარისეჳლიშ დე̄სმა მამწამ (ლშხ.) — ასეთი ფარისევლის'ა' არაფერი მწამს.

ფა̈რჳ (-იშ, ფარჳა̈ლ ბზ., ფარჳა̈რ ბქ., უშკ.), **ფარჳ** (-ალ) ლშხ., **ფიარჳ** (-ა̈რ) ჩბხ., **ფა̈რ²** (-ფარა̈ლ) ლნტ., **მგფა̈რჳ** ზს., ლნტ., **მგფარჳ** ლშხ. — რუხი, ნაცრისფერი. მი მაყა ფა̈რჳ ჩა̈ჯ (ბზ.) — მე მყავს რუხი ცხენი. ნალჳეჳრდ ფა̈რჳ აბგოლ ყ'ოსრეკ ჰინგირს (ბქ. 31) — ვაჟმა ნაცრისფერი აბგები ჩამოჰკიდა უნაგირს.

ფა̈რფ (-იშ, ფარფა̈ლ ბზ., ფარფა̈რ ბქ.), **ფარფ** (-ალ) ლშხ. — ფარფლი, კიდე. ფაყჳა̈შ ფა̈რფს მოშ ჰა̈ბ ხასდა (ბქ.) — ქუდის ფარფლს სხვანაირი ფერი ედო.

ფა̈რღილ (-იშ, —) ბქ. — შიში, ფეთება. ალ ლეგლირდე ფა̈რღილიშ მგგნე ლი — ეს ავადმყოფობა შიშის მომგვრელია (მდგმელია).

ფა̈რშიჳ (-იშ, -ა̈ლ ბზ., ლნტ., -არ ბქ.), **ფარშიჳ** (-ალ) ლშხ. — ყალბი, ორგული, არაგულწრფელი, ზერელედ მომუშავე, ფარშავი. ისგჳედ ქორა̈ ფა̈რშიჳ ისგჳე̄დჳრჳ ალჰა̈ცლი! (ბზ.) — თქვენი ოჯახის ორგული უთქვენოდ დაიღუპულიყოს! ფა̈რშიჳდ ლიშდა̈ბს სეჳ დემეგ ხ:ულჳე (ბქ.) — ზერელედ შრომას ბარაქა (სვე) არ აქვს. შდრ. ფარუკ'ჳ'.

ფა̈რშმა̈გ (-იშ, -მაგა̈ლ) ბზ., **ფარშაჳა̈ნგ** (-ჳანგა̈რ ზს., -ჳანგა̈ლ ლნტ.), **ფარშმაგ, ფარშაჳანგ** (-ალ) ლშხ., ზოოლ. — ფარშევანგი. ფა̈რშმა̈გდ ლოხჳკიჩ ღალე ყალაჩჳყლა̄ნს (ბზ.) — ფარშევანგმა გამოუძრო ფრთა ყალაჩუყლანს. დედჳფალს ძეზჳისა ფარშაჳანგალ ხეყე̄და (ლშხ.) — დედოფალს ეზოში ფარშევანგები ჰყავდა. გ ა დ ა ტ. ეშმაკი, მოხერხებული. ალ მა̄რე ფა̈რშმა̈გდ ლგგ (ბზ.) — ამ კაცს ყველაფერი ეხერხება („ფარშევანგად, ეშმაკად დგას"). ამირან ფარშმაგ მა̄რე ლი (ლშხ.) — ამირანი მოხერხებული კაცია.

ფა̈რცჳლობ იგივე, რაც **ფერცჳლობ.**

ფა̈რხ (-იშ, ფარხა̈რ) ბქ. — კვერნის დასაჭერი ხაფანგი. ცხეკისგა კჳენს ფა̈რხ ოთგეხ — ტყეში კვერნას ხაფანგი დაუგეს. კ ნ ი ნ. **ფა̈რხილდ.** შდრ. **გასკად.**

ფა̈რ-ხანჯა̈რ იგივე, რაც **ფა̄რ-ხანგა̈რ.**

ფა̈რჯიგ (-იშ, -ა̈რ) ბქ. — ურჩი, ჯიუტი. ფა̈რჯიგ მარა დემთე ლამარგა ხარ (ბქ.) — ჯიუტ კაცს ვერაფერში გამოიყენებ (ვერაფერში აქვს გამოსაყენებელი).

ფა̈ს (-იშ, ფასა̈რ) ზს., ლნტ., **ფას** (-არ) ლშხ. — ფასი; საფასური. ქორა̈ ფა̈ს ბაპა̈რს ხა̄დხ (ბზ. 2) — სახლის ფასი ერგოთ მღვდლებს. ეჯდა̈რ ხგნსგა ფასჳეი ქოთჰოდახ (ბქ. 199) — ისინი ნახევარ ფასში გაუყიდიათ. მა̄რას ნამუსი ფას დე̄მჩიქს ე̄სმა ხელჳე̄ნი (ლშხ.) — კაცს ნამუსის ფასი არასოდეს არაფერი ექნება. დეთა̈დ ხულჳე ჯიმე ფა̈ს (ლნტ. 22) — არც აქვს მარილის საფასური. კ ნ ი ნ. **ფა̈სილდ** ზს., ლნტ., **ფასი̄ლ** ლშხ.

ფა̈სეჳელ იგივე, რაც **ფა̈რისეჳელ.**

ფა̈ტლინჯ იგივე, რაც **ფეტლა̈ნჯ.**

ფა̈ტჳ (-ა̈შ/-იშ, —) ბზ., ლნტ., **ფეტჳ** (-ეშ/-იშ, — ბქ., ქს.), ბ ო ტ. — ფეტვი. ალას ა̈ხჩგდ ფა̈ტჳა̈ კაკლი̄დ (ბზ. 339) — ამას გამოერია ფეტვის მარცვალი (კაკალი). ნალჳეჳრს ფეტჳეშ ითქილდ ახხჳიდ (ბქ. 89) — ვაჟმა (ვაჟს) ფეტვის მარცვალი იპოვა (დახედა). ალეს ფეტჳი კაკალზუმ გჳლჳლ ხარ (ლშხ.) — ამას ფეტვის მარცვლის(კაკლის)ხელა გული აქვს. მუხჳბოლს ფა̈ტჳ ხა̈ჳენა ჯიბა̈დსა̈ (ლნტ. 285) — პატარა ძმას ფეტვი ჰქონია ჯიბეში. ედმინს ხა̈ჳენახ ფეტჳ (ლნტ. 308) — იმათ ჰქონიათ ფეტვი. კ ნ ი ნ. **ფა̈ტჳლდ** ბზ., **ფეტჳლდ** ბქ., ლნტ., **ფეტჳლ** ლშხ.

ფა̈ტჳა̈რ იგივე, რაც **ფეტჳრა.**

ფა̈ფია̈დ (-ა̈იშ, -ა̈რ) ბზ., **ფა̈ფია̈** (-იშ, -იაჳ) ბქ., **ფაფიად** (-ია̄დშ, -ე̄ლ) ლშხ. 1. გაშლილი, განიერი. ალ ბალახ ფაფიად ქონდარშა̄ლ ჰედნი ყი (ლშხ., ხორ.) — ეს ბალახი ფართოდ გაშლილი ქონდარივით ამოდის. 2. ფართოტოტებიანი, ფართოფარფლებიანი. უჩხაყი̄ნ ფა̈ფია̈დ ზექს ლოხკჳნჩა̈ნდ (ბზ.) — წვიმაში ტოტებგანიერ ხეს შევაფარეთ. ალ მეგემ ფაფიი̄ლ ლი (ლშხ., ხორ.) — ეს ხე ტოტებგანიერია. 3. მსუქანი, ფაშფაშა. ნოჳე̄ დეხჳ ფაფიად დედბერ ლი (ლშხ.) — ნოეს ცოლი ფაშფაშა დედაბერია. კ ნ ი ნ. **ფა̈ფია̈ი̄ლ** ბზ., **ფაფიი̄ლ** ლშხ.

ფა̈ყ იხ. **ფოყ 2.**

ფა̈შ (-იშ, ფაშა̈რ) ზს., **ფაშუ̂** (-არ) ლშხ., **ფა̈შუ̂** (ფაშუ̂ა̈რ) ლნტ. — ფაშვი. ფა̈შ ხოჩა̈მდუ ესერ ოხკიდხ ლა̈ძჰას (ბზ.) — ფაშვი კარგად გამოუღეთ საკლავსო! ა̈მირანდ ალ მარა ფაშა̈რ ქამჩუ ოსდე (ბქ. 10) — ამირანმა ამ კაცს ფაშვ(ებ)ი გამოუღო. ჩარგაზდ ფაშ ი თხუმ ჯოდღას ესდე (ლშხ. 63) — ჩარგაზმა ფაშვი და თავი შორს დადო. ჰა̈ნს ჰა̈დისა ხულ-უ̂ე ფა̈შუ̂ (ლნტ. 39) — ხარს მუცელში აქვს ფაშვი. იხმარება გამოთქმაში **ფა̈შირდ** (ბზ.), **ფაშუ̂ირდ** (ბქ.) **ლიგნე** — გამოფატვრა, ნაწლავების გამოყრევინება. ბულუ̂ად ფეკუ̂ნა ფაშუ̂ირდ ადგენე (ბქ.) — ბულამ ლეკვი გამოფატრა. კ ნ ი ნ. **ფა̈შილდ** (ბქ.)

ფა̈შილა̈ღ იხ. **ფაშა̈ღ.**

ფა̈შუ̂დღელა̈ღ იგივეა, რაც **ფაშდუ̂ღელა̈ღ.**

ფა̈ჩი (-ჩუ̂შ/-ჩა̈შ/-იშ, -ა̈რ) ზს., **ფაჩლუ̂ლ** (-აშ, -არ) ლშხ. — ფაჩუჩი. ბებედ ბობშარს ფაჩლუ̂ლარ ოხჯიშე (ლშხ.) — ბებიამ ბავშვებს ფაჩუჩები მოუქსოვა. კ ნ ი ნ. **ფა̈ჩილ, ფაჩლიდ** ბზ. ფა̈ჩილა̈რ ესერ ხაკუ (ბზ.) — ფაჩუჩები მინდაო.

ფა̈ჩხუ̂ (-იშ, -ა̈რ) ზს., **ფა̈ცხ** ბქ., **ფაჩხუ̂**[2] (-არ) ლშხ. — ნამსხვრევი, ნაფშვენი. ფა̈ჩხუ̂დ ლგგნე ემხუ̂იდ დია̈რ (ბქ.) — პური დაფშვნილი (ნაფშვენად ქცეული) დამხვდა. ჰიქ შიშდ ფაჩხუ̂ეე ადგგა̈ნ (ლშხ.) — ჭიქა მაშინვე დაიმსხვრა (ნამსხვრევად იქცა). იხმარება გამოთქმაში **ფა̈ჩხუ̂დ/ფა̈ცხდ ლიგნე** ზს. — დანამცეცება, დაფშვნა. დია̈რი ნა̈კუ̂იშს ფა̈ცხდ ლიგნე ხაკუ (ბქ.) — პურის ნატეხს დანამცეცება უნდა.

ფა̈ცხდ ლიგნე იგივეა, რაც **ფა̈ჩხუ̂დ ლიგნე.**

ფა̈ჰ (-იშ, ფაჰა̈რ) ბქ., ლნტ. — საქსოვი დაზგის საყრდენი ორკაპა ხე (ფეხი). ალე ხეკ-უ̂ეს ა̈ნგაწყობლენს ფა̈ჰყინ (ლნტ. 30) — ეს უნდა გაიწყოს საქსოვი დაზგის ორკაპა საყრდენზე.

ფა̈ჰია̈ღ (-ა̈იშ, -ა̈რ) ბზ., **ფა̈ჰია̈** (-იშ ბქ., -ა̈უ ჩზს., -იაუ ლხმ.), **ფა̈ჰუ̂ია̈** ლხმ., **ფაჰიაღ** (-ია̈ღშ, -არ) ლშხ. — განიერლაჯება, გაჩაჩხული. იმჟი ფა̈ჰია̈ღ ხი! (ბზ.) — რა განიერლაჯება ხარ! მადკად ფაჰიაღ ბა̈ჰარს იგემ სემნარ! (ლშხ.) — რა განიერ ნაბიჯებს ადგამს სემნარი!

ფა̄და̄სობ (-ა̈შ, — ბზ., -იშ, — ლშხ.), **ფადასობ** (-ა̈შ ბქ., -იშ ლნტ., —) — არეულობის, აშლილობის ხანა; მდევრობა, მოსახლეობის დამცველი რამმების მშადყოფნის ჟამი. ფა̄და̄სობ ა̈დჰიდ სოფელდ (ბზ.) — აშლილობის („ჩაფრობის") ხანა გადაიტანა სოფელმა.

ფა̄და̄ს ბზ., **ფა̄და̄სგ** უშგ., **ფადა̈ს** ჩზს., ლნტ., **ფადას** ბქ., ლხმ., **ფადეს** ლშხ. (-იშ, —) — 1. რამმი. ბუბნი ყესჰიდ ლენჯა̈რი ფა̄და̄სს (ბზ. 21) — ბუბნიმ მიუსწრო ლენჯერის რამმს. 2. მდევარი. ლატლია̈შ ფადასდი ლეჟ' ანჰიე (ბქ. 8) — ლატალის მდევარმაც მოაღწია. ფადა̈სი ბედიშ ლოქუ ლი (ლნტ. 6) — მდევრის მსხვერპლი გახდესო (ბედისამც არისო). მირანგულას ფა̄და̄ს ახლუ̂იჰდა (პოეზ. 8) — მირანგულას მდევარი გამოეკიდა. კ ნ ი ნ. **ფადასგილ** ბქ. ფადასგილ ლუზუ̂ერ იროლე (პოეზ. 88) — მდევარი შეკრებილი იქნება.

ფა̄ნ[1] (-ა̈შ, -ა̈რ უშგ., -იშ, -არ ლშხ.), **ფან** (-ა̈შ, -ა̈რ) ბქ. — მთელი დღე. სამ ფანუ̂ნღო და̈უ̂ა̈რდ ხა̈ქუ̂ეხ ალ მარა (ბქ. 26) — სამი დღის შემდეგ დევებმა უთხრეს ამ კაცს.

ფა̄ნ[2] ლშხ. — ჯერი (ჭამისა). ფა̄ნი შელდუ̂ი — (ყოველი) ჯერის მიღებამდე.

ფა̄ნ[3] ლშხ. — ღერი, ბეწვი (თმისა). თხუმე ფა̄ნ ჩუ̂ემჰად შგურშუ̂ — თავმარი დამეცა (თმის ბეწვი ჩამომცვივდა) სირცხვილისაგან.

ფა̄ნთხ (-იშ, -არ) ლშხ., **ფა̈ნთხ** (-ა̈რ) ლნტ. — ობობას ქსელი, აბლაბუდა. კიდბონარისა უ̂ობობუა̄ღ ფა̄ნთხარ სერ დე̄სამა არი (ლშხ. 59) — კიდობნებში ობობას ქსელ(ებ)ის მეტი არაფერია. შ დ რ. **ოფლოფა̈ი̄ ლა̈ჯშღა̈რ.**

ფა̄ნ-ფა̄ნ იგივეა, რაც **ფან-ფან.**

ფა̄ღდა იგივეა, რაც **ფა̈ღდა.**

ფა̄ღტონ იგივეა, რაც **ფა̈ღტონ.**

ფა̄ღქარ ლშხ. იხმარება გამოთქმებში: **ფა̄ღქარდ ლჷ̄გ** — გამრჯეა, ძალიან სწრაფია, დაუზარებელია; **ფა̄ღქარშა̄ლ ისიპანა̄ლ** — მარჯვედ (ჯარასავით, ციბრუტივით, ფეიქარივით) ტრიალებს.

ფა̄რა (-რა̈შ, —) ბზ. — ფარა, ფულის სამომი ერთეული (ძეელი). დედფა̈ლს ბეგა̈რ ოთგადა̄ნა ჟ̄ოხჟ̄იშდ ფა̄რა (ბზ.) — დედოფალს ბეგარა'დ' დაუდეია ხუთი ფარა.

ფა̄რცხ (-ა̈შ, -ა̈ლ ბზ., -იშ, -ალ ლშხ.), **ფანცხ** (-არ) ლნტ. — ლასტი. ფა̄რცხ ჩუ'ჟ̄' ესერ ა̈შიხ ფეჩისგა (ბზ.) — ლასტი დაწვი დუმელშიო. ჰემი ლამა̄ჯიყი ლეწგხ ლი ფა̄რცხ (ლშხ.) — თივის მიდეისას საჭიროა ლასტი. ჩალა̈ ლა̈ძასდ ხჟ̄იჯმა̈რიდ ფანცხა̈რს (ლნტ. 23) — ჩალის წასაღებად ეხმარობთ ლასტებს.

ფა̄რ-ხანგა̈რ (-გრიშ, -გრა̈ლ) ბზ., **ფა̄რ-ხანგარ** (-გრიშ, -გრალ) ლშხ., **ფა̈რ-ხანჯა̈რ** (-იშ, -ჯარა̈ლ) ლნტ. — ფარ-ხმალი (ფარ-ხანჯალი). მაძ ლოქ ხაყრის ფა̄რ-ხანგარს (ლშხ. 66) — რა ვუქნა ფარ-ხმალსო?

ფა̄ტჟ̄რა იგივეა, რაც **ფეტჟ̄რა**.

ფა̄ჟ̄ იგივეა, რაც **ფაჟ̄**.

ფა̈ყჟ̄შირ (-იშ, —) ბზ., **ფაყშჟ̄ირ** ლხმ., **ფაჯშურ, ფახშურ** ლშხ. 1. მოუწესრიგებელი. იმყი ფა̈ყშჟ̄ირ ხი? (ბზ.) — რა მოუწესრიგებელი ხარ? 2. მერელე. ალე ქორ სურუ ფაჯშურდ||ფახშურდ ლი ლგბე (ლშხ.) — ეს სახლი ძალიან მერელედაა აგებული.

ფედი იგივეა, რაც **ფე̄დი**.

ფედიას იგივეა, რაც **ფე̄დიას**.

ფედია̈'ძ'შ იგივეა, რაც **ფე̄დია̈შ**.

ფედძად იგივეა, რაც **ფე̄დიას**.

ფეთ (-იშ, -არ) ლშხ. — ფთილა. ეშხუ ფეთ მატყი̄ დე̄სა გულჟ̄ა̄ნდა ქორისა (ლშხ.) — ერთი ფთილა მატყლიც არ გვქონდა სახლში.

ფეთე̄ნ (-იშ, —) ლშხ. — სამიმარი, სახიფათო. ბობშ ფეთე̄ნყი ხა̄გან (ლშხ.) — ბავშვი სახიფათო (ადგილ)ზე იდგა.

ფეთქჟ̄ა იგივეა, რაც **ფა̈თქჟ̄ა**.

ფეთქჟ̄ა̈ძ (-ა̈იშ, -ჟ̄აჟ̄) ბზ., **ფეთქჟ̄ა̈** (-იშ, -ჟ̄აჟ̄||-ჟ̄ა̈ჟ̄) ბქ. — „სკდომია". ბიშტჟ̄ ფეთქჟ̄ა̈ ლი (ბქ.) — ბუშტი „სკდომიაა".

ფეკჟ̄ნა[1] იგივეა, რაც **ფა̈კჟ̄ნა**.

ფეკჟ̄ნა[2] (-ნა̈შ, -ნა̈რ||-ნა̈ლ ბზ., -ნა̈შ, -ნოლ ბქ., -ნა̄შ, -ნა̄რ ლშხ., -ნა̈ძშ, -ნა̈რ ლნტ.)— სოლი, რიკი, კოტა (ხისა). სა̈ჟ̄ს ფეკჟ̄ნა̈რს ყი ხჟ̄აჯა̈ლიდ (ლნტ. 23) — მარხილს ესობთ სოლებს.

ფელანდიშ (-იშ, -ა̈რ) ლნტ. — ფელამუში. ხჟ̄ა̈სყეძდ ფელანდიშს (ლნტ. 32) — ვაკეთებთ ფელამუშს.

ფელდ იგივეა, რაც **ფელტ**.

ფელენჯ იგივეა, რაც **ფელინჯ**.

ფელიკ (-ლკიშ ზს., -იშ ქს., -ლკა̈რ ზს., -არ ლშხ., -ა̈რ ლნტ.), **ფო̄ლიკ** (-ლკიშ, -ლკა̈რ) ბზ. 1. ფელიკი (საკლავის მეოთხედი). ეჯიარე ქორისგა მეჰად ფელიკ ხორიკ (ბზ.) — იმათ ოჯახში მუდამ ფელიკი ჰკიდია. ქა ლამო ეშხუ ჯანი ფელიკ! (ლშხ.) — მომეცი ხარის ერთი ფელიკი! კნინ. **ფელკიდ** უშგ., **ფელიკე̄ლ** ლშხ. 2. იხმარება გამოთქმაში **ფელიკდ** (ზს., ლშხ.), **ფილიკ'ჟ̄'დ** (ზს.), **ფა̈ლიკდ** (ბქ.) **ლიგნე** — დანგრევა, დამსხვრევა, დაფლეთა, ასოასოდ დაჭრა, დანაკუწება, აჩეხა. და̈ჟ̄დ ბიკ ფა̈ლიკდ ადგენე (ბქ. 115) — დევმა ჯირკი დაანაკუწა. გჟ̄ელერშა̈ჰ მეშიალას ფილიკდ ა̈გნე (ბქ. 260) — გველეშაპი მებრძოლებს აჩეხა. **ფა̈ლიკდ ლგგნე** (ბქ.) — დანგრეული, დამსხვრეული.

ფელინჯ (-იშ, -ა̈რ) ბზ., **ფელენჯ** (-ა̈რ) ბქ., **ფილე̄ნჯ** (-არ) ლშხ. 1. კრუნჩხვა; ფილენჯი. ბობშს ფილენჯარდ ოხო̄ზინე (ლშხ.) — ბავშვს კრუნჩხვებმა მოუარა. 2. ბქ. დამბლა. მიშგჟ̄ა ამახჟ̄ს ფელენჯოჟ̄ ხაჟ̄ხა! — ჩემს მტერს დამბლა დასცემოდეს!

ფელტ (-იშ, -ა̈რ) ზს., **ფელდ** (-არ ლშხ., -ა̈ლ ლნტ.), **ფო̈ლტ** (-ა̈რ) ბზ. — ფერდობი. მგლდელდ დაჯა̈რ ფელტთე ლახშიდ (ბზ. 30) — მწყემსმა თხები ფერდობისკენ გარეკა (შეაყარა). ფელტჩუ ქაფა̈რ ლა̈თრიშჟ̄ ონჰჟ̄იდდ (ბქ. 86) — ფერდობზე ტვირთ(ებ)ი თრევით ჩამოვიტანეთ. გუშგჟ̄ე ლეჯნი-ლელა̄ში ფელდისა ლი (ლშხ.) — ჩვენი სახნავ-სათესი ფერდობზეა (ფერდობშია). კნინ. **ფელტე̄ლდ** ბზ., **ფელტილდ** ბქ.

ფემფირ, ფიმფორ (-იშ, -ა̈ლ) ბზ. — ადიდებული, აქაფებული მდინარე. ფემფირს დეშ ხჟ̄ედა (ბზ.) — აქაფებულ მდინარეზე (მდინარეს) ვერ გადავალ.

ფემფრობ, ფემფრდანობ (-ა̈შ, —) ბზ., **ფიმფრობ, ფინფრობ** (-ა̈შ, —) ბქ. — წყალდიდობა. ეჯ ზაჳ ფემფრდანობ ლა̈სჳ (ბზ.) — იმ წელს წყალდიდობა იყო. ლგჳრე ფიმფრობჟი ლიმშაჳ ჩუ ქჳეცნიჳ (ბქ. 242) — (წყლების) წყალდიდობის პერიოდში მუშაობა წყდებოდა. შდრ. **ლუხჳობ.**

ფენ¹ (-იშ, -ა̈რ||ფონა̈რ) ბქ. — წყალობა. ფენ მ'ესერ ხოწჳრ მიჩეშხენქა? (ლხმ.) — შენა რა წყალობა მახსოვსო („სდის, უწვეთავს, უჟონავს")?

ფენ² ბქ. — ხორცის ნახარშის ცხიმიანი ქაფი, ფენა. ხარშჳს ფენ ხაგ — ხორცის ნახარშს ცხიმიანი ფენა ადგას.

ფენ³ ბქ. — ფისი. ფენ||ფისე ხოწჳრ მიშგჳა ლირდეს (ლხმ.) — ცუდადაა ჩემი საქმე (ფისი სდის ჩემს სიცოცხლეს). შდრ. **ფისე.**

ფენ⁴ იგივეა, რაც **ფონ.**

ფენთხ¹ (-იშ, -ა̈რ||ფონთხა̈რ) ბქ. — ნანადირევი. ყასბულათდ ფენთხ სგა̈ნჴიდ ქორთე (ბქ.) — ყასბულათმა სახლში შემოიტანა ნანადირევი. შდრ. **ნა̈თხჳიარ.**

ფენთხ² იგივეა, რაც **ფჳ̈ნთხ.**

ფერ¹ (-იშ, -ა̈ლ ბზ., ლნტ., -ა̈რ ბქ., -ალ ლშხ.) — ფერი. ჰა̈ლჳირ ჩა̈ჟს ოხჳა̈დ ეზერ ფერიშ (ბზ. 70) — ცხენს ალვირი მოუხდა (მოუვიდა კარგი ფერის'ა'). ლიც ზისხიშ ფერიშდ ენსყი (ბქ. 65) — წყალი სისხლისფრად (ფერის'ა'დ) 'გადა'იქცევა. დოდის წჳგრნი ფერი აყბა̈რ ხა̈რ (ლშხ.) — დოდის წითელი ფერის ლოყები აქვს. მი ძაკჳ მერბე-მერბე ფერიშ ძიჳა̈რა̈ლ (ლნტ. 101) — მე მინდა სხვადასხვა ფერის მძივები. ჩაჲილდ ჭეყად ქჳიშმიშ ფერიშ (ზოეზ. 2) — ცხენი გყავდა ქვიშისფერი.

ფერ² ბქ. — კვეთიანი რძის ამოსარევი ჩხირი. ჳიდიშ ლა̈ჩდინა ფერ ჩჳა̈მთჳაფ (ბქ.) — კვეთის მოსარევი ჯოხი დამეკარგა. შდრ. **სა̈რხელ.**

ფერა̈ბ (-იშ, —) ზს., ლნტ., **ფერებ** ლშხ. — პირფერობა; მობოდიშება. დიმთილ თელღრას ფერა̈ბს ესტა̈ხ (ბზ.) — დედამთილმა რძალს პირფერობა დაუწყო (პირფერობით დაუბრუნა). ამნჳმ ფერა̈ბი დემეგ ხა̈ქჳე მეზჳბელს (ბქ.) — ამან მეზობელს არც მოუბოდიშა (მობოდიშებაც არ უთხრა). შდრ. **ფარუკე̄ლარ.**

ფერბა̈დ (-ა̈იშ, -ა̈ლ) ბზ., ლნტ., **ფერბა̈** (-იშ, -ბაჳ) ბქ.||**ფერბია̈ნ, ფერბდა̈ნ** (-ი/დანა̈რ) ზს., **ფერბად** (-ბა̈დშ, -ბაჳ), **ფერბიან** (-იშ, -არ) ლშხ. — პირფერი, პირმოთნე, ფარისეველი; მომფერებელი. ფერბა̈ მარე ლესისგ ლი (ბქ.) — პირფერი ადამიანი საძულველია. გჳედოს გეზალი მიჩეშმალ ფერბია̈ნ ხორი (ბქ.) — გვედოს შვილიც თავისნაირი ფარისეველი ჰყავს. უშკჳისკა ფერბა̈დ (ლნტ.) — პირმოთნე (პირში მომფერებელი). შდრ. **ფარუკ'ჳ', ფა̈რისეჳელ.**

ფერბია̈ნ იგივეა, რაც **ფერბა̈დ.**

ფერდ იგივეა, რაც **ფელტ.**

ფერებ იგივეა, რაც **ფერა̈ბ.**

ფერთხა̈ (-დშ, -ა̈ლ) ლნტ. — ციცხვი, ლობიოს ამოსაქნელი კოვზი (ხისა), ლაფერთხა. ჩუ მგრხიდ ლობიოს ფერთხაჳშ (ლნტ. 37) — ლობიოს ციცხვით გავქნით. შდრ. **ჟჳ̄შხა, ლაფე̄რთხა.**

ფერიშ ზს., ლნტ., ნათ. ბრ. სახელისა **ფერ** — მსგავსი; უცნაური. ალი დეიშა ფერიშ ლი (ბქ.) — ეს უცნაურია (არავისი მსგავსია).

ფერმა (-მა̈შ, -მა̈ლ ბზ., -მა̈შ, -მოლ ბქ., -მა̈შ, -მე̄ლ ლშხ., -მა̈დშ, -მა̈ლ ლნტ.) — ფერმა. მჴშგა̈ლა აჩა̈დხ ფერმათე (ბზ.) — მწველავები წავიდნენ ფერმაში. ფერმას ხორი აშირ მეშგ ფჳრ (ბქ. 195) — ფერმას ჰყავს ასი მეწველი ძროხა. ფერმა სოფლი ჳოკერისა ლჴგ (ლშხ.) — ფერმა სოფლის ბოლოს არის (დგას). კოლექტიჳს ხაყა მენგერე კჳმა̈ში ფერმა (ლნტ.) — კოლექტივს ჰყავს მსხვილფეხა საქონლის ფერმა.

ფერფ (-იშ, —) უშგ., **ფერფილ** ლშხ. — ფერფლი. ალდარს ფერფილ დჳსა ლეხფედა̈ნხ (ლშხ. 152) — ამათ ფერფლი არ მიეკარა(თ). შდრ. **ფილ.**

ფერცილ¹ (-ცლიშ, -ცლა̈რ) ლხმ. — სარაჯის ფურცელი. ფერცილს ლეზობდ მამ ხაყა (ლხმ.) — სარაჯის ფურცელი არ იჭმევა (საჭმელად არ ვარგა).

ფერცილ² ლხმ. — ადამიანის სხეულის ნაწილი მუცლის არეში.

ფერცლაბ, ფერცლა̈ბ იგივეა, რაც **ფერცჳლობ.**

ფერცჳლობ (-იშ, —) ბზ., ჭხ., **ფა̈რცჳლობ** (-ა̈შ, —) უშგ., **ფერცლა̈ბ, ფერცლაბ** ბქ. — ფერისცვალება (რელიგიური დღესასწაული, რომელიც იმართება ძველი სტილით 6 აგვისტოს). ალა ლა̈სჳ ფერცჳლობ ლადა̈ღ (ბზ.) — ეს მოხდა (იყო) ფერისცვალების დღეს. ფერცჳლობ ლადეღ ან̈ჯად ციოყ (ლშხ.) — ფერისცვალების დღეს მოვიდა ციოყი.

ფესო (-იშ, -არ) ლშხ. — ფესვი, ძირი, ბოლო. მიშგუ მუხჳბე ჩი̄ს ფესოთე̄ჲსა ხაჴიმ სგა (ლშხ. 48) — ჩემი ძმა ყველაფერს ბოლომდე (ფესვამდე) მიჰყვება. შდრ. **წჷსხე.**

ფეტა (-ჲშ, — ბქ., ლშხ., -ტა̈ჲშ, — ლნტ.) — გახვრეტა. შდგმრა̈რე ფეტა ჯაკუმა? (ბქ.) — ყურების გახვრეტა გინდა? კასრულა̈ჲ ძირს ფეტათექა კოტო̄ლ ხაკლჷ̄ნ (ლშხ.) — ქვაბის ძირს გახვრეტამდე ცოტა აკლდა.

ფეტლა̈ნჯ (-იშ, -ლანჯა̈რ) ბზ., **ფა̈ტლინჯ** (-ა̈რ) ბქ. — ფეტველა (ღორის ავადმყოფობა). ხამა̈რს ფა̈ტლინჯ ხორდახ (ბქ.) — ღორებს ფეტველა ჰქონდათ.

ფეტჳ იგივეა, რაც **ფა̈ტჳ.**

ფეტჳობ (-ა̈შ, — ბქ., -იშ, — ჭხ.) — ფეტვის მოსავლიანობა. ნეჰნა ხოჩა ფეტჳობ ლასჳ (ბქ.) — შარშან ფეტვის კარგი მოსავალი („ფეტვობა") იყო.

ფეტჳრა ზს., **ფეტჳრა̈̄ლ** (-რა̈̄შ, -იშ, -რა̈̄ლ) ბზ., **ფეტჳრა̈ლ** (-ა̈შ, -როლ) ბქ., **ფა̄ტჳრა** (-რა̈̄შ, -რა̈̄ლ), **ფა̈ტჳა̈̄რ** (-ჳა̄-რა̈რ) უშგ., **ფეტჳრა̄ლ** (-აშ, -ალ) ლშხ. — ყველიანი ფეტვნარევი პური. ალჲა̈რდ ესყედნეხ ლეზიზდ თჳით ფეტჳრა‖ფეტჳრა̈̄ლ (ბზ.) — ამათ წაიღეს (დაიკავეს) საგულად თითო ფეტვნარევი პური. ფეტჳრა მექჳრაშე̄რთე [ოსლჳრი] (ბზ. 389) — დამცხვარ ფეტვნარევ პურს რომ აცხობენ, იმ ოჯახში მიუდიოდი (დაცინვით იტყვიან ხოლმე). შჳანა̈რს ხა̈მთქჳახ ფეტჳრა̈შ ქჷთა̈რ (ბქ.) — სვანებს სჩვევიათ ფეტვნარევი ხაჭაპურები. მიშგუ ბობშ ფეტჳრა̄ლ ჺიარს დე̄მ იზბი (ლშხ.) — ჩემი ბავშვი ფეტვნარევ პურს არ ჭამს.

ფექ (-იშ, -ა̈რ ზს., ლნტ., -არ ლშხ.) — ფქვილი. დადად ფექ ჩჳადძუჰე̄რე (ბზ. 246) — ბებიამ ფქვილი გაცრა. კიბდენ ფაქჳშჳ გჳეში ლი (ბქ. 246) — კიდობანი ფქვილით სავსეა. დიხსალს ყ'ახხჳე̄ნა ფექ კიდბონისა (ლშხ. 59) — დიასახლისს ფქვილი უპოვია (დახვედრია) კიდობანში. ჭაჭ ფექხენქა ისყი (ლნტ. 7) — ფაფა ფქვილისგან კეთდება. იხმარება გამოთქმაში **ფექდ ლიგნე** (ზს.) — დაფშვნა, დანაყვა. კნინ. **ფექილდ** ზს., **ფექი̄ლ** ლშხ.

ფექა̈̄რ (-იშ, -ქა̄რა̈ლ) ბზ., **ფექა̄რ** (-ალ) ლშხ., **ფექა̈რ** (-ქარა̈რ ბქ., -ქარა̈ლ ლნტ.) — ფქვილიანი. ფექა̄რ ტომრალე ბუღჳი̄რ ლჷ̄გა̄ნ (ლშხ.) — ფქვილიანი ტომრების ბუღი იდგა.

ფეყჳ იგივეა, რაც **ფოყ 2.**

ფეშა[1] (-შა̈შ, — ბქ., -შა̈შ, — ლშხ., -შა̈ჲშ, — ლნტ.) — დაღლა. იოჳელს ფეშა დემეგ ხა̈მთქჳა (ბქ.) — იოელს დაღლა არ სჩვევია.

ფეშა[2] ლშხ. — ყურადღება, თანაგრძნობა. ალეს ფეშა ხეფსი (ლშხ.) — ამას თანაგრძნობა მოჰყვება.

ფეშგა (-გა̈შ, — ბქ., -გა̄შ, — ლშხ.) — გახსნა, მეხსნა. დინას ყიაქა ლებრე ფეშგა დემეგ ოთბაკა (ბქ.) — ქალიშვილს ყელზე მძივების მეხსნა არ გაუგია.

ფეშგა̈ჲ (-ა̈იშ, -გაუ) ბზ., **ფეშგა̈** (-იშ, -უ/-გაუ) ბქ., **ფეშჳა̈** (-ჲშ, -ა̈ლ ლნტ.) — ხსნადი, ადვილად გასახსნელი. ალ თა̈კჳ ფეშგა̈ჲ ლი (ბზ.) — ეს თოკი ადვილად იხსნება (გასახსნელია). ფეშგა̈ ყურყჳ მალჳს დეშ ირმი (ბქ.) — ადვილად ხსნადი მარყუჟი მელას ვერ 'და'იჭერს.

ფეშდჳა (-ჳა̈̄შ ბზ., -ჳა̈შ ბქ., -ჳა̄შ, — ლშხ.), **ფეშჳდა** (-და̈̄შ, —) ბზ., **ფეშტჳა** (-ჳა̈ჲშ, —) ლნტ. — უეცარი წაქცევა. კიბეჲ ფეშდჳა ლემყა̈ლ ლი (ბქ.) — კიბეზე წაქცევა საშიშია. ლეჯგლირდეს დოსგ ხოხალ მა̄რე̄მი ფეშდჳა (ლშხ.) — ავადმყოფობამ ადრე იცის კაცის წაქცევა (ავადმყოფობას სჩვევია).

ფეშენი იგივეა, რაც **ფეშნი.**

ფეშკა̈ იგივეა, რაც **ფეშგა̈ჲ.**

ფეშნი[1] (ოფშ ბზ., ოფეშ ბქ., აფა̈შ; ა̈ფშენი ზს., ოფეშ, აფაშ; აფშენი ლშხ.), **ფეშენი** (ამფეშ, აფა̈შ; ა̈ფეშენი) ლნტ., გ ა რ დ ა ვ. — იღლება. ჰყინტს ყ'ა̈ხფა̈შ (ბზ.) — ბიჭი დაიღა-

ლა (ბიჭს ქანცი გაუწყდა).

ფე̈შნი[2] (ოფე̈შ, აფა̈შ; ა̈ფე̈შენი ბზ., ონფე̈შ, ანფა̈შ; ანფე̈შენი ბქ., ოფეშ, აფაშ; აფშენი ლშხ.), **ფე̈შენი** (ამფე̈შ, აფა̈შ; ა̈ფე̈შენი) ლნტ., გ რ დ უ ვ. — ბრუნავს, ირჯება. გეზალღა ჳიჯ ი აფხუ̂რ ფე̈შნი (ბზ.) — ნაშიერისთვის (შვილისთვის) გველი და ბაყაყიც ბრუნავს.

ფე̈შტჳა იგივეა, რაც **ფე̈შდჳა**.

ფეჩხჳა̈ˈდˈ იგივეა, რაც **ფუჩხჳრა̈დ**.

ფეხჳრა (-რა̈შ, -რა̈ლ) ბზ., **ფიხჳრა** (-რა̈შ, -როლ ბქ., -რა̄შ, -რე̄ლ ლშხ.) — ბ ო ტ. ქორაფი, ნეკერჩხალი. ფეხჳრა ახჳიქჩ სა̈ჳა̈ ჰგშხა̈რიპქდ (ბზ.) — ქორაფი მოეჭერი მარხილის ფეხებისთვის. ამ ნენჩას წჳა ფიხჳრა (ბქ. 229) — ამ ტყეში მოიპოვება ნეკერჩხალი. შდრ. **ბიკენჩხა̈ლ, ნაკჳერცხ.**

ფე̄დი ზს., **ფე̄დია||ფე̄დდა** ბზ., ლშხ., **ფედი, ფედია||ფედდა** ბქ., ლნტ. — ახლო. ფედიˈაˈ ა̈დგის ლიც ანღრი (ბქ.) — ახლო ადგილას წყალი მოდის. სოფელ ლასკადარ ლენტეხამოყ ფედია ლი (ლნტ. 18) — სოფელი ლასკადურა ლენტეხთან ახლოა. **ფე̄დიას/ფე̄დდას; ფე̄დიˈაˈდ/ფე̄დდად; ფე̄დიათე/ფე̄დდათე** ბზ., ლშხ., **ფედიას/ფედდად** ბქ., ლნტ., ზ მ ნ ს. — ახლოს. ფე̄დიას ჰადაჳჯუყშა იზგახ (ბზ. 369) — ახლოს პადაევჯუყიანი ესახლნენ. სგა̄ღერ ფე̄დიად! (ბზ. 63) — შემოდი ახლოს! მჷმზგრი ფე̄დიას ჰ̄რდი (ლშხ. 91) — მლოცველი ახლოს იქნება. დიარ ქ̇ოთდა აყბა̄ ფე̄დდათე (ლშხ. 68) — პური მიუტანია პირთან (ყბის) ახლოს. ცხუმელლა̈რ იზგეხ შუკჳე ფედიას (ლნტ. 17) — რცხმელურლები სახლობენ გზის ახლოს. კჳიცრა ლოგˈჳˈხჳიდ მასა̈რდ ფედდას (ჩოეზ. 16) — შუნი შეგვხედა ძალიან ახლოს. ასლამაზ ლამუარა̈ ფედიდ ა̈მჩედლი (ჩოეზ. 136) — ასლამაზი ცოლეურთიან („ცოლის მამის სახლის") ახლოს მისულა.

ფე̄დია̈შ (-იშ, -ია̄შა̈რ) ბზ., **ფედია̈შ/ფედია̈დშ** (-იაშა̈რ) ბქ., ლნტ., **ფე̄დია̄შ/ფე̄დდა̄შ** (-არ) ლშხ. — ახლობელი. ნა̈დ მეჳარ ფე̄დდა̈შ ხჳიშდ (ბზ.) — ჩვენ ძალიან ახლობელ'ნ'ი ვართ. ფედიაშა̈რდ სგ'ანჰიეხ (ბქ.) — ახლობლებმა მოაღწიეს. ფე̄დი/და̄შ ლოქ ხი მიშგჳი (ლშხ.) — ახლობელი ხარ ჩემით.

ფე̄დდად, ფე̄დდათე იხ. **ფე̄დი**.

ფე̄დდა̄შ იგივეა, რაც **ფე̄დია̈შ**.

ფიარჳ იგივეა, რაც **ფა̈რჳ**.

ფიზ (-იშ, -ა̈რ||ფჷზა̈რ ბზ., -არ ლშხ.) — ფეტვის ან კანაფის მარცვლის ჩენჩო. გიმბა̈შს ფიზ ქ̇ოთჩა̈დ (ბზ.) — კანაფის თესლს ჩენჩო მოსცილდა.

ფიზლად (-ლა̄დშ, —) ლშხ. — ღიპიანი. ყასბჳლათ ფიზლად მა̄რე ლი (ლშხ.) — ყასბულათი ღიპიანი კაცია.

ფითკირ იგივეა, რაც **ფითკირ**.

ფითˈჳˈ[1] (-იშ, -ა̈რ ბზ., ლნტ., -არ ლშხ.) — ნამცეცი, (ერთი) ბეწვი, ღერი. ფითˈჳˈ მა̄დ ითხი ჰემიშ (ლშხ.) — ერთი ღერი თივა (თივის) არ იშოვება. კ ნ ი ნ. **ფითჳლ**. ამნე̄მ ფითჳლი დეშ ახბირ ლეზობს (ლშხ.) — ამან ნამცეციც (კი) ვერ მოაკლო საჭმელს. შდრ. **ფინჩ.**

ფითჳ[2] ბზ. — თოვლის ფთილა. ა̈ლ თჳეისგა მუსი ფითჳ დე̄მეგ ა̈სდენი (ბზ.) — ამ თვეში თოვლის ფთილა არსად დარჩება.

ფითქჳე (ოფუთქჳ, აფითქჳ; ა̈ფთქჳე ზს., აფუთქჳ ლნტ.), **ფჷთქჳე** (ოფჷთქჳ, აფითქჳ; აფთქჳე) ლშხ., გ რ დ მ. — ხეთქს. მიჩა (ესერ) იშჳსჰ̄ ა̈ფთქჳე ი ჯიჯჳსჰ̄! (ბზ. 396) — ცუდ დღეს დაგაყენებო (რბილსაც გაგიხეთქ და ძვალსაცო)!

ფიკჳ, ფჳკჳ (-იშ, -ა̈რ||ფუკჳა̈რ) ზს., ლნტ., **ფუკჳ** (-არ) ლშხ., ზ ო ო ლ. — ვაცი. ალ ფიკჳს ლელგიე̄რგიდ ლა̈გნედ (ბზ.) — ამ ვაცს გიორგობისთვის გავასუქებთ (დავაყენებთ). ფიკჳდ ლილწხჳი დემეგ ადგენე ჩუ (ბქ. 139) — ვაცმა ცოხნა არ შეწყვიტა (არსად დააყენა). მუხჳბედ ფიკჳე ტუფ ლა̈დქჳე (ლნტ. 306) — ძმამ ვაცის ტყავი ჩაიცვა. კ ნ ი ნ. **ფიკჳილდ** უშგ., **ფიკულˈდˈ** ბქ., **ფიკჳლ** ლშხ. მია ფიკულდ ნომ ლა̈ჯხალდე̄დ (ჩოეზ.) — მე პატარა ვაცი არ გეგონოთ.

ფიკჳი იგივეა, რაც **ფუკჳი**.

ფიკჳიაროჲ იგივეა, რაც **ფუკჳა̄როჲ**.

ფილ (-იშ, -არ) ლხმ. — ფერფლი. ზურალს მაყაჳშჳ ფილიშ ჰა̈ბ ესდენა (ლხმ.) — ქალს შიშით ფერფლის ფერი დასდებია. შდრ.

ფერფ.

ფილე̄ნჯ იგივეა, რაც **ფელინჯ.**

ფილთა იგივეა, რაც **ფილითა̈დ.**

ფილითა̈დ (-იშ, -ფდა̈რ) ზს., **ფილითა̈** (-უ ჩბს., -თაუ ლხმ., -ა̈̄რ უშგ.), **ფილითად** (-აიშ, -არ) ლშხ., **ფილთა** (-დშ, -ა̈რ) ლნტ. — ფილთა თოფი. გჳენეს ეშხუ ფილთა̈დ თჳეფ ხორდა (ბზ.) — გვენეს ერთი ფილთა თოფი ჰქონდა. ბეფშს ფილთა̈ (თეფ) ბარჯს ხა̈ზ (ბქ. 230) — ბავშვს ფილთა თოფი მხარზე აქვს გადადებული.

ფილიკ'ჳ'დ ლიგნე იხ. **ფელიკ.**

ფიმფილ (-ფლიშ, -ფლა̈რ) ბქ. — ფოჩი (მაგ. სიმინდისა). სიმინდ ფიმფილს ქა ჴიდე (ბქ.) — სიმინდი ფოჩს გამოიტანს.

ფიმფორ იგივეა, რაც **ფემფირ.**

ფიმფო̈̄ს (-იშ, -ფო̄სა̈რ) ბზ., **ფიმფო̈ს** (-ფოსა̈რ) ბქ., ლნტ., **ფიმფო̄ს** (-არ) ლშხ. — ბუსუსი; ხის ხავსი. ტიტიდ ზექს ფიმფო̈̄ს ქა̈თხჳკნე (ბზ.) — ტიტიმ ხეს ხავსი გადაფხიკა.

ფიმფრობ იგივეა, რაც **ფემფრობ.**

ფინდიხ (-დხიშ, -დხა̈რ) ბზ., **ფინთიხ** (-იშ, -ა̈რ ბქ., ლნტ., -არ ლშხ.) — ტყვია, ფინდიხი. ჯჳინალდ ფინდიხ ხემთქჳა̈ნხ ნიშა̈ნდ (ბზ. 6) — ძველად ტყვია იცოდნენ (ქალის) დასანიშნავად. ლგდგა̈̄რს ფინთიხ სგა ხესა̈დ (ბქ.) — მკვდარს ტყვია შერჩენოდა. ფინთიხს ადკჳა̈ნნახ ქორთე̄დსა (ლშხ. 29) — ტყვიას შეავლებდნენ სახლში. მურყჳამს დეშ ხოდესკდა ზარბაზა̈ნი ფინთიხ (ლნტ. 103) — კოშკს ვერ უწევდა ზარბაზნის ტყვია. გ ა დ ა ტ. — სწრაფი, დაუდეგარი. ჴარჯვე გეგი ფინდიხდ ლგგ (ბზ.) — გეგი ძალზე სწრაფია. ციოყ ფინთიხ მა̄რე ლი (ლშხ.) — ციოყი დაუდეგარი კაცია. კ ნ ი ნ. **ფინდხილ** ბზ., **ფინთიხე̄ლ** ლშხ.

ფინზ იგივეა, რაც **ფხინიზ.**

ფინზდ ლიგნე იხ. **ფხინიზ.**

ფინთ (-იშ, -ა̈რ ზს., ლნტ., -არ ლშხ.) — ბინძური, უსუფთაო, ცუდი, ფინთი. სოზარ მე̄ჳარ ფინთ მა̄რე ლი (ბზ., ლშხ.) — სოზარი ძალზე ცუდი კაცია. ეჯ ფინთარე ზურალარე (ჰოეზ. 8) — ეგ ფინთ(ებ)ი ქალები.

ფინთილად (-აიშ, -არ) ლშხ., **ფითილ,** **ფინთილა̈** (-დშ, -ა̈რ) ლნტ. — ფითილი, პატრუქი. ლახოდახ ფინთილა̈ ზარბაზა̈ნიშჳდ (ლნტ. 102) — პატრუქი მიუდვიათ (მიუციათ) ზარბაზნის'ა'თვის. გ ა დ ა ტ. ფიცხი. ბაჯუ ფინთილად გუეშ ლი (ლშხ.) — ბაჯუ ფიცხი გულისაა.

ფინთიხ იგივეა, რაც **ფინდიხ.**

ფინია̈დ (-იშ, -ა̈რ‖-ა̈̄ლ) ბზ., **ფინიად** (-აიშ, -არ) ლშხ., **ფინია̈** (-დშ, -ა̈რ) ლნტ., ზ ო ო ლ. — ფინია. ჯგმილდ ფინია̈̄ლი სგა ლა̈დჰემ ჳეშგინ (ბზ. 342) — ძმამ ფინიებიც უკან გაიყოლია. ქალჳემ ანთაჳე დერჳ ფინია̈და̈რ (ბზ. 255) — ძაღლმა დააგდო (შობა) ორი ფინია (ფინიები).

ფინკჳილ ბზ., **ფინკილ** ბქ. იხმარება გამოთქმაში **ფინკ'ჳ'ილდ ლიგნე** — ნანვრევებად ქცევა; დაქუცმაცება, დამსხვრევა. ფინკჳილდი ლგგა̈ნდა იცხრა̈ში (ჰოეზ. 224) — მტვერი იდგა მსხლის ფქვილისა (ნამცეცებად ქცეული მსხლის ფქვილისაგან გაკეთებული ნამცხვარი). შდრ. **ფინჩხილდ ლიგნე.**

ფინფრობ იგივეა, რაც **ფემფრობ.**

ფინჩ (-იშ, -ა̈რ) ზს. 1. ბეწვი. ალ ბეფშჳს ფინჩს დეშ ახკიჩე მიშგჳა უჰჳდია̄ლად (ბზ.) — ამ ბავშვს ბეწვს ვერ ააცლი ჩემს უკითხავად. ლაჰჳდიყი ქჳინგმგენა ფინჩს ხა̈კიჩიხ (ჩბს.) — გაყიდვისას საქონელს ბეწვს 'გამო'აძრობენ. 2. ნამცეცი. შდრ. **ფით'ჳ'.**

ფინჩიხ იგივეა, რაც **ჩინჩრიხ.**

ფინჩხ (-იშ, -ა̈რ ზს., ლნტ., -არ ლშხ.) — ნამცეცი, ფინჩხა. იხმარება გამოთქმაში **ფინჩხილდ ლიგნე** — დამსხვრევა, დაფშვნა, დანამცეცება. ზურალდ სა̈დნა̈რ ფინჩხილდ ადგენე (ბქ.) — ქალმა თეფშები დაამსხვრია. შდრ. **ფინკჳილდ ლიგნე, ფიქჳი̄რდ ლიგნე.**

ფინჯალ (-ჯლა̈შ, -ჯლა̈რ უშგ., -ჯლაშ, -ჯლარ ლშხ.) — ფინჯანი. ლახგშ ეშხუ ფინჯალ ლიც! (ლშხ.) — დალიე ერთი ფინჯანი წყალი! კ ნ ი ნ. **ფინჯლგდ** უშგ., **ფინჯალე̄ლ** ლშხ.

ფიორ იგივეა, რაც **ფიჳე̄რ.**

ფირე'ნ'ცხ (-იშ, -ა̈რ) ბქ., **ფირე̄ცხ** (-ალ) ლშხ. — ხოჭიჭი (ახალშობილის დასაწვენად გაკეთებული ცაცხვის ქერქის მოწყობილო-

ბა). ჩინჩჳილს ფირენცხჷი ა̈ყჳნეხ (ბქ.) — ჩვილს ხოჭიჭრე აწვენენ. შდრ. **ქუბუდან, ქობურდან.**

ფირთჳ იგივეა, რაც **ბირთჳ.**

ფირთხილდ ჱს., **ფჷრთხილდ** ლშხ., ზმნს. — ფრთხილად. ფირთხილდ ესერ იმღა მო̄დ ლგმა̈რდ? (ბზ. 53) — ფრთხილად რატომ არ იყავიო? ფირთხილდ ლიშდა̈ბ ხოჩა ჩიგარ (ბქ.) — ფრთხილად მუშაობა სჯობს ყოველთვის.

ფირო̄მფა (-ფა̈̄შ, -ფა̈̄ლ) ბზ. — ძაფსახვევი ხელსაწყო.

ფირ᾿ჳ᾿ იგივეა, რაც **ფჳ̈რ.**

ფირჳენ (-იშ, -ა̈ლ) ბზ. — ფრინველი. ჰყინტ დეცს ფირჳენს დე̄მ ხა̈ცჳრე (ბზ. 395) — ბიჭი ცაში ფრინველს არ ტოვებს (ცას... არ ატოვებს).

ფირფიტა̈ (-იშ, -ა̈ლ ბზ., -ა̈რ ბქ.) **ფირფიტაჲ** (-ტა̄ჲშ, -ტე̄ლ) ლშხ. — ფირფიტა. მა̄მა აჯჷანდაჲა̄ ფირფიტა̈ი ლაშდრა̄ლს? (ბზ.) — არ მოგწყინდა ფირფიტას თამაში? კნინ. **ფირფიტო̄ლ** ბზ., ლშხ., **ფირფიტა̈ილ** ბქ.

ფირქ (-იშ, -ა̈რ) ბქ. — ხის კასრი. ალა̈რს ფირქა̈რ ლერა̈ყიშ გჳეში ხა̈რენახ (ბქ. 11) — ამათ ხის კასრები საარაყეთი (მასალით) ჰქონიათ სავსე. შდრ. **რაყ.**

ფირღილ იგივეა, რაც **ფჷრღჷ̄ნ.**

ფირცქა̈ჳილ იგივეა, რაც **ფირცქეჳილ.**

ფირცქეჳილ, ფჷრცქეჳილ ბზ., **ფირცქა̈ჳილ, ფჷრცქა̈ჳილ** (-იშ, -ა̈რ) ჲშა., **ფირცქეულ, ფჷრცქეულ, ფარიცქეულ, ფარიქცეულ** (-არ) ლშხ. 1. ბზ. ტყუილი, სიცრუე. ალამა̈გ ფირცქეჳილ იმხა̈ნ ჯეშყდენი? (ბზ.) — ამდენი ტყუილი საიდან გაგონდება? 2. მატყუარა, ცრუპენტელა; ფარისეველი. ფარიქცეულ მა̄რე ლაჷგიარ ლი (ლშხ.) — მატყუარა კაცი საძაგელია. 3. სიბინძურე.

ფი᾿რ᾿წალ იგივეა, რაც **ბირწა̈ლ.**

ფირწამა̈ლ (-იშ, -მალა̈რ) ბზ., **ფირწამალ** (-არ) ლშხ. — საპირისწამლე. ალას ფირწამა̈ლ ჷი ლოხკიდხ (მოეზ. 120) — ამას საპირისწამლე ააცალეს. შდრ. **საბჷრწმა̈რ.**

ფირხილ, ფრიხილ (-ა̈შ, -ა̈რ) ბქ. — ქონდრისკაცი, ჩია კაცი. მიშგჳი მეზჳბელ ფირხილ მარე ლი — ჩემი მეზობელი ჩია ტანის კაცია.

ფისარა̈ იგივეა, რაც **ფისრა̈ჲ.**

ფისა̄რ ლშხ. იხმარება გამოთქმაში **ფისა̄რ კუჰ ემჴად** (ლშხ.) — გული მომივიდა, გავგულისდი, ძალიან გავბრაზდი (ფისიანი კუჭი მომივიდა, „გავეკუჭდი").

ფისე (-ე̄მიშ, -სა̈̄ლ ბზ., -ემ, -სოლ ბქ., -სე̄შ, -სე̄ლ ლშხ., -ჲშ, -სა̈ლ ლნტ.) — ფისი, კუპრი. ბეფშს შია̈რ ფისეშჳ ჷ'ახკურეკანხ (ბქ.) — ბავშვს ხელები ფისით გაესვარა (გაესვარნენ). გ ა დ ა ტ. ფისე̄ჳ ხაბა ამი მგჷშკა̈̄დის (ბზ. 344) — დაიწვას ამის გამომჭედი (ფისიმც ასხია ამის გამომჭედს)! ფისე ხოწურ მიშგჳა ლირდეს! (ბქ.) — ცუდადაა ჩემი საქმე (ფისი სდის ჩემს ცხოვრებას)! **ფისემ ტობ** (ბქ.) — კუპრის ტბა (ჯოჯოხეთი). **ფისათე ლეკჳანე** (ბქ. 128) — კუპრში (ჯოჯოხეთში) ჩასავლები. მა̈ ფის'ეჲბგდ? (ბქ.) — რა უბედურება დაგემართა („ფისი დაგესხა")? ფისეჳ ხაბა მიშგჳა ლითჳა̈ლს! (მოეზ. 130) — დაიწვას ჩემი დაბადება (ფისიმც ასხია ჩემს დაბადებას)!

ფისეგარგას (-იშ, —) ბქ. — მდუღარე ფისი. გ ა დ ა ტ. ჯოჯოხეთი. ფისეგარგასისგოლჳ ხარ ლაქუნ! (ბქ.) — ჯოჯოხეთი იყოს მისი სამკვიდრო (სასულე)! შდრ. **ფისე, ფისემაჩხჷნდრინ, ფისემაწქჳინ.**

ფისი̄ნკჲა̈ნ (-იშ, -ჲანა̈რ) ბზ., **ფისი̄ნკიან** (-არ) ლშხ. 1. მიზეზიანი, სნეული. ალ ფირჳ ფისი̄ნკჲა̈ნ ლა̈სჳ (ბზ.) — ეს ფური მიზეზიანი იყო. 2. უზნეო. მა̈ჲ ფისი̄ნკჲა̈ნ ბეფშჳ ხი სი! (ბზ.) — რა უზნეო ბავშვი ხარ! 3. ენაკვიმატი.

ფისრა̈ჲ ბზ., **ფისრა̈** (-იშ, -რაუ) ბქ., **ფისარა̈** (-ჲშ, -ა̈ლ) ლნტ., **ფისარაჲ** (-რა̄ჲშ, -რა̄უ) ლშხ. — წაწყმედილი, ჯოჯოხეთში მოსახვედრი. ანჴა̈დ ფისრა̈ჲ დედბერილ (ბზ. 41) — მოვიდა წაწყმედილი დედაბერი. ფისრაუ ოთარშერა̈ლ ანჴადხ (მოეზ. 110) — წაწყმედილნი ოთარიანნი (დადეშქელიანები) მოვიდნენ. ფისარა̈ჲ მეზჳბელ მიშგუ! (მოეზ. 34) — წაწყმედილო ჩემო მეზობელო! კნინ. **ფისრა̈ილ** ჱს., ფისრა̈ილ ჳეზდენილა ჩუ ხოდრაჯ-

და და̈შდჳს (ჰოჳ. 8) — წაწყმედილი ევმდენი უდარაჯებდა დათვს.

ფიტე (ოფჷტ, აფიტ; ა̈ფტე) ზს., **ფჷტე** (ოფჷტ, აფიტ; აფტე ლშ., აფუტ, აფიტ; ა̈ფტე ლნტ.), გ რ დ მ. — ხერეტს, ბურღავს. [გეზალდ] პოლ ჩუქჳა̈ნჟი ჟ'ანფიტ (ბზ. 440) — შეილმა იატაკი ქვევიდან ამოხერიტა. ხენწიფდ ფიცარ ქა̈ფიტ ნე̄სგაქა (ლშ. 79) — ხელმწიფემ ფიცარი შუაში გახერიტა.

ფიტის (-ტსიშ, —) ზს. — ხრეში; კენჭი. ეშხუ ფიტისს მჷრყჳამ ოთგიჰა̈ (ლხმ.) — ერთ კენჭს კოშკი გაუმაგრებია (დაუჭერია). გ ა დ ა ტ. **ფიტიზ‖ფიტის** (ზს.) — ნატამალი. ბაჯჳს თჳელი ფიტიზ ქა მეკდე ხა̈რ (ბზ.) — ბაჯუს ჭკუის ნატამალი არ აქვს („ტვინის კენჭი გამოღებული აქვს")

ფიტკირ (-კრიშ, —) ზს., **ფითკირ** (-იშ, —) ლნტ. — ქვიტკირი. ჯჳინელ მჷრყჳმა̈ლ ფიტკირშჳ ლჷგვე ლიხ (ბზ.) — ძველი კოშკები ქვიტკირით არის (არიან) ნაგები. კირს ფიტკრიშ ქორრე ლა̈ლგიმალდ იჯმა̈რიხ (ბქ. 227) — კირს ქვიტკირის სახლების საშენად ხმარობენ.

ფიტკრდა̈ნ (-იშ, -დანა̈ლ/-დანჳ) ბზ. — ქვითკირიანი. გ ა დ ა ტ. გამოყრუებული. სი ფიტკრდა̈ნ, იმ მაგჷრგა̈ლი? — შე გამოყრუებულო, რას მელაპარაკები?

ფიჳე̄რ (-იშ, -ა̈ლ) ბზ., **ფიჳერ** (-ა̈რ) ბქ., **ფიოჳრ** (-ალ) ლშ., ზ ო ო ლ. — კლდის ნადირი (ჯიხვი, არჩვი). ფიჳე̄რ დე̄მე თერი̄ნ (ბზ.) — კლდის ნადირი არსად ჩანდა. კოჯას ფიჳერს დემ ხაცჳრი (ჰოჳ. 184) — კლდეში ნადირს არ ტოვებ.

ფიფა იგივეა, რაც **ფი̄ფა**[1].

ფიქრ (-იშ, -ა̈ლ ბზ., ლნტ., -ა̈რ ბქ., -ალ ლშ.) — ფიქრი, დარდი. ეჩა ფიქრ მარ (ბქ.) — იმისი დარდი მაქვს. შდრ. **ღედ**[2].

ფიქრია̈ნ (-იშ, -იანა̈რ ბქ., -იანა̈ლ ლნტ.) — ფიქრიანი, დარდიანი. სები ფიქრია̈ნ მარე ლი (ბქ.) — სებაი დარდიანი კაცია.

ფიქჳი̄რ ბზ., **ფუქჳინ** ლხმ., **ფუქჳი̄რ** ლშ., **ფუქჳირ** ლნტ. იხმარება გამოთქმებში **ფიქჳი̄რდ /ფუქჳინდ /ფუქჳირდ ლიგნე (ლიჩედ)** — მტვრად ქცევა, დაფშვნა, დამსხვრევა. დია̈რ ფიქჳი̄რდ ლჷგ (ბზ.) — პური დაფშვნილია (მტვრად დევს). საღნარ ფუქჳი̄რდ აჩადხ (ლშ.) — თეფშები დაიმსხვრა (ნამსხვრევებად წავიდნენ). შდრ. **ფინჩხილდ ლიგნე, ფინკჳილდ ლიგნე.**

ფიქშირ (-იშ, -ა̈რ) ლხმ. 1. ბ ო ტ. ბრობრელო (ჩალაბულის, ბზისა და მისთანათა გროვა), ჯაინდრი. 2. ქერტლი. ლუშნჳ საპენ ფიქშირიშ ჟაგა̈რ ლი (ლხმ.) — სვანური საპონი ქერტლის წამალია.

ფიშირ (ხოფშირა, მა̈ფშირე, მაფშირე) — მრავალი, ბევრი. ში̄რა̈ლ ფიშირ ანსყა̄ლეხ (ბზ. 3) — წისქვილის ქვები ბევრი გააკეთეს. უშბათეჟი ფიშირ ხოზნახ (ბქ. 2) — უშბაზე ბევრი ასულა(ნ). ფიშირ ზჷრა̈ლ ხეთხნი უშხჳა̈რ (ლშ. 6) — ბევრი ქალი ხვდება ერთმანეთს. ჳოჯა̈ხხენქა ფიშირ ღჷრდად (ლნტ.) — ოჯახიდან ბევრი მიდიოდით. ზ მ ნ ზ. **ფიშრა̄მინ** ბზ., **ფიშრამინ** ლნტ., **ფიშრან** უშგ., **ფიშირამჷნ, ფიშირჷნ, ფიშირუნ** ბქ., **ფიშრე̄მინ** ლშ. — ბევრჯერ, ხშირად. მეთხჳდა̈რდ ფიშრა̄მინ რა̈ქჳ ალა (ბზ. 362) — მონადირემ ბევრჯერ თქვა ეს. ალი ფიშირამჷნ ლი სოფელთე ნა̈ჴედჳ (ბქ.) — ალი (საკ. სახ.) ბევრჯერ მოსულა (მოსული არის) სოფელში. რანგ ეჯდარს ხოჷგხ ფიშრე̄მინ (ლშ. 19) — რანგი იმათ ხშირად აქვთ (უდგათ).

ფიშირე̄მინ, ფიშრან იგივეა, რაც **ფიშრა̄მინ.**

ფიშრობ (-ა̈შ, —) ზს. — ხალხმრავლობა, სიმრავლე. ფიშრობჟი̄ნ ხჳა̈დ ა̈ნყჳაბა̈ნ (ბზ.) — ლხინში („მრავლობაში") ბევრმა მოიყარა თავი. ფიშრობისგა ბეფშს დემ აჩრა̈ჳიხ (ბქ.) — ხალხმრავლობაში ბავშვს არ აჩერებენ.

ფიშტა̈დ იგივეა, რაც **ფხიშტა̈დ.**

ფიშტჳე იგივეა, რაც **ფიშჳდე.**

ფიშჳდე, ფჳ̈შდე (ოფჳ, აფიშჳდ‖აფჳ̈შდ; ა̈ფშჳდე ზს.), **ფუშდე** (ოფუ, აფუშდ; აფშჳდე) ლშ., **ფიშტჳე** (აფუ, აფიშტჳ; ა̈ფშტჳე) ლნტ., გ რ დ მ. — უშვებს. და̈ჳ დე ამხა̈ჳ ფიშჳდე, დე ეჩხა̈ჳ (ბზ. 241) — დევი არც აქეთ უშვებს, არც იქით. ხელწიფხდ ქაფიშჳდ ა̈მირმ (ბქ. 263) — ხელმწიფემ გაუშვა ამირანი. ქა̈ფიშჳდხ ეშხუ თოდა ჳადაჳშ ბალახთე

რაშ (ლშხ. 60) — რამი ერთი თვით (თვის ვადით) საბალახოდ (ბალახისკენ) გაუშვეს. [უ̂ენა̈ხს] ლიცს სუფშტუ̂ედ ძირისა (ლნტ. 28) — ვენახს ძირში წყალს 'მი'ეუშვებთ.

ფიჩ ბზ., **ფლიჩ** ბქ. იხმარება გამოთქმებში: **ფიჩი'შ', ფლიჩიშ ლიკედ, ფიჩი'შ', ფლიჩიშ ლიღნე** — ფაჩუნი, მსუბუქად დაცემა, მსუბუქად დარტყმა. გურნად ფიჩ ა̈ნკიდ ჰემე̄ი̄ნ (ბზ.) — რიყის ქვა მსუბუქად დაეცა (ქვამ ფაჩუნი გაიღო) თიეაზე. მალუ̂ლდდ ნა̈კლა̈უ̂ეჲი ათღანე ფლიჩ (ბქ. 134) — მელამ ბზეზე („განალეწ'ა̈ე') გაიფაჩუნა (გაადინა ფაჩუნი). კნინ. **ფიჩგლდ.** მალგ'ლ'დდ უ̂ეჯჲი̄ნ ა̈ნკიდ ფიჩგლდ (ბზ.) — მელამ ბზეზე გაიფაჩუნა (ფაჩუნი გაიღო).

ფიჩიფუ̂ჩი (-ჩი̄შ, —) ლშხ., **ფიჩიფუ̂ჩუ** (-ჲშ, —) ლნტ. — ჩურჩული, ფაჩიფუჩი. ქორს ფიჩიფ'უ̂ჩი̄ დე̄სა ისმი (ლშხ.) — სახლში ჩურჩულიც არ ისმის.

ფიჩქ (-იშ, -ა̈რ ზს., -არ ლშხ.) — სამფეხა მრგვალი მაგიდა. მანე̄სგირა ხა̈ხუ̂იდ ფიჩქ (ბზ. 335) — შუათანას ერგო (შეხვდა) სამფეხა მრგვალი მაგიდა. ფიჩქთეჲი იკედხ ჩი (ბქ.) — მრგვალ მაგიდაზე დებენ (გადმოიღებენ) ყველაფერს. ლუ̂ა̈შა̈ თხუ̂იმ-კინჩხ ფიჩქთეჲი ა̈ხუ̂იკდ (ჰოეზ. 114) — ჯიხვის თავ-კისერი სამფეხა სუფრაზე დაედევი (გადმოეიღე). კნინ. **ფიჩქილდ, ფიჩქგლდ** ზს., **ფიჩქი̄ლ** ლშხ. ფიჩქგლდს ჲი იკედ ქორა̈ ხოშა (ბზ. 12) — სამფეხა მრგვალ მაგიდას აიღებს ოჯახის (სახლის) უფროსი.

ფიჩხ[1] იგივეა, რაც **ფა̈ნჩხ.**

ფიჩხ[2] (-იშ, —) ლხმ. — მსუბუქად სიარული. ალ დინა ფიჩხს დემის ხაღნე (ლხმ.) — ეს ქალიშვილი მსუბუქად დადის (სიარულისას ჩქამს არ გაიღებს).

ფიცა̈რ (-ცრიშ, -ცრა̈ლ ბზ., -ცრა̈რ უშგ., ბქ., -იშ, -ცარა̈ლ ლნტ.), **ფიცარ** (-ცრიშ, -ცრალ) ლშხ. — ფიცარი. ფიცრიშ ლარდა ქორს ჲიქაქა ხაგა̈ნ (ბქ. 202) — ფიცრის ოთახი (სამყოფი) სახლს ზემოდან ედგა („ადგა"). ბუბა ფიცა̈რი ლალტაბალხო აჩად (ლნტ. 27) — ბიძა ფიცრის სათლელად წავიდა. გ ა დ ა ტ. **გუ̂ა̈მი'შ' ფიცა̈რ** ზს. — გულის ფიცარი. აშხუ̂ემ ხაჲიდ გუ̂ა̈მი'შ ფიცა̈რს (ჰოეზ. 76) — ერთმა მოარტყა გულის ფიცარში. კნინ. **ფიცლა̈̄დ** ბზ., **ფიცლად** ბქ., ლნტ., **ფიცრგლ** უშგ., **ფიცარე̄ლ** ლშხ. ამნე̄მდ კუბს ფიცლა̄და̈რ ესფარგ̄ლე (ბზ. 302||ესლაფრა̄ლე) — ამან კუბოს პატარა ფიცრები დააფარა.

ფიცხ[1] (-იშ, -ა̈რ ბზ., -არ ლშხ.), **ნა̈ფიცხუ̂** ბზ., ლნტ. — ნამცეცი. დი̄რი ფიცხი̄ დე̄სა გუ̂ი̄მა (ბზ.) — პურის ნამცეციც არ გვიჭამია. კნინ. **ფიცხილდ** ბზ., **ფიცხი̄ლ** ლშხ., შდრ. **ფინჩ'ხ'.**

ფიცხ[2] იგივეა, რაც **ფიცხელ.**

ფიცხელ (-იშ, -ა̈რ) ბზ., **ფიცხ**[2] (-არ ლშხ., -ა̈ლ ლნტ.) — ფიცხი. ბაბა ჯობე სურუ ფიცხ მარე ლი (ლშხ.) — ბაბუა ჯობე ძალიან ფიცხი კაცია.

ფიცხელობ იგივეა, რაც **ფიცხლობ.**

ფიცხლობ (-ა̈შ ზს., -აშ ლშხ., —), **ფიცხელობ** (-ა̈შ, —) უშგ., ლნტ. — სიფიცხე. მურზაბეგს ფიცხლობ ხეთი̄რი ალ საქმე̄ჲსა (ლშხ.) — მურზაბეგს სიფიცხე ეტყობა ამ საქმეში.

ფიცხ-ფიცხ (-იშ, —) ბქ. — ფაჩუნი. ფიცხ-ფიცხ მესმი (ბქ. 204) — ფაჩუნი მესმის. შდრ. **ფიჩ.**

ფიწა̈ლ იგივეა, რაც **ბირწა̈ლ.**

ფიჭ (-იშ, -ა̈რ ზს., ლნტ., -არ ლშხ.)— ფიჭა. ფიჭხა̈ნქა ლეტუ̂რა̄ლ ოხუ̂სყედ (ბზ.) — ფიჭისაგან სანთლები გავაკეთეთ. ღობა̈რს ფიჭ მასა̈რდ ხოსდახ (ბქ.) — სკებს ფიჭა ბლომად ჰქონდათ (ედოთ).

ფიხი (-ა̈შ, -ა̈რ) ზს. — ყოყლოჩინა, ამაყი. შა̈რლან ფიხი მარე ლა̈სუ̂ (ბქ.) — შარლანი ყოყლოჩინა კაცი იყო. კნინ. **ფიხილ.**

ფიხუ̂რა იგივეა, რაც **ფეხუ̂რა.**

ფიჯ (-იშ, -ა̈რ ზს., -არ ლშხ.), **ფლიჯ** (-ა̈რ) ბქ. 1. მეჩხერი. უ̂ენახ ფიჯ ლი (ლშხ.) — ვენახი მეჩხერია. ქართობილს ფიჯ-ფიჯდ ხაკუ ლილა̈̄ში (ბზ.) — კარტოფილს მეჩხრად უნდა დარგვა ('და'თესვა). ქართ ფიჯ-ფიჯდ ლი ლგნერგაუ̂ე (ბქ.) — კომბოსტო მეჩხრადაა დარგული. 2. განიერნაბიჯებიანი. სოზარდ ფლიჯდ ადსყე ა̈გითე (ბქ.) — სოზარი განიერი ნაბიჯებით გაემართა (სოზარმა განიერნაბიჯე

ბად გააკეთა სელა) მინისკენ. გ ა დ ა ტ. **ფიჭდ, ფლიჭდ ლიგნე** (ბქ.) — მტკიცედ დგომა (გაშლილ, განიერ ფეხებზე დგომა).

ფიჭლა̈ჲ (-ა̈იშ, ლაუ||-ლაჲა̈რ) ბზ., **ფიჭლა̈, ფიჭრა̈** (-იშ, -ლაუ/-რაუ) ბქ. — განიერლაჯება. სამჭელა̈ქ ფიჭლა̈ ზურალ ლი (ბქ.) — სამჭელაქი განიერლაჯება ქალია.

ფი̄ნი̄ლ[1] (-ა̈შ, -ა̈რ ბზ., -აშ, -არ ლშ.) — მოჩვენება, სწრაფი, უხილავი არსება; გაიძვერა. გ ა დ ა ტ. მელაკუდა, ტყუილების გუდა, ეშმაკი. ეჯა ფი̄ნი̄ლდ ლგგ (ბზ.) — ის (ძლიერ) ეშმაკია (მოჩვენებად დგას). ალ ბობშ ჩიგარ ფი̄ნი̄ლარს ხაგგრგალი (ლშ.) — ეს ბავშვი ყოველთვის ტყუილს ლაპარაკობს (ეშმაკებს ელაპარაკება).

ფი̄ნი̄ლ[2] ბზ. — ბარაქიანი, ხვავრიელი.

ფი̄ფვა[1], **მა̈ფი̄ფვა** (-ფვა̈შ, -ფვა̈ლ) ბზ., **ფი̄ფვა** (-ფვა̄შ, -ფვე̄ლ ლშ., -ფვა̈შ, -ფვა̈ლ უშგ.), **ფიფვა** (-ფვა̈ჲშ, -ფვა̈ლ) ლნტ. — აჩრდილი; ჩრდილი, ლანდი. ალჲა̈რ ხეწ̄დენიხ დი̄ნა̈ ფი̄ფვას (ბზ. 313) — ქაენი დაინახავენ ქალიშვილის აჩრდილს. ჩა̈ჳ ფჳიფვას ხეწ̄ად ლიცისა (ლნტ. 242) — ცხენმა ლანდი დაინახა (ლანდს შეხედა) წყალში. იხ. **მა̈ფი̄ფვა**.

ფი̄ფვა[2] (-ფვა̈შ, -ფვა̈რ) უშგ. — დევი. შდრ. **და̈ჳ**.

ფლა̈ჩჲა̈ჲ იგივეა, რაც **ფალჩა̈ჲ**.

ფლით იგივეა, რაც **ფლიჳ**[1].

ფლითა̈ჲ (-ა̈იშ, -თაუ||-ა̈რ) ბზ., **ფლითა̈** (-იშ, -თაუ) ბქ. — დიდწვერა. გუშგჳემგყ ეშხუ ფლითა̈ მარე ანჭა̈დ (ბქ.) — ჩვენთან ერთი დიდწვერა („ფაჩენიერი") კაცი მოვიდა.

ფლიჳ[1] (-იშ, —) ბზ., ლხმ., **ფლით** ბქ. — ხვავიანი თოვა, ბარდნა, ფთილების ცვენა. ლა̄თ ფლიჳდ შდუჳა (ბზ.) — წუხელ ხვავიანად თოვდა. ეჯ ლეთ შდუას ფლით ჩუ ხად (ბქ.) — იმ ღამეს თოვლი ბარდნიდა (თოვლს ხვავი ჰქონდა).

ფლიჳ[2] ბზ., ლხმ. — ფლური (ოქროს ან ვერცხლის ფული ძველად).

ფლიჩ იგივეა, რაც **ფიჩ**.

ფლიჭ იგივეა, რაც **ფიჭ**.

ფლოქ იგივეა, რაც **ფორჩლიკ, ფო̈ლ**.

ჩალყჳ[2] (-ა̈შ‖-იშ, -ა̈რ ბზ., -იშ, -არ ლშხ.) — გამლილ თითებზე დახვეული ძაფი, ხიფა. მეზჳბელდ ეშხუ ჩალყჳ ქიპ ლამშდებ (ბზ.) — მეზობელმა ერთი ხიფა ძაფი მასესხა.

ჩამაგა იგივეა, რაც **ჩა̄მა̄გა**

ჩამსჳა̈ლ (-იშ, —) ბზ., **ჩამსჳალ** ლშხ. — თოფის წამლის ბევარა. ჩამსჳა̈ლ ხეჴხა̈ნ ჟა̈გი ბეგა̈რს (ბზ.) — „ჩამსვალი" ერქვა თოფის წამლის ბევარას.

ჩამჳირ (-იშ, -ა̈რ) ლხმ. — დონდლო, მოუქნელი. კესა ჩამჳირ ზჳრალ ლასჳ (ლხმ.) — კესა დონდლო ქალი იყო.

ჩანგ იგივეა, რაც **ჩა̈ნგ**.

ჩანთხალ (-თხლა̈შ, -თხლა̈რ) ბქ., **ჩანთხარ** (-იშ, -ა̄ლ) ლშხ., **ჩანთხა̈რ** (-ა̈ლ) ლნტ. — ძველმანები. ქს. ძველი ფეხსაცმელი. ხჳა̄ჲ ჩანთხარ ხჳითხე̄ლ (ლშხ.) — ბევრი ძველი ფეხსაცმელი ვიშოვე.

ჩართ იგივეა, რაც **ჩა̈თრ**.

ჩარინგ იგივეა, რაც **ჩა̈რინგ**.

ჩარჩ იგივეა, რაც **ჩა̈ჩ**.

ჩაფრა̈სტ (-იშ, -ა̈ლ) ბზ., ლნტ., **ჩაბრა̈სტ** (-რასტა̈რ) ბქ., **ჩაფრასტ** (-ალ) ლშხ. — ჩაფრასტი. სამკაული. ჯჳინალდ ზჳრლა̈̄რ ჩაფრასტა̈ლს ირკჷნახ (ბზ.) — ძველად ქალები ჩაფრასტებს იკიდებდნენ. ჳერს ხეჩდახ ჳარჩხლიშ მგსკდა̈რ, ჩაბრასტა̈რ ი ლეშდმა-

რა̈რ (ბქ. 195) — მიწას ურევია ვერცხლის ბეჭ-დები, ჩაფრასკები და საყურეები.

ჩაფგლ (-ფლა̈შ, -ფლა̈რ ზს., -ფლა̈ლ ლნტ., -ფლაშ. -ფლარ ლშხ.) — ფეხსაცმელი. ბერჟი ჩაფლა̈რ... ჩუ̂აჯიჩხ ჯუ̂ე̄დია შუკუ̂ს (ბზ. 72) — რკინის ფეხსაცმელი გაცვითეს შორ გზაზე. ისგა ლუკუ̂რემე მად ჩაფგლ, ზგთჯა̈რ, სახშუ̂ირ (ბქ. 204) — ფეხსაცმელი, პაჭიჭი და შარვალი ზედ მქონდა მიყინული. მინეშდ ჩა-ფგლს დე̄მ იდე̄სხ ნაღრიბუ̂შ (ლშხ. 11) — თვითონ სიღარიბით ფეხსაცმელს არ იცვამენ. ზაუ̂ლა̈დეღ მერბე ნა̈ირ ჩაფლა̈ლ გუ̂აწგხ (ლნტ. 31) — ზაფხულში სხვანაირი (მეორენაი-რი) ფეხსაცმელები გვჭირდება.

ჩაჩ იგივეა, რაც **ჩა̈ჩ**.

ჩაჩაბ იგივეა, რაც **ჩოჩბირა**.

ჩაჩამეტ (-იშ, -ა̈რ) ბზ., ლხმ. — სახელ-დახელოდ გამომცხვარი ულამაზო პური.

ჩაჩე (-ედჩაჩა̈ნ; ედჩა̈ჩი ბზ., —, ედჩაჩა̈ნ; ედჩაჩი) ლშხ., **ჩა̈ჩე** (—, ა̈დჩაჩან; ა̈დჩა̈ჩი) ლნტ., გ რ დ უ ვ. — ყვავის, ულვაშდება (სიმინდი). შუ̂ანს სიმინდა̈რ ათხე ჩაჩეხ (ლშხ.) — სვა-ნეთში სიმინდები ახლა ულვაშდება. ამ ზაუ̂ სი-მინდ გუ̂ია̈ნდ ა̈დჩაჩან (ლნტ.) — წელს სიმინ-დი გვიან დაულვაშდა.

ჩახმახ, ჩახმა̈ხ იგივეა, რაც **ჩა̈ხმა̈ხ**.

ჩახუ̂ნარე ლშხ., რელიგ. — შუა მარხვა. შდრ. **ისგლინჩა̈ლ**.

ჩა̈თრ (-იშ, -ჩათრა̈ლ) ბზ., **ჩათრ** (-ალ) ლშხ., **ჩართ** (-ა̈ლ) ლნტ. — ნეხვისა და ნაგვის გასაზიდი ჩელტი. ქა̈შიდხ ეშხუ̂ ჩა̈თრ ნა-ჯა̈ლუ̂ (ბზ.) — გადაყარეს ერთი ჩელტი ნა-გავი (ნახვეტი).

ჩა̈ნგ (-იშ, ჩანგა̈რ) ზს., ლნტ., **ჩანგ** (-არ) ლშხ. — ჩანგი. როსტომ ჩა̈ნგს შგნჟი იყდა̈ნი (ბზ. 9) — როსტომი ჩანგს ხელში იჭერს. ჩა̈ნგ ესერ ხოგხ მა? (ბქ. 38) — ჩანგი თუ გაქვთო?

ჩა̈პ (-იშ, -ჩაპა̈რ) ბზ., **ჩეპ** (-ა̈რ) ბქ. — ჩაღრმავებული ადგილი, ფოსო. კეკეს ჰა̈ყბაჟი ჩა̈პ ხა̄რ (ბზ.) — კეკეს ლოყაზე ფოსო აქვს.

ჩა̈რთოლა̈ჲ (-იშ, —) ბზ. — ნარევი თესლი. ნა̈ჲ აშხუ̂ და̈ბუ̂ისგა ამზაუ̂ ჩა̈რთო-ლა̈ჲ ოლა̈შდ (ბზ.) — ჩვენ წელს ერთ ყანაში ნარევი თესლი დავთესეთ.

ჩა̈რი̄ნგ[1] ბზ., **ჩარინგ** ლშხ. — გამოულე-ველი სურსათ-სანოვაგე. და̈უ̂ითს ლეზუ̂ებ-ლეთრე ჩა̈რი̄ნგდ ხაკა̈ფ (ბზ.) — დავითს სას-მელ-საჭმელი გამოულევად (თავზე საყრელად) უნდა.

ჩა̈რი̄ნგ[2] (-იშ, -ა̈ლ) ბზ. — საბოლოო სა-დღეგრძელო, რომლის შემდეგ სმა აღარ გრძელდება. უ̂ეშგიმპილს ჩა̈რი̄ნგი̄ ჩუ̂ ლა-ხა̈შხ (ბზ.) — ბოლოს „ჩარინგიც“ დაალევინეს.

ჩა̈რხ იგივეა, რაც **ჩა̄̈რხ**[1].

ჩა̈ჟ იგივეა, რაც **ჩა̄̈ჟ**.

ჩა̈უ̂ (-ჩაუ̂ა̈შ, -ჩაუ̂ა̈რ) ზს., ლნტ., **ჩეუ̂** (-იშ, -არ) ლშხ. — ჩეო. ბაბად ჩა̈უ̂ ჟ'ანშხა̈ტ (ბზ.) — ბაბუამ ჩეო დაწნა. ჩა̈უ̂ს ნეცინ კუ̂ე-დალა̈ლხენქა ხუ̂ა̈შხა̈ტიდ (ლნტ. 23) — ჩეოს წვრილი წნელებისაგან ეწნავთ.

ჩა̈ჩ (-იშ, -ჩაჩა̈რ) ბზ., **ჩარჩ** (-ა̈რ) ბქ., **ჩაჩ** (-არ ლშხ., -ა̈რ ლნტ.) — წვერი (სამკლოვე-აროო). [როსტომდ] ჰუ̂ნირ ანსყე... მიჩა ჩა̈-ჩხა̈ნქა (ბზ. 43) — როსტომმა ჭიანური გააკეთა თავისი წვერისგან. ა̈მირა̈ნი მუ̂ს ჩაჩ ხადა ჟი ლგგენე (ლნტ. 249) — ამირანის მამას წვერი ჰქონდა მოშვებული.

ჩა̈ჩე იგივეა, რაც **ჩაჩე**.

ჩა̈ხმა̈ხ (-იშ, -მახა̈რ) ბზ., ლნტ., **ჩახმა̈ხ** ბქ., **ჩახმახ** (-არ) ლშხ. — ჩახმახი. ცენტრა ქა̈მკგლა̈ნ ი... ჟი დეშ ხუ̂იტხე ჩახმა̈ხს (ბქ. 204) — თოფი (ცენტრალი) ჩამეკეტა და ჩახმახს ზევით ვერ ვწევ (ვიბრუნებ).

ჩა̄მა̄გა (-გა̈შ, — ბზ., -გა̄შ, — ლშხ.), **ჩა-მაგა** (-გა̈შ, —) ბქ. — სავსე, უხვი სუფრა. ეშ-დორი და̄უ̂ს ჩამაგა ჩუ̂ ხოგხ (ბქ. 171) — თორმეტ დევს უხვი სუფრა უდგას. ჩა̄მა̄გა ემგეხ (ლშხ.) — სავსე სუფრა დამიდგეს.

ჩა̄ჟ იგივეა, რაც **ჩა̄̈ჟ**.

ჩა̄რ ლშხ. იხ. **ჩა̄̈ჟ**.

ჩა̄რხი იგივეა, რაც **ჩა̄̈რხ**[2].

ჩა̄̈ჟ (-იშ, ჩა̄ჟა̈რ) ბზ., **ჩა̈ჟ** (ჩაჟუ̂ემ, ჩა-ჟა̈რ ბქ., -ა̈რ ლნტ.), **ჩა̄ჟ** (ჩა̄რ||-არ) ლშხ., ზო-ოლ. — ცხენი. ჟი ლახსგურდახ ხეხუ̂-მა̈შ ჩა̄-ჟა̈რს (ბზ. 331) — შეჯდა ცოლ-ქმარი ცხენებზე. მა̈გ ჩა̈ჟ თუხუ̂არიკ ესერ დემ ჰედნი (ანდ.) —

ყველა ცხენი თოხარიკი არ გამოვაო. ბელხანჯარდ ჟი ლეჲნბეცჳე ჩა̈ჟი ლიჷმარი (ლშ. 68) — ბელხანჯარმა შეიძლო ცხენის გამოყენება. მა̈გ ხეკჳეს ჩა̈ჟი შიყჳშ ათოხოანხ ლენტეხა̈ჲ ცენტრხოჲსკა (ლნტ.) — ყველაფერი ცხენის ზურგით უნდა წაელოთ ლენტეხის ცენტრამდე.

ჩა̈̄რდი-ბა̈̄რდი იგივეა, რაც **შა̈რდი-ბა̈რდი.**

ჩა̈̄რხ[1] (-იშ, ჩა̄რხა̈ლ) ბზ., **ჩა̈რხ** (-იშ, ჩარხა̈რ) ბქ. — ჩარხი. მიშგჳა ბუბას ჯჳინელ ჩა̈̄რხ ხო̄გა̈ნ (ბზ.) — ბიძაჩემს ძველი ჩარხი ჰქონდა.

ჩა̈̄რხ[2] (-იშ, ჩა̄რხა̈ლ) ბზ., **ჩა̄რხი** (-ხი̄შ, -ალ) ლშ. — ციგა. ჩიქჳანა̈შ ჩა̈რხ ქეყანას ესერ ხა̈თრინა (ანდ.) — ჩიქოვანის ციგას ქვეყანა ათრევდაო. ლიბობშს ხოჩა ჩა̄რხი მელჳა̈ნ (ლშ.) — ბავშობაში კარგი ციგა მქონდა.

ჩეგ (-იშ, -ა̈რ) ბქ. — საბელის მარყუჟით გასკვნილი ნაწილი, მარყუჟის ნასკვი.

ჩეი̄ (ჩეი̄შ, —) ბზ., ლშ., **ჩეი** (ჩეჲა̈შ, —) ბქ. — სპილენძი. დადას ეშჳი ჩეჲა̈შ კასრულუდ ხოგან (ბქ.) — დედაბერს ერთი სპილენძის ქვაბი ედგა. ადქჷნთრინეხ... ჩეი̄ კა (ბზ. 346) — სპილენძის ფიქალი გაახურეს.

ჩელტ (-იშ, -ა̈რ ზს., ლნტ., -არ ლშ.) — ჩელტი. ჩელტი ბოგ (ბზ.) — ჩელტის ხიდი.

ჩემჟი ბზ., ქს. — გულისათვის, გამოისობით, სახელზე. იმშა ჩემჟი ჩჳემნ? (ბზ.) — რის გულისათვის ქენი? მიშგჳა ჩემჟი ეხბიშდ (ლშ.) — ჩემს სახელზე (ჩემთვის) გამოართვი.

ჩენთ იგივეა, რაც **ჩო̈ნთ.**

ჩეჲნ იგივეა, რაც **ჩჳე̄ნი.**

ჩეპ იგივეა, რაც **ჩა̈პ.**

ჩერგენ (-იშ, -ალ) ლშ. — ერთმანეთზე მიყუდებული ჩალის კონები (იმერ. ჩერგილი). სგა̈ნჷგ კირაჳთე ჩერგენ (ლშ.) — შემოიტანე საბძელში ჩერგილი;

ჩერდიკ (-იშ, -ა̈რ) ლხმ. — კუნძი. ჲერხი მა̈რე ჩერდიკს ესერ ხა̈ჯეშ (ლხმ.) — ზოგი კაცი კუნძს ჰგავსო.

ჩერთ (-იშ, -ა̈რ) ზს. — ეჩო. ჩერთშა̈ლ თხუმთე გარ იტა̈ბე (ბზ.) — ეჩოსავით მხოლოდ თავისკენ ითლის.

ჩერი იგივეა, რაც **ჩე̄რი.**

ჩერჩ (-იშ, -ა̈ლ ბზ., ლნტ., -ა̈რ ბქ., -ალ ლშ.) — მარცვლეულის ჩენჩო. ჩერჩს ქა შგდეხ (ლშ.) — ჩენჩოს 'გა'დაყრიან.

ჩეჳ იგივეა, რაც **ჩა̈ჳ.**

ჩეფგენ (-იშ, -არ) ლხმ. — უხეში ტყავისაგან შეკერილი წუღა. ბებშს ხოჩა ჩეფგენა̈რ ხასდ (ლხმ.) — ბავშვს კარგი წუღები ეცვა.

ჩექ იგივეა, რაც **ჩჳექ.**

ჩე̄რი (-რი̄შ, -ა̈ლ ბზ., -ალ ლშ.), **ჩერი** (-ა̈შ, -ა̈რ ბქ., -ა̈ლ ლნტ.) — თითისტარი. დედბერდ ლოხრეკ ჩე̄რი (ბზ. 415) — დედაბერმა გამოჰკრა თითისტარი. ლგლეთ ქიპს... ჩერია̈რხენქა ქა ითჳდიხ (ბქ. 305) — დართულ ძაფს თითისტარიდან გადაახვევენ. [დენად] ეშხუ ჩერი ლახჳემ მათხოჳა̈რს (ლნტ. 264) — ქალიშვილმა ერთი თითისტარი მისცა მათხოვარს.

ჩია̈გ იგივეა, რაც **ჩია̈̄გ.**

ჩია̈გიშნენსგა იგივეა, რაც **ჩია̈̄გინესგა.**

ჩია̈̄გ (-იშ, —) ბზ., **ჩია̈გ** ბქ., **ჩია̄გ** ლშ., **ჩია̈გჳ** ლნტ. — ყველგან. ხჳა̈ჲ მერყჳამ ლგგ ჩია̈̄გ (ბზ. 1) — მრავალი კოშკი დგას ყველგან. ლეჩომ ჩია̈გ ჟ'ესერ ლა̈თხი ხარ (ანდ.) — საქმე ყველგან მოიძებნებაო. იმა̈ჲხო ქაჩეხი, ჩია̈გუ ხოჩემი სჳე... ლაჯაოდა (ლნტ. 57) — სადაც წახვიდე, ყველგან კარგი ბედი მოგყვებოდესო.

ჩია̈̄გინესგა (-გა̈შ, —) ბზ., **ჩია̈გიშნენსგა** (-გა̈შ, —) ბქ., **ჩიაგჳა̈ნესკა** (-ჲშ) ლნტ., ზმნზ. — ყველგან. ჩია̈̄გინესგა ალა მეშყდენდა (ბზ.) — ყველგან ეს მახსენდებოდა. ჩია̈გიშნენსგა სი ჯეთხელი (ბქ.) — ყველგან შენ გეძებ.

ჩიბრუყჳ ლხმ. — უშნო, ჯირკივით აგებულების კაცი. გიერგ ჩიბრუყჳ მა̈რე ლასჳ (ბქ.) — გიორგი ჯირკივით კაცი იყო.

ჩიგ ლშ., ზმნზ. — კოჭლობით სვლა. ჩუ ხო̄გ ჩიგ — კოჭლობით დადის (ჩინდრიკა გაუდის).

ჩიგარ — ყოველთვის, მუდამ. ჩიგარ გჳი̄მი ლიზგეს ესერ, ჩიგარ შიყი ლიზგე ხო-

ჩა (ბზ.) — მუდამ გულის ტკივილს, მუდამ მურგის ტკივილი ჯობიაო. გჷი ლაგუს ჩიგარ ესერ დე̄მ სკჲდა (ანდ.) — გული საგულეში ყოველთვის არ ეტევაო. ალ ბალახ ჩუ დე̄მ იმჲი ჩიგარ (ლშხ., ხორ. 8) — ეს ბალახი ყოველთვის არ მწიფდება.

ჩიგინდჷირ (-იშ, -დჷრა̈რ) ბქ., ბ ო ტ. — ჭარხალი. ჭარტმა̈რისგა გჷილაშა... ჩიგინდჷირ (ბქ. 225) — ბოსტნებში გვითესია ჭარხალი. ჩიგინდჷირიშ მერცილ — ჭარხლის სათესლე. იხ. **ქართ.**

ჩითა-ხჷითა ლშხ. — მიეთ-მოეთი, ამყოლ-დამყოლი, მიდებ-მოდებული. ჩითა-ხჷითა მა̈რე̄ლ — ამყოლ-დამყოლი კაცი.

ჩითახჷირ (-იშ, -ა̈ლ) ბზ. — ფარისეველი, პირმოთნე, მლიქვნელი. ალ ხელწიფიშ მომსახჷრა ჩითახჷირა̈ლ ლა̈სჷხ (ბზ.) — ამ ხელმწიფის მოსამსახურეები მლიქვნელები იყვნენ.

ჩილ (-ა̈შ||იშ, -ა̈რ) ზს. — ქანჯიანი, ოდნავ მჟავე წყალი. ეჯჲარე სოფელისგა ხოჩა ჩილ ანღრი (ბზ.) — იმათ სოფელში კარგი მჟავე წყალი მოდის.

ჩილელჷ (-იშ, -ა̈რ||-არ) — ცური, ჯიქანი. დაჴჲლდ ხა̈ქჷე: ჩილელჷშჷ ესერ ლგჯა ხოჴდე ი მჷჰა̈რშჷ ბალა (ბქ. 255) — თხამ უთხრა: ჯიქნით რძეს მოგიტან და რქებით ბალახსო.

ჩიმთ იგივეა, რაც **ჩინთ.**

ჩინა̈ირ იგივეა, რაც **ჩინჷკჷიშ.**

ჩინა̈რ ზს., ლნტ., **ჩი̄ნარ** ლშხ. — ყველანაირად, ყველაფრად, ყოველმხრივ. თამარ ჩინა̈რ ხოჩა დინა ლი (ბქ.) — თამარი ყოველმხრივ კარგი გოგოა.

ჩინთ (-იშ, -ა̈რ ბზ., ლნტ., -არ ლშხ.), **ჩიმთ** (-ა̈რ) ბქ. — ჩითი. დინას ჩიმთიშ კაბ ხესგჷიშგდ (ბქ.) — გოგოს ჩითის კაბა შეენოდა. კ ნ ი ნ. **ჩიმთილდ, ჩინთილდ.** ჩიმთილდ სტოლქ' ესგრშან (ბქ. 337) — ჩითი მაგიდაზე დაეფინა.

ჩინჷკჷიშ ზს., ლშხ., **ჩინა̈ირ** ლნტ. — ყველა სახის, ყველანაირი. ტაბგა̈რ ჟი ლა̈ჲგჷემლა̈ნხ ჩინჷკჷი ლეზობშჷ (ბზ. 419) — სუფრები გაივსო ყველანაირი საჭმლით.

ჩინჩაყჷ, ჩინჩა̈ყჷ იგივეა, რაც **ჩინჩა̈ხჷ.**

ჩინჩა̈ხჷ (-იშ, -ა̈რ) ბზ., **ჩიჩა̈ხჷ** ბქ., **ჩინჩაყჷ** (-არ) ლშხ., **ჩინჩა̈ყჷ** (-იშ, -ა̈რ) ლნტ. 1. ჩიჩაყვი. ჟოხოკ ქათალს ჩინჩაყჷ (ლშხ.) — ამოეულე ქათამს ჩიჩახვი. 2. ბქ. (ნანადირევის) გულ-ღვიძლი. ჩიხა̈ხჷ ჟ'ოხტყაბედ (ბქ. 207) — გულ-ღვიძლი შეეწვით.

ჩინჩრიხ ზს., **ფჷნჩიხ** ლშხ., **ფინჩიხ** ლნტ. — დამსხვრეული. იხმარება გამოთქმაში: **ჩინჩრიხდ ლიგნე** ზს., **ფჷნჩიხდ ლიგნე** ლშხ., **ფინჩიხდ ლიგენე** ლნტ. — დამსხვრევა, დამტვრევა. კაკოს მა̈ხე მა̈შინა ჩინჩრიხდ ოთგენა (ბქ.) — კაკოს ახალი მანქანა მთლად დაუმსხვრევია.

ჩინჩჷილ (-ჷლა̈შ, -ჷლა̈რ) ბქ. — ჩვილი, ბავშვი. ლა̈კბალლისგა ჩინჩჷილ ჩჷ'ესერ ოლცუდელი (ანდ.) — მოფერებაში ბავშვი გაცუდებულაო.

ჩიჟე იგივეა, რაც **ჩი̄ჟე.**

ჩიჟეაქ (-იშ, -ა̈რ) ბქ., ლნტ., **ჩი̄ჟეა̄ქ** (-არ) ლშხ. — სასიძო. იხ. **ლეჩჟჷ̄რი.**

ჩირა̈კს ბქ., ლნტ., **ჩირაკს** ლშხ., ზ მ ნ ზ. — ყოველ წამს. გეზალ ჩირა̈კს ხეთხელიჷ დის (ბქ.) — შვილი ყოველ წამს ეძებდა დედას.

ჩირგ (-იშ, -ა̈ლ ბზ., -ალ ლშხ.), ბ ო ტ. — ჩირგვი, ბუჩქი. ჲეკალაჲ ცაგშა̈ლ ჩირგ ლი (ლშხ., ხორ. 3) — ეკალა ეკალივით ბუჩქია.

ჩირთ (-იშ, -ა̈ლ ბზ., ლნტ., -ა̈რ ბქ.) — ქვების გროვა. [როსტომ] ჩირთჟი̄ნ ჩჷადყურდა (ბზ. 235) — როსტომი ქვის გროვაზე წამოწვა.

ჩირხა̈ (-იშ, -ხა̈უ ჩბხ., -ხაუ ლხმ.) — ქონდრის კაცი, პატარა ტანის ადამიანი. მიშგჷა ბაბა ჩირხა̈ მა̈რე ლგმა̈რ (ბქ.) — ბაბუაჩემი პატარა ტანის კაცი ყოფილა.

ჩიფე, ჩჷფე (ოჩჷფ, აჩიფ; ა̈ჩფე ზს., აჩფე ლშხ.), გ რ დ მ. — კვებავს. ალამა̈გ კუმა̈შს დეშ ჩჷიფე ამზაჷ (ბზ.) — ამდენ საქონელს ვერ გამოეკვებავე წელს. რა̈შ ეჯჟი ადჩიფეხ, ერე დეცთე მჷჰკმა̈რს ხეშდრალდა (ბქ. 68) — რაში ისე გამოკვებეს, რომ ცაში ვარსკვლავებს ეთამაშებოდა. ამ ლუნთ კუმაშ ჷედნუშ ოთჩჷფედ (ლშხ.) — ამ ზამთარს საქონელი ძლივს

გამოვკვებეთ.

ჩიქ, ჩიქე, ჩიქი — ჯერ, ჯერჯერობით. მიჩ ესერ ლიგგრგა̈ლი მა̈დ ხა̈კუ̂და ჩიქე (ბზ. 30) — მე ჯერ დალაპარაკება არ მინდოდაო. ჩიქი მ'ამფიშუ̂დხ ჩუ (ბქ. 15) — ჯერ მე ჩამიშვეს. ჩიქ ლოქ ტგტს ი შიხს ლეძზობნე (ლშხ. 56) — ჯერ ნაცარს და ნახშირს შევჭამო. ქათალა̈ ლიზძენი ერ გუ̂აკუ, ჩიქე ლიცს ხუ̂ა̈ფინედ (ლნტ. 39) — ქათმის დაკვლა რომ გვინდა, ჯერ წყალს ვადუღებთ.

ჩიქდ ზმნზ. — დრომდე. ისგუ̂ა ჩიქდ და̈ს ხოჩდა ამეჩუ (უშკ.) — შენამდე არავინ არ ყოფილა აქ. **ამ ჩიქდ** (ზს., ლშხ.) — ამ დრომდე. **ამ ჩიქს** (ზს., ლშხ.) — ამ დროს. ჩიქ'ე̄სერ ხაყუ̂ლუ̂ნი, აშხუ̂ დოშდულ მახა ჩიქდ (ბზ. 414) — ჯერ, ახალ მთვარემდე, მეშინიაო.

ჩიქი-ჩიქი ბქ., **ჩიქე̄ძ-ჩიქე** ლშხ., **ჩიქეძ-ჩიქ** ლნტ. — ჯერჯერობით. ჩიქი-ჩიქი მამგუ̂ეშ მიჭირ (ბქ.) — ჯერჯერობით არაფერი მიჭირს.

ჩილა˹დ˺, ჩილა̈˹დ˺ იგივეა, რაც **ჩი̄ლა**.

ჩილა̈ი ბქ., ლნტ., **ჩი̄ლაი** ლშხ. 1. გაჭირვებისა, ძლივს. ჩილა̈იშ გარ ლიზგე ხარხ (ჩბხ.) — გაჭირვებით ცხოვრობენ (ძლივს ცხოვრობენ). ჩილა̈იშ გარ ესერ მა̈რე ლი (ლხმ.) — გაჭირვების კაციაო, (ვერაფერი სახარბიელო კაციაო). [ლუ̂აშს] ჩილა̈ძ გარ როქუ̂ ხოგან ქუ̂ინ (ბქ. 12) — ჯიხვს ძლივსღა ედგა სულიაო. 2. ლშხ. მიუხედავად ყველაფრისა, ყველაფრის გამო. ჩი̄ლა̄ი მა̄ ხაკუ ლიცუ̂ა̄ლ — ყველაფრის გამო კი არ უნდა ჩხუბი. 3. ლშხ. ტყუილუბრალოდ. ჩი̄ლა̄ი ნუმა გარგლი — ტყუილუბრალოდ ნუ ლაპარაკობ.

ჩიჩა̈ხუ̂ იგივეა, რაც **ჩინჩა̈ხუ̂**.

ჩიჩუ̂ლა (-ლა̄შ, -ლა̄ლ ბზ., -ლა̈ლ, -ლოლ ბქ., -ლა̄შ, -ლე̄ლ ლშხ.), **ჩიჩუ̂ელა** (-ლა̈ძშ, -ლა̈ლ) ლნტ., **ბოტ.** — დიყი. ლეჭმე ლაროლისგა ჯედნი... ჩიჩუ̂ლა... (ბქ. 70) — სათიბ მინდვრებში ხარობს დიყი.

ჩიჩხუ̂ა̈რ (-იშ, -უ̂არუ) ლხმ., ლნტ., **ჩიჩხუ̂ა̄რ** (-ალ) ლშხ. — ფოჩიანი. **გადატ.** ძონძიანი, ძველმანებიანი. ჯი ესერ თიკა̈რ-ჩიჩხუ̂ა̈რ! (ლხმ.) — შე, წილიან-ძონძებიანო!

ჩიჭე̄ნდ იგივეა, რაც **ჭეჭენდ**.

ჩიხენ იგივეა, რაც **ჩი̄ხენ**.

ჩი̄დ იხ. **მა̈გ**.

ჩი̄ნარ იგივეა, რაც **ჩინა̈რ**.

ჩი̄ჟე (-ჟე̄მიშ, ლა̈ჩჟა ბზ., ლაჩჟა ლშხ.), **ჩიჟე** (-ჟემ, ლა̈ჩჟა ბქ., -ძშ, ლა̈ჩჟა ლნტ.) — სიძე. ხამა ლახშგედდ... ისგუ̂ეძ ჩი̄ჟა ალ ლერქუ̂ა̈ლ (ბზ. 318) — როგორ აკადრეთ თქვენ სიძეს ეს ტანსაცმელი. მესკბა ლადელ... ანჯდენიხ ჩი̄ჟე̄მი მაყრალ (ლშხ. 32) — დადგენილ დღეს მოვლენ სიძის მაყრები. დენაგეზალა̈ ჭა̈შ მიჩა ქორა̈ მარემიშუ̂დ ჩიჟე ლი (ლნტ. 20) — ქალიშვილის ქმარი მისი (ე. ი. ქალიშვილის) სახლიკაცებისათვის სიძეა.

ჩი̄რხა (-ხა̈შ, -ხა̈ლ ბზ., -ხა̄შ, -ხე̄ლ ლშხ.) — სიპი ქვა. ზურალა̈რ... ჩი̄რხა̈ლს კიდეხ ჭალა̈ძხა̈ნ (ბზ. 19) — ქალები სიპ ქვებს ამოიტანენ მდინარიდან.

ჩი̄ლა ბზ., **ჩილა˹დ˺** ბქ., **ჩი̄ლად˹ი̄˺** ლშხ., **ჩილა̈˹დ˺** ლნტ. — ყველაფერზე, ყველაფრისათვის. ჩილა ლიქუ̂ჯუნ წეს დე ლი (ბქ.) — ყველაფერზე დაფეთება (გადარევა) არ შეიძლება. „უ̂ა̈იმია̈" ჩილა მოდმ' ესერ იქუ̂ი (ანდ.) — „ვაიმე" ყველაფერზე არ ითქმისო.

ჩი̄ლაი იგივეა, რაც **ჩილა̈ი**.

ჩი̄ხა̈ნ ბზ., **ჩიხენ** ბქ., **ჩი̄ხენ** ლშხ., **ჩიხენ** ლნტ., **ზმნზ.** — ყოველი მხრიდან. ჩი̄ხა̈ნ შუ̂იდებდუ ა̈მჭედე̄ლხ! (ბზ.) — ყოველი მხრიდან მშვიდობით მოსულიყავით! ჩი̄ხენ ჯედნიხ მუშგუ̂რალ (ლშხ. 29) — ყოველი მხრიდან მოდიან სტუმრები.

ჩი̄ხენ იგივეა, რაც **ჩი̄ხა̈ნ**.

ჩოინ იგივეა, რაც **ჩუ̂ე̄ნი**.

ჩონთ, ჩო̄ნთ იგივეა, რაც **ჩო̈ნთ**.

ჩონჩხ იგივეა, რაც **ჩო̈ნჩხ**.

ჩორგა̈ძ (-იშ, -ძა̈ლ) ბზ., **ჩალგა̈** (-გაუ) ბქ., **ჩორგა̈** (-გა̈ძშ, -გა̈ლ ლნტ.) — კოჭლი. ხეწა̈ლხ ეშხუ ჩორგა̈ძ დედბერს (ბზ.) — დაინახეს ერთი კოჭლი დედაბერი.

ჩორთაძ, ჩორთა̈ იგივეა, რაც **ჩორთა̈ძ**.

ჩორთა̈ძ (-იშ, -თაუ) ბზ., **ჩორთა̈** (-იშ, -თა̈უ) ბქ., ლნტ., **ჩორთაძ** (-თა̄ძშ, -თე̄ლ)

ლშხ. — ფეხმრუდე, ფეხებმოქცეული. თა̈ჲსაჳს ეშჳი ჩორთა̈ ჰჳილ ხორდ (ბქ.) — თაისავს ერთი ფეხმრუდე ჯორი ჰყავდა.

ჩოფთგრლა (-ლა̄შ, -ლე̄ლ) ლშხ. — სქელი, უხეში, ცუდი ხარისხის (შალი). ჩოფთგრლა შალ — უხარისხო, მსხვილად ნაქსოვი შალი.

ჩოქ იგივეა, რაც **ჩჳექ**.

ჩოღლოთ (-იშ, -არ) ლშხ., **ჩოღლა̈თ** (-ა̈რ) ლნტ. — ქვემქვემა, გულჩახვეული, ცბიერი. გიერგ მე̄ჳარ ჩოღლოთ მა̄რე ლი (ლშხ.) — გიორგი ძალიან ცბიერი კაცია.

ჩოჩბირა (-რა̈̄შ, -რა̈̄ლ) ბზ., **ჩაჩაბ** (-იშ, -არ) ლშხ., **ჩოჩჳებ** (-ა̈რ) ლნტ. — ჭილობი. გ ა დ ა ტ. მსუბუქი ყოფა-ქცევის ქალი. ხოლა ჩოჩბირა ზჳრა̄ლ (ლშხ.) — ცუდი ყოფაქცევის ქალი.

ჩო̈ნთ (-იშ, —) ბზ., **ჩენთ** ბქ., **ჩო̄ნთ** ლშხ., **ჩონთ** ლნტ. — მეკერა, დასტა. თეთრ ჩო̈ნთშ ხჳღჳე (ბზ.) — ფული დასტა-დასტად აქვს.

ჩო̈ნჩხ (-იშ, -ა̈რ) ბზ., **ჩჳენჩხ** (-ა̈რ) ბქ., ლნტ., **ჩონჩხ** (-არ) ლშხ. 1. ჩონჩხი. 2. ცხვირ-პირი. ჲერხის ჩიგარ ხოლა ჩო̈ნჩხ ხა̄რხ ქორისგა (ბზ.) — ზოგს მუდამ ჩამოსტირის ცხვირ-პირი ოჯახში (ცუდი ცხვირ-პირი აქვს). გ ა დ ა ტ. ხოლა ჩონჩხიშ ლი — ავი გულისაა.

ჩო̄ნთ იგივეა, რაც **ჩო̈ნთ**.

ჩუ[1] — წ ი ნ დ. — ჩა, უჩვენებს მოქმედებას ზემოდან ქვემოთ. ჩუ ლიზი — ჩასვლა, ჩუ ლიშყედ — ჩავარდნა. ჩჳჳ ესერ ანჴა̈დ, ერჳა̈̄ჲღენ ლი (ბზ. 370) — ჩამოდი, ვინც ხარო. ეჩე̄ჲსა ჩუ ინწ̄გრდი თაშ (ლშხ.) — იმაში ჩამოიწრიტება ყველი. ჩუ ხოსკინა ჯარაშდუყჳას (პოეზ. 14) — ჩამომხტარა ჯარამდუყეა.

ჩუ[2] დადასტურებითი ნაწილაკი — კი. ჩუ ხოხალ — კი იცის. ჩუ იჩო — (კი) გააკეთებს.

ჩუბ იგივეა, რაც **ჩჳი̄ბ**.

ჩუბებჳასდ (-იშ, —) ბზ., **ჩჳიბებჳას** ბქ., **ჩუბებჳა̄ს** ლშხ., **ჩუბებჳას**⌜დ⌝/⌜ტ⌝ ლნტ. — ქვესკნელი. აღზგზე [ღერთემ] ჩუბებჳა̄სდოთე ჰო̈̄რ (ბზ. 329) — ღმერთმა გაგზავნა ყვავი ქვესკნელში. მაჲ ლოქ ამბაჳ ლი ჩუბებჳა̄სდ? (ლშხ. 57) — რა ამბავია ქვესკნელშიო? მეშეხე [გიცა̈რდ] ჩჳადა̈ჲე ჩუბებჳასხო (ლნტ. 276) — შავმა ვერძმა ჩაიყვანა ქვესკნელში.

ჩუჳდ, ჩუიდ იგივეა, რაც **ჩჳდ**.

ჩუქა, ჩუქან იგივეა, რაც **ჩუქჳა̄ნ**.

ჩუქჳა̄ნ ბზ., ლშხ., **ჩუქა** ბქ., **ჩუქან, ჩუქჳან** ლნტ., ზ მ ნ ზ. — ქვეშ, ძირს. სტოლ ჩუქჳა̄ნ (ბზ.) — მაგიდის ქვეშ. ჩუქჳა̄ნ ლერში (ბზ.) — ძირს დასაგები. აშჳ ლეთ კჳა̈მ ნენზ ჩუქ ესერი ყი იფიშჳდი (ანდ.) — ერთი ღამის გათევა ფიჭვის ქვეშაც შეიძლებაო. ჩუქჳა̄ნ ესცა̄და̄ნ (ლშხ.) — ქვეშ მოექცა. ეჲ ჰყინტ... ლაყჳრა ჩუქან ჩჳა̈თეპაჲჳ (ლნტ. 257) — ის ვაჟი ლოგინის ქვეშ დაიმალა.

ჩჳდ იგივეა, რაც **ჩჳი̄ბ**.

ჩჳდ ბზ., ლშხ., **ჩუიდ** ზს., **ჩუჳდ** ლნტ., ზ მ ნ ზ. — ისევ, კვლავ. [ზურაბდ] ჩჳდ ა̈ნდე [როსტომ] (ბზ. 237) — ზურაბმა კვლავ წააქცია როსტომი. აჯალ ჩჳდ ესპაჲჳ ჲაკოფ (ლშხ. 66) — კვლავ დაიმალა იაკობი.

ჩჳალობ ზს., ლნტ. — მეწყერიანობა. ამზაჳ მე̄ჳარ ჩჳალობ ლი (ბზ.) — წელს დიდი მეწყერიანობაა.

ჩჳა̈ბ იგივეა, რაც **ჩჳა̈̄ბ**.

ჩჳა̈ბე იგივეა, რაც **ჩჳა̄ბე**.

ჩჳა̈ბრა იგივეა, რაც **ჩჳა̄ბრა**.

ჩჳა̈ლ (-ა̈შ, ჩჳალა̈რ) ზს., ლნტ., **ჩჳალ** (-იშ, -არ) ლშხ. — მეწყერი. ჩჳალ... ყა̈გჳერშლე [ლგცემ] რიყა̈რს (ბქ. 227) — მეწყერი აავსებს მდინარის ნაპირებს.

ჩჳა̈ჲა ლხმ. — გალუმპული, სველი. ჩჳა̈ჲა ზექ — სველი შეშა.

ჩჳა̄ბ იგივეა, რაც **ჩჳა̈̄ბ**.

ჩჳა̄ბე (-ბეშ, —) ბზ., ლშხ., **ჩჳა̈ბე** ბქ., ლნტ. — ქვედა, ქვემო. ჩჳა̈ბე ჰეჳ (ბქ.) — ქვემო ხევი. შჳა̈ნეშ ჩჳა̈ბე ჰოკერ... ლა̈ლჳერ ხეკჳეს ლგმა̈რლასჳ (ბქ. 224) — სვანეთის ქვედა სამლევარი ლალვერი უნდა ყოფილიყო.

ჩჳა̄ბრა (-რა̈̄შ, — ბზ., -რა̄შ, — ლშხ.), **ჩჳა̈ბრა** (-რა̈შ, —) ბქ. — ქვენა (ქარი). ჩჳა̄ბრა̈̄ ბიქჳ გჳა̈̄ლი̄შ ლი (ბზ.) — ქვენა ქარი გვალვის ნიშანია.

ჩუ̈ა̈ბ ბზ., **ჩუ̈ა̈ბ** ბქ., ლნტ., **ჩუ̈ა̈ბ** ლშ., ზმნს. — ქვემოთ. ჩუ̈ა̈ბ წ̈ჷრნი დე̈უ̈ არდა (ბზ.) — ქვემოთ წითელი დევი იყო. ჩუ̈ა̈ბ კაკ̈ლისგა ეშუ̈ი კაკ ლგგან (ბქ.) — ქვემოთ, ემოში, ერთი კაკლის ხე იდგა.

ჩუ̈ეინ, ჩუ̈ედნ იგივეა, რაც **ჩუ̈ე̄ნი.**

ჩუ̈ენთ იგივეა, რაც **ჩო̈ნთ.**

ჩუ̈ენჩხ იგივეა, რაც **ჩო̈ნჩხ.**

ჩუ̈ექ (-ი̇შ, ჩოქა̈რ ბზ., ბქ., ლნტ.), **ჩექ** (ჩოქა̈რ) ბქ., **ჩოქ** (-არ) ლშ. — ჩოქი. ალ ჰყინტ ყ̈ა̈ნწ̈გა̈ნ ჩუ̈ექთეჯი (ბზ.) — ეს ვაჟი ჩოქებზე დადგა. ალ მახელუ̈აყა̈რ ჩუ̈ექს ეშშყადხ ალ მარა (ბქ. 27) — ეს ვაჟკაცები ჩოქებზე დაუდგნენ ამ კაცს.

ჩუ̈ე̄ნი (-ნი̇შ, -ნდა̈რ) ბზ., **ჩუ̈ედნ, ჩედნ** (-ი̇შ, -ა̈რ) ბქ., **ჩოინ** (-არ) ლშ., **ჩუ̈ეინ** (-ა̈ლ) ლნტ. — სპილენძის ან თუჯის ქვაბი, დიდი კარდალა. კი̇ნჩხ ჩუ̈ე̄ნი ლენკუ̈რიდ ხოჯე̄შ (ბზ.) — კისერი ქვაბის ძირს მიუგავს. კა̈ლუ̈ნ კას ჩუ̈ინ ესერ ხეცა̈დი ლეზუ̈ბემ ლა̈სყის (ანდ.) — საჭმლის კეთებაში კერას მოგჯერ ქვაბი ენაცვლებაო. ზურა̈ლე̄ლს ოხლუ̈ახ ნა̈ყუნუ̈არ ჩოინი ცხუ̈ადუ̈არშუ̈ (ლშ. 35) — ქალებს გამოაქეთ საჭმელები კარდალებით და საარყე ქვაბებით.

ჩუ̈იბ იგივეა, რაც **ჩუ̈ი̇ბ.**

ჩუ̈იბებუ̈ას იგივეა, რაც **ჩუბებუ̈ასდ.**

ჩუ̈იტარ-ყუ̈ისკარ ლშ. — ელამი, ბრუციანი. ჩუ̈იტარ-ყუ̈ისკარ გახოლშე̄რალ (პოეზ. 210) — ელამიყალა გახოლისანები.

ჩუ̈ი̇ბ ბზ., **ჩუ̈იბ** ბქ., **ჩუ̈ბ** ლშ., **ჩუბ, ჩუ̈იბ** ლნტ., ზმნს. — ქვემოთ. სი ყ̈ადი, მი ჩუ̈იბ ჯელლენი (ბქ.) — შენ ადი, მე ქვემოთ დავიცდი. ა̈მირა̈ნ ლახუ̈ბად ჩუ̈იბ აცუ̈ირხ (ლნტ.) — ამირანი ძმებმა ქვემოთ დატოვეს.

ჩქიმ — შნო, ლამაზი, იერი. ტაბგიშ ჩქიმ ლეზებ-ლეთრ' ესერ ლი (ბქ.) — სუფრის ლამაზი საჭმელ-სასმელიაო. **ხოლა ჩქიმ ხაგ** — ცუდად გამოიყურება. **ხოჩა ჩქიმ ხაგ** — კარგად გამოიყურება.

ჩქოლ იგივეა, რაც **ჩგჩქ.**

ჩქუ̈ა (-ში, -რა̈რ) ბქ. — ეშვი. ჩქუ̈ა ლოხყუ̈იფა ეშხუ̈ კერს (ბქ.) — ერთი ტახს ეშვი ამოუძვრია.

ჩქუ̈იმ (-ი̇შ, -ა̈რ) ლნტ. — ჩუმი, წყნარი. **ჩქუ̈იმდ** ზმნს. — წყნარად, ჩუმად. გელა ჩქუ̈იმდ გუ̈იკუ̈ელ სკუ̈ებინ (ლნტ. 73) — გელა ჩუმად მიეპარება წინ.

ჩხარა (-რე̄მი̇შ, — ბზ., -რემ, — ბქ., -რა̈შ-||-რე̄მი̇შ, — ლშ., -და̈შ, — ლნტ.) — ცხრა. ჭო̈ლა̈შ არდახ ჩხარა ლახუ̈ბა (ბზ. 28) — ჭოლამში იყო ცხრა ძმა. ჩხარა თანა̈ლს ეჩეხენჩუ̈ ლოქ ა̈რი თუ̈ეთუ̈ენე დე̈უ̈ (ლნტ. 292) — ცხრა მთის (უღელტეხილს) იქით არის თეთრი დევიო.

ჩხა̈ფ (-ი̇შ, ჩხაფა̈რ) ბზ. — მარცვლეულის საწყაო. იფა̈რა̈ლს ოთქუ̈ა̈ცხ ჩოლა̈რხა̈ნქა ძერუ̈ეშდიდორი ჩხა̈ფ კუ̈ეცე̄ნ (ბზ.) — ჩოლურელებს დაეკისრათ იფარელების სასარგებლოდ ოცდაორი „ჩხაფი" ხორბალი.

ჩხეფნი (ოჩხეფ, აჩხა̈ფ; ა̈ჩხფენი ბზ., ოჩხეფ ბქ., აჩხაფ; აჩხფენი ლშ.), **ჩხეფენი** (ა̈ჩხუ̈ეფ, აჩხაფ; აჩხეფენი) ლნტ., გ რ დ უ. — 'გა'ხდება. ჯა̈ნ ლიჰმა̈ლისგა ჩუ̈აჩხა̈ფ (ბზ.) — ხარი თიბვის პერიოდში გახდა. დი̇ნა სურუ̈ ემჩხეფ ჯა̈ჰრშუ̈ (ლშ.) — გოგო დარდისაგან ძალიან გამხდარა. ლეგმერდე ჩუ̈აჩხაფ უმად (ლნტ.) — ავადმყოფი უჭმელობით გახდა.

ჩხინკორა̈ (-ი̇შ, -რა̈უ̈ ბზბ., -რაუ̈ ლხმ.) — 1. კოჭლი. ზურაბშერს ეშუ̈ი ჩხინკორა მოდნალიდ ხორდხ (ბქ.) — მურაბიანთს ერთი კოჭლი მოსამსახურე ჰყავდათ. 2. გამხდარი.

ჩხგლი იგივეა, რაც **ჩხე̄გლთ.**

ჩხგნდგრ (-ი̇შ, —) ბქ. — ჯოჯოხეთი. ჩხგნდგრთე ლესკნიაქ! — ჯოჯოხეთში ჩასაგდებო!

ჩხგტ (-ი̇შ, -ა̈რ ზს., ლნტ., -არ ლშ.) — 1. კეჭი. [თათრა̈ლს] ჩხგტა̈რ ოთშგდხ მურყუ̈ამხა̈ნჩუ̈ (ბზ. 4) — თათრებს კეჭები ჩაუცვივდათ კოშკიდან. ჩხგტ დაბლისგა თეს ესერ ხა̈სისგ (ანდ.) — კეჭი ყანაში თვალს ეჩავერებაო. 2. სამკითხაო კენჭი, მარცვალი. მიჩა ჩხგტს ზისხ ესერ ხა̈გ (ბზ.) — შენს სამკითხაო კენჭს სისხლი აწერიაო (ადგასო).

ჩხე̄გლი (ჩხე̄გლდა̈ს, ჩხე̄გლდა; ჩხე̄გლდე̄დს ბზ., ჩხე̄გლის, ჩხე̄გლდა; ჩხე̄გლდეს ლშ.), **ჩხგლი** (ჩხუ̈ილ, ჩხგლიუ̈; ჩხგლიდეს ბქ., ჩხუ̈ლდა̈ს, ჩხგლდა; ჩხგლდეს ლნტ.), გ რ დ უ. — ჩხავის.

ცხეკისგა ჯაჳიჩ ჩხჷ̄ლი (ბზ.) — ტყეში ჩხიკეი ჩხავის. იმ ჩხჷლი ჰამუნლო? (ბქ.) — რას ჩხავი დილიდან?

ჩჷფე იგივეა, რაც **ჩიფე**.

ჩჷჩქ (-იშ, -ჷ̈რ) ზს., **ჩქოლ** (-იშ, -ჷ̈რ) ლნტ. — ჭყინტი, ნორჩი, ქორფა. ჩჷჩქ მელ — ქორფა ბალახი.

ჩჷჩჷნი̄ლ (-ჷ̈შ, -ჷ̈რ) ბზ., **ჩჷჩჷნილ** (-ჷ̈შ, -ჷ̈რ) ბქ. — ფოთლებიანი შტო, რომელსაც არჭობენ ჯეჯილში და ღმერთს ევედრებიან ბარაქიან მოსავალს.

ც

ცაგა̄̈რ (-იშ, -გა̄რა̈ლ) ბზ., **ცაგარა̈** (-იშ, -რაუ) ბქ., **ცაგა̄რ** (-იშ, -ალ) ლშხ., **ცაგა̈რ** (-გარა̈ლ) ლნტ. — ეკლიანი. ეჯჲა̈რს ნა̈თიდ ცაგა̄̈რ ლეჭმე ათხუ̂რ̄დხ (ბზ.) — იმათ წილად ეკლიანი საითბი შეხვდათ. ჭალად ცაგა̄რ ლი (ლშხ.) — ჭალა ეკლიანია.

ცად⌈ა⌉ იგივეა, რაც **ცა̄დ⌈ა⌉**.

ცადაქჳეყანა, ცადაქჳეყნიერობა (-ბა̄შ ბზ., -ბა̄შ ლშხ.), **ცადა̈ქჳეყანა** (-ნა̈შ ბქ., -ნა̈ჲშ ლნტ.) — მთელი სამყარო, ცა და ქვეყანა. გ ა დ ა ტ. ყველაფერი. ცადაქჳეყნიერობა მა̈გ ბა̈ჩდ ლგსპე ლი (ბზ.) — ცა და ქვეყანა (ყველაფერი) ქვად არის ქცეული. ქაკუ̂ა̈ჰ ჩითე, ცადაქჳეყანათე ა რა̈შიშ ნახსი (ბქ. 332) — ამ რაშის სისწრაფის ამბავი ყველგან ცასა და ქვეყანას მოედო. ცადა̈ქჳეყანა ა̈თჳიზინ (ლნტ.) — ცა და ქვეყანა (ყველაფერი) მოვიარე.

ცალ იგივეა, რაც **ცა̈ლ**.

ცალმაგ იგივეა, რაც **ცა̈ლმა̈გ**.

ცანდ იგივეა, რაც **ცა̈ნდ**.

ცანდია̈ნ (-იშ, -იანა̈რ) ბქ., ლნტ., **ცანდიან** (-არ) ლშხ. — საფეხურიანი. დი̄ნა ჩუ̂ანჰად ჲეშდ ცანდიან (ლგცანდ) კიჩხენ (ლშხ.) — გოგო ჩამოვიდა ათსაფეხურიანი კიბიდან. ბაბას ეშტიერბი ცანდია̈ნ კიბ ლახოგა (ლნტ. 309) — ბაბუას თორმეტსაფეხურიანი კიბე მიუდგამს.

ცანცი იგივეა, რაც **ცა̄ნცი**.

ცარიელ (-იშ, -არ) ლშხ., **ცა̈რიელ** (-ა̈ლ) ლნტ. — ცარიელი. ქორ ცარიელ ოგხუ̂რ̄და (ლშხ.) — სახლი ცარიელი დაგვხვდა. ცხუ̂ად ცა̈რიელ მიგ (ლნტ.) — ქვაბი ცარიელი მიდგას.

ცაჳ იგივეა, რაც **ცა̈ჳ**.

ცაცხჳ იგივეა, რაც **ცა̈ცხჳ**.

-ცახა̈ნ ზს., **-ცახან** ლშხ., **-ცა̈ხენ** ლნტ., თ ა ნ. -თან. სი ნიშგუ̂ეჲცახა̈ნ მა̄მგუ̂ეშ ჯულუ̂ა ლეთხე̄ლი (ბზ. 232) — შენ ჩვენთან არაფერი გაქვს საძებარი. ესცუ̂და ფუსნაბუ̂ა̄სდჲა მიჩაცახან მერდა̄ლას (ლშხ. 54) — ეჩხუბა მამალმერთი (სამყაროს ბატონი) მასთან მყოფთ. ალმინეცა̈ხენ დემ ლოქ იჩერა̈ჳი (ლნტ. 275) — მე ამათთან არ გავჩერდებით.

-ცახა̈ნჩუ̂ ზს., **-ცახანჩუ̂** ლშხ., რ თ უ ლ ი თ ა ნ დ ე ბ უ ლ ი — გვერდით, ახლოს. ისგუ̂აცახა̈ნჩუ̂ ლა̈ხჴერინ დი̄ნა გეზალ (ბზ.) — შენს გვერდით იყოლიე ქალიშვილი. ჩი̄ჟა ხენწიფს ხონჴრი ცახანჩუ̂ (ლშხ. 79) — სიძე ხელმწიფესთან (გვერდით) ახლავს.

ცა̈გ (-იშ, ცაგა̈რ) ზს., ლნტ., **ცაგ** (-არ ლშხ.) ბ ო ტ. — ეკალი, ნარი. შა̈შმა̈რს ესერ ხაყლუ̂ნიხ ცა̈გდ (ბზ. 18) — ჭინკებს ეკლის ეშინიათო. მიჟ ცაგა̈რჟი ოლყუ̂ინ ი ურჰად ოლგენ (ბქ. 6) — მზე ეკლებზე დაწოლილა და უთენია ამდგარა. ეშმა̄ჲ მადრაჰ ცაგ ლი (ლშხ.) — ეშმაკის მათრახი ეკალია. ალეს ფირუ̂ ცაგა̈რქა ათაჩედა (ლნტ. 174) — ამას ძროხა ეკლებში გაექცევა.

ცა̈გ-ნაცა̈გუ̂ (-იშ) ბზ., ლნტ., **ცა̈გ-ნაცა̈გი** ბქ. — ნარ-ეკალი (ეკალ-ნაეკლარი). ცა̈გ-ნაცა̈გუ̂ მა̈გ ჟა̈ნკიდ სკარხალდ (ბზ.) — ნარ-ეკალი მთლად ამოაგდო (ამოიღო) სეტყვამ. მა̈გ ცა̈გ-ნაცაგუ̂შ ლას გუ̂ეში (ლნტ.) — ყველაფერი ნარ-ეკლით იყო სავსე.

ცა̄დილ-ყუ̂ა̄დილ იგივეა, რაც **ცა̄და-ყუ̂ა̄და**.

ცა̈ლ (-იშ, ლაცლა ზს., ლაცალა ლნტ.), **ცალ** (ლაცალა) ლშხ. — 1. ტოლი, ხელა; კბილა, ერთი ასაკისა. ცა̈ლი პა̈ტიუ̂ლა დე̄მგუ̂აშ ლგმზა̄რინ (ბზ. 439) — (თავის) ტოლის პატივისაცემად არაფერს მოგაელა. ცა̈ლ-ცა̈ლს ხეხე-

ლიჵ, ლასკართე ინჭრინა (ბქ. 295) — ტოლი ტოლს ხედებოდა, დღეობაში მიჰყავდა. ცალ ლამეგჵ ლის ბოფშარ (ლშ.) — ბავშვები ტოლ-სწორები არიან. 2. ერთი, ერთეული, ცალი. ეშხუ ცალ დიარ ოხნაყ (ლშ.) — ერთი ცალი პური გამოვაცხვე. ეშხუ ცა̈ლ ფიცა̈რ ახჵიშჵბ (ლნტ.) — ერთი ცალი ფიცარი ვისესხე. 3. ქს. ცალ მხარეს, განზე. ცალთეჵ ედკჵა̈რა̈ნ ჯეჲ, ლაწჷნგჵა̈რ (ლშ. 72) — განზე გაეთრიეო, შე წჷრპლიანო! ცა̈ლხო აჩადდ მა̈გ! (ლნტ.) — განზე გადექით (წადით) ყველანი!

ცა̈ლადელ იგივეა, რაც **ცა̈̈ლადა̈ლ.**

ცა̈ლა̈დელ იგივეა, რაც **ცა̈̈ლადა̈ლ.**

ცა̈ლმა̈გ (-იშ, -მაგა̈რ) ბზ., **ცალმა̈გ** ბქ., **ცალმაგ** (-არ) ლშ., **ცა̈ლმა̈გ** (-მაკა̈რ) ლნტ. — კარავანი, ცალმაგი. კალოზე სამ კედელზე აშენებული და გადახურული შენობა. მოლჵჵიშ ლაშხჵნი ცალმა̈გისგა ნარ (ბქ. 230) — მოსავლის შესანახად კარავანი გვაქვს. ცა̈ლმა̈გ (კარაპა̈ნ) ახოგა ეშხუ ლა̈დეღისა (ლნტ.) — ერთ დღეში აუშენებია კარავანი.

ცა̈ნდ[1] (ცანდა̈შ, ცანდა̈რ) ზს., ლნტ., **ცანდ** (-იშ, -არ) ლშ. — კიბის საფეხური. დეცთეჲი ეშხუ ცანდ გარ ხოკლი (ლშ.) — ცამდე ერთი საფეხურიღა აკლია. კიბი მეუსკჵე ცანდხენ ანშყჵედ (ლნტ.) — კიბის მეექვსე საფეხურიდან გადმოვეარდი. კნინ. **ცა̈ნდგლდ** ზს., **ცანდჷლ** ლშ., **ცა̈ნდილდ** ლნტ.

ცა̈ნდ[2] (-ა̈შ, -ა̈რ ბზ., -იშ ბქ.) — 1. ხიწვი. ცანდა̈ ლისჵემ (ბზ.) — ხიწვის შერჭობა. 2. უმგ. ჭანჭიკი, ჭინჭილაქი, ჭილიბი (ხის ლურსმანი).

ცა̈ჲრა იგივეა, რაც **ცა̈̈ჲრა.**

ცა̈რიელ იგივეა, რაც **ცარიელ.**

ცა̈ქჵ (-იშ, ცაქჵა̈რ) ბზ. — მოციქული, შიკრიკი. ადზჷზენ ცა̈ქჵ მეთერთე (ბზ.) — გავგზავნეს შიკრიკი მკითხავთან. კნინ. **ცა̈ქულდ.** გადატ. ვამგონე ბავშვი.

ცა̈ყ (-იშ, ცაყა̈რ) ბზ., ლნტ., **ცაყ** (-არ) ლშ., ეთნ. — ბლის ჯოხი (არჭობენ ყანაში და ბოსტანში გაითვალეისაგან დასაცავად). ცაყარს დაბარისა ხაცყენ (ლშ.) — ბლის ჯოხებს ყანებში არჭობენ. ლარტამისა ასაციყ კაკოდ ცა̈ყ (ლნტ.) — კაკომ ბლის ჯოხი ბოსტანში დაარჭო.

ცა̈შ იგივეა, რაც **ცა̈̈შ.**

ცა̈ცხჵ (-იშ, ცაცხჵა̈რ) ბზ., ლნტ., **ცაცხჵ** (-არ) ლშ., ბოტ. — ცაცხვი. ეჩხა̈ნთე ხჵა̈ჲ ცა̈ცხჵ ხა̈გდა (ბზ.) — წყალგაღმა (იქეთკენ) ბევრი ცაცხვი იდგა. ცა̈ცხჵი ფიცა̈რ ხაწჷხ ნასოს (ლნტ.) — ცაცხვის ფიცარი სჭირდება ნასოს.

-ცა̈ხენ იგივეა, რაც **-ცახა̈ნ.**

ცა̈დ'ა' (-ა̈შ) ბზ., ლშ., **ცად'ა'** (-ა̈შ ბქ., -და̈ჲშ ლნტ.) — სანაცვლო, სამაგიერო, გადანაცვლება. ბაჭიშ ცადა (ბქ.) — ფეხის შენაცვლება. ისგჵი ცა̈დაჵ ხჵი (ლშ.) — შენი სანაცვლო ვიყო.

ცა̈და-ყჵა̈და (-და̈შ) ლშ., **ცა̈დილ-ყჵა̈დილ** (-იშ) ლნტ. — აბდაუბდა, არეულდარეული. ლეგმერდე ცა̈და-ყჵა̈დას ჰამბჵი (ლშ.) — ავადმყოფი აბდაუბდას ჰყვება.

ცა̈ლადელ იგივეა, რაც **ცა̈̈ლადა̈ლ.**

ცა̈ნცი (-ცჷშ, -ა̈რ ბზ., -არ ლშ.), **ცანცი** (-ა̈შ, -ა̈რ ბქ., -ჲშ, -ა̈რ ლნტ.), ბოტ. — კუნელი. ჭჵბერ წჵა... ცა̈ნცი (ბქ. 228) — ჭუბერში ჩანს (ჩანს) კუნელი. ცა̈ნცი მეჵღორ იმჷ (ლშ.) — კუნელი შემოდგომაზე მწიფდება. ცანცის დაჵა̈რ იზბიხ (ლნტ.) — კუნელს თხები ჭამენ. კნინ. **ცანცჷლ** ბზ., ლშ., **ცანცილდ** ლნტ.

ცა̈ჲრა იგივეა, რაც **ცა̈̈ჲრა.**

ცა̈ქჵა-მა̈ქჵა (-ჵა̈შ) ლშ. — მითქმამოთქმა, მისვლა-მოსვლა. ხჷრიხ ჵქჵჷცად ცა̈ქჵა-მა̈ქჵა ამ ბედჲი (ლშ.) — ექნებათ (განუწყვეტლივ) ამ საქმის გამო მისვლა-მოსვლა (მითქმა-მოთქმა).

ცა̈შ იგივეა, რაც **ცა̈̈შ.**

ცა̈დი იგივეა, რაც **აცა̈̈დი.**

ცა̈ლადა̈ლ (-იშ) ბზ., **ცა̈ლადელ** ბქ., **ცა̈ლა̈დელ** ლნტ., **ცა̈ლადელ** ლშ.— ხუთმაბათი დღე. ლაშთხჵერიჲა̈რს ხა̈მთქჵახ თჷრინგზელი წჷრ ალბა̈ ცა̈ლადა̈ლ (ბზ. 16) — ლაშთხვერლებს აღების ხუთშაბათს მთავარანგელოზის წირვა სჩვევიათ. ცა̈ლადელ დჷსგ ოხგენიდ (ლშ.) — ხუთშაბათ დღეს ადრე ავდგებით. ცა̈ლა̈დელ ხჵამა̈რჯჵიდ ლა̈თხჵიარხო ლიზის (ლნტ.) — ხუთშაბათ დღეს ვაპირებთ

სანადიროდ წასელას.

ცა̈̄ძრა (-რა̈̄შ, -რა̈̄ლ) ბზ., **ცა̈ძრა** (-რა̈შ, -როლ ბქ., -რაძშ, -რა̈ლ ლნტ.), **ცა̄ძრა** (-რა̄შ, -რე̄ლ) ლშ., ბ ო ტ. — თელა. ცა̈̄ძრა̈̄ ბეჩჷ (ბზ.) — თელის ბოყვი. ხოჩამდ იცხემხ... ბალყეჩ, ცა̈ძრა (ბქ. 70) — კარგად ხარობს (იზრდება) თხილა, თელა... წი̄ჷა წიფსი̄ ხა̄რ ი ცა̄ძრასი̄ (ლშ. 88) — აბედი წიფელასაც აქვს და თელასაც. ცხეკა̈რისა ცა̈ძრა მეჷარ ითხი (ლნტ.) — თელა ტყეებში ბლომად იშოვება. გ ა დ ა ტ. — უშნოდ სქელი ადამიანი.

ცა̈̄შ (-იშ, -ცა̈̄შა̈რ) ბზ., **ცა̈შ** (-ა̈რ) ბქ., ლნტ., **ცა̄შ** (-არ) ლშ. — ხუთშაბათი. თამფა̈ ცა̈̄შ ეშხუ ზჷრა̄ლ დო̄სგ იგნა̈̄ლ (ბზ. 19) — აღდგომის ხუთშაბათს ერთი ქალი ადრე დგება. დეშდიშს ცა̈შ ა̈ხჭემნი (ბქ. 77) — ორშაბათს ხუთშაბათი მოჰყვება. ხოშა ცა̄შ... დო̄სგ იგნა̄ლხ (ლშ. 5) — დიდ ხუთშაბათს ადრე დგებიან. მა̄ბე ცა̄შ (ლშ.) — დღეის სწორი ხუთშაბათი. ის. **ცა̈̄ლადა̈ლ.**

ცელენი იგივეა, რაც **ცელნი.**

ცელნი (ოცლ, აცა̈ლ; ა̈ცლენი ზს., ოცელ, აცალ; აცლენი ლშ.), **ცელენი** (აცჷელ, აცა̈ლ; ა̈ცელენი) ლნტ., გ რ დ უ ვ. — იხევა, იფხრიწება, სკდება. მარემ ეჯზჷ ლეზებ ლა̈ძემ, ერე ჴადჷლექჷა ღეთ აცა̈ლ (ბქ.) — კაცმა იმდენი საჭმელი ჭამა, რომ კინაღამ მუცელზე გასკდა.

ცემილ იგივეა, რაც **ცგმრა.**

ცენირ, ცენერ (-იშ, -ა̈ლ) ბქ., **ცენი̄რ** (-ალ) ლშ. — მიჯნური. ცენირ ესერ ზურალს ხორი ი ლელიატ — ლჷაყმარა (ანდ.) — მიჯნური ქალს ჰყავს და საყვარელი — კაცსო. გეგის ჩუკჷლს ცენირ ხაყა (ლშ.) — გეგის ჩუკულში საგრფო ჰყავს.

ცერ (-იშ, -ა̈ლ||-ა̈რ ბზ., ლნტ. -ა̈რ ბქ., -ალ ლშ.) — ცერი. ცერშჷ ხჷა̈ბუნყჷილა̈ჷდა̈ს ლელჷა̈რის (ბზ. 423) — ხორცს ცერით ეაქუცმაცებდი. იახსჷილე დაშნა̈ძ ი ცერ ქათქჷიც (ბქ. 30) — მოუქნია დაშნა და ცერი წააჭრა. დი̄ნას ცერჟი ოსგენა მუღჷლ (ლშ.) — გოგოს ცერზე დაუსვამს ხოჭო. **ცერიშ ლიკჩე** (ბქ.) — ცერის ჩვენება (აბუჩად აგდება).

ცერა იგივეა, რაც **ცჷარა.**

ცერმგკა̈ჩ (-იშ) ზს., ლნტ., **ცერმგკაჩ** ლშ. — ციდა. ჰყინტ კამინჷს ლა̈̄თშჷ იცხემ ი ცერმგკა̈ჩს ლადა̈ლშჷ (ბზ. 402) — ბიჭი მტკაველს ღამით იზრდება და ციდას დღისით.

ცეჰემა̈დ იგივეა, რაც **ცხჷი-ცგჰემა̈დ.**

ციაფუა — ფუსფუსი, სწრაფი მოძრაობა, მისელა-მოსელა, გაწამაწია. ჩუ ხა̄რხ ციაფუა ბუზჷლა̈რს (ბზ.) — აქეთ ფუსფუსი (გაწამაწია) ფუტკრებს. მაგ ლეზო̄მახდ ხემა̄რა̄ლხ, ხა̄რხ ციაფუა (ლშ.) — ყველა საახალწლოდ ემზადება, აქვთ ფუსფუსი.

ციბ (-იშ, -ა̈რ ბზ., -არ ლშ.) — მაღალი ლობე; გალავანი. ციბ ახჭემხ ჰა̈ზჷს (ბზ.) — ეზოს გალავანი შემოავლეს.

ციგინ იგივეა, რაც **ცგგინ.**

ცილ (-იშ, -ა̈რ ზს., -არ ლშ.), **ცირ** (-ა̈ლ) ლნტ. — 1. ქერქი, კანი. ალ ცილა̈რს და̈̄ჷ ა̈თთხანა̈̄ნ (ბზ. 401) — ამ ქერქებს დევი წააწყდა. მარე ჩჷაქცურე გოგლა̈ნდიშ ცილს (ბქ. 78) — კაცი დაჭრის ცირცელის ქერქს. 2. ცილა, კვერცხის ცილა. გჷიგჷ მიჯნე̄მ ლალე̄მ ი ცილა̈რ მოა̈ხ'ლ'ს ხა̄მნე (ბზ. 393) — გული თვითონ შეჭამა და ცილა მოახლეს აჭამა. ლგგრე̄მი ცილ ჩი̄ს მა̄ ხალატ (ლშ.) — კვერცხის ცილა ყველას არ უყვარს. 3. ტყავი (მონადირის ენაზე). ნა̈თხჷრა მასარდ ადგა̈რ ი ცილიშ სადგჷემ ადიგ (ბქ. 39) — ნანადირევი ბლომად მოკლა და ტყავის სადგომი ააშენა (დაიდგა). კ ნ ი ნ. **ცილილდ** ბზ.

ცილა̈ჷ (-ლაჷა̈შ ბზ., -იშ ბქ., ლნტ.), **ცილაჷ** ლშ. — დავა, შეცილება, ცილობა. ცჷიდდ ცილა̈ჷ ესერ ხოლა ლი (ზს.) — ტყუილუბრალოდ დავა ცუდიაო. ხშირდ ხა̄რხ ცილაჷ უშხჷა̄რისა (ლშ.) — ხშირად აქვთ ცილობა ერთმანეთში. ცილა̈ჷ ახოჯადხ ჰემი ბედჟი (ლნტ.) — თიეის გამო დავა მოუვიდათ.

ცილე (ოცჷლ, აცილ; ა̈ცლე ზს., აცჷლ, აცილ; აცლე ლნტ.), **ცგლე** (აცილ, აცლე) ლშ., გ რ დ მ. — აპობს, ხევს, ხლეჩს. ხოშა კუდჷრ ოცჷლ (ბზ.) — დიდი კუნძი გაეაპეთხჷიმს ჩოთცილე [მეზგას] (ბზ. 366) — თავს გაეუჩეხ მოსახლეს. ტანტაროზდ ჩა̈ყს ჭიშხ ქახაცილ (ლნტ.) — ტარტაროზმა ცხენს ფეხი მოაგლიჯა. ჟიბაჷ ჯა̈ცლე დეცხო (ლნტ. 205)

— ზევით მიგახეთქებ ცას. [მეცხუანას] ჩუათოცილახ გაკ (ლნტ. 102) — (მეცხოვრეებს) გაუხლეჩიათ კაკალი.

ცინაყა იგივეა, რაც **ცი̄ნყა.**

ცინაყობ იგივეა, რაც **ცინყობ.**

ცინგილ იგივეა, რაც **ცგგინ.**

ცინგგლ იგივეა, რაც **ცგგინ.**

ცინდაჴუ (-იშ||-დუიშ, -დუა̈რ) ზს., **ცინდაჴუ** (-იშ, -არ) ლშხ., **ცინდალ** (-დალა̈ლ) ლნტ. — მართვე, ბარტყი, ბახალა. აკა̈რუნე კუინჩი ცინდაჴუშა̈ლ (ბზ.) — სკვინჩის ბარტყიეით აღებს პირს. ფასკუინჯი ცინდალა̈ლს იზობდა ცხა̈კუ (ლნტ. 276) — ფასკუნჯის ბარტყებს ქორი ჭამდა.

ცინყობ იგივეა, რაც **ცი̄ნყობ.**

ცინციბურ, ციციმბურ (-იშ, -ალ ლშხ., -ა̈ლ ლნტ.) — ავგაროზი, თილისმა. ალეს ხა̈ღშხა ცინციბურ (ლშხ. 6) — ამას ჰქეია ავგაროზი. ცინციბურისა უიჯი გარჩუშა ხაჭრ̄ნა (ლშხ.) — ავგაროზში გველის პერანგია გახვეული. ბეფშუს ციციმბურ ახოსყეხ (ლნტ.) — ბავშვს ავგაროზი გაუკეთეს. იხ. **ქისუნბურა̈ღ.**

ცინცილა̈ˊღˈ (-იშ, -ა̈რ) ბზ., (-ლა̈ღშ, -ლა̈ლ) ლნტ., **ცინცილაღ** (-ლა̄ღშ, -აუ||-ლე̄ლ) ლშხ. — შილიფად ჩაცმული. ცინცილაღˊდˈ ლგრექუ მა̈რე შიშდ იქუე̄ლი (ლშხ.) — შილიფად ჩაცმული ადამიანი (კაცი) სწრაფად ცივდება. ბეფშ ცინცილა̈ ლგრექუ ლა̈ს (ლნტ.) — ბავშვი შილიფად იყო ჩაცმული.

ცინციხდ ბზ., ლნტ., **ფგნციხდ** ლშხ. იხ. მარჯვა გამოთქმაში **ცინციხდ, ფგნციხდ ლიგნე** — დაქუცმაცება, დამსხვრევა, ნამსხვრევებად ქცევა. ბებედ დიარ ფგნციხდ ადგენე (ლშხ.) — ბებიამ პური დააქუცმაცა.

ცირ იგივეა, რაც **ცილ.**

ცირ̄იმბურუ̈ლა̈რ (-ეშ) ბზ., **ცუირიმბარი, ცუირინბა̈რი** (-ა̈შ, -ა̈რ) ბქ., **ცუიდუმბარა** (-რა̈ღშ, -რა̈ლ) ლნტ. — წვრილმანები; წვრილმანი ნივთები. მა̈ღ ჯა̈რ ალ ცირ̄იმბურუ̈ლა̈რ (ბზ.) — რად გინდა ეს წვრილმანები. ჭუბრა̈რს ათა̈ს შუიმიშ ღა̈რა̈ღ ი ცუირიმბა̈რი ხეხელიხ (ბქ. 227) — ჭუბერლები ათასი სახის იარაღს და სხვა წვრილმან ნივთებს პოულობენ.

ციუ̈ალ (-იშ) ბზ., ლშხ., **ციუ̈ა̈ლ** ლნტ. 1. ჯეჯილი. დაჴლა̈რს ციუ̈ალ ჩულოხმამახ (ლშხ.) — თხებს ჯეჯილი შეუჭამიათ. 2. ახლად ამოსული სიმინდი.

ციუ̈ა̈ლდობ ბზ. — ჯეჯილობა. ბიქუ დაბა̈რს აქუთუნე ციუ̈ა̈ლდობჟი̈ნ (ბზ. 49) — ქარი ყანებს არხევს ჯეჯილობის დროს.

ციციმბურ იგივეა, რაც **ცინციბურ.**

ციცუნდრა (-რა̈ღშ ლშხ., -რა̈ღშ ლნტ.) ბოტ. — მდგნალი. ციცუნდრა̄ აშხალალ ონჰუიდდ (ლშხ.) — მდგნალის ტოტები მოჭრეთ.

ციცუ (-იშ, -ა̈რ ზს., ლნტ., -არ ლშხ.), **ცუიც** (-ა̈რ) ბქ. ზოოლ. — კატა. შუკუისგა ციცუ ხოყუ̈რეხ (ბზ. 408) — გმაში კატა უწევთ. მიჩ'ესერ ქუინ მინე ცუიცუისგა ლგგ (ბქ. 59) — ჩემი სული ჩვენს კატაშიაო. ულმა̈შს ლიბერგ ციცუს ესერი ხა̈სდიკ (ანდ.) — ულვაშზე ხელის მოკიდება კატასაც სწყინსო. ნაცარქექიაღ ხაბმინა ციცუარს ლაჴანს (ლშხ. 80) — ნაცარქექია გუთანში კატებს აბამდა თურმე. მებატეს ჩუ ხა̈პეუნენა ციცუ (ლნტ. 294) — მებატეს კატა ჰყოლია დამალული. კნინ. **ციცულˊდˈ** ბზ., ლშხ., **ციცულდ** ლნტ.

ცი̄ნყა (-ყა̈შ, -ყა̈ლ) ბზ., **ცინყა** (-ყა̈შ, -ყოლ ბქ., -ყა̄შ, -ყე̄ლ ლშხ.), **ცინაყა** (-ყა̈ღშ, -ყა̈ლ) ლნტ., ბოტ. — მოცვი. მი ცი̄ნყა̈ ლალრფა̈ლთე ღური (ბზ. 434) — მე მოცვის შესაჭმელად (შესათქვლეფად) წავალ. ცხეკისგა მგნწირდ ხაგ ცინყა (ბქ. 70) — ტყეში მოცვია მოძალებული. გუშგუე ცხეკარისა მასარდ ითხი ცინყა (ლშხ.) — ჩვენს ტყეებში მოცვი ბლომად იშოვება. ცინაყა ლიმარიეღსა იმგი (ლნტ.) — მოცვი მარიამობის თვეში მწიფდება.

ცი̄ნყობ (-ა̈შ) ბზ., **ცინყობ** (-ა̈შ ბქ., -აშ ლშხ.), **ცინაყაობ** (-იშ) ლნტ. — მოცვის მწიფობის დრო (მოცვობა). ეჯჩიქქა ცი̄ნყობი̄ ა̈ნბინა̈ნ (ბზ.) — იმ დროს მოცვის მწიფობაც დაიწყო. ცინყობ ლა̈შხს ლიმრიეღსა იბნი (ლშხ.) — ლაშხეთში მოცვის მწიფობა აგვისტოში იწყება.

ცოდ (-იშ, -ა̈შ ზს., ლნტ., -აშ ლშხ.) — 1.

ცოდეა. ამე̄ ცოდშჲ ნა̈ჲ დე ლეზჲებ გჲაშიდ ი დე ლეთრე (ბზ. 283) — ამის ცოდეით ჩვენ არც საჭმელი გვარგია (გვშველის) და არც სასმელი. ტურალ ხა̈ქჲე: მიჩა ესერ ი მიჩა ცოდ მაგ მიჩუ ხარ (ბქ. 59) — ტურამ უთხრა: — აბა, ჩემიც და შენი ცოდვა ყველაფერი შენო. მა̈ხელჲა̈ჲს ზისხ ესერ ხოფუე, მა̈რემ მგდგა̈რის ცოდ (ანდ.) — ვაჟკაცს სისხლი უღუღს, კაცისმკვლელს კი — ცოდვაო. მადილს ი ცოდს დო̄მ ათშგდახ (ლშხ. 54) — ცოდვას და მადლს არ არჩევდნენ. ლა̈დეღი ამეჩუ ცოდ ლოქ იფინი (ლნტ. 181) — დღეს აქ ცოდვა დატრიალდებაო (ადუღდებაო). 2. საცოდავი. ალე ზურა̄ლ ძღჷდ ცოდ ლი (ლშხ.) — ეს ქალი ძალიან საცოდავია.

ცოდა̈-კალ'ჲ'ენ ბზ., **ცოდა̈-კალა̈** ბჟ., **ცოდა̈შ-კალა̈** ლხმ., **ცოდა̈შკალა̈ნ** ჩბხ., **ცოდ-კალონ** ლშხ., **ცოდიკალენ** ლნტ. — ცოდვის კანონი, ცოდვა-ბრალი; საცოდავი! აფსუს! ცოდა̈ კალჲენ, მა̈ჲ მა̈რე ლა̈სჲ! (ბზ.) — საცოდავი, რა კაცი იყო! ცოდა̈-კალა̈, მა მახელჲა̈ჲ ოლდაგრელი! (ბქ.) — აფსუს, რა ვაჟკაცი გარდაცვლილა! უჰ, მიშკჲი ცოდიკა̈ლენ! ბეფშ მა̈იდარ ლგმა̈რ (ლნტ.) — ოჰ, ჩემი ცოდო-ბრალი! ბავშვი მშიერი ყოფილა.

ცოდლია̈ნ, ცჲედლია̈ნ (-იშ, -ა̈რ) ზს., ლნტ., **ცოდრია̈ნ** (-ნუ) ბქ., **ცოდლიან** (-არ) ლშხ. — ცოდვილი, შემცოდე, ცოდვიანი. ცჲედლია̈ნ სი ჰო! (ბზ.) — ო, შე ცოდვილიანო! სი ცოდრია̈ნ, იმღა ა̈თღორჲენ? (ბქ.) — შე, ცოდვილიანო რატომ მოტყუედი? ცოდლიან ეჩა ბედ! (ლშხ.) — ცოდვიანი იმისი ბედი! ძღუდ ცჲედლია̈ნ მარე ლი ჰიტი (ლნტ.) — დიდი ცოდვილი კაცია ჰიტი.

ცოდრიან იგივეა, რაც **ცოდლია̈ნ.**

ცოდჲლ (-ა̈შ, -ა̈რ ბზ., -აშ, -არ ლშხ.), **ცოდჲლდ** (-იშ, -ა̈რ) ლნტ. — საცოდავი, შესაცოდები. ამჩუჲ ცოდჲლდ მე̄რი (ბზ. 319) — აქაც საცოდავად ვიქნები (მექნება). ბობშარე ჲედე ცოდჲლდ ლჷგ (ლშხ.) — ბავშვების დედა ცოდვილობს (ცოდვად დგას). კნინ. **ცოდჲლგლდ** ბზ., ლშხ. მეხჲტე ზურა̄ლ ცოდჲლგლდ იზგა სოფელისგა (ბზ.) — უშვილო (ამოწყვეტილი) ქალი საცოდავად ცხოვრობდა სოფელში.

ცონა̈რ[1] (-იშ, -ა̈ლ ბზ., -ა̈რ ჩბხ.) — უსუსური (მცონარა). გიორგი ცონა̈რ ბეფშჲილდ ლი (ბზ.) — გიორგი უსუსური ბავშვია.

ცონა̈რ[2] (-იშ, -ა̈რ) ჩბხ. — ყურმახვილი, ფხიზელი (ძაღლი). ციოყა̈რს ხოჩა ცონა̈რ ჟეღა̈რ ხორდახ (ბზ.) — ციოყაანთ კარგი, ფხიზელი ძაღლები ჰყავდათ.

ცუბე იგივეა, რაც **ცჲიბე.**

ცუდ იგივეა, რაც **ცჲიდ.**

ცუდდ იხ. **ცჲიდ.**

ცუდმოცალდ იგივეა, რაც **ცჲიდიმუქჲდილდ.**

ცუზ (-იშ, -ჲა̈რ) ზს., ლნტ., ზოოლ. — თევზი. თევზისნაირი წყლის ბინადარი საერთოდ. ლიცისკა ხჲა̈ჲ ცუზს ხჲირმიდ (ლნტ. 16) — წყალში ბევრ თევზს ვიჭერთ. ცუზი თე (ბზ. ქხ.) — თევზის თვალი (თევზის თვალის მსგავსი მუწუკი-მეჭეჭი).

ცულა̈ჰემანტ იგივეა, რაც **ცხჲი-ცგჰემა̈დ.**

ცურ იგივეა, რაც **ცჲირ.**

ცურაჲე (ლოხცურაჲ, ლეჲცურაჲე; ლეჲცურაჲნე) ლშხ., **ცურა̈ჲე** (ოჟრ. ლა̈ხჲცურა̈ჲ, ლა̈ჲცურა̈ჲე; ლა̈ჲცურაჲი) ლნტ., გრდუვ. — ცურავს, ცურაობს ჯეჲე̄ ზისხისა ცურაჲე (ლშხ. 72) — თვითონაც სისხლში ცურავს. ლა̈დეღი მიშკჲა ჰყინტდ ხოჩამდ ლა̈ჲცურა̈ჲე ჰელედურა̈ჲსკა (ლნტ.) — დღეს ჩემმა ბიჭმა კარგად იცურავა ხელედურაში.

ცურე იგივეა, რაც **ცჲირე.**

ცუყჲბა (-ბა̈შ, -ბა̈ლ ბზ., -ბა̈შ, -ბოლ ბქ.), **ცუყჲბე̄რა** (-რა̄შ, -რე̄ლ) ლშხ. — სარქველი, საცობი. ცუყჲბა ბგგიდ ათცჷყე̄რე (ბზ.) — საცობი მაგრად დააცო. ცუყჲბე̄რა ათთჲეფახ (ლშხ.) — საცობი დაჰკარგვიათ.

ცუყჲბე̄რა იგივეა, რაც **ცუყჲბა.**

ცჲა̈რა (-რა̈შ) ბზ., **ც'ჲ'ერა** (-რა̈შ ბქ., -რა̄შ ლშხ., -რა̈ჲშ ლნტ.) — მიტოვება (ქალისა). ზურა̄ლა̈ ცჲა̈რას ჯჲინალდ დაგრობ ხეფსოლ (ბზ.) — ქალის მიტოვებას ადრე მკვლელობა მოჰყვებოდა. ზურალა̈შ ცერა შჲა̈ნს გუნ გჲაშჲდ ლასჲ ლგკიდ (ბქ. 294) — ქალის მიტოვება ძალიან მძიმე საქმედ ითვლებოდა

სვანეთში. გარჯ ლი ცჷერა, დაგრობ ხეფსი (ლშხ. 31) — ძნელია ქალის მიტოვება, მკვლელობა მოჰყვება.

ცჷედლიäნ იგივეა, რაც **ცოდლიäნ.**

ცჷერა იგივეა, რაც **ცჷარა.**

ცჷიბე (ოცჷბ, აცჷიბ; äცჷბე) ზს., **ცჷბე** (ოცჷბ, აცჷიბ; აცჷბე) ლშხ., **აცჷბე** (აცჷჷბ, äცჷიბ; აცჷბე) ლნტ. გ რ დ მ. — ჭრის. თäთს მäრე ხოჩäმდ ცჷიბე თხილმäრშჷ (ბზ.) — ფიფქ თოელს კაცი კარგად კვალავს (ჭრის) თხილამურებით. ძღჷდ ლაძიას ნëსგალექჷა ცჷბეხ (ლშხ.) — დიდ საკლავს შუაზე ჭრიან. äმირäნს ჩჷათოცჷიბა დäჷ (ლნტ. 274) — ამირანს გაუჭრია დევი.

ცჷიდ ზს., ლნტ., **ცჷდ** ლშხ. — ფუჭი, ტყუილი, ამაო. მახალჷნქა მäგ ცჷიდ ლგმäრ (ბზ.) — ცოდნის გარდა ყველაფერი ფუჭი ყოფილა. ცჷიდ მარე (ბქ.) — ცუდი (მატყუარა, ფუჭი) კაცი. ეäი ცჷიდ ლოქ ლი ეჩოხ ლიზი (ლნტ. 217) — მაინც ამაოა (ფუჭია) იქ წასვლაო. **ცჷიდდ** ზს., ლნტ., **ცჷდდ** ლშხ., ზ მ ნ ხ. — ფუჭად, ტყუილად, ამაოდ. ბäზი ესერ ცჷიდდ ხäრხ ლიჷēლიელ (ბზ. 348) — ამაღამ ტყუილად კვნესიანო. თეფ აშ ცჷიდდ დäს ხეფშჷდენიჷ (ბქ. 289) — თოფს ტყუილად არავის ესროდნენ. გჷურდ მäგთან ცჷიდ ესერ ლგმäრ (ანდ.) — უგულოდ ყველაფერი ფუჭი ყოფილაო. ქ'ახჷარēნახ ცჷდდ ი მგმქადჷნად ეჩა ლისēლჷე (ლშხ. 90) — მოსწყინდათ თურმე ტყუილუბრალოდ (ფუჭად და გამცდენად) იმისი რჩენა.

ცჷიდიმჷქჷდ'დ'ილდ (-იშ) ბზ., **ცჷიდიმოცäლდ** ბქ., **ცჷდმოცალდ**, **ცჷდიმჷქდჷნად** ლშხ., **ცჷიდდიმოცäლდ** ლნტ. ზ მ ნ ხ. 1. ტყუილ-უბრალოდ, უსარგებლოდ. მისიშ მოსაჷäლ ცჷიდიმოცäლდ ესღრი (ბქ.) — წლევანდელი მოსავალი უსარგებლოდ მიდის. 2. აბდაუბდად ლნტ. ჩიგარ ცჷიდიმოცäლდ რაგäდი (ლნტ.) — ყოველთვის აბდაუბდას (ფუჭად და მოცლილად) ლაპარაკობს.

ცჷიდმაცჷდი (-იშ, -äრ) ბქ., **ცჷიდმäცჷდი** (-äლ) ლნტ. — უდანაშაულო, ბრალის უქონელი. დაჷით ალი გჷაშჷლისგა ცჷიდმაცჷდი ლასჷ (ბქ.) — დავითი ამ საქმეში უდანაშაულო იყო. ცჷიდ მäცჷდი ლი გიგოდ დენა (ლნტ.) — გიგოს ქალიშვილი უდანაშაულოა.

ცჷიდჷმბარა იგივეა, რაც **ცირāმბჷლარ.**

ცჷირ (ცჷირდäს, ცჷირდა; ცჷირდēდს ბზ., ცჷირგდ, ცჷირგდ; ცჷირგდეს ბქ., ცჷირდäს, ცჷირდა; ცჷირდეს ლნტ.), **ცჷრ** (ცჷრდას, ცჷრდა; ცჷრდეს) ლშხ., გ რ დ უ ვ. — დარჩენილია. [მურყჷამ] კოტჷლ გარ ცჷირ (ბზ.) — კოშკი ცოტაღაა დარჩენილი. კოშკხენქა მäდმა ცჷირ (ლნტ.) — კოშკიდან არაფერია დარჩენილი.

ცჷირე (ჩ'ოცჷრ, ჩჷ'აცჷირ; ჩჷ'äცჷრე ზს., აცჷჷრ, აცჷირ; აცჷრე ლნტ.), **ცჷრე** (ოცჷრ, აცჷირ; აცჷრე) ლშხ. გ რ დ მ. — ტოვებს. გძერგჷლ ჩჷაცჷირხ ლგხäხჷდ (ბზ. 316) — გიორგი დატოვეს ცოლიანად. ლჷაშäრ ჩოცჷრ (ბზ. 40) — ჯიხვები დავტოვე. მიჩ ესერ გარ ცჷირეხ მო ამჩჷნ? (ბზ. 232) — მარტო მე მტოვებთ აქო? ნალჷქურდ ჩჷაცჷირ გჷიჯიშ ნäკჷიშ (ბქ. 32) — ვაჟმა წაბლის ნატეხი დატოვა. ნაჩომოჷ ეჯჷი აცჷირ, ერე მეწēდდ ნომა ლახლაგცას (ანდ.) — ნამოქმედარი ისე დატოვე, რომ მნახველმა არ დაგცინოსო. ფჷირ ზაჷ მიჩა ფასჷ ნაშგშჷ ესერ ცჷირე (ანდ.) — ფური ზაფხულში თავის ფასს წველით აკეთებსო (ტოვებსო). აგის ცჷრეხ ზექი მგჷდას (ლშხ. 24) — შინ ტოვებენ შეშის მომტანს. ნä ჩჷაცჷირდ დäშტჷ (ლნტ. 85) — ჩვენ დავტოვეთ დათვი. ჰყგნტäრს ჩჷათოცჷირახ დი წანäშ (ლნტ. 107) — ბიჭებს დაუტოვებიათ დედა წანაში. მიშგუ გეზალ იმე აცჷირდ? (ჰოეზ. 66) — ჩემი შვილი სად დატოვეთ?

ცჷირიმბარი იგივეა, რაც **ცირāმბჷრჷლარ.**

ცჷირინბäრი იგივეა, რაც **ცირāმბჷრჷლარ.**

ცჷიც იგივეა, რაც **ციცჷ.**

ცჷიცგჷპემდ იგივეა, რაც **ცხჷი-ცგჷპემäდ.**

ცქეფენი იგივეა, რაც **ცქეფნი.**

ცქეფნი (ოცქფენი, აცქäფ; äცქფენი ზს., ოცქეფ, აცქაფ; აცქფენი ლშხ.), **ცქეფენი**

(აცქჳეფ, აცქაფ; აცქეფენი) ლნტ., გ რ დ ე ჳ. — სკდება. ჰინჭილ ჩჳაცქაფ (ბქ.) — ნაწლავი გასკდა. ბუშტ ობა̈შგნ მიჩეჳშ ცქეფნი (ბქ.) — ბუშტი ს შირად თავისით სკდება.

ცქიფე (ოცქფ, აცქიფ; ა̈ცქფე ზს., აცქჷფ, აცქიფ; აცქფე ლნტ.), **ცქჷფე** (ოცქჷფ, აცქიფ; აცქფე) ლშხ., გ რ დ მ. — ხეთქს. ჰყინტ ა̈ცქფე ბუშტს (ბქ.) — ბიჭი გახეთქს ბუშტს. ბოფშა̈რს ბულთ ჩჳათოცქიფახ (ლნტ.) — ბავშვებს ბურთი გაუხეთქავთ.

ცქჷრ (-იშ) — 1. საქონლის ფაშვში მოთავსებული მოუნელებელი საჭმელი. ფა̈შ ცქჷრდ გჳეში ხა̄დდა (ბზ.) — ფაშვი მოუნელებელი საჭმლით ჰქონდა სავსე. 2. ბზ., ლშხ. ფაღარათი.

ცქჷფე იგივეა, რაც **ცქიფე**.

ცხა (ცხა̈̄შ, ცხა̄რა̈ლ ბზ., -მიშ, -ცხარა̈რ ბქ., ცხა̄მიშ, ცხა̄რალ ლშხ., -ცხა̈ჲშ, ცხარა̈ლ ლნტ.) — 1. ფრჩხილი. გარდატყუაჲ ლეხპარ ი ქო̄ხრეკ ცხა (ლშხ.) — შეახტა გარდატყუა და ფრჩხილი გამოჰკრა. ალ მარე ცხარა̈ლს იკჳეპტე (ლნტ.) — ეს კაცი ფრჩხილებს იჭრის. 2. ბრჭყალი. მა̄ლიდ ცხა̄რა̈ლ ქა̄თჰკჳერ და̈შდჳს (ბზ. 360) — მელამ დათვს ბრჭყალები მოაჭრა. ცხა̈კჳს ცხარა̈რშჳ ხა̈ლჳენა კალმახ (ბქ. 227) — ქორს კალმახი ბრჭყალებით ჰყოლია (დაჭერილი). იხ. **კანჭ᾿ჳ᾿**.

ცხამ (-ა̈შ, -ა̈რ ზს., -იშ, -არ ლშხ.) — 1. ღვარძლი. ცხამ მა̄რე (ლშხ.) — ბოროტი, ღვარძლიანი კაცი. ცხამა̈შ მგლა̈შის ცხამ ესერ ოხჳთია (ანდ.) — ღვარძლის დამთესავს ღვარძლი მოუმკიაო. 2. ბ ო ტ. სარეველა ბალახი, ღვარძლა.

ცხამა̈̄რ ბზ., **ცხამა̄რ** ლშხ. — ღვარძლიანი, ღვარძლა ბალახიანი (ხორბალი, პურის ნათესი). გუშკჳე კჳეცნა დაბს ცხამა̄რ ეხფასა̄ნ (ლშხ.) — ჩვენი პურის ყანა ღვარძლა ბალახიანი გამოდგა.

ცხაპ (-ა̈შ, -ა̈რ) ზს., ლნტ. — ხერხემალი. ჭა̈ნი ცხაპ სგა̄თგეხ ლაჯაბს (ბზ.) — ხარის ხერხემალი მისახარშად ჩაადვეს. სა̈ნჯიხიშ მერა̈რ ცხაპ-ცხაპგლდჲი ხეგნიხ ლენწირს (ბქ. 309) — მებრძოლი ფუტკრები ხერხემალზე დაცხრებიან დაჭარცხებულ (მოსარევ) ფუტკარს.

იხ. **შიყრა**.

ცხა̈ეშ იგივეა, რაც **ცხა̈̄ჲ**.

ცხა̈ი იგივეა, რაც **ცხა̈̄ჲ**.

ცხა̈კჳ (-იშ, ´ცხაკჳა̈რ) ზს., ლნტ., **ცხეკჳ** (-არ) ლშხ., ზ ო ო ლ. — ქორი. ანპა̈რ ეშხუ ცხა̈კჳ (ბზ.) — მოფრინდა ერთი ქორი. ამეჲი ხახტაჳენა ცხა̈კჳ (ბქ. 227) — ამაზე თურმე ქორი ეხატა. მახე თელელრა ცხა̈კჳ ლეშნა̈რი ესერ ლი (ანდ.) — ახალი რძალი მოსაშინაურებელი ქორიაო. ფასკჳინჯი ცინდალა̈ლს იზობდა ცხა̈კჳ (ლნტ. 276) — ფასკუნჯის ბარტყებს ქორი ჭამდა. კ ნ ი ნ. **ცხეკჳლ** ლშხ., **ცხა̈კჳლ** ბზ., **ცხა̈კჳლდ** ლნტ. ცხეკჳლ მგლჩად ხაყენა [დი̄ნას] (ლშხ. 94) — ქორი მცველად ჰყოლია გოგოს.

ცხა̈მა (-მა̈̄შ) ბზ., **ცხემა** (მა̈შ ბქ., -მა̈შ ლშხ., -მა̈ჲშ ლნტ.) — მატება, ზრდა. ცხა̈მანი ქა̈მან უჳ ალხი̄დელხი! (ბზ.) — ზრდით და მატებით გეხაროს (გახარებულიყავი)! ალი ქალა̈შ ცხემალა (ბქ. 89) — ეს დათესე მატებისათვის. მახე ზაჲსუ ლოხგენე̄ნად ცხემაჳშ, ქემაჳშ, ბედჳშ ი ბარაქჳშ! (ლშხ. 16) — ახალ წელს შევხვედროდეთ (მიეგებოდეთ) ზრდით, მატებით, ბედით და ბარაქით! ისკჳე ცხემა ი ხოჩა გჳეშუ მასმა ჩიგარ (ლნტ.) — თქვენი მატება და კარგი საქმე მსმენოდეს ყოველთვის.

ცხა̈̄ჲ, **ცხა̈ჲ** ბზ., **ცხა̈ი** ბქ., **ცხაჲ** ლშხ., **ცხა̈ჲ**, **ცხა̈ეშ** ლნტ. ნ ა წ. — ხომ, განა, რა თქმა უნდა, ცხადია. ათხე. ცხა̈̄ჲ, ჩჳაჯდაგრი (ბზ. 335) — ახლა, ცხადია, მოკვლავ. სოლომა̈ნიშმა̈ლ მეთხჳა̈რ ცხა̈ი, და̈რ ლგწსელი (ბქ. 209) — სოლომონისთანა მონადირე, ცხადია, არავინ გაჩენილა. ქა ცხაჲ დე̄სა ხაწჳე̄ნეხ დი̄ნა (ლშხ. 6) — გოგო რა თქმა უნდა, არ აჩვენეს. ბაპცა̈ხენ, ცხა̈ეშ დია̈კჳენ ჩიგარ არდა (ლნტ. 54) — მღვდელთან, რა თქმა უნდა, დიაკონი ყოველთვის იყო.

ცხეკ (-იშ, -ა̈რ ზს., ლნტ., -არ ლშხ.) — ტყე (მერეული, ფოთლოვანი ტყე). ცხეკისგა ლეზჳებ მა̄მგჳეშ ა̈რი (ბზ. 283) — ტყეში საჭმელი არაფერია. უდუმბურ ცხეკისგა ა̈რიხ ხეხჳ-ჭა̈შ (ბქ.) — უდაბურ ტყეში არის ცოლ-ქმარი. ფედიას ხარხ ცხეკა̈რ (ლნტ. 17) — ტყეები ახლოს აქვთ. **ცხეკი მა̄რე** (ბზ., ლშხ.) — ტყის კაცი. **ცხეკ ი ჳელ** (ზს.) —

ტყე და ველი.

ცხეკა̈̄რ ბზ., **ცხეკა̄რ** ლშხ., **ცხეკა̈რ** ლნტ. — ტყიანი. ცხეკა̈̄რ გოლა̈ძჩუ მა̄მა იჟა̈ჰ (ბზ.) — ტყიან დალმართზე თოვლის ზვავი არ ჩამოწვება. ლა̄შხ ცხეკა̄რ ლი (ლშხ.) — ლაშხეთი ტყიანია. ლენტეხა ეჩქად ხოშა ცხეკა̈რ ლას (ლნტ.) — ლენტეხი ადრე უფრო ტყიანი იყო.

ცხეკიშ (-იშ, -შა̈რ ზს., ლნტ., -არ ლშხ.) — 1. ტყის ბინადარი, ტყიური, ავი სული. სი ცხეკიშ იმე ჯიჩდა? (ბზ.) — შე ტყიურო (ავო სულო), სად ყოფილხარ? მეთხჷია̈რს ცხეკი მარე ლახახჷიდა (ლნტ.) — მონადირეს ტყის კაცი შეხვდა. 2. არჩვი, გარეული თხა. ჰერსკნა̈რდ მეთხჷარას ცხეკიშა̈რ ხოშხახ (ბქ. 235) — არჩვებს მონადირეები ტყიურებს ეძახიან.

ცხეკჷ იგივეა, რაც **ცხა̈კჷ**.

ცხემა იგივეა, რაც **ცხა̈მა**.

ცხემა̈დ იგივეა, რაც **ცხჷი-ცგჰემა̈დ**.

ცხენ (-იშ, -ა̈რ) ლხმ., **ცხჷენ** (-არ ლშხ., -ა̈რ ლნტ.) — სხვენი. მიჩ ესერ ცხენ ლექჷა ეშდძორი ძეჳჷ ხოჰარა (ბქ. 315) — მე სხვენზე თორმეტი ცოლი მყავს ჩამწკრივებულიო. ქა ხორკინეხ ცხჷენს ლეფრად (ლშხ. 5) — ჩამოჰკიდებენ სხვენზე გასახმობად. მაულ... ჟა̈თეფორცხან ცხჷენჟი (ლნტ. 193) — მელა აფორთხდა სხვენზე.

ცხეპენი იგივეა, რაც **ცხეპნი**.

ცხეპნი (ონცხეპ, ანცხა̈პ, ა̈ნცხპენი ზს., ანცხაპ, ანცხა̈ენი ლშხ.‖ოხჷეცხპ, ოხცხაპ; ოხცხეპნი ბქ.), **ცხეპენი** (ა̈ნჷცხეპ, ა̈ნცხაპ; ა̈ნცხეპენი) ლნტ., გრდუკ. — კრთება, იხრება, იკეცება. ზურალ უნენიად ჟ'ახცხეპა (ბქ. 316) — ქალი უნებურად შემკრთალა. ბეფშ ლიტეჷეისა ჟ'ანცხაპ (ლნტ.) — ბავშვი ხმაურისაგან (ხმაურში) შეკრთა.

ცხიდ იგივეა, რაც **ცხი̄დ**.

ცხიდიან იგივეა, რაც **ცხი̄დიან**.

ცხიკ, ცხინკ (-იშ, -ა̈რ) ზს., **ცხიკო̄ლ** (-არ) ლშხ. — გოდორი, ბზ. კალათი. ოთჰიდხ და̈ჷს ცხიკჷშ სა̈დილ (ბზ. 310) — დევს კალათით სადილი მოუტანეს. ცხი[ნ]კ ესერ ცხინკდ ლახ ჟი ხექდი, ლაფკანა̈რიდ ესერ ჟი იმა̈რგ (ანდ.) — კალათი რომ უვარგისდება, ჯამ-ჭურჭლის შესანახად გამოდგებაო. ლგმა̄რე ცხიკო̄ლს ჟენცჷემხ შიყჟი (ლშხ. 16) — გამბადებულ გოდორს ზურგზე მოიკიდებენ. კნინ. **ცხიკო̄ლ** ბზ., **ცხიკო̄ლი̄ლ** ლშხ., **ცხიკილდ, ცხიკგლდ** ბქ.

ცხინკ იგივეა, რაც **ცხიკ**.

ცხიპე (ონცხგპ, ანცხიპ; ა̈ნცხპე) ზს., **ცხგპე** (ოცხგპ, აცხიპ; აცხპე) ლშხ., **აცხპა̈ნი** (ათჷაცხგპა̈ნ, ადაცხგპა̈ნე; ადაცხგპ[ა̈]ნი) ლნტ., კრდმ. — ნასკვავს. ბებედ ქიპ აცხიპ (ლშხ.) — ბებიამ ძაფი განასკვა. ლა̈რტყს ჩუ აცხპა̈ნიხ (ლნტ. 71) — ქამარს გასკვნიან. ჰგშხა̈რს ჩუ აცხპა̈ნიხ (ლნტ. 52) — ფეხებს 'გადა'იჯვარედინებენ. ბეფშდ ჩაფლა̈ ლაზან ჩჷადაცხგპა̈ნე (ლნტ.) — ბავშვმა ფეხსაცმლის თასმა განასკვა.

ცხირ (-იშ, -ა̈ლ) ზს. 1. ხიწვი, ხიჭვი. მეჩი ცხირს ჷენდ გარ ხება̈̄ჰ (ბზ. 328) — მოხუცი ხიწვს ძლივს 'გადა'აბიჯებს. ცხირშჷ ლეკჷანად ესერ მადე ხაყა (ბქ.) — ხიწვით გადაგდების ღირსიც არააო (უღირსი, უქნარა, ყოველგვარ ღირსებას მოკლებული ადამიანი). 2. ბზ. კენჭი; წილი, ხვედრი. ცხირი ლიკჷა̄ნე (ლიშდე) (ბზ.) — კენჭისყრა (კენჭის აგდება).

ცხირე იგივეა, რაც **ა̈ცხრე**.

ცხირწე̄ლა (-ლა̈̄შ ბზ., -ლა̄შ ლშხ., -ლა̈შ ბქ.) — წვრილი ღერო, ხიწვისოდენა ღერო. ცხირწე̄ლა დესა ჯისპა (ბზ. ლშხ.) — ხიწვისოდენა ღერო არ გადაგიბრუნებია (არაფერი არ შეგიქმნია). გადატ. უსაქმურობა. თელ ლადეღ ცხირწე̄ლა მა̄ ხოსპა (ლშხ.) — მთელი დღე უსაქმურადაა.

ცხი̄დ (-იშ) ბზ., **ცხიდ** ბქ., ლშხ., ქს. — წუნი, ნაკლი, რამე მიზეზი. ცხი̄დ ესერ მა̄მ ხულჷა ალ ჩა̈̄ჷს (ბზ.) — ამ ცხენს ნაკლი არ აქვსო. ცხიდ მოდმ' ესერ ხექჷი (ბქ.) — არ დაიწუნებაო. ცხიდ დეშერდ ხეკჷეს ოხკჷდის ლაგჷანს (ლშხ. 34) — წუნი ვერავინ უნდა აუღოს სატირალს (გასვენებას). ცხიდ მა̈დ ხეკიდი ალ გჷეშს (ლნტ.) — არ დაიწუნება ეს საქმე.

ცხი̄დია̈ნ, ცხი̄დძა̈ნ (-იშ, -დძანა̈რ)

ბზ., **ცხიდიან** (-ა̈რ) ბქ., **ცხიდიან, ცხი̄დი-ან** (-არ) ლშ., **ცხიდია̈ნ** (-ა̈რ) ლნტ. — **წუნია.** ძღჷდ ცხი̄დია̈ნ მა̄რე ლი (ბზ.) — **ძალიან წუ-ნია კაცია.** ცხიდია̈ნ ჯი ესერ ლჷმა̈რ ლეცხი-და̈ლ (ანდ.) — **წუნია თვითონ იყო დასაწუნე-ბელი.**

ცხოჷელ — **ძლიერი, ცხოველი** (**ხატი, ეკლესია...**). ალ ლადღა̈რ ხოშა ცხოჷელ ლა-დღა̈რდ ნადხ ლჷნშა̈ნ (ბქ. 195) — **ეს დღეები ძლიერ დღეობად ჰქონდათ აღიარებული** (**მო-ნიშნული**).

ცხრილ იგივეა, რაც **ცხჷრილ.**

ცხუ იგივეა, რაც **ცხჷი.**

ცხუდე იგივეა, რაც **ცხჷიდე.**

ცხულა̈ჰემა̈ტ იგივეა, რაც **ცხჷი-ცჷჰე-მა̈დ.**

ცხუმ იგივეა, რაც **ცხჷიმრა.**

ცხუმრა იგივეა, რაც **ცხჷიმრა.**

ცხურჷ (-ა̈შ||-რჷშ, -ა̈რ, -ა̈ლ) ზს. — **პა-ტარა ხვრელი, მცირე სარკმელი.** ცხურჷა̈რქა ანღრი ათჷ ჷერთქ (ბქ. 263) — **ხვრელებიდან ცხელი ორთქლი ამოდის.** **ცხურჷ-ბურჷ** — **მრავალხვრელიანი, დაჩხვლეტილი.** ცხურჷ-ბურჷს ხჷა̈ფტისა̈ლი [ხჷაცყჷრა̈ლი] (ბზ. 365) — **პატარა ხვრელებს ევმანავ.** იხ. **ჰურჷ.**

ცხურჷ-ბურჷ იხ. **ცხურჷ.**

ცხუტ იგივეა, რაც **ცხჷირტ.**

ცხჷადეშ (-იშ, -დუშა̈რ) ბზ., **ცხჷა-დიშ** (-დშიშ, -ა̈რ) ბქ. — **მიწის ფართობის სა-ზომი ერთეული, ერთი დღიური მიწა.** ეშხუ ცხჷადეშ გიმ ხულჷახ (ბზ.) — **ერთი დღიური მიწა აქეთ.**

ცხჷად⌈ჷ⌉ (-ა̈შ, -⌈ჷ⌉ა̈რ ზს., ლნტ., -იშ, -ჷარ ლშ.) — **დიდი ქვაბი, საარაყე ქვაბი.** კამ-ბეჩ ცხჷადისგა ლაჯა̈ბდ ხორიხ (ბზ. 81) — **ქვაბში კამეჩი მოსახარშად უდგათ.** ნა̄შგს სგჷსგოშნეხ ცხჷადთე (ლშ.) — **მონაწველს დიდ ქვაბში ჩაასხამენ.** ითხეხ, იმა̈ჷშ ლას ცხჷად (ლნტ. 125) — **იშოვეს, როგორც იქნა დიდი (საარაყე) ქვაბი.** კ ნ ი ნ. **ცხჷადგლდ** ბზ., ლნტ., **ცხჷადი̄ლ** ლშ.

ცხჷედენი იგივეა, რაც **ცხჷედნი.**

ცხჷედნი (—, აცხჷა̈დ; ა̈ცხჷდენი ბზ., —, აცხჷად ლშ.), **ცხჷედენი** (—, აცხჷად; აცხჷედენი) ლნტ., გ რ დ უ კ. — **წყდება** (**წყალი**). ლაპრა̈ყეი ჷცეფდ ლიც ჩ'აცხჷად (ბზ.) — **არყის გამოხდისას წყალი უცებ შეწყდა.** მჷხარ ლიც აცხჷედენი (ლნტ.) — **ხვალ წყალი და-წყდება.**

ცხჷენ იგივეა, რაც **ცხენ.**

